


კვირის პალიტრა



# პალიტრა



№25 (419)  
19/VI-25/VI.1

30 თეთრი

**არ გამობრჩევს  
სიასლა!**  
„ცხოვრება“!

**ორი ფანი,  
ორი პრეზიდენტი**



ფეხბურთზე კამათისას  
გაჩენილი ბრძოლა

**ექსლიდარი და  
მისი პოლიტიკური  
მოგაველი...**

**გურჯანაძის რეალური გეგმები**

**ფოტოგრაფის მიერ  
გაუიფრული „უნიტარები“  
და „ნიღბიანები“**



**პოლიუდის ვარსკვლავების  
ქართული  
გეულავენი**



**„შესაძლებელია,  
ერთ დღეს  
გვემოგარის  
შეპიყვარდეს“**



**როდის ხდება ძმა ძმის მოსისხლა მტერი**



# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები  
და გათქაშები იტალიიდან



 **OIKOS**

**როგორ ახასიათებს ზურაბ ტყეშელაშვილს უფროსი ძმა**

„ზურაბზე სამი წლით უფროსი გახლავართ. აბიგომ, შესანიშნავად მახსოვს მისი ბავშვობა. ის ძალიან ცელქი, ჭიჭყინა, პრინციპული და ჯიუტი ბავშვი იყო. ამა თუ იმ საკითხში მისი დარწმუნება ძნელი იყო“.



26

**Seurigebeli ana**



დათომ რომ მამინაცვალი ანუ ჩემი მშობელი მამა მოკლა, ის მაშინ 12 წლის იყო, მე – შვიდის, მაგრამ ყველაფერი მახსოვს... ძალიანაც რომ მიწოდეს, ვერასოდეს დავივიწყებ იმ ჯოჯოხეთს.

24

**შარბელი შარბელი**

**საქართველო**

„გარდა სხვა ყველაფერისა და...“



**თაღლითის მსხვერპლი**

**მძებნილები**



ვამოყვლოების ვამოყვე  
ნებისმიერ სიმძისე  
ცადისიციეჯიშულის.



პარიზი რეკავა

39-70



№25 (419)  
19 - 25 ივნისი, 2008 წ.  
ფასი 80 თეთრი

- **მინიატიურები**
- პოსტსაარჩევნო მძაღლური SALE ანუ „ორი კახი კიდე და ბავდივართ“ 5
- **ფაქტი და კომენტარი**
- შვითხვევა ზუგდიდში. გაომთხვევლი მოზონიია, მოქალაქი სზუარი და სფხზუართო სიუზ-სხელება 6
- **პარსონა**
- ეასლიდარი და მისი პოლიტიკური მოხვევალი 7
- **კომუნიკის ზონა**
- აფხაზიტი – დეთის კასრუა შემდგარი „ლოღეა ვიჭა“ 10
- **ნარმაგება**
- რა მიულოსა პრუიღნფხა გაგრამი დაბადებულ ზოლო ქართველს 12
- **ქარაწლისის როლო**
- „დუბლიონიანი“ კასვალი ხველები და გარანველები სზრუა ასული... 14
- **კრიმინალი**
- ✓ „ამ უბედურების შემხედვარე, მთელი სოფალი კიოდა“ 16
- ✓ პარამრადისიული შვილები და მოქალაქე შემოჭრები 98
- **რეკურსი**
- ფოტოხელოვნის მთალით დანახული პოლიტიკა 18
- **ტანდემი**
- „სესაქლავალია, ერთ ღღს მემოგარის შემოყვარღს“... 20
- **არუღიტი**
- როდის იხნევა სმეგილი მოზროვნე... 22
- **ალსარება**
- შეურიგებელი ანა (გაგრძელება) 24
- **ანტიღვარესანტი**
- **ღადამიშვილები**
- „მნ მთა სკართარი ხელით დარა-დარა დომხალა“ 26
- **თემა**
- მონისსლა მგრებად ქსეული ღადამიშვილები 28
- **თეოზა**
- საზონის გაბარჯვებული ინტელექტული სნაველს აბრძელებს 30

– ჭრილობა შეეუზევიოთ?! ამ გურჯუა სამი ამხანაგი მოგვიკლა და ვუაქემოთ?! – ბრამით შემოხედეს თურქებმა.

– ხმა რაიწყვიტეთ, ბრიყვებო!. შენ და შენ – გურჯს მიხედეთ, დანარჩენებმა კი ჭალა გაჩხრიკეთ და მეორე მოტებნეთ. დაჭრილი იყო და თუ თავისით აღმობდა სული, მისი ცხენ-იარაღი და თავი მომიგანეთ. თუ ცოცხალს გადააწყდით, არ მოკლათ.



82

<b>სახე</b>	
უსიყვრელ ახსნილი სიყვარული	31
<b>თინეიჯერული პონტები</b>	
✓ ალანის მხვეპელი გოგონები, ნახეში	
სისიყვარი და სინდისის ქაჯა	32
✓ მამაკაცები ბავშვებით არიან, სულ სიტომ	
და ყურადღება სჭირდებათ	34
<b>ნაფიქციო ამბავი</b>	
სახადისნაკრე ფოტოსურათი...	36
<b>ჯანმრთელობა</b>	
ნამალს + ალკოჰოლი = ?	37
<b>ქარნალი ქარნაღი</b>	
✓ სსოვრება	39
✓ გზანდობა	55
<b>საზღვრებს მიღმა</b>	
ფუფუნაგამოვრება და ნაფიქციო	
ბანის ხილვა ბავლილი ქართული	71
<b>თანამშრომლები</b>	
უხსოვრის სის ქვა	73
<b>რომანი</b>	
სვაბა ქვარასხელია.	
მორიქლის ნიშანი (ბაბრქაღება)	74
<b>ბიჭ-ბიჭი</b>	78
<b>საკითხავი ქალბატონი</b>	
✓ ფარის ბავლენა ადამიანის ქმრება	80
✓ კოსნის 7 დაღვითი თვისება	81
<b>ისტორიული რომანი</b>	
გორა მანელიქა. დიღგორის ხაჯა	
ფრანდა ის ჯვარი (ბაბრქაღება)	82
<b>ქართული მილიონები</b>	
უმიღრანი ემიგრანტები...	86
<b>ქოღება</b>	
მონიგნენსურ-ქარნალინური ფიქრი,	
რომელიც ინტერვიუთი დასრულდა	89
<b>პარსქოღები</b>	
✓ ვუდი ალანი რუსეთის ექსპრეზიდენტის მხსახე	
ბლოქსტარის ბაღაღებას აპირებს	90
✓ ქარლასა და ნიქოლას სიყვარული	
ამბავს აქრანხე ბაღაღებენ	90
<b>სანიქო</b>	
დამწყები მომღერლის 70 და 85 წლის ფანები	92
<b>ბაღი</b>	
11 წლის ნიქოლასა და მის დას თქვანი	
დახმარება უსაქირობათი!!!	93
<b>სინფიღები</b>	
ღვთისმშობლის საფარქული, სანსაღვარქივად	
მხსოვრული ხატის დაწერიღება და მიწაში	
დაღვული სინფიღა	94
<b>ბაღაღი</b>	
მხდარქმთავარი სტალინი (ბაბრქაღება)	96
<b>ღაიქუსტი</b>	100
<b>ავტო</b>	103
<b>სანქორღი</b>	104
<b>ბისტი</b>	105
<b>პროგნოზი</b>	106

**ბარქაღება: ირბა ღიარტალიანის ქოღაღი**

საზოგადოებრივ-ქოღიტიქური მუწრნაღი „გზა“ ბამოღის კვირაში მრთქმლ, სუთქაბათოქით ბაჯაღი „კვირის პალიტრის“ დაბაღება

ფურნალი ხელმღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაღლო არ ემთხვეოღეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რედაქტორის მთადეღეღები: ლალი ფაჯია, ლიქა ქაჯაღა

მენეჯერი: მათე კბიღაძე

**მისამართი: თბიღისი, იოსებოღის ქ. №49**  
**ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com**  
**რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.**

**ფარის ბავლენა ადამიანის ქმრება**



მუქი ცისფრისთვის უპირატესობის მინიჭება სიჯიუტეზე, ქედმაღლობასა და პიროვნების სისასტიკეზე მეტყველებს. ამ ფერს „ტკივილგამაყუჩებელი“ თვისებაც აქვს, თუმცა მისი ხანგრძლივი ზემოქმეღება დაღლას იწვევს.

80

**საბღისნაკრე ფოტოსურათი...**


არაღა, ისეთი ვაქცაღი დაღვა, მაჯანკლები ხომ გასაქანს არ აბღეღენ და გოგოებიც არ აკლებღენ ხელს, უსირცხვილოდ ეკიღებოღენ კისერზე. როგორი გასამხელი იყო: ქაღი ისევე მჭირღება, როგორც მანქანას მეხუთე ბორბალი, ისე, ყოველი შემთხვევისთვისო! ამიგომაც, ცხვირაწეღება დაიწყო სიარული.



36

**ვუდი ალანი რუსეთის ექსპრეზიდენტის მხსახე ბლოქსტარის ბაღაღებას აპირებს**

ვლადიმირ პუგინის როლს ბრედ პიგი ითამაშებს, რიჩარდ გირი – ანაგოღი სობჩაკ განასახიერებს, პერის პილგონი მისი რუსი ორეუღის – ქენია სობჩაკის სახეს შექმნის, ბრიუს უიღისი კი სუკის თავმჯდომარის როლს ითამაშებს.



90

**მასიქოს სიქანი**


– აკი შეწნაირი ერთი სახლში მიღისო?  
 – ის ჩემი დისშეღია, ღროუბითი სგუმარი.  
 – ჰო-ო! მას არ სჭირღება დაჯვა?  
 – არა, ის თვითონ უკუთ იცაღს თავს, იაბონური ორთაბროღეღების დიღოსგაგია, შავი ქამრის მფლობეღი, მეორე დანი აქვს.  
 – კარაგეზე დაღის?  
 – აიკიღოზე დაღიოღა.  
 – მეც მიწოღა კარაგეზე, მაგრამ მამაჩემმა არ გამიღვა, ქაღის საქე არ არისო.



74

# პოსესარჩევნი მძღოლური SALE

## სხე „ორი ხაჟა ხადევ და გავდოვარი“



იმ დღეს თბილისში და მთელ საქართველოში ღრუბლიანი ამინდი მეფობდა და მთლად მოწმენდილი ცა არ იყო, მაგრამ მართლა მქის გავარდნას ჰგავდა სიურპრიზი, რომელიც დედაქალაქის სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა გამოგვიცხვეს. მათაც რა ქნან, საღამოს ბავშვებს პური ხომ უნდა მიუტანონ სახლში?! ჰოდა, მგზავრობის ღირებულება 50-დან 70 თეთრამდე გაზარდეს — 1 ცალი პური ხომ 70 თეთრი ღირს. ასე რომ, „მარშრუტკაში“ როცა ჩავსდებით, ერთ პურს მე მივცემ, ერთს შენ გადაიხდი, ერთს — სხვა და დასკდებიან, ამდენი პურის ჭამით!..

ამას, რა თქმა უნდა, მგზავრების უკმაყოფილება მოჰყვა, მგზავრების უკმაყოფილებას, თავისთავად ცხადია — მთავრობის კომენტარი: ეს „მარშრუტკები“ კერძო და სახელმწიფო უძღურიაო. მართალია, რა ქნას მთავრობამ?! იმ მინისტრისა და დეპუტატისთვისაც ხომ ძნელია 70 თეთრის გადახდა, მაგრამ ქუჩაში კი არ გამოდის და კი არ აპროტესტებს. შენც, ხალხი რომ ხარ, სახლში უნდა დაეტიო... ნეტავ, ხალხი რომ ქუჩაში არ გამოვიდეს და მიტინგს არ შეემატოს, სწორედ მაგიტომ ხომ არ ძვირდება ეს ტრანსპორტი?! მართალია, ხალხს უკმაყოფილების მიზეზი ემატება, მაგრამ სახლიდან გამოსვლის ანუ მგზავრობის შანსი ხომ აკლდება?!

ისე, ვენაცვალე ჩვენს მძღოლებს და მათ პოლიტიკურ შეგნებას, არჩევნებს რომ დააცადეს, თორემ 21 მაისამდე რომ აქნათ ფასი, ვინ იჯდება პარლამენტში უმრავლესობით და გარეთ ვინ დახვედა მანდატებს, მაგასაც ვნახავდით... მაგრამ არჩევნებამდე რომ გაებედათ მძღოლებს გაძვირება, ვინ იჯდება პარლამენტში და ვინ — გლდანის ახალ იზოლატორში, მაგასაც ვნახავდით...

ჩემს მკითხველს სულ იმას ვასწავლი, ნუნუნს გადაეჩვიოს და ყველა პრობლემის ოპტიმისტური თვალთ დანახვას მიეჩვიოს. მოდი, გავარკვიოთ, რამდენი დადებითი მხარე აქვს მგზავრობის ღირებულების გაზრდას: პირველი და მთავარი — „მარშრუტკა“ რომ გაძვირდება, ავტობუსი მეტე გამოჩნდებაო, ნათქვამია. ანუ ვინც 70 თეთრს ვერ გადაიხდის, მუნიციპალური ტრანსპორტით — ავტობუსით იმგზავრებს. ის ფულიც, კერძო კომპანიის ჯიბეში კი არა, ბიუჯეტში შევა, მეტე ბიუჯეტიდან გამოვა და, მომატებული ხელფასებისა და გაზრდილი პენსიების სახით, ისევე შენს ჯიბეში ჩავა — იფ, არ ავანყვე ჩონგურივით, ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო საქმე?!

ჯერ სად ხართ, კიდევ ბევრი კარგი რამის თქმა შემიძლება: ვთქვათ, ჯიბეში ზუსტად ლარი და 40 თეთრი გაქვს (ქართველებს ძირითადად ხომ ლარი და 40 თეთრი დააქვთ ჯიბით, დანარჩენს ბანკში ინახავენ), ზუსტად ის თანხა, ნაცნობის დასაპატიუებლად რომ გყოფნის. აბა, 50 თეთრი რომ ღირდა, ნაცნობს პატიუებდი და მეორე ნაცნობის დასაპატიუებლად, სულ რაღაც 10 თეთრი

გაკლდებოდა. ამას ხომ განიცდი ადამიანი, გინევს წნევა, გიჩქარდება გული და გაიცხო საავადმყოფოები... ესეც არ იყოს, სად — 50 თეთრზე რომ დაპატიუებ ნაცნობს და სად — 70 თეთრის პატიუს რომ სცემ! ან კიდევ, ვთქვათ, საერთოდ არ გაქვს ფული და „მარშრუტკიდან“ მადლობით ჩამოდიხარ. ცხადია, მძღოლი გიყვირის, — მადლობა ვაჭამო ცოლ-შვილსო?! სად — 50-თეთრიანი მადლობის ნოყიერება და კალორიები და სად — 70-თეთრიანის?!



ქართველების ამბავი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ — მიმბავდობა ხომ სულში გვიზის: რაც თბილისში მოხდება, იგივე რომ არ მოხდეს რაიონებშიც, გამოიციხულია. ქუთაისელი მძღოლები უკვე გაფიცულან, მალე ბათუმელი, ფოთელი, თელაველი მძღოლებიც გაიფიცებინ და ხალხი იტყვის, ოღონდ იმუშავეთ და გადავიხდით მეტსო. ჰოდა, გაძვირების ყველა „მადლი და სიკეთე“, რაც თბილისის მაგალითზე ჩამოვთვალე, მთელ საქართველოს მოედება და მთელი ერი ვივლით ფეხით. ფეხით სიარული კი — ჯანმრთელობაა, მონატრებული ნაცნობების ნახვაა, ახლების გაცნობაა, დაახლოებაა და სიყვარულია, თორემ სულ დავიკარგეთ, ბავშვები სხვადასხვა „მარშრუტკიდან“ ვეღარ ცნობენ ერთმანეთს, შეიძლება ასე?!

საერთოდ, ადამიანი სახლიდან დილით რომ გამოდის და „მარშრუტკაში“ ჯდება, ე.ი. სამსახურში მიდის ანუ — მუშაობს. სად მუშაობს დღეს ქართველი? რა თქმა უნდა, ვაჭარია ან ხელოსანი. ჰოდა, შენც გააძვირე ის სორცი და შარვალი, შენც მეტი აილე იმ კაფელის დაგებასა თუ საბურავის გაცეთებაში და მეტი ფული იმოდრავებს ხალხში. ახლა რომ აყუყუანდით მგზავრები, მგზავრობა გაძვირდაო, სორცი რომ გაძვირდა, სად იყავით, მწვადის და ქაბაბის მჭამელებო?! ან „სასწრაფო დახმარება“ რომ უფასო გახდა, მადლობის სათქმელად რატომ არ გამოვიდა ქუჩაში ასიათასობით ავადმყოფი?! მაგრამ უმადურია ხალხი — მარტო „მიმა, მოვდივარ“ იცის, „მიმა, ჯიგარი ხარ, მივდივართ“-ს ვერ ათქმევენებ.

ეჰ, კიდევ რამდენის თქმა შემიძლება, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, პროვოკატორმა თქვა, რამდენი რამე მაქვს სათქმელი, პირში წყალი და ხელში კალამი რომ არ მქონდესო...

- PS. სიტუაცია „მარშრუტკაში“:
- აგერ, ორის აილეთ.
  - რა ორის, ქალო, ლარიანით ორნი მგზავრობთ?! ამ წარწერას, 70 თეთრი გახდაო, ვერ უყურებთ?
  - კარგი, მე დავბერდი და მაგ წარწერას ვერ ვამჩნევ, მაგრამ შენ რომ დავითხლაშავს თვალეუბი, კლასის დამრიგებელს ვეღარ ცნობ?!

პროვოკატორი

# შეითხვევა ზუგდიდში, გაოთხიერი ოპოზიციის, მოკლული სპორტი და საფეხბურთო სიუბ-სხელება...

საზოგადოების დიდ ნაწილს, გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად, მძიმე ტექნიკით აღჭურვილი რუსი სამშვიდობოების ზუგდიდში შესვლა მიაჩნია. ზოგიც მნიშვნელოვნად ოპოზიციის სწორ თუ არასწორ ნაბიჯს მიიჩნევს. ახალგაზრდებისთვის კი პოლიტიკა მეორეხარისხოვანია და მათ ინტერესს მხოლოდ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი იწვევს.



## ნათია ქვიციანი

**ნათო ებრაელიძე, ბუღალტერი, 46 წლის:**

— გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად, რუსი სამშვიდობოების ზუგდიდში შეიარაღებული შესვლა მიმაჩნია. იმდენად თავხედები არიან, რომ უკვე მეორედ მოიქცნენ ასე. ქართველებს მათი დაპატიმრების სრული უფლება ჰქონდათ, თუმცა მიმაჩნია, რომ რუსები ამ ფაქტს უპასუხოდ არ დატოვებენ და დამნაშავეებად ისევ ქართველებს გამოაცხადებენ. არადა, ამ დროს, თვითონ გვიტყვენ... ამიტომ, რატომღაც მგონია, რომ ომი დაიწყება. მეშინია, აფხაზეთის ტერიტორია საბოლოოდ არ დაეკარგოთ. კოდორის ხეობასაც ნაგვართმევენ. როგორც ამბობენ, რუსებს ომის დაწყება სწორედ კოდორის მითვისების გამო უნდათ...

**ნუკრი აფხაზაბაძე, ეკონომისტი, 39 წლის:**

— მნიშვნელოვან მოვლენად რუსების თავხედობა მიმაჩნია. იცინა, რომ თავიანთი ხელმძღვანელები ასეთ თავნებობაზე პასუხს არ აგებინებენ და ამიტომაც ბედნიერად ამდენს, თორემ იმ პირველი ფაქტის შემდეგ, კიდევ ერთხელ როგორ გაბედავდნენ ზუგდიდში შესვლას?! მათ მაგალითი ჰქონდათ, რომ პირველი შემთხვევის დროს, არავინ დასჯილა და ალბათ, ახლაც ასე იქნება... გარდა ამისა, აღმაშფოთებელია, რაც გორის რაიონში მოხდა. ოჯახის წევრებმა ქალი აჩხეს და მერე დანვეს. მიმაჩნია, რომ ადამიანი ასეთი სასტიკი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ფსიქიკურად შეშლილია, თუმცა ასეთი სასტიკი ჩადენილი დანაშაულის მერე, მისი გამართლება მაინც არ შეიძლება. ამ ბოლო დროს, საქართველოში განსაკუთრებით სასტიკი დანაშაულები ხდება, რაც ჩვენს ყოფაზეც აისახება. გული მწყდება, როცა ვიგებ, რომ თურმე ქართველს ვილაცის მოკვლა შესძლებია...

**შალვა ოშიაძე, პენსიონერი, 72 წლის:**

— იცი, რა ვერ გავიგე? რას ნიშნავდა, ოპოზიციის ლიდერების მთვრალი სახეები რომ გვიჩვენეს ტელევიზიით?! ამბობენ, პარლამენტში შესვლა არ გვიინდა და დეპუტატის მანდატებზე უარს ვაცხადებთო, მაგრამ სინამდვილეში ძალიანაც უნდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქამდე პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე განცხადებას ხომ დანერდნენ? ახლა კიდევ სექტემბრამდე დასვენებას აცხადებენო და ქვეყნის დასახანავად გამოთვრნენ. ოპოზიციის წარ-



მომადგენლებს აღარ ვენდობი. ერთ დღეს ერთს ამბობენ, მეორე დღეს — მეორეს... შალვა ნათელაშვილი ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა. თქვა, პარლამენტში არ შევალ და არც შედის! თავის საქმეს აკეთებს და კვლავაც ხალხის გვერდით დგას...

**ნანა აზესაძე, დიასახლისი, 42 წლის:**

— იმაზე მნიშვნელოვანი რაღა უნდა მოხდეს, რაც რამდენიმე დღის წინ, ჩვენს ეზოში დატრიალდა. ჩემი მეზობელი, საცოლესთან ერთად, მოსკოვის პროსპექტზე თანამშრომელთან სტუმრად იმყოფებოდა. როგორც ჩანს, პროსპექტულ ბიჭებს სტუმარი თვალში არ მოუვიდათ და გარეთ გამოსული, დაახლოებით 30-მა კაცმა ისე გამეტებით სცემა, რომ 30 წლის ბიჭი სამი დღე საავადმყოფოში უგონოდ იწვა, ახლა კი გარდაიცვალა. რა უნდა დაეშავებინა ისეთი, ასე რომ გაიმეტეს?! თურმე მისი საცოლე ამბობს, რომ შეუარაცხოვფას პროსპექტელები აყენებდნენ, ის კი ითმენდა. ბოლოს, შინ დაბრუნება რომ გადაწყვიტა, მათ არ გაუშვეს, თავში ქვებს ურტყამდნენ... ნეტავი, ვინ გაზარდა ის ბიჭები, დედები არ ჰყავთ?! როგორ შეიძლება, რომ უმიზეზოდ და თუნდაც მიზეზით, ადამიანი მოსაკლავად გაიმეტო?! მთელი სამეზობლო აღშფოთებული ვართ. იმედი გვაქვს, პოლიცია ამ საქმეს მაინც გამოიძიებს ობიექტურად და დამნაშავეებს სათანადოდ დასჯის.

**ლაშა პატირიშვილი, სტუდენტი, 21 წლის:**

— მნიშვნელოვან მოვლენად ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი მიმაჩნია და ამ შეკითხვაზე ალბათ, ყველა ახალგაზრდა ასეთ პასუხს გაგცემთ. პირადად მე, იტალიის ნაკრებს ვგულშემმატიკვირობ. ძალიან გამიხარდა, რომ იტალიამ საფრანგეთის ნაკრები კიდევ ერთხელ დაამარცხა და ამ გამარჯვებით მეოთხედფინალში გავიდა. როგორც ცნობილია, იტალია მსოფლიო ჩემპიონია. დიდი იმედი მაქვს, რომ ახლა ევროპის ჩემპიონის ტიტულსაც მოიპოვებს. „ფორცა იტალია!“

**დავით ლოპუნიძე, ეკონომისტი, 24 წლის:**

— ახლა, როცა მსოფლიოში ფეხბურთის ციებ-ცხელებაა, მსგავსი შეკითხვა არც უნდა დასვით, რადგან პასუხი ერთი და იგივე იქნება. რა თქმა უნდა, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი — ევროპის ჩემპიონატი. მე ესპანეთის ნაკრებს ვგულშემმატიკვირობ და ეჭვიც არ მეპარება, რომ წელს ევროპის ჩემპიონი სწორედ ესპანეთი გახდება. ფეხბურთის ყოველ საღამოს მეგობრებთან ერთად რომელიმე ბარში, ლუდის თანხლებით ვუყურებ ხოლმე. ტოტალიზატორში ხშირად არ ვთამაშობ, მაგრამ რამდენჯერმე ფული დავდე და ფეხბურთის იქაც ვუყურე. სხვადასორის, ყოველთვის მიმართლებს და ფულს ყოველთვის ვიგებ. იმედი მაქვს, რომ ამ შემთხვევაშიც გამიმართლებს და ევროპის ჩემპიონი ესპანეთი გახდება. ■

# აქსლიდარი და მისი პოლიტიკური მომავალი

ხელისუფლებიდან წასვლის დღიდან, ნინო ბურჯანაძის გეგმებზე ათასგვარი ჭორ-მართალი ვრცელდებოდა. ზოგი მისგან, უმაღლესობაში გადასვლას ელოდა, ზოგი — ახალი პარტიის შექმნას, ზოგი — მმართველ წრეებთან და პირადად მიხეილ სააკაშვილთან მწვავე დაპირისპირებას, ზოგიც — მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების დაწყებას... ბუნებრივია, ხმების უმეტესი ნაწილი არ გამართლდა. ალბათ, დაგვეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო, ქალბატონი ნინოს მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ბუნებრივია, ყველა მაინც, პოლიტიკაში მის დაბრუნებას ვარაუდობს, რადგან წარმოუდგენელია, რომ ნინო ბურჯანაძე საზს გადაუსვამს თავის პოლიტიკურ ბიოგრაფიას და დღემდე მიღწეულით დაკმაყოფილდება... რამდენად ხანგრძლივი იქნება მისი მოღვაწეობა არასამთავრობო სფეროში და უნდა ველოდეთ თუ არა დიდ პოლიტიკაში მის დაბრუნებას? — ამ კითხვასთან დაკავშირებით პროგნოზის გაკეთება პოლიტოლოგ-ექსპერტებს ვთხოვეთ.



## ნათუნა ბახტურიძე

### სოსო ცისკარიშვილი:

— ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ტაიმაუტის ალება, მისი მხრიდან, სწორი გადწყვეტილება იყო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს შესვენება ხანგრძლივი არ იქნება და ყოფილ პარლამენტის თავმჯდომარეს შემოდგომამდე, ახალ ამპლუაში ვიხილავთ.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ის ოპოზიციონერი ლიდერის ამპლუაში ვიხილოთ?

— ვფიქრობ, ოპოზიციურ ძალებს შორის რაიმე ნიშას უსათუოდ იპოვის. რამდენად წარმატებული იქნება მისი ეს ნაბიჯი, ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე დამოკიდებული. ამიტომ, უფრო გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთებისაგან თავს შევიკავებ.

— მისი რეიტინგის შესახებ ხომ არ ფლობთ რაიმე ინფორმაციას?

— ჩემი სუბიექტური მოსაზრება გახლავთ, რომ შარშან ამ დროს გაცილებით რეიტინგული და პოპულარული იყო.

— და თქვენი აზრით, მისი რეიტინგის დაფარდნა რით უნდა იყოს განპირობებული?

— მისი პიროვნული თავისუფლების შეზღუდვით და იმიტაც, რომ დროულად არ გაემიჯნა იმ უმსაგვსობას, რომელიც მის ირგვლივ ხდებოდა.

### სოსო ცინცაძე:

— ბურჯანაძის მხრიდან „ნაციონალებისაგან“ გამიჯვნას დადებით მოვლენად მივიჩნევ. ალბათ დააკვირდით, რომ ისე წავიდა, კარი არ გაუჯახუნებია. პოლიტიკურ-ქნოლოგიური თვალსაზრისით, უშეცდომოდ მოქმედებს. უკვე დაამტ-

კიცა, რომ ჭკვიანია. გარდა ამისა, ზოგიერთი პოლიტიკოსი ქალისაგან განსხვავებით (მათ გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ), ესტრემისტი არ არის. ყოველთვის ტოლერანტული და ლოიალურია, უკმაყოფილებასაც კი ცივილიზებული ფორმით გამოხატავს. ახლა მთავარია, რომ საკუთარი ფიგურის დისკრედიტაცია არ მოახდინოს.

— პოლიტიკურ-ქნოლოგიური თვალსაზრისით, მოშიშმილევებთან დაპირისპირება რამდენად გამართლებული იყო?

— შიმშილობა ცივილიზებული ფორმა არ არის. მარგარეტ ტეტიჩერმა ირლანდიური რესპუბლიკური პარტიის წევრები შიმშილით მოკლა, მაგრამ არავის გაუკრიტიკებია. რა უნდა ექნა ბურჯანაძეს — მოშიშმილევებთან მისულიყო და თავქვეშ ბალიში გაესწორებინა?..

— მან პლედების დაფარების საშუალებაც არ მისცა...

— სწორადაც მოიქცა. აბა, მოშიშმილევებისთვის კომფორტი უნდა შეექმნა?.. პოლიტიკურ

ბრძოლას თავისი კანონები აქვს. თუ ოდორ რუზველტი ამბობდა: თუ მართორქაზე ოდნავ თხელი კანი გაქვს, პოლიტიკაში არ უნდა წახვიდეთ. ცივილიზებულმა პოლიტიკოსებმა შიმშილობა საბრძოლო არსენალიდან ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიღონ... ბურჯანაძემ თავისი

## ფიგურინი

სახანძარი და უსაფრთხო სახანძარო ტექნიკა

- სახანძარი და უსაფრთხო სახანძარო ტექნიკა
- სახანძარი და უსაფრთხო სახანძარო ტექნიკა
- სახანძარი და უსაფრთხო სახანძარო ტექნიკა
- სახანძარი და უსაფრთხო სახანძარო ტექნიკა

სახანძარი და უსაფრთხო სახანძარო ტექნიკა



სახანძარი და უსაფრთხო სახანძარო ტექნიკა

პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში ძალზე სერიოზული კაპიტალი დააგროვა და ქვეყნისათვის ამ რესურსის დაკარგვა არ შეიძლება. „კანით ვგრძნობ“, რომ მას ეს ყველაფერი გათვლილი აქვს და საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საკუთარ კანდიდატურას შემოგვთავაზებს.

**რამაზ საყვარელიძე:**

— ბურჯანაძისათვის პოლიტიკაში დარჩენა იოლი არ იქნება, რადგან ის „ტრიუმფირატის“ ერთ-ერთი წევრი იყო და არსებულ პოლიტიკას არ ეწინააღმდეგებოდა, „მემარჯვენეთან“ მომხდარი ინციდენტის გარდა, სხვა შეცდომებიც აქვს დაშ-

განმავლობაში საზოგადოებას ჩამოშორდა და მისთვის ხალხის განცდები უცხო გახდა. თუ ის თავის შეცდომებს კრიტიკულად შეასაფხვებს, არ არის გამორიცხული, რომ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოს. მას 7-წლიანი პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილება აქვს და ხაზგადასასმელი ფიგურა ნამდვილად არ არის.

**— ბურჯანაძის ყველაზე დიდ შეცდომად რას მიიჩნევთ?**

— მმართველ პარტიას საკუთარი ფიგურის გამოყენების საშუალება რომ მისცა.

**— რას გულისხმობთ?**

— სახელისუფლებო პარტია და თავად პრეზიდენტი, ბურჯანაძის ფიგურას იყო ამოფარებული: საპრეზიდენტო არჩევნებმა, შიმშილობის აქციამ და ოპოზიციასთან დიალოგმა ამ ქალბატონის მხრებზე გადაიარა, რაც მმართველი პარტიის ლიდერებმა მისსავე დისკრედიტაციისთვის გამოიყენეს. აი, რა ვერ გათვალა ბურჯანაძემ!.. ის კვლავ არასწორ ნაბიჯს გადადგამს, თუ ახლავს შექმნილი პოლიტიკურ პარტიას და შემოდგომამდე

## არასწორ ნაბიჯს გადადგამს, თუ ახლავს შექმნილი პოლიტიკურ პარტიას და შემოდგომამდე მაინც არ მოიცდის...

**დავით აფრასიაძე:**

— არა მგონია, რომ ბურჯანაძის წასვლით, მმართველ ძალას რაიმე რესურსი დაეკარგოს: არჩევნებმა გვიჩვენა, რომ მისმა გადაწყვეტილებამ არანაირად არ იმოქმედა ამომრჩეველზე.

**— მისი რეიტინგის გასარკვევად, რაიმე კვლევა სომ არ ჩაგიტარებიათ?**

— ბურჯანაძესთან დაკავშირებით, ცალკე კვლევა არ ჩაგიტარებია, მაგრამ ის ვიცით, რომ მისი წასვლის შემდეგ მმართველი პარტიის რეიტინგი არ დაცემულა.

**— რამდენად შესაძლებელია, რომ ბურჯანაძე რადიკალურად დაუპირისპირდეს პრეზიდენტს?**

— ბურჯანაძე, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, რადიკალური არასოდეს იქნება. ვფიქრობ, რომ შუალედურ მდგომარეობას დაიკავებს — ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის.

**— ოპოზიციური ძალებისათვის მასთან თანამშრომლობა რამდენად მისაღები იქნება?**

— ეჭვი მეპარება, რომ ის ახლანდელ ოპოზიციურ სპექტრს შეუერთდეს. ალბათ, ახალ პოლიტიკურ ძალას ჩამოაყალიბებს.

ვებული. მის ბიოგრაფიაში შავი ლაქები არის, მაგრამ საქართველოში ასეთი ლაქების „ჩამორეცხვა“ ადვილად ხდება: ქართველ ამომრჩეველს არც ისე კარგი მესხიერება აქვს... საბოლოოდ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა განაცხადით დაბრუნდება ბურჯანაძე პოლიტიკაში.

## „კანით ვგრძნობ“, რომ მას ეს ყველაფერი გათვლილი აქვს და საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საკუთარ კანდიდატურას შემოგვთავაზებს

**— არსებობს მოსაზრება, რომ ბურჯანაძე თავის პარტიას ინტელიგენციის წარმომადგენლებით დააკომპლექტებს. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

— როგორც წესი, პარლამენტში სწორედ ბურჯანაძეს შეჰყავდა ინტელიგენციის წარმომადგენლები, მაგრამ ამ ხალხით პოლიტიკური პარტიის დაკომპლექტება სწორ გადაწყვეტილებად არ მიმაჩნია. პოლიტიკა სპეციფიკური სფეროა, რომელშიც პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანები უფრო აღწევენ წარმატებებს. ბურჯანაძემ არ უნდა იჩქაროს: ახლა ახალი პარტიების შექმნის დრო არ არის. ჯერ ბევრი რამაა დასალაგებელი და გასარკვევი.

**ჯუშუბაძე პირვალიძე:**

— ბურჯანაძე ზედმეტად აკადემიურია. ბოლო 3 წლის

მაინც არ მოიცდის... პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნებებს, განსაკუთრებით — გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისათვის. თუ ბურჯანაძე ახალ და უცნობ სახეებს დაეყრდნობა, ეს მისთვის უფრო მომგებიანი იქნება. პროცესები ჯერ კიდევ დალექვისა და კრისტალიზაციის პროცესშია, ოპოზიციამაც და სახელისუფლებო კორიდორებშიც, ამიტომ ვფიქრობ, რომ არ უნდა აჩქარდეს.

**— თქვენი აზრით, ოპოზიციასთან თანამშრომლობას შეძლებს?**

— არ არის გამორიცხული, რომ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილმა პარტიებმა ბურჯანაძის „ლოკომოტივით“ ისარგებლონ...

**— ასეთ პარტიებთან თანამშრომლობა ბურჯანაძეს თუ აძლევს ხელს?**

— ამ სპექტრშიც არის რამდენიმე პიროვნება, რომელიც შეიძლება, მისთვის ღირებული იყოს, მაგრამ სელექციის პროცესში შეცდომა არ უნდა დაუშვას...







# „ელიტ ელემენტონის“ სტუდენტების მხარდაჭერას განაგრძობს

საქართველოში პირველი სტუდენტური ოლიმპიადა — „ერთად ვაშენოთ ქვეყანა“ ჩატარდა. ეს მართლაც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ღონისძიება გახლდათ, რომელიც მომავლის იმედს უზერგავდა ყველას. წარმოდგენილი იყო სტუდენტური ბიზნესგეგმები, რომლებსაც კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით სხვადასხვა პრიზი მიენიჭა.



მთავარი საპრიზო ადგილის მფლობელი სამი სტუდენტი გახდა. პირველი ადგილის მფლობელს გადაეცა 2.000 დოლარის ეკვივალენტი ლარში, მეორეს — 1.500-ის, მესამეს — 1.000-ის. ჟიურის წევრებმა დაანესეს დამატებითი ჯილდოებიც...

**გულნაზ არაოვაიშვილი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი:**

— ქალბატონი ნინო ტალახაძე, ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნესცენტრის დირექტორი, ამერიკაში გახლდათ, მე — ინგლისში, ოქსფორდისა და ბრუნერის უნივერსიტეტებში. იმ ზაფხულს ორივემ ვნახეთ სტუდენტების ბიზნესგეგმები. სტუდენტებს უკვე გამზადებული პროდუქცია ჰქონდათ მოტანილი. ეს იყო ულამაზესი პროცესი — წარდგენა, დაჯილდოება. ალფორთოვანდით. გვინდოდა, საქართველოშიც გაგვეკეთებინა მსგავსი რამ... ეს გახლავთ „ელიტ ელემენტონის“ მხარდაჭერით ჩატარებული ოლიმპიადა. ჩვენ წარვადგინეთ პროექტი, ვთხოვეთ ორ-სამ კომპანიას დახმარება, მაგრამ ყველამ უარით გამოგვისტუმრა. მხოლოდ „ელიტ ელემენტონის“ დაგვთანხმდა პროექტის წარდგენისთანავე. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მე უნივერსიტეტში ვასწავლი და სტუდენტებს მსგავს ბიზნესგეგმებს ვაკეთებინებ... არც კი ველოდებოდი ასეთ მასშტაბურ დაჯილდოებას. მადლობას მოვახსენებ „ელიტ ელემენტონის“ ამხელა მხარდაჭერისთვის.

**ია ნადირაშვილი, „ელიტ ელემენტონის“ მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:**

— „ელიტ ელემენტონის“ სოციალური პასუხისმგებლობიდან გა-

მომდინარე, ჩვენი პრიორიტეტი განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა და პროპაგანდაა. მიგვაჩნია, რომ სწორედ, განათლებული ახალგაზრდები არიან იმის საწინდარი, რომ საქართველოში მენარმეობა განვითარდეს. ეს დასაქმების საუკეთესო საშუალებაც იქნება. მცირე ბიზნესის ხელშეწყობა კი ძლიერ ეკონომიკას უდევს საფუძვლად. ჩვენ განათლებისა და პროფესიული სრულყოფისათვის არაერთი პროგრამა განვხორციელებთ, ერთ-ერთი მათგანი სტუდენტური ოლიმპიადაა. მისი ძირითადი მიზანი, სამწარმოო უნარების წინა პლანზე წამოწევა და სტუდენტების მოტივირებაა, რათა მათ რეალურ ბიზნესზე დაიწყონ ფიქრი. ოლიმპიადაზე წარმოდგენილი ბიზნესპროექტები, შემდგომში შეიძლება განვითარდეს; თუ ერთუბიანობა არ დაიკარგა, ყველა მათგანი აუცილებლად განხორციელდება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები უკვე ფიქრობენ ბიზნესზე, მათი ცოდნა მხოლოდ თეორიულ დონეზე არ რჩება. სასურველია, ასეთი პროექტები უფრო ხშირად განხორციელდეს, რათა სტუდენტებმა ისწავლონ, თუ როგორ მოერგონ კონკურენტულ ბიზნესგარემოს. იფიქრონ, რაციონალურად ბიზნესის ფინანსურ მხარეზე, სტრატეგიულ და მარკეტინგულ ხედვაზე, მომხმარებელზე... შეაფასონ ბაზარი.

ოლიმპიადა 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ჩართული იყო ყველა უნივერსიტეტი, სადაც ბიზნესისა და ეკონომიკის საფუძვლები ისწავლება. პირველი გადარჩევი შეირჩა 24 გუნდი. მათ უტარდებოდათ ტრენინგები და „ვორკშოფ-

ბი“ თავიანთი პროექტების დასახვეწად, იღებდნენ პრაქტიკულ რჩევებს, რომ უფრო სრულყოფილი გამხდარიყო მათი ბიზნესგეგმა. ფინალამდე 10 უნივერსიტეტის გუნდი გავიდა.

**— ვინ აფასებს კონკურსს?**

— ჟიურში მოვიწვიეთ ბიზნესმენები, ექსპერტები... აღნიშნული ოლიმპიადა საქართველოში პირველად ჩატარდა. ეს არის კანადური ტიპის მოდელი. ეკონომიკური განვითარების ცენტრმა შემოგვთავაზა იდეა და ჩვენ ერთობლივი პროექტი განვხორციელებთ. დიდი მადლობა მათ ასეთი იდეისთვის. კარგია, რომ ჩვენი მიმართულებები ერთმანეთს დაემთხვა, ერთობლივად კიდევ არაერთი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ. ორი კვირის წინ, ჩატარდა მოსწავლეთა ბიზნესოლიმპიადა. გვაქვს წამოწყებული ახალი პროექტიც, რომელსაც მალე განვხორციელებთ. ყოველთვის მხარს დავუჭერთ დასაქმებას, განათლებასა და ეკონომიკური სფეროს განვითარებას. დასასრულ, მინდა გითხრათ, შედეგიანია ყველა იდეა, რომელიც ბიზნესში განხორციელდება.

**გიგა ვარდიშვილი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის ხელმძღვანელი, ბიზნესოლიმპიადის გამარჯვებული:**

— ჩვენ წარვადგინეთ ვებსტუდის პროექტი, რომელიც ბაზარს შესთავაზებს ახალ მომსახურებას. ძალიან ბედნიერები ვართ, რომ „ელიტ ელემენტონის“ ამხელა საჩუქარი გადმოგვცა. 2.000 დოლარი ჩვენთვის სერიოზული მხარდაჭერაა.



# აფხაზეთი – ღენთის ხასრუა შამღვარი „ღოლჩა ვიბა“

**აფხაზეთს, რომელსაც ჯერაც არ მოშუშებია ომით მიღებული ჭრილობები და საქართველოსგან გამოყოფაც ვერ მოუსწრია, უკვე რუსეთიდან მომავალი ახალმოსახლეები მიემატნენ, რომლებიც ამ კუთხეში ახალ ელდორადოს ხედავენ.**



ღამის ჰორიზონტამდე გაჭიმულა ვენახები: კაბერნე, მერლო, პინო, მალბეკი, სირა — სწორ მწკრივად გაშენებულ სხვადასხვა ჯიშის ვაზებს შესაბამისი იარაღი აქვთ დაკრული. ის ღია ცის ქვეშ მონყობილ მუზეუმს მოგაგონებთ. ფრონტის ხაზი სულ რამდენიმე კილომეტრშია და ღამის დღე არ გავა ისე, რომ რაღაც სამხედრო დაჯგუფების გამოხდომა არ მოხდეს ან ქართული უპილოტო თვითმფრინავი არ ჩამოაგდონ, ღმერთმა უწყის — აფხაზეთმა თუ რუსებმა... და მაინც, ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს, ამ მწველი აფხაზეთის ზღის ქვეშ მდგომი, პატარა ტროპიკულ სამოთხეში იმყოფები. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, რუსეთიდან ჩამოსული ინვესტორების მიერ აღმოჩენილ ახალ ელდორადოში!

— ნახეთ, აქ ფტი-მანსენგი დაურგავთ, იქით კი — გრენაში, — მეუბნება 27 წლის ენოლოგი საიდ აშბა, რომელიც სოსუმის ღვინის ქარხანაში მუშაობს და თავის ნერგებს, როგორც მწყობრად ჩამწკრივებულ ჯარისკაცებს, ისე მიჩვენებს. — სულ, ყურძნის 49 სახეობა გვაქვს, ასეთ კოლექციას მსოფლიოში ვერსად ნახავთ, — დასძენს იგი, — გამუდმებით ექსპერიმენტებს ვატარებთ და ვაკვირდებით, თუ რომელი ჯიშები ხარობს აქ

ლი და მასზე საერთაშორისო ემბარგო გახლდათ დაწესებული.

მთელი მსოფლიოსთვის, ეს არარსებული ქვეყანაა: არც გაერო, არც რომელიმე სახელმწიფო, მათ შორის — რუსეთი, მას არ ცნობს. აფხაზეთს, რომელიც ფართობით, საფრანგეთის ერთ-ერთ დეპარტამენტს უტოლდება, დღემდე, საქართველოს მხარედ მიიჩნევენ. მაგრამ დრო გადის. აფხაზეთი უკვე 15 წელია, საქართველოსგან განცალკევებით ცხოვრობენ, რაშიც მათ რუსეთი ემხარება: ის ამარაგებს აფხაზებს, ყიდულობს მანდარინს და აძლევს პასპორტებს იმისათვის, რათა უპრობლემოდ გადაადგილების საშუალება ჰქონდეთ. აფხაზეთი ირწმუნებიან, რომ შექმნეს ახალი სახელმწიფო, რომელსაც ყველა საჭირო ატრიბუტი აქვს: კონსტიტუცია, ჰიმნი, პრეზიდენტი, პარლამენტი. თავად მას, კავკასიაში დემოკრატიის ნიმუშადაც კი მიიჩნევენ.

რომელსაც თავის წიაღში აფხაზეთის დაბრუნების იმედი არ დაუკარგავს, რუსეთის მფარველობის შედეგად აფხაზეთის აყვავების ფაქტთან შეგუება არ სურს.

— ათი, შესაძლოა, თხუთმეტი წლის შემდეგ, ისეთ ღვინოს დავაშადავებთ, რომ ფრანგულსაც არაფრით ჩამოუვარდება, — გვეუბნება საიდი, როდესაც თავის ღვინის ქარხანაში თეთრ შუმსუნას გვასინჯებს (ის ტკბილია, ისეთი, როგორიც რუსებს უყვართ); შავი უფრო მომჟავოა, რადგან ტანიანიანია. 2000 წელს, რუსეთიდან ჩამოსულმა ინვესტორებმა ყოფილი საბჭოთა კომინატის ალდგენა დაიწყეს, იტალიიდან ღვინის ჩამოსახსმელი 2 თანამედროვე ხაზი ჩამოიტანეს, 200 ჰექტარზე ვაზი გააშენეს და გემგის თანახმად, მას კიდევ 1000 ჰექტარი შეემატება. ღვინო უმეტესად, რუსული ბაზრისთვისაა გათვალისწინებული.

იმავე კავკასიიდან განდევნილები, ჩენთიდან წასულები, ინგუშეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში დატერორებული რუსები ახლა აფხაზეთში პოულაობენ თავშესაფარს. სულ უფრო მეტი მათგანი ცდილობს დაიპყიდროს ადგილი ამ პატარა ანკლავში, სადაც ისინი სასურველ სტუმრებად გრძობენ თავს. 38 წლის ოლეგ იურჩენკო ერთ-ერთი ახალი ინვესტორთაგანია, რომელიც წვრილჩარჩოიანი სათვალისა და ხვეული თმის გამო, არაა ახალგაზრდა ბიზნესმენს, არამედ ფიზიკის მასწავლებელს უფრო მოგაგონებთ...

— გავიგე, რომ უძრავი ქონება აქ იაფია, — ჰყვება იგი.

ჩვენ ვსხედვართ მომცრო ბინაში, რომელშიც ოლეგს ოფისიც მოუწყვია და უძრავი ქონების სააგენტოც. მოსკოვიდან 200-ოდე კილომეტრით დაშორებული ქალაქ ტულის მკვიდრი იურჩენკო ადრე გაყინული პროდუქტებით ვაჭრობდა, ცოტა ხნის წინ კი აფხაზეთში გადმობარგდა, სოსუმში დანგრეული ოლიმპიური აუზის შენობა იყდა და იქ, ფსევდორუმული სტილის კაფეს მშენებლობას მიჰყო ხელი. თუ ნამოწყებული საქმე მომგებიანი აღმოჩნდა, ოლეგი აუხსაც ალადგენს და შემდეგ, სასტუმროსაც ააშენებს...



**აფხაზეთი ირწმუნებიან, რომ შექმნეს ახალი სახელმწიფო, რომელსაც ყველა საჭირო ატრიბუტი აქვს**

ყველაზე უკეთ. გვაქვს ვაზები საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან. აქ მთელი ევროპაა თავმოყრილი!

3 წლის წინ, ეს ადგილი ხრიოკი იყო. 1992 წელს აქ ბრძოლები მიმდინარეობდა და სისხლისმღვრელი ომის შედეგად, რეგიონიდან ქართველები განდევნეს. პატარა თვითღარიებული აფხაზეთი 10 წლის მანძილზე, ნანგრევებად იყო ქცეუ-

ბრივ „ოლიგარქს“, რომელსაც კაპიტალი მოსკოვში დაუგროვებია, ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმრო „რიონა“ აღუდგენია და კომფორტულ სასახლედ გადაუქცევია. თანდათან ტურისტებიც ჩამოდიან, უმეტესად — რუსები, რომლებსაც პლაჟები და საუცხოო ბუნება იზიდავს. ეკონომიკური აღორძინება — დღევანდელი დაძაბულობის ერთ-ერთი მიზეზია: საქართველოს,

### სამხედრო ნაღველი

არადა, ეს სარისკო საქმიანობაა, რადგან შესაძლებელია, საქართველომ ნებისმიერ მომენტში სცადოს დაკარგული პროვინციის ძალით დაბრუნება და რუსი „უზურპატორების“ განდევნა.

— საერთოდ, თვით ცხოვრებაა სარისკო, — ამბობს ფატალისტი ოლეგი. — ეკონომიკაში კი, რაც უფრო დიდია რისკი, მით მეტი მოგების შესანიშნავია. — თან, მისი პროექტი გაცილებით სწრაფად იძლევა უკუგებას, ვიდრე ეს რუსეთში ხდება: — ერთ წელიწადში უძრავი ქონება აქ 300%-ით გაძვირდა, — სიხარულით მეუბნება ინვესტორი, — როცა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარებენ, ფასები საერთოდ, „ცაში აფრინდება“.

მაშ, საკითხის ზნეობრივ მხარეს რა ვუყოთ? რამდენად სწორია, იმ „სახელმწიფოში“ ინვესტიციის ჩადება, რომელიც უკანონოა?

— ზნეობრივი თვალსაზრისით, მე აფხაზების მხარეს ვარ, — მშვიდად მპასუხობს ოლეგი, — საერთაშორისო თანამეგობრობას რესპუბლიკა არ უცნია, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ამასთანავე, განა აფხაზებმა დაიწყეს ომი და საქართველოს თავს დაესხნენ...

29 წლის მარია პარამონოვა, რომელიც ჩაისა და ყავის მალაზიას ფლობს, აფხაზეთში საცხოვრებლად გადმოსვლაზე, როგორც ძალზე ჩვეულებრივ ამბავზე, გვიყვება:

— ისეთ ზღვისპირა ადგილზე ვფიქრობდით დასახლებას, სადაც უძრავი ქონება ხელმისაწვდომი იქნებოდა. მე და ჩემს ქმარს მოსკოვში პატარა მალაზია გვქონდა, მაგრამ გვინდოდა, რაღაც უფრო სასიამოვნო საცხოვრებელი ადგილი გვეპოვა. მეგობრებმა აფხაზეთში მოგვინვიეს. ჩამოვედით და აქაურობით უმალ მოვიხიბლეთ. სოხუმში 10 ათას დოლარად სახლი ვიყიდეთ. ამ ფასად მოსკოვში მხოლოდ სოროს თუ შეიქნ... ერთ წელიწადში ჩვენი სახლის ფასი ხუთჯერ გაიზარდა. ვიყიდეთ აგრეთვე დანგრეული სახლი, აღვადგინეთ და იქ მომცრო სასტუმრო მოვაწყვეთ.

ეს შენობა ე.წ. „ნადავლს“ წარმოადგენდა — იმ ქართველების საკუთრება იყო, რომლებიც 1992 წელს სოხუმიდან გაიქცნენ.

— თავიდან, ამ „ნადავლის“ ყიდვა არავის სურდა, — ამბობს მარია. — ეშინოდათ, რომ ქართველები დაბრუნდებოდნენ და წაართმევდნენ. ამასობაში, აფხაზურმა სახელმწიფომ ქონების ნაციონალიზაცია განახორციელა და მის გაყიდვასაც მიჰყო ხელი. — მარიას არ ეშინია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქართველები ყველაფრის დაბრუნებას მოსთხოვენ: — თუ ქართველები მოვლენ, ამ შემთხვევაში, ყველას შავი დღე დაადგება — ეს ახალი ომის დაწყება იქნება. მაგრამ მართლ რისკზე თუ ფიქრობ, უნდა დაჯდე და გულზე ხელეები დაიკრიფო. როგორც ჩვენში — რუსეთში იტყვიან, ვინც არ რისკავს, ის

შამპანურს არ სვამს. — თუმცა, სინდისის საკითხს მარიაც ეხება: — უკვე 15 წელი გავიდა, რაც ქართველებმა ეს მხარე დატოვეს და არ მესმის, რა გზით შეიძლება, ისინი აქ დაბრუნდნენ.

ისეთი წვრილი მწნარმეებისთვის, როგორიცაა მარია, აფხაზეთში გაცილებით უკეთესი პირობებია, ვიდრე — მოსკოვში:

— ბუნებრივია, აქაც არის ბიუროკრატია და კორუფცია, მაგრამ ისეთი მაღალი დონის — არა. მართალია, ზოგჯერ აქაც გვიწევს ამა თუ იმ ნებართვის ასაღებად ფულის გადახდა, მაგრამ მსგავსი პრობლემები გაცილებით სწრაფად გვარდება. აქ პრეზიდენტთან მიღებაზე მოხვედრა უფრო იოლია, ვიდრე მოსკოვში — საგადასახადოს ინსპექტორთან...

### „დისციპლინა და სამშობლო“

სოხუმის სამხედრო აკადემიაში, მცირერიცხოვანი აფხაზური არმიის ოფიცრებს რუსი პოლკოვნიკი ასწავლის. სერგეი პუსტოვალოვი რუსეთის არმიიდან თადარიგში გავიდა და ცოლთან ერთად, თბილსაკურორტო ქალაქში საცხოვრებლის ძებნას მიჰყო ხელი.

— პირველად აფხაზეთში დასასვენებლად ჩამოვედი, — ჰყვება ახალგაზრდა პოლკოვნიკი, — აქ სამხედრო კადრების ნაკლებობისას განიცდიან და არ შექმნა, რესპუბლიკას არ დაეხმარებოდი. აფხაზეთი ჩემთვის მეორე სამშობლოსავითაა.

პოლკოვნიკი სიამაყით გვიჩვენებს მომცრო ყაზარმას (ყოფილ სანატორიუმს), სადაც რამდენიმე ათეული კურსანტი უწინააღმდეგავად იყენებს. — ახალგაზრდა აფხაზებთან მუშაობა — ნამდვილი სიამოვნებაა. სამშობლოს დაცვა მათთვის, ფუჭი სიტყვები როდია. ისინი მოტივირებული არიან და დისციპლინა აქ გაცილებით მაღალ დონეზე დგას, ვიდრე რუსეთის ჯარში.

აფხაზები, რომლებიც ძალზე მტკივნეულად განიცდიან საკუთარი მყიდვე „სუვერენიტეტის“ საკითხს, რუსი მრჩეველებისა და ინვესტორების მოსვლას მიესალმებიან:

— რუსეთის წყალობაა, რომ ყველანი არ დაწყვიდით, — მაღლიერებით აღნიშნავენ ხანდაზმულები, რომლებიც

სოხუმის სანაპიროზე კლავენ დროს. მათ რუსეთი პენსიას — რამდენიმე ათას რუბლს (რამდენიმე ათეული ევროს) უხდის.

— მაგრამ ახლა, რუსები სიტუაციით სარგებლობენ და ყველაფერს ჩაღის ფასად ყიდულობენ, — დასძენენ იგივე ხნიერი ადამიანები, რომლებსაც ეჭვი აქვთ, რომ მოსკოვს სურს, შექმნილი მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

სოხუმის „საპრეზიდენტო სასახლეში“, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებშია აგებული და სადაც თავის დროზე, ადგილობრივი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იყო განთავსებული, „აფხაზური სახელმწიფოს მეთაური“ ცდილობს, ორ სავარძელში მოხერხებულად იგრძნოს თავი:

— ჩვენ რუსეთს ვემადლიერებით ყველაფრისთვის, რაც მან ჩვენთვის გააკეთა, — ამბობს სერგეი ბალაფში, — მაგრამ რუსეთის შემადგენლობაში არ შევალთ. ჩვენ მართლა გვინდა, დამოუკიდებელი სახელმწიფო ავაშენოთ. ჩვენ მცირერიცხოვანი ვართ, მაგრამ არანაკლებ ამაყვით ვართ, ვიდრე ჩინელები, რომელთა რიცხვიც მილიარდს აჭარბებს.

აფხაზებს ძალიან სჭირდებათ სხვა ქვეყნების მხარდაჭერა, მაგრამ ჯერჯერობით, ამას მხოლოდ დიდი რუსი მეზობლის მხრიდან იღებენ.

LIBERATION, საფრანგეთი

## ენის შესწავლის ყველაზე ეფექტური მეთოდი



ინგლისური ენის სწრაფმეცნიერული ბრიტანულ-ქართული ცენტრი — Queen's English — ენის შესწავლის ყველაზე თანამედროვე და ეფექტურ — Callan-ის მეთოდს იყენებს. ეს მეთოდი იმითაა მიმზიდველი, რომ გაკვეთილები დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობს, რაც მსმენელს აჩვევს თავისუფალ მეტყველებას, არ ითვალისწინებს საშინაო დავალებას და დროის დიდ ეკონომიას იძლევა. გაკვეთილები კვირაში 3 დღე, დღეში 2 საათი მიმდინარეობს. ზაფხულში ცენტრი მსმენელს ინტენსიურ კურსს სთავაზობს. კურსის ხანგრძლივობაა — 5-6 კვირა, კვირაში 5-ჯერ, დღეში ორი 50-წუთიანი გაკვეთილი ტარდება. თითოეული მსმენელი, კურსის დამთავრების შემთხვევაში, მიიღებს შესაბამისი დონის სერთიფიკატს. ინტენსიური კურსების მსმენელი, A შეფასების (90 ქულა და მეტი) მიღების შემთხვევაში, შემდგომი 2 თვის განმავლობაში 10%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებს.

Queen's English-ში უკვე შესაძლებელია სწავლა განვადებით. მსურველებს შეუძლიათ სტუდენტური სესხით ისარგებლონ. თანხის რაოდენობას კურსის ხანგრძლივობა განსაზღვრავს. სესხის ხანგრძლივობა 22 თვეა. ბრიტანულ-ქართულ ცენტრში ასევე ფუნქციონირებს პროფესიული ინგლისურის კურსები, სადაც მსმენელები საბანკო, ბიზნეს და იურიდიულ ინგლისურს შეისწავლიან.

ბრიტანულ-ქართული ცენტრის — QUEEN'S ENGLISH მისამართი: თბილისი, მარაგალის 4ა ტელ.: 15 35 75; ფაქსი: 93 14 69. ვებ-გვერდი: www.queens-english.ge; ელფოსტა: welcome@queens-english.ge

# ჩა მიყდოცა კხეზიდენტმა გაგხაში დაბადებუდ ბოდო ქახთკედს

მუსიკალური კონკურსის — „პატრიოტის“ ახალგაზრდა გამარჯვებული, მომღერალი ბიგუშა მანაბაძე, რომელმაც კომპოზიტორ თემურ კვანტალიანის სიმღერა — „სოხუმი“ მთელი გრძობით იმღერა და მაცურებლამდე ღირსეულად მიიტანა, გაგრავი დაბადებულ ბოლო ქართველად მიიჩნევა (სულ რაღაც 12 საათის მოვლენილი იყო ამქვეყნად, როდესაც მისი ოჯახი იძულებული გახდა, აფხაზეთიდან გამოქცეულიყო) და ამით ძალიან ამაყობს.



## „გული ცუდს მიგრძობდა და ყველას წინასწარ მოვუბოდიშა...“

### თამუნა კებრიაშვილი

— ამ ეტაპზე სწავლით და სიმღერით ვარ დაკავებული. ჯერ მხოლოდ 15 წლის გახლავართ და უკვე იმდენი საქმე მაქვს, რომ ზოგჯერ, მეგობრებთან სამყოფად და გასართობად დრო აღარ მრჩება (იცინის).

— საინტერესოა, როგორ ერთობი?

— მუსიკას ვუსმენ, ვსეირნობ და კინოშიც დავდივარ...

— როგორ მოსწავლედ მიიჩნევი?

— ვერ ვიტყვი, რომ ფრიადოსანი ვარ. ზოგჯერ, სიმღერის გამო, გაკვეთილების გაცდენა მიწევს, მაგრამ მასწავლებლები ამას მაპატიებენ. რაც მთავარია, კომპიუტერი კარგად ვიცი და 4 უცხო ენას ვფლობ.

— შეყვარებული გყავს?

— მყავს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მსურს. იმას კი გაგიმხელ, რომ ჭკვიანი და ლამაზი გოგონები მომწონს.

— პროექტ „პატრიოტიზმი“ მონაწილეობა რამ გადაგანწყვტიანა?

— ეს მამაჩემის დამსახურებაა. სხ-

ვათა შორის, მას შემდეგ, რაც პროექტში გავიმარჯვე, ჩემით ძალიან ამაყობს. საერთოდ, კონკურსების მიმართ სპეკტიკურად ვიყავი განწყობილი და იმის იმედიც არ მქონდა, რომ დამირეკავდნენ, მაგრამ შევცდი. კონცერტის დღეს კი გული ცუდს მიგრძობდა და ყველას წინასწარ მოვუბოდიშე: მაპატიეთ, თუ თქვენს იმედს ვერ გავამართლებ-მეთქი. ისე ვწერვიულობდი, რომ ბოლო მომენტში ლამის სცენაზე გასვლა გადავიფიქრე. ღვთის წყალობით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მხარი დამიჭირა და ერთი „სემესი“ მაინც გამომიგზავნა.

— გეტყობოდა, რომ ნერვიულობდი. საერთოდ, ემოციური ხარ?

— ამბობენ, — პუტკუნები ემოციურები და კეთილები არიანო. მგონი, მეც ასეთი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფინალისტი მამშვიდებდა, მაინც ძალიან ველავდი.

— გამარჯვება პირველად პრეზიდენტმა მოგილოცა. ამ დროს რას

გრძობდი?

— როცა გამარჯვებულად დამასახელეს, ისე დავიბენი, რომ კულისებში შევვარდი და სანამ სახლში არ მივედი, ვერაფრით დავმშვიდდი. ვერ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. ისეთი დაღლილი და აჟიტირებული გახლდით, რომ სიმართლე გითხრა, არ მახსოვს, რა მითხრა პრეზიდენტმა.

— ამ წარმატების შემდეგ შენს ცხოვრებაში რა შეიცვალა?

— ამაყი გავხდი, რადგან ქუჩაში ხალხი მცნობს, მილიმიან, რაღაცებს მეკითხებიან და ავტოგრაფს მოხოვენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტმა ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ სხუთი წლიდან ვმღერი, პოპულარობა მხოლოდ „პატრიოტმა“ მომიტანა.

— მოგებულ თანხას რაში დახარჯავ?

— სიმართლე გითხრა, ამაზე არც მიფიქრია. ალბათ, მთელ თანხას ჩემს მუსიკალურ კარიერას მოვახმარ.

— შენ აფხაზეთში დაბადებულ ბოლო ქართველ ადამიანად მიგიჩნევენ...

— მართალია და ეს ამბავი ჩემთვის ერთდროულად, მტკივნეულიცაა და საამაყოც. ულამაზესი კუთხე მხოლოდ ფოტოებით მაქვს აღქმული. მინდა, ჩემს მშობლიურ მხარეში მალე დავბრუნდე.


## ჩვენი მკითხველი

### ვეძახ!

„ვეძახე ჭკიტირელ შალვა ტყეშელაშვილს, დაბადებულს 1966 წლის ივლისში. თუ ვინმე იცნობთ, შემეხმინეთ“.

„ხშირად ვკითხულობთ თქვენს ჟურნალს და ძალიან მინდა, მეგობრის, ნინო მაჭარაშვილის პოეზიაში დამეხმაროთ. ის დაბადებულია 1968 წელს, სოხუმში. გთხოვთ, ეს მესიჯი დამიბეჭდეთ. წინასწარ გიხდით მადლობას“.





EXPOGEORGIA.GE

# Tbilisi Beauty 2008

კოსმეტიკისა და ესთეტიკური მედიცინის მე-3 საერთაშორისო გამოფენა

19 - 22 ივნისი

თბილისი, საქართველო

ორგანიზატორი: ექპოჯორჯია

**Expo  
Georgia**

თბილისი 0119, ა. წერეთელის გამზ. 118  
ტელ / ფაქსი: + 995 32 34 11 00 ; + 995 32 35 11 00

სოფო ჭონიძე

ქართლისტი - ვასო ბიჭიკაშვილი  
რუსულენოვანი - ანი ბიჭიკაშვილი

— ან, ვიცი, რომ გერმანიის ნაკრების თავგამოდებული გულშემატკივარი ხარ. „შენმა“ გუნდმა ამ ჩემპიონატზე ერთი მარცხი უკვე იწვნია. როგორ განწყობილება გაქვს?

— შესანიშნავი განწყობილება მაქვს. გერმანიის ნაკრები ყოველთვის თავდადებით იბრძვის. ეჭვი არ მეპარება, მათ საბოლოო გამარჯვებაში.

— გერმანიის ნაკრებიდან რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდი და ყველაზე მეტად, რომელი მოგწონს?

— გამორჩეულად არც ერთს არ ვგულშემატკივრობ, ყველა ძალიან მომწონს...

— ცოლად რომელ მათგანს გაჰყვები?

— (იცინის) სიამოვნებით მივთხოვდებოდი ფრანც ბეკენბაუერს.

— უფ-ჩემს გულში იჯექი, რა (იცინის)! მეც ძალიან მომწონს ბეკენბაუერი. თუმცა შენთვის ის უკვე ბებერია.

— რატომ? ბებერი სულაც არ არის...

— გერმანიის ნაკრები ფინალში რომელი ქვეყნის გუნდს გინდა, რომ შეხვდეს?

— მინდა, რომ შენს ფავორიტ გუნდს, იტალიის ნაკრებს შეხვდეს. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, უკვე 2 წელია, რეგანს ველოდები.

— გერმანელები ლუდის მოყვარული ხალხი ხართ. თამაშების ყურებისას ბევრ ლუდს სვამ? — არა, ყოველ შემთხვევაში, წლევანდელ ჩემპიონატზე, ჯერ არ დამილევი.

— როგორც ვიცი, მსოფლიო ჩემპიონატზე სვამდი, არა? — ახლა 2 წლის წინანდელ ამბებს ნუ გამიხსენებ... წელს ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების ფან-კლუბის პრეზიდენტად დანიშნეს. დიდი პასუხისმგებლობა მაქვს აღებული საკუთარ თავზე. ამიტომ, თავს უფლებას ვერ ვაძლევ, რომ თამაშების დროს დავლიო.

— მე იტალიის ნაკრების ფან-კლუბის პრეზიდენტი ვარ. ასე რომ, მეც შენ დღეში ვარ და ალკოჰოლურ სასმელებზე ამჯერად უარის თქმა მიწევს. ან, „რუსთავი 2“-ის დილის პროგრამის ერთ-ერთი წამყვანი ხარ... ჩემპიონატის მსვლელობისას, მთელ ღამეებს თამაშების ყურებაში ათენებ. ამის შემდეგ, დილით, პირდაპირ ეთერში მუშაობა არ გიძინებდა?

— ჩემპიონატის ყურების დროს, ისეთი რაოდენობით დადებით ენერჯას ვიღებ, რომ დილით ადრე გაღვიძება არ მიჭირს. ფან-კლუბში რომ არ ვყოფილიყავი, ფეხბურთს მაინც ნებისმიერ შემთხვევაში ვუყურებდი.

— როგორ ფიქრობ, გერმანიის

# ორი პრაზიდატი - „ლუბიოვანი“ ჰაბი

ცნობილია, რომ „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის „კოსმოგონა“, ან გიუნტერი გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი აქტიური გულშემატკივარია. ამიტომ, ის საქართველოში ამავე ნაკრების ფან-კლუბის პრეზიდენტად დანიშნეს და ცდილობს, დაკარგულ მოვალეობას პირნათლად გაუძღვეს. ჩვენს რუბრიკაში ის იტალიური ფეხბურთის გულშემატკივარსა და საქართველოში იტალიის ნაკრების ფან-კლუბის პრეზიდენტთან, „კომედი-მოუს“ ერთ-ერთ ახალ სახესთან — ვასო ბიჭიკაშვილთან ერთად მოვიწვიეთ. მათ მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ბევრი ისაუბრეს და იკამათეს კიდევინტერვიუს არც იუმორი და ხალისიანი განწყობილება აკლდა.



## და გერმანიის ბურჯა ასე იტალიისა და გერმანიის თუ იტალია?!

ნაკრების ფან-კლუბის პრეზიდენტად რატომ ავირჩიეს?

— გერმანული წარმოშობის გვარისა და ფეხბურთის დიდი სიყვარულის გამო.

— არ გეთანხმები. ჩემი აზრით, ფან-კლუბის ხელმძღვანელად იმიტომ ავირჩიეს, რომ „რუსთავი 2“-ის სახე ხარ.

— შეიძლება, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოს...

— ან, შეყვარებული გყავს?

— არა. უშეყვარებულად დავდივარ (იცინის).

— რამდენი წლის ხარ?

— 25-ის.

— არ გინდა, იტალიის ნაკრების რომელიმე მოთამაშემ შეგიყვაროს?

— ასეთ პროვოკაციულ კითხვას რატომ მისვამ? იცი, რა? პირად ურთიერთობებს ფეხბურთს არასოდეს ვუკავშირებ. თუმცა რატომაც არა, იტალიელები სიმპათიური მამაკაცები არიან...

— უცნაურია, იტალიური ფეხბურთი არ მოგწონს, მაგრამ იტალიელი მამაკაცები გესიმპათიურება. მითხარი, მაინც რატომ არ გხიბლავს იტალიური ფეხბურთი?

— ვფიქრობ, რომ ზოგადად, რთულ ფეხბურთს თამაშობენ...

— ფეხბურთს შენ თვითონ თუ თამაშობ?

— კი, როგორ არა, მითამაშია, მეკარეც ვყოფილვარ, მაგრამ ეს ბავშვობაში იყო.

ბოლო დროს, ეს სიამოვნება აღარ მქონია.

— ჩემზე რას ფიქრობ? როგორი მამაკაცი ვარ?

— საკმაოდ დახვეწილი... იტალიური გარეგნობა გაქვს... რომელსაც ვფიქრობ, რომ იტალიის ფან-კლუბის ხელმძღვანელობა ძალიან უხდება.

— მაინტერესებს, ფეხბურთის ასეთი სიყვარული შენში რამ გააჩინა? ბევრ გოგონას ფეხბურთი საერთოდ არც აინტერესებს.

— ბავშვიდან სულ იმის მოწმე ვიყავი, მამაჩემი და ჩემი ძმა როგორ აქტიურად გულშემატკივრობდნენ ფეხბურთს. ამან ჩემზეც იქონია გავლენა და მათთან ერთად, ფეხბურთის ყურება მეც დაიწყო. 1996 წელს, როცა ოლივერ ბირჰოფმა ევროპის ჩემპიონატზე, ოქროს გოლი გაიტანა, სპორტის ეს სახეობა არანორმალურად შემეყვარდა.

— იმ მატჩს სად უყურებდი?

— სამწუხაროდ, სახლში. ძალიან კი მინდოდა, სტადიონზე ვყოფილიყავი, მაგრამ...

— ახლა რომ გეთქვა, იმ მატჩს სტადიონზე ვუყურებო, გული დამწყდებოდა. დაწვინებდებოდი იმაში, რაოდენ დაწვინებული ბავშვობა მქონია... იმ პერიოდში საქართველოში უშუქობა იყო და ფეხბურთს აკუმულატორზე შეერთებული პატარა ტელევიზორით ვუყურებდი (იცინის). გერმანულად მითხარი, როგორ იქნე-

**ბა** — „მე მიყვარს იტალია“?

— არ გეტყვი. მაგას გერმანელები არასოდეს ამბობენ (იციან).

— ისე, უბრალოდ მითხარო, რა!

— „ის ლიბე იტალია!“

— როგორ ფიქრობ, ლამაზი ხარ?

— რა ვიცი, აბა?! ამბობენ, რომ ლამაზი ვარ (იციან).

— შენ თუ მოგწონს საკუთარი თავი?

— მოიცადე, სარკეში ჩავეხედავ (ჩანთიდან სარკე ამოიღო და შიგ ჩაიხედა) კი, მომწონს საკუთარი თავი, თან ძალიან (იციან).

— ყველაფერი მოგწონს შენს გარეგნობაში?

— აბსოლუტურად ყველაფერი მომწონს და ვცდილობ, ყოველდღე უფრო და უფრო გავლამაზდე.

— საქართველოში შენი სილამაზით ხომ არ ნუხდები (იციან)?

— არა, პირიქით. სასიამოვნოა, როცა ადამიანები თვალს გაყოლებენ.

— როგორ ფიქრობ, გოგონებს შენი სილამაზის შურთ?

— ალბათ, კი. შური ადამიანებისთვის „ნაცნობი“ რამ არის. ჩემი აზრით, ის გარკვეული დროით ნებისმიერ ადამიანს აქვს. ამიტომ, არ მაღიზიანებს, თუ ვინმეს ჩემი სილამაზის შურს. ეს ძალიან ბუნებრივი მომენტია.

— თბილისში ბევრ გერმანელს იცნობ?

— გერმანელებს ძირითადად, ჩემპიონატების დროს ვხვდები ხოლმე, რაც ძალიან მახარებს.

— თვითონ როგორი გერმანელი ხარ?

— გერმანელი რომ ვარ, სწორედ საფეხბურთო ჩემპიონატების დროს ვგრძნობ.

— თამაშის ყურებისას ბილნოტყვაობა ხომ არ გჩვევია?

— არასოდეს. სხვათა შორის, გერმანელებიც არ იციან.

— მოკლედ, კაი გოგო ხარ, რა (ეს მისი პერსონალისთვის დამახასიათებელი ინტონაციით წარმოთქვა)!

**ქართული — ანი ზინტარო**  
**რუსოვანა** — ვასო ბიჭიკაშვილი

— ვასო, ახლა შენ მითხარო, იტალიის ნაკრებს რატომ გულშემატივრობ?

— სიმართლე რომ ვთქვა, მე ინგლისის ნაკრების გულშემატივი ვარ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ახლა იტალიის ნაკრებს ვჭობა. იტალიელები ძალიან მიყვარს და ამიტომ, ბავშვობაში იტალიის ნაკრები მო-

წონდა. შემდეგ, როცა წამოვიზარდე და რალა-ცრალა-ცეცხვები გადავხარისხე, მხარი ინგლისის გუნდს დაუჭირე. მერე ვინაიდან ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, ბავშვობა გამახსენდა და გადავწყვიტე, იტალიის ნაკრებისთვის „მე-ბალებში ჩვიკა“.

— იტალიური ფეხბურთი უფრო გიყვარს თუ იტალიური პიცა?

— რა თქმა უნდა, იტალიური პიცა, ძალიან მაგარია (იციან)!

— შენმა გუნდმა პოლანდიასთან 3:0 წააგო. ამაზე რას იტყვი?

— (იციან) დასაწყისისთვის ძალიან კარგია!

— მაინც რატომ გულშემატივრობ იტალიის გუნდს?

— ვგიჟდები ქალაქ ნეაპოლზე. ჩემი ოცნებაა, იქ მოვხვე. იტალიელებიც ძალიან მიყვარს. მათი თამაშიც მომწონს და ამიტომაც, ვგულშემატივრობ მათ.

— როგორ ფიქრობ, საქართველოს ნაკრები ოდესმე ჩემპიონატზე თუ მოხვდება?

— იმედია, ოდესმე მოხვდება!

— შენი აზრით, რა უშლის ხელს საქართველოს ნაკრებს, რომ ჩემპიონატზე მოხვდეს?

— „საუკეთესო“ მწვრთნელები რომ გვყავს, მიზეზიც ეს არის. მათ შორის, ტობ მიოლერს გამოვარჩევდი.

განსაკუთრებით, გერმანული გარეგნობის გოგონებს ვაფასებ. მაგალითად, შენნაირებს



— შენ რომ მწვრთნელი იყო, რას გააკეთებდი იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრები ჩემპიონატზე მოხვედრილიყო?

— ოო... მწვრთნელი რომ ვიყო? ნაკრების წევრები იქნებოდნენ უფრო ხალისიანები, პურისმჭამელები და მოქეიფები (იციან).

— ყოველთვის მინდოდა მეკითხა: იმ „დუბლიონკაში“ არ გცხვლა? მგონი, ყველა სკეტის წარმოდგენისას გაცვია...

— რას ამბობ, ნამდვილი ტყავის „დუბლიონკა“? ცოტა, ამ ბოლო დროს, კი მცხვლა ხოლმე, მაგრამ რას იზამ...

— საიდან ჩამოხვედი?

— არსაიდან არ ჩამოვსულვარ, ყოველ

შემთხვევაში, შენგან განსხვავებით, გერმანიიდან ნამდვილად არ ჩამოვსულვარ. თბილისში დავიბადე და გავიზარდე... რა, არ გახსოვს, 90-იანი წლების დასაწყისი? საქართველოში ყველას ეგეთი თურქული ტყავის „დუბლიონკები“ რომ ეცვა?!.

— კი, მახსოვს... შენი პერსონალი გოიმია?

— აშკარად გოიმია, მაგრამ თავისი ჭკუით, „ინტელიგენტი“. დღეს საქართველოში, დამიჯერე — ასეთი ადამიანების „ზეიმია“.

— მე კი რატომღაც მეჩვენება, რომ ასეთი ადამიანების პროპაგანდას ეწევი, რაც მგონი, ბევრს აღიზიანებს კიდევ, არა?

— გასაღიზიანებელი არაფერია. ასეთებიც უნდა იყვნენ, რომ ცოტა გაერთო და იხალისო...

— „არა ვჭამოთ პური?!“ — ეს ფრაზა საიდან მოიტანე?

— კუთხური ტერმინია. ასე იწყება ნადიმი კასპის რაიონში (იციან), „ემ საათში პურის ჭამა, კარგია, რა!“

— როგორც ვიცი, თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლობ. მსახიობის კარიერის შექმნაში, ცნობადობა, ალბათ, ხელს გინცობს, არა?

— არანაირად. თეატრი სულ სხვა სფეროა; ის კი, დღეს რასაც ვაკეთებ, სხვა რამ არის.

— ჰამლეტის როლს ითამაშებდი?

— რატომაც არა. მგონი, „დუბლიონკიანი“ ჰამლეტი საინტერესო იქნება (იციან). ეს ქართულ თეატრში სერიოზული გარდატეხა იქნებოდა.

— თუ გაქვს პრეტენზია, რომ რომელიმე აკადემიური თეატრის მსახიობი იყო?

— არა. თეატრის მსახიობობა არ მინდა, სადაც ვარ, თავს იქ უფრო თავისუფლად ვგრძნობ.

— თეატრალურიდან „კომედი-შოუში“ როგორ მოხვდი?

— თეატრალურში კი ვსწავლობ, მაგრამ „კავენს“ სახელმწიფო უნივერსიტეტში ვთამაშობდი, საიდანაც „კომედი-შოუში“ მოვხვდი.

— ვასო, შეყვარებული გაყავს?

— სამწუხაროდ, არა...

— რაც ცნობილი სახე გახდი, თავყვანისმცემლები არ მოგემატა?

— ანი, შენთან შეხვედრის შემდეგ, მზად ვარ, ყველა დავივიწყო. მგონი, შემეყვარდი...

— როგორი გოგონები მოგწონს, გერმანული გარეგნობის თუ — იტალიური?

— ორივე, მაგრამ განსაკუთრებით, გერმანული გარეგნობის გოგონებს ვაფასებ. მაგალითად, შენნაირებს (იციან)...

მეზობლურ დავას, რაც სამწუხაროდ, ჩვენი რეალობისთვის ძალზე ხშირია, ბევრ შემთხვევაში მტრობა და სისხლის ღვრა მოჰყვება. შურისძიებისკენ საბედისწეროდ გადადგმული ნაბიჯი ზოგჯერ, საშინელი ტრაგედიით სრულდება და დანაშაული ორივე მხარისთვის მოუშუშებელ ტკივილად დაუსრულებელ კოშმარად იქცევა. ასე მოხდა ხაშურის რაიონში მცხოვრებ ორ ოჯახშიც. ტრაგედია მეზობლებს შორის უთანხმოებასა და ორი თაობის — მამებისა და შვილების ურთიერთდაპირისპირების შედეგად დატრიალდა.

# "ამ უზიარებლის შემხედვარე მთელი სოფელი კიოდა..."

გალახარებული ოჯახივილების სიყვარული ბრავადიით დასრულდა



გადაც, გონებაც დაკარგა. ავალიშვილები გონწასულ სოფრომაძეს მაინც ურტყამდნენ. ეს ერთ-ერთი მოწმის — გრიგალაშვილის ჩვენებიდან გახდა ცნობილი. გრიგალაშვილი გზის პირას, შემთხვევის ადგილთან ახლოს ცხოვრობდა. ხმაურზე გარეთ გამოვიდა და მაშინვე მოჩხუბრების გასაშვლებლად გაიქცა. „...ბნელოდა და თავიდან ვერც გავარჩიე მათი სახეები. როცა მივუახლოვდი, მერე მივხვდი, ვინც იყვნენ. მურთაზი და მისი შვილი მალხაზი ტატოს (ტარიელ სოფრომაძეს) წიხლებს

საბრალდებო დასკვნაში შემხარავი მკვლელობის მოტივად ურთიერთშელაპარაკება ფიგურირებს, თუმცა მოწმეების ჩვენებებით სხვა, უფრო კონკრეტული მიზეზიც იკვეთება. თვითმხილველები თუ მოწმის სახით დაკითხული სხვა მეზობლები ამბობენ, რომ სინამდვილეში, დანაშაული, შეყვარებული წყვილის ურთიერთობით გაღიზიანებას მოჰყვა. ერთმანეთზე გადამტყრებული ოჯახების შვილების დამეგობრება და საეჭვო სიახლოვე მოულოდნელი და მიუღებელი აღმოჩნდა მათი მშობლებისთვის. ახალგაზრდების ბედნიერებისკენ სწრაფვას უფროსები თავიდანვე წინ აღუდგნენ, თუმცა ასეთ მძიმე შედეგს ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდნენ.

„ეს ამბავი მათთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა. მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ერთმანეთს ემდუროდნენ, მაგრამ მათი ჩხუბი ან ხმამაღალი ლანძღვაგინება არავის გაუგონია. იმ საღამოს კი თითქოს ყველაფერმა ერთბაშად იფეთქა, ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა. ამ უბედურების შემხედვარე, მთელი სოფელი კიოდა, ამდენი სისხლი და საშინელება ერთად ჩემს დღეში არ მინახავს“, — აღნიშნავს ერთ-ერთი მოწმე. „დაზარალებული რომ საავადმყოფოში მივიყვანე, მეგონა, ყველაფერი ამით დასრულდა. თურმე ყველაფერი ამით დანაწყებულა, ნამდვილი საშინელება მერე მომხდარა...“ — თქვა პროცესზე მოწმემ, ერთ-ერთი ეპიზოდის თვითმხილველმა — **ამირან ბრიგალაშვილმა**.

მოსახლეების გადმოცემით, იმ დღეს — 2007 წლის 13 მაისს ჭეიშვილების ოჯახში ქეიფი იყო. ოჯახმა ეკლესიას შეპირებული ცხვარი შესწირა და სახლშიც დიდი სუფრა გაშალა. დაპატივებულ სტუმრებს შორის იყვნენ ტარიელ სოფრომაძე და მურთაზ ავალიშვილიც. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ემდუროდნენ, ქეიფის

დროს, ოჯახში საკმაოდ თავდაჭერილად იქცეოდნენ და აგრესიას ერთიმეორის მიმართ არ გამოხატავდნენ. საღამოს, დაახლოებით 11 საათისთვის სოფრომაძემ შინ წასვლა გადაწყვიტა. რამდენიმე წუთში სუფრის წევრებს ავალიშვილიც დაემშვიდობა. შინსკენ გზას ფეხით გაუყვა და სწორედ მაშინ, მის წინ მიმავალი სოფრომაძე შენიშნა. იცოდა, რომ ამ უკანასკნელის ვაჟს მისი ქალიშვილი მოსწონდა და მთვრალმა თავი ველარ შეიკავა, გამაღიზიანებლად და ხმამაღლა, ისე, რომ სოფრომაძეს გაეგონა, დაიძახა — ამ ნაბო...რ-ის ოჯახში ჩემს შვილს რა უნდაო?! — თან შეიგინა. სოფრომაძე მიხვდა, ეს სიტყვები მისი მისამართით რომ იყო ნათქვამი, მიბრუნდა და განანწყებულმა, ხუთიოდე მეტრით დაშორებული ავალიშვილისკენ ჩქარი ნაბიჯით გასწია. მიუახლოვდა თუ არა, ისე, რომ არაფერი უთქვამს, პირდაპირ სახეში მუშტი ჩაარტყა. არც ავალიშვილმა მოითმინა და ხელი შეუბრუნა. ამ ფაქტს შემთხვევით შეესწრო ავალიშვილის უფროსი ვაჟი, რომელიც იმ დროს გზაზე მანქანით მოძრაობდა. დაინახა თუ არა, რომ მამამისს სცემდნენ, მანქანა სასწრაფოდ გააჩერა, გადავიდა და ისე, რომ ჩხუბის მიზეზში არც გარკვეულა, სოფრომაძის ცემას მიჰყო ხელი. მოწინააღმდეგეს მამაშვილი ავალიშვილები წიხლებით შედგნენ. სოფრომაძემ წინააღმდეგობის განევა ვეღარ შეძლო, სასტიკად ნაცემი, მიწაზე დავარდა და ბეტონის ქვას დაარტყა თავი, რის შედე-

ურტყამდნენ. ტატო მიწაზე ეგდო და არ ინძრეოდა, ხმასაც არ იღებდა. რა დაგემართათ, რას აკეთებთ, აღარ სუნთქავთ კაცი, თავი დაანებეთ-მეთქი! — დაუწყვირე ორივეს. მალხაზს მკლავებში მოვკიდე ხელი და სახლის ჭიშკრისკენ წავიყვანე. მაშინ მურთაზიც შეჩერდა. მალხაზი ხმამაღლა იგინებოდა, ღრიალებდა. როგორღაც ჭიშკარს იქით, ეზოში შევადგე და ურდულიც გამოვნიე, რომ ჩამეკეტა და რამდენიმე წამით მაინც შემეჩერებინა. მერე მურთაზს მივუბრუნდი. ის ტატოს აღარ სცემდა, თავადაც ჩემკენ მოდიოდა, მაგრამ იგინებოდა. ეტყობოდა, რომ ძალიან მთვრალი იყო. ამასობაში სახლიდან ჩემი მეუღლეც გამოვიდა. ვუთხარი, ორივენი სახლში შეეყვანა, მე კი ტატოს მივხედავდი. პირველ რიგში, მეზობლებთან გავიქეცი, რათა მომშველებოდნენ... ტატოს წამოწევა მინდოდა და ხელი რომ მოვკიდე, მაშინ ვიგრძენი რაღაც სისველე. ბნელოდა, მაგრამ მაინც დავინახე, რომ სისხლი თავიდან სდიოდა. მანქანაში ჩავსვით და საავადმყოფოსკენ წავედით“, — ნერს ჩვენებაში **ამირან ბრიგალაშვილი**.

გრიგალაშვილმა და მასთან ერთად მყოფმა კიდევ ორმა მეზობელმა გადაწყვიტეს, გზად სოფრომაძის სახლთან შეჩერებულიყვნენ და ოჯახის წევრები საქმის კურსში ჩაეყენებინათ. სახლიდან პირველი, დიასახლისი გამოვიდა. გაიგო თუ არა, რაც მოხდა, მაშინვე კვილი ატეხა. „...ქალს გულს შემოეყარა. ამ დროს სახლიდან გაგაც (ტარიელ სოფრომაძის



ვაჟი) გამოვარდა. დაიბნა, არ იცოდა, დედისთვის მიხედდა თუ მამისთვის. მეზობლები გავალვიძეთ და ისინი მოვიშველიეთ. ქალებმა ლამარა სოფრომაძეს მიხედეს, გაგა და ნატო ლომიძე (მეზობელი) კი ჩვენს მანქანაში ჩასხდნენ და საავადმყოფოში წავედით... გაოგნებული ვიყავი და ძალიან დაბნეული. ჩხუბის მიზეზით მაშინ არ დავინტერესებულვარ, რადგან იმ მომენტში ერთადერთი, რაზეც ვფიქრობდი, ტატოს გადარჩენა იყო. არ ინძროვდა და ძლივს შესამჩნევად, სუსტად სუნთქავდა. მურთაზს და მის ვაჟს მახოს, რაც თავი მახსოვს, ვიცნობ. ორივენი ძალიან მიყვარდა, რადგან მათგან ცუდი არასდროს მსმენია და მინახავს. გამიკვირდა მათი ასეთი საქციელი. მერე ამბობდნენ, მახომ (მალხაზ ავალიშვილმა) მამამისის ცემა ვერ აიტანაო. ვერც აიტანდა, მამა გალმერთებული ჰყავდა... — აღნიშნავს ჩვენებაში მოწმე ნინოლაშვილი.

მამის ცემის ფაქტს ვერც გაგა სოფრომაძე შეეგუა. საავადმყოფოში თანმხლები პირებისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ როგორც შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან ჩანს, შურისძიება მაშინვე მტკიცედ გადაწყვიტა. ექიმებმა დაზარალებულის შვილი უთხრეს, რომ მამა უმძიმეს მდგომარეობაში, კომაში იმყოფებოდა. თავის ქალა-ტვინის ტრავმის გარდა, ტარიელ სოფრომაძეს ორი ნეკნიც ჩამსხვრეული აღმოაჩნდა...

„...რა დროს და როგორ გავიდა საავადმყოფოს ეზოდან, არ მინახავს. ყველანი შენობის შესასვლელში ვიდევით, ისიც ჩვენთან იყო და სიგარეტს ეწეოდა. მისი გასვლა არც ერთს არ დაგვიფიქსირებია“, — ამბობს მოწმე ნინოლაშვილი. საქმის მასალების მიხედვით, გაგა სოფრომაძე საავადმყოფოდან მეზობლის ავტომანქანით შინ მივიდა, დედას და იქ მყოფ ქალებს მამის მდგომარეობის შესახებ აცნობა, შემდეგ სამზარეულოში გავიდა, პურის საქრელი, 12,5 სანტიმეტრის სიგრძის დანა აიღო და ავალიშვილების სახლისკენ გასწავა. ჭიშკარში შევიდა თუ არა, ეზოში მურთაზ ავალიშვილის მეუღლე — ციალა შეხვდა. აღელვებულ ქალს ავი წინათგრძობა არ ასვენებდა და შუალამის მიუხედავად, ფიზიკობდა. ეზოში სმაური რომ გაიგონა, მაშინვე გარეთ გავიდა. სოფრომაძემ ყვირილი და გინება დაიწყო, ხან მურთაზ ავალიშვილს, ხანაც მის ვაჟს უხმობდა. ამ დროს სახლიდან მალხაზ ავალიშვილი გამოვიდა. შეშინებული დედა შვილს სთხოვდა, შინ შესულიყო, გაგა სოფრომაძეს კი ეკვდრებოდა, იქიდან წასულიყო. მაგრამ

სოფრომაძის დაშოშმინება ქალმა ვერ შეძლო. მომარჯვებული დანა მან მალხაზ ავალიშვილს, დედის თვალწინ, ჯერ მუცელში, შემდეგ კი კისრის არეში ჩაარტყა... მიძიმედ დაჭრილი მალხაზი ჩაიკეცა. მიღებული ჭრილობების შედეგად, მას შინაგანი ორგანოები დაუზიანდა, გადაეჭრა აორტა, რამაც გადარჩენის შანსი არ დაუტოვა. დედის კვილზე მეზობლები შეიკრიბნენ და დაჭრილის საავადმყოფოში წაყვანა გადაწყვიტეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო: საავადმყოფოში მიყვანამდე ის სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა...

მალხაზთან ანგარიშსწორების შემდეგ, გაგა სოფრომაძემ მამამისს — მურთაზ ავალიშვილს დაუნყო ძებნა. სახლში ვერ იპოვა, რადგან იმ მომენტში ის მეზობლის ოჯახში იმყოფებოდა. ეზოში კვილი რომ ატყდა, გაგა სოფრომაძემ, როგორც ჩანს, მის ძებნას თავი დაანება და გაქცევა ამჯობინა. შემთხვევის ადგილს ის უკანა ეზოს გავლით გაცვალა და მიიშალა...

საქმის მასალების მიხედვით, იმ დროს შინ არ იმყოფებოდა არც გაგა სოფრომაძის შეყვარებული — თათია ავალიშვილი. მომხდარი უბედურების შესახებ გოგონამ თბილისში მყოფმა შეიტყო...

**თათია ავალიშვილი:**

„ეს ამბავი რომ მოხდა, შინ არ ვიყავი. დამირეკეს და მითხრეს, მახო ცუდად გახდა და საავადმყოფოში დაანვინესო. სრულიად ჯანმრთელი იყო, არასდროს უავადმყოფია და გამიკვირდა. რა დავმართა, არ უთქვამთ. ბევრი რამ ვიფიქრე, მაგრამ ასეთ საშინელებას ვერაფრით წარმოვიდგენდი. ის, რომ ეს გაგამ ჩაიდ-

ინა, ჩემთვის ყველაზე ძნელად გადასატანი აღმოჩნდა. ამან ტანჯვა გამიასკეცა. თავიდან ვერ დავიჯერე, მაგრამ ფაქტებსაც ვერსად გავეცეოდი... პატარაობიდან, რაც ცნობიერება მქონდა, ვიცოდი, რომ ჩვენი ოჯახები ერთმანეთს ემდუროდნენ. ბავშვობაში ამის მიზეზით არასდროს დავინტერესებულვარ, ეს, როგორც ფაქტი, ისე მივიღე და ისეთი გრძობა მქონდა ყოველთვის, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. ვიცოდი, რომ სოფრომაძეების სახლის ეზოში არ უნდა შევსულიყავი. ჩვენ გვერდით გაგას დეიდის ოჯახი ცხოვრობდა. მას ჩვენი ტოლი შვილები ჰყავდა და ბავშვები, მათ შორის გაგაც, იქ ვთამაშობდით ხოლმე. წლების შემდეგ შევიტყვე, რომ უთანხმოება ჩვენს მშობლებსა და ბებებებსა და ბაბუებს შორის, მამაჩემისა და გაგას დედის ურთიერთობაზე ბინძურმა ჭორებმა გამოიწვია. მე და გაგა სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთდროულად ჩავირიცხეთ და ერთმანეთს სწორედ თბილისში დავუახლოვდით. ამ ამბავს ჩემი მშობლები განსაკუთრებული აგრესიით შეხვდნენ. ვიცი, რომ დედაჩემი რამდენჯერმე პირადად შეხვდა გაგას და ჩემთან ურთიერთობა აუკრძალა. რა მოხდებოდა მომავალში, არ ვიცოდი, რაიმე სერიოზული გადაწყვეტილება მე და გაგას არ მიგვიღია. ამასობაში, ეს უბედურებაც მოხდა...“

მას შემდეგ პირველად, გაგა სოფრომაძე თათია ავალიშვილმა სასამართლო დარბაზში ნახა. იმის გამო, რომ პროცესზე დასწრება მისთვის ძალზე მიძიმე იყო, მხოლოდ ერთ სხ-

რუბრიკის გავრცელება იხ. გვ. 98

**ჭაშმარიტაბა არა ღვინოში, არამედ... პალრეკანში**

ვენეციის ხელისუფლება აცხადებს, რომ უკვე ამ ზაფხულს, ვენეციის სტუმრები წყურვილს შადრევნების სუფთა წყლით მოიკლავენ. ექსპურსიებით დაქანცული ტურისტების შადრევნებთან მიზიდვის ფარული მიზანი — ბოთლებში ჩამოსხმული სასმელი წყლის რეალიზაციის შეზღუდვა და ამგვარად, ქალაქის ქუჩებში ნაგვის შემცირებაა. ამიერიდან, ვენეციაში ჩასულ ტურისტებს მინერალური წყლის ცარიელ ბოთლებს დაურიგებენ წარწერით: „არ გადამაგდო. ისევ და ისევ გამომიყენე!“ ბოთლებთან ერთად, ტურისტებს ქალაქის რუკაც გადაეცემათ, სადაც ის 122 შადრევანია აღნიშნული, რომლებსაც მრავალგზის გაფილტრული, სასმელად გამოსადეგი წყალი მიეწოდება. ექსპერიმენტი, რომელსაც „100 პროცენტი — ხალხისთვის“ ეწოდება, პირველად სწორედ ვენეციაში განხორციელდება, რადგან ამ უმშვენიერეს ქალაქს, რომლის სიმბოლო — წყალია, ყოველწლიურად უამრავი ტურისტი სტუმრობს.




**თამუნა კვინიკაძე**

— ჩვენი პოლიტიკოსები ნაკლებად ფოტოგენურები არიან. როცა „იმელის“ შენობაში პირველი პარლამენტი შეიკრიბა, მინდოდა, დეპუტატების გალერეა გამეკეთებინა. იმჟამინდელი პარლამენტი ძალიან საინტერესო სახეებით იყო დაკომპლექტებული. გულუბრყვილოები იყვნენ, სშირად კამათობდნენ, ჩხუბობდნენ. სამწუხაროდ, მაშინ ეს ვერ მოვახერხე.

— დღევანდელი დეპუტატების გალერეის შექმნის სურვილი არ გაქვთ?

— ნაკლებად. თანამედროვე პოლი-



ის ვერაფერს მალავს, გულადადამიანია

ტიკოსებში ცბიერებამ იმატა. უმეტესობა ნილაბს ატარებს. გამოცდილი ფოტოგრაფისტის მათი ნიღბების დანახვა რთული არ არის. როდის ამბობენ, ტყუილს და როდის — სიმართლეს, მათი მიმიკით ადვილი გამოსაცნობია.

— ოპოზიციაშიც არიან „ნიღბიანები“?

— ოპოზიციაში „ნიღბიანებიც“ არიან, „უნიღბებიც“, პატრიოტე-

# ფოტოხელოვნის თვალით დანახული პოლიტიკოსები

ჩვენს ქვეყანაში დღეს ყველაზე პოპულარულები პოლიტიკოსები არიან. ამ ადამიანებზე ყველგან და ყველაფერს დაუზარებლად ლაპარაკობენ. ალბათ დაგაინტერესებთ, თუ როგორები არიან ფოტოხელოვნის თვალით დანახული პოლიტიკოსები. **იური მინიშვილი** გვარანმუნებს, რომ გამოცდილი თვალი ფოტოობიექტივიდან ყველაფერს სხვაგვარად (სშირ შემთხვევაში, სწორად) ხედავს...

ბიც და არაპოლიტიკოსებიც.

— მაგალითად?

— ლევან გაჩეჩილაძე პოლიტიკოსი არ არის. პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, სად, რა და რატომ უნდა თქვას. ლევანისთვის ასეთი რამ უცხოა. ის ვერაფერს მალავს, გულადადამიანია. როცა ტელეეკრანზე გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერების ცესკოში შევლის კადრები ვნახე, სადაც გაჩეჩილაძე ლევან თარხნიშვილს პირში ეუბნება, რომ ის თაღლითია, მან გიჟუა მომაგონა, ფილმიდან — „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. ოპოზიციაში ყველაზე კოლორიტულ ფიგურად მაინც მას მივიჩნევ.

— დავით გამყრელიძეზე რას გვეტყვით?

— ძალიან საინტერესოა ის მეტამორფოზა, რომელიც დავით გამყრელიძემ განიცადა. ის საზოგადოებამ გაიცნო როგორც „აღდაგის“ ხელმძღვანელი. ყოველთვის მაღალი რანგის შეხვედრებზე ჩნდებოდა, რაფინირებულიობით გამოირჩეოდა. ამ ბოლო დროს თითქოს სხვაგვარ ადამიანად იქცა, განსაკუთრებით შიმშილობის შემდეგ შეიცვალა. პროტესტი ამ ფორმით მხოლოდ ისეთ ქვეყანაში შეიძლება გამოხატო, სადაც ადამიანის სიცოცხლეს აფასებენ... ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენში ფოტოჟურნალისტიკა ისე არ არის განვითარებული, როგორც საჭიროა. როცა უნმინდესმა და უნეტარესმა მოშიმშილეებს ამ აქციის შეწყვეტისკენ მოუწოდდა, პატრიარქმა დავით გამყრელიძეს სეფისკვერი საკუთარი ხელით მიანოდა. ეს მგონი, არც არავის გადაუღია. ნებისმიერი სხვა ქვეყნის პერიოდულ გამოცემებში ეს კადრი პირველ გვერდებზე გავიდოდა... ამ შიმშილობის შემდეგ დავით გამყრელიძეს მკაცრი სახე გაუხდა. ის დრაკონთან მებრძოლს დაემსგავსა.



საინტერესოა ის მეტამორფოზა, რომელიც დავით გამყრელიძემ განიცადა

— როგორია ფოტოხელოვნის თვალით დანახული, პრეზიდენტი სააკაშვილი?

— მიხეილ სააკაშვილი ჯერ საკრებულოში ყოფნის, შემდეგ კი პრეზიდენტობის პერიოდშიც არაერთხელ გადამიღია. ის დიდ ყურადღებას უთმობს იმას, თუ როგორ გამოიყურება ფოტოზე, რაც მოსანონია. შევარდნაძეს ეს სულ არ აინტერესებდა. მხოლოდ ერთხელ გამოთქვა საყვედური, როცა ნახა, რომ თეთრ ფონზე იყო გადაღებული: მისი ჭალარა საერთოდ არ ჩანდა, მელოტი გეგონებოდათ. ამიტომ, როცა მას ვიღებდით, ყოველთვის ვითვალისწინებდით, რომ ფონი მუქი ყო-



ლევან ბურჭინაძე „გასანილი“ ადამიანია, ვერაფერს მასთან მუშაობა საინტერესო იქნება



ის რომ გეთიერს ჰაბაძეს, ძნელი მისახვედრი არ არის

ფილიყო. ხშირად, მისი გამოსვლის დროს, სპეციალურად ტრიბუნის უკან კარადასაც კი დგამდნენ.

**— მისეილ სააკაშვილი ფოტოებს თავად ამონშებდა?**

— დიას, ამ კარგი თვისებით გამოიორჩევა. საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, პლაკატისთვის სურათის გადასაღებად, ჩემს კოლეგებთან ერთად, რამდენჯერმე დაგვიბარეს. ბოლოს ვის მიერ გადაღებული ფოტო გავიდა, ვერ გავიგეთ, ყველანი ერთსა და იმავე პირობებში ვმუშაობდით.



ყველაზე ფოტოგენურ ადამიანად კი ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძეს დავასახელებ

**— პოლიტიკოს ქალბატონებზე რას გვეტყვი?**

— მათ ხშირად არ ვიღებ. საპარლამენტო არჩევნების დროს, მხოლოდ ადა მარშანია გადავიღე. ის ჩემი მეგობარია.

**— ნინო ბურჯანაძე არ გადაგიღია?**

— როგორ არა?! ნინო არაერთხელ გადამიღია. ის რომ ტეთიერს ჰაბაძეს, ძნელი მისახვედრი არ არის. ეს ქალბატონი ცოტა ხნის წინაც უნდა გადამეღო, მაგრამ ჩვენი შეხვედრა არ შედგა... როცა ვამბობ სიტყვას — „გადაღება“, ვგულისხმობ, არა შემთხვევითი შეხვედრის დროს გადაღებულ კადრს, (ეს ფიქსაციაა), არამედ იმ შემთხვევას, როცა პიროვნებასთან ფოტოსესია მაქვს, მასთან ვსაუბრობ, ვურთიერთობ, ვცდილობ, ემოციები გამოვიწვიო.

**— რაზე ესაუბრებით ხოლმე?**

— სხვადასხვა თემაზე. ვცდილობ, დაძაბულობა მოვუხსნა. ზოგჯერ ეს პოლიტიკოსებს კი არა, მსახიობებსაც უჭირთ.

**— როგორ იქცევით მაშინ, როცა პიროვნებაში ემოციას ვერ იწვევთ?**

— ერთხელ, ერთ ცნობილ პოლიტიკოსს ვიღებდი (ივინის), მის სახელსა და გვარს არ გაგამხელთ. ისეთი დაძაბული იყო, რა თემაზე არ ველაპარაკე, ვერაფრით „გაგხსენი“. ბოლოს ვუთხარი: რა არის ეს წითელი ჰალსტუხი, რა პიონერივით წაგიჭერია-მეთქი?! საშინლად განრისხდა. მაგრამ მისი ეს ემოცია მასალისთვის მაინც არ გამომადგა... პოლიტიკოსი ქალბატონებიდან საინტერესო იქნება, რუსუდან კერვალიშვილიდან მუშაობა. ძალიან შევწუხდი, როცა მისი საარჩევნო პლაკატი ვნახე, — თითქოს სხვა ადამიანი იყო, არადა, ცხოვრებაში გაცილებით ლამაზი ქალბატონია.

**— დავით ბაქრაძეზე რას გვეტყვი?**

— რომ ვუყურებ, ხუთოსანი ბავშვი მახსენდება, მას სახეზე ეტყობა, რომ მიღწეული წარმატებით ტკებება.

**— მასთან გიმუშავია?**

— არა, მაგრამ ეკრანზე ხომ ვუყურებ?!  
— პოლიტიკოსებიდან ვისთან მუშაობის სურვილი გაქვთ? ვინ არის თქვენთვის საინტერესო?

— ის, ვინც ბევრს გადამხდის (ივინის)... საინტერესო პიროვნებაა ლევან ბერძენიშვილი, მას დიდი ხანია, ვიცნობ, „გახსენილი“ ადამიანია, ვფიქრობ, მასთან მუშაობა საინტერესო იქნება. ჩემთვის, როგორც ფოტოგრაფისთვის, ასევე საინტერესო სახეა გია თორთლაძე. ახლა იმდენად დაბნეულია, მისი ეს მდგომარეობა ფოტოზე აუცილებლად აისახება. ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილიც საინტერესონი არიან. ბატონ კობას მე პოლიტიკოსად არ მივიჩნევ, მას ცბიერება აკლია. თავის დროზე ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მერაბ მამარდაშვილიდან მუშაობის პროცესი. ის მაშინ გადავიღე, როცა ინტერვიუს ფრანგ ჟურნალისტს აძლევდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი საუბარი არ მესმოდა, სახეზე იმდენი ემოცია ჰქონდა, საოცრად მეტყველი ფოტოები გამოვიდა.



ის დიდ ყურადღებას უთმობს იმას, თუ როგორ გამოიყურება ფოტოზე

**— ვინ არის თქვენთვის ნაკლებად საინტერესო?**

— გიორგი თარგამაძე. ის რამდენჯერაც უნდა გადავიღო, ყოველთვის ერთნაირი ფოტო გამოდის. გია მანისაშვილი მართლა „დაფრინავს“: საპრეზიდენტო არჩევნების დღეს ჟურნალისტებს უთხრა, — თქვენ საქართველოს მომავალ პრეზიდენტს ელაპარაკებთო. მისი სახის გამომეტყველებას რომ შევხედე, მივხვდი — ძალიან შორს იყო „გაფრენილი“... პოლიტიკოსებიდან ზურაბ ტყემალაძესთანაც მიმუშავია, მას უინტერესო ფიგურად ნამდვილად ვერ მივიჩნევ. ცნობილ ადამიანთა შორის ყველაზე ფოტოგენურ ადამიანად კი ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძეს დავასახელებ. მასთან დიდი სიამოვნებით ვიმუშავედი. ■

ყოველწლიურ ნიგნის ვესტიუალზე?

**მოდლი!**

27-30 ივნისს

**ჩვენთან**

ბე უამრავი სიფრპოზი დაგხვდება!

ჩვენთან იყიდი ნიგნს და დახამურდები

მის წარუდგინი გამზ. №110





**მარეს ჭონიშვილი**

— როგორ გაცნით ერთ-მანეთს?

**ალეკო:**

— ეს იყო პეტერბურგში (იციინია)...

**ნინო:**

— ერთმანეთს თეატრალური უნივერსიტეტიდან ვიცნობთ. ალექო მაშინ შემიყვარდა (იციინია), როდესაც საკურსო სპექტაკლ „ბნელეთის სამეფოში“ ვნახე. ეს სპექტაკლი, ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით, თემურ ჩხეიძემ, თავის ჯგუფთან ერთად დადგა. ალექო ამ სპექტაკლში ისე ვარგად თამაშობდა, რომ დღემდე მახსოვს.

**ალეკო:**

— ერთმანეთის სპექტაკლებს ვესწრებოდი, ურთიერთს წარმატებებსაც ვულოცავდით, მაგრამ ახლო ურთიერთობა არ გვექონდა. სპექტაკლის შემდეგ ნინო არასოდეს გამიცილებია სახლში. იმიტომ, რომ მას გამცილებლები არასდროს აკლდა. თან, იმ პერიოდში უკვე ცოლიანი ვიყავი. შემდეგ, „ყავა და ლუდზე“ მოგვინია მუშაობამ და ვინაიდან დილიდან საღამომდე ერთად ვიყავით, დავახლოვდით.

**ნინო:**

— ალექო პროფესიონალი მსახიობი და არაჩვეულებრივი ადამიანია.

— როგორ დამეგობრდით?

— ჩვენი მეგობრობა „ყავა და ლუდიდან“ დაიწყო, მაგრამ ეს რა მეგობრობაა? — „100 წელია,“ არ მინახავს.

**ალეკო:**

— ნინო არ მიწყენს, თუ ჩვენს მეგობრობას უფრო კოლეგიალურს ვუწოდებ... თუმცა, თქვენ რომ ხვალ ჩემთან სახლში მოხვიდეთ და რაიმე

# ჩვენი მოსწავლე ნინო ახლადი პარტნიორი „კარგული“ და შინ მსოფლიო მხარე ღიმილი მალაქაში

„შესაძლებელია, ერთ დღეს მეგობარიც შეგიყვარდეს“...

სერიალი „ყავა და ლუდი“ მაცურებელმა ეკრანზე გამოსვლისთანავე შეიყვარა. მსახიობების — ნინო ბურდუღისა და ალექო მახაროზლიშვილის ტანდემიც სწორედ ამ სერიალში შედგა. თუმცა, „ყავა და ლუდის“ გაგრძელებაში ქალბატონი ნინო აღარ მონაწილეობს, რის გამოც მსახიობს გული ძალიან სწყდება.

თქვენი პირადული მომხივებით, გავიფიქრებ: ეს გოგო ცოტა გიჟი ხომ არ არის-მეთქი? აი, ნინო რომ მოვიდეს და თავისი პრობლემების ჩემთვის გაზიარება მოინდომოს, ეს სულაც არ გამიკვირდება. ჰოდა, თუ ამას მეგობრობა ჰქვია, მაშინ, კი, ბატონო, მეგობრები ვართ.

**ნინო:**

— ჩემო ალექო, სწორედ ეგაა მეგობრობა!

**ალეკო:**

— საზღვარგარეთ ფულს იხდიან იმაში, რომ ვინმეს გული გადაუშალონ და თავიანთი პრობლემები გაუზიარონ. ჩვენ კი დაქალთან, ძმაცაცთან გავრზიარებთ და ერთმანეთს დარდს ვუზიარებთ. ყოველთვის მსიამოვნებს ნინოს ნახვა, ჩვენი შეხვედრა მართლაც, ერთ რამედ ღირს. მაგრამ როგორც ნინომ თქვა, — ერთმანეთს იშვიათად ვნახულობთ.

**ნინო:**

— სულაც არაა საჭირო, მეგობარი ყოველდღე ნახო, მე მყავს ისეთი მეგობრები, რომლებიც წლობით არ მინახავს, მაგრამ თითოეული მიყვარს და მენატრება. ჩემთვის მეგობარია ადამიანი, რომლისთვისაც სინარჯის ან დარდის გაზიარება მინდება.

— „ყავა და ლუდის“ გადაღების დროს ერთმანეთს რჩევებს თუ აძლევდით?



თუ გვინი გაბაძევა და ნინოს ცოტა სხვა თვალთ შევხედო... ვაიმე...

**ალეკო:**

— რჩევის სახით რაც უნდა უთხრა მსახიობს, ის ამას მაინც შენიშნავდ მიიღებს (ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნებით). თან, სიმართლე გითხრათ, ნინოს ჩემი რჩევა არაფერში სჭირდებოდა. ის შესანიშნავი მსახიობი და თავისი საქმის პროფესიონალია. ნინო ბურდუღი ხალხს ამ სერიალიდან არ გაუცნია, მაგრამ ვფიქრობ, „ყავა და ლუდში“ მან ძალიან განსხვავებული და დასამახსოვრებელი სახე შექმნა.

**ნინო:**

— რჩევებისაგან თავს ვიკავებდით. უბრალოდ, ჩვენ, სამეული წინასწარ მოვილაპარაკებდით ხოლმე იმის შესახებ, რის გაკეთებასაც ვაპირებდით.

— ქალბატონო ნინო, „ყავა და ლუდის“ გაგრძელებაში არ მონაწილეობთ. ამის გამო გული ხომ არ გწყდება?

— გულახდილად რომ გითხრათ, გული ძალიან მწყდება. მსახიობისათვის სერიალი საოცნებო სამუშაო ნამდვილად არ არის, მაგრამ „ყავა და ლუდი“ ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა პარტნიორებს შორის შემოქმედებითი ურთიერთობა შედგა, ამიტომაც, ძალიან თბილი და კარგი სერიალი გამოვიდა.

**ალეკო:**

— მე, მიშა გომიაშვილი და ნინო ბურდუღი შესანიშნავი სამეული ვიყავით. ნინოს ნასვლით კი ეს სამეული დაირღვა. ორი „ნადირი“ პოლიციელის გვერდით იდგა ნაზი, რომანტიკული არსება, რაც ფილმს კარგიერს სძენდა.

— ქალბატონო ნინო, თქვენი გმირი თუ გგავთ?

**ნინო:**

— ნამდვილად არა ვარ ხიფათიანი და არ „ვევკვებები“ ისეთ სიტუაციებში, სადაც მარიკა ბედავდა მსვლას. თან, მე გამოძიებისთვის არ მცალია, მარიკა კი ნამდვილი მოცლილი იყო. ძალიან მიყვარს დეტექტივების კითხვა და ჩემი გამოძიება მხოლოდ წიგნის დონეზე შემოიფარგლება.

— გადაღებების შემდეგ რას აკეთებდით?

**ალეკო:**

— მუშაობის პროცესი იმდენად დამლელი იყო, რომ გადაღებებ-

ის შემდეგ ყველანი სახლში მივედიოდი. ზოგჯერ, მთელი გადამღები ჯგუფი საქეიფოდ ვიკრიბებოდი, მაგრამ გადასაღებ მოედანზე მუშაობასა და ქეიფს შორის განსხვავებას ვერ ვპოულობდი იმიტომ, რომ გადაღებების დროს ძალიან მხიარული სიტუაცია იყო. საქმეს ყველა ხალისით ვეკიდებოდი.

**წინა:**

— მინდა, ერთი ეპიზოდი გიამბოთ. ერთ-ერთი საქმის გამოძიებისას, ჩემი გმირი — მარიკა და კოკა ჯაფარიძის ცოლი თამრიკო თავს მეძავებად ვსაღებთ. ამ სერიის ბოლო ეპიზოდს სამმართველოს ეზოში ვიღებდით. მე და თამრიკო დარცხვნილები, განწილები, „ჩორნი ვარონაში“ ვსხედვართ და კოკას და ჟურიკას განაჩენს ველოდებით. გადაღების მომენტში, შემთხვევით, „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტები შემოგვიერთდნენ და როცა მე და თამრიკო ასეთ ფორმაში დაგვინახეს, ნამდვილი მქავეები ვგონეთ და გადაგვიღეს.

**ალეკო:**

— არც იკითხეს, რა ხდებოდა, ისე გადაიღეს და იმავე საღამოს, ეს ორი ქალბატონი გადაცემა „პატრულში“ მოხვდა, როგორც კანონის დამრღვევი (იციინაი).

**გადაღებების დროს თუ კამათობდით?**

— „ყავა და ლუდი“ ასეთი კარგი სერიალი იმიტომაა, რომ ჩვენ ერთმანეთს შესანიშნავად ვუგებთ.

**წინა:**

— ალექსთან და მიშასთან არასოდეს მიკამათია. აი, რეჟისორს კი ტექსტთან დაკავშირებით, ყოველთვის ვეკამათებოდი. მიყვარს, როცა სალაპარაკო ცოტაა, სამოქმედო კი ბევრი. ამიტომაც ვაპროტესტებდი: რაკი ტექსტს მალე ვიმახსოვრებ, ნ-ფურცლიანი

მონოლოგი უნდა დამინეროთ-მეთქი?!

**— ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობის თუ გვერათ?**

— მეგობრობაში სქესს რა მნიშვნელობა აქვს?!

**ალეკო:**

— მე მყავს მეგობარი ქალები. ჩემი ცოლის მეგობარი ჩემი მეგობარია. ახლა, თუ ტვინი გადამეკეტა და ნინოს ცოტა სხვა თვალთ შევხედე... ვაიმე... ეს რა ვთქვი, კაცო (იციინაი). ისე, შესაძლებელია, ერთ დღეს მეგობარიც შეგიყვარდეს; იმ ასაკში ნამდვილად ალარა ვარ, გოგო რომ მიყვარდა და ვამბობდი, — ეს ჩემი დაქალია-მეთქი.

**წინა:**

— ჩვენს დროში მამაკაცებს შორის მეგობრობა უფრო გასაკვირია...

**ალეკო:**

— მართალი ხარ, მამაკაცს და ქალს რომ დაინახავ „პადრუჩიტი“, ეს ნორმალურია. მაგრამ ორი კაცი უკვე საეჭვოა (იციინაი).

**— ქუჩაში, ალბათ, ბევრი სიყვარულით გხვდებით.**

**წინა:**

— ქუჩაში მხოლოდ „მარიკას“ დაძახებაზე ვიხედები. უკვე ბევრმა მითხრა, რომ დილით, „ყავა და ლუდს“ უყურებენ და ამ სერიალის წყალობით, კარგ ხასიათზე დგებიან.

**ალეკო:**

— თავიდან, ბავშვები „ჟურიკას“ რომ მეძახდნენ, ვბრაზდებოდი, მეერ შევეჩვიე და მივხვდი: კი არ მაშაყრებენ, არამედ

სიტბოს და ყურადღებას გამოხატავენ. ძალიან მიხარია, ხალხს რომ შევუყვარდი. ამ სერიალში ხდება დანაშაული, მკვლელობა, მაგრამ ძირითადად, ფილმი



„ყავა და ლუდი“ ასეთი კარგი სერიალი იმიტომაა, რომ ჩვენ ერთმანეთს შესანიშნავად ვუგებთ

ადამიანურ ურთიერთობებზეა აგებული და ამიტომაცაა სასიამოვნო საყურებელი. ჩვენი გმირებიც დადებითი პერსონაჟები არიან და ამიტომ ვიმსახურებთ ხალხის სიტბოს, თორემ ედიშერ მაღალაშვილი გენიალური მსახიობი იყო, მაგრამ ისეთ უარყოფით როლებს თამაშობდა, ბებიჩემს სადმე რომ დაენახა, ალბათ, ქვას ესროდა.

**წინა:**

— კინო და ტელევიზია იმითაა კარგი, რომ მისი წყალობით პოპულარული ხდები. როცა მეორე შვილი გავაჩინე, სამშობიაროში ერთმა ქალმა მიცნო: თქვენ ის არა ხართ, „ვაზის ყვავილობაში“ რომ თამაშობთ? გამიკვირდა, როგორ მიცნო, რადგან როცა ამ ფილმში მიღებდნენ, ძალიან პატარა ვიყავი... ერთხელ ტოქსოუ მიმყავდა სასამართლო დარბაზიდან, სადაც პატარა, 15-წუთიანი მონაკვეთში მივიღე მონაწილეობა. მეორე დღეს სამარშრუტო ტაქსიში ერთი ქალი მომიჯდა გვერდით და თავის პრობლემებზე დამიწყო ლაპარაკი. ვუთხარი, — ქალბატონო, არ ვიცი, რა უნდა გირჩიოთ, იქნებ, იურისტს მიაკითხოთ-მეთქი! ძალიან გაბრაზდა — თუ იურისტი არა ხარ, იქ რას ლაპარაკობდი?!

**ალეკო:**

— რა გინდა, მოხერხებული ქალი ყოფილა — იურისტის რჩევა უფასოდ უნდოდა (იციინაი).

**— რას ურჩევდით მეგობრებს?**

**წინა:**

— მეგობრებს გულახდილობას და ურთიერთობაში ღირსების შენარჩუნებას ვურჩევ.

**ალეკო:**

— არ მოატყუონ და უსინდისოდ არ მოექცნენ ერთმანეთს.

**ჩვენი მკითხველი**

„გამარჯობა. მოგესალმებით ათენიდან. მინდა, გაგანდოთ ის, რასაც ხმამაღლა ვერ ვამხელ — დიდი სიმპათიებით ვარ განწყობილი ჩვენი პრეზიდენტის მიმართ. ზოგმა შეიძლება იფიქროს, თვითონ საბერძნეთშია და რა ენადღვლებათ? დამიჯერეთ, ეს ასე ნამდვილად არ არის. მეც მაწუხებს ის მდგომარეობა, რომელიც საქართველოშია (სხვათა შორის, მხოლოდ ერთი წელია, რაც საბერძნეთში ჩამოვედი). ცოტა ხანი ვაცადოთ ჩვენს პრეზიდენტს და დარწმუნებული ვარ, ჩვენთვისაც მოვა გაზაფხული. გულზე ვსკადები, როცა ქართველებს გვამცირებენ. რატომ უნდა გვეშინოდეს ბერძნების? რატომ უნდა გვეძახდნენ რუსებს? ბატონი მიშასი არ იყოს, მეც 21 დეკემბერს ვარ დაბადებული ანუ მშვილდოსანი გახლავართ და სიმართლე ყველაფერს მირჩევნია. უცხოელებმა მხოლოდ ბატონი მიშას გაპრეზიდენტების შემდეგ შეგვამჩნიეს, მანამდე კი ჩრდილში ვიდგეთ. მინდა, შორიდან დავლოცო ჩემი საქართველო. ნაციონალისტი ვარ და ალბათ, აქ დიდხანს ვერ ვაგძლებ. ღმერთი ჰფარავდეს ქართველებს. პატივისცემით, თამარი“.



აიჩინე შენი

# მოდის იზნევა ცნობილი მოაზროვნე და მისი ამცოდნეა დიდი სიმცხვილი

კლუბის — „რა? სად? როდის?“ მოთამაშე არჩილ მატაშვილი „ერუდიტი“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დაგვთანხმდა. შესვედრის დროს კი გვითხრა, რომ თითქმის ყველა ჟანრის ლიტერატურას დიდი ინტერესით კითხულობს. ყოველთვის იბნევა მაშინ, როცა სთხოვენ, საყვარელი მწერალი ან ნაწარმოები დაასახელოს, რადგან მათი ჩამონათვალი არცთუ ისე მცირეა. თუ კიდევ ჩაეკითხები, მისგან ასეთ პასუხს მიიღებ: „ქართული მწერლებიდან გურამ დოჩანაშვილი და ნოდარ დუმბაძე, უცხოელებიდან — ბულგაკოვი, დოსტოევსკი, ჰემინგუეი და კამიუ“. პროზას პოეზია ურჩევნია, აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ბავშვობაში ზეპირად უამრავი ლექსი იცოდა. წიგნი არასდროს მოუპარავს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად, გურამ დოჩანაშვილის რომანის — „სამოსელი პირველი“ — გმირს, მიჩინუს ირჩევს.



— ვინ იყვნენ მეთულუხჩეები ძველ საქართველოში?  
 — ზუსტად ვერ გეტყვით, სიტყვა „თულუხჩი“ არაფერზე მიმანიშნებს.  
 — წყლის მზიდავეები. რომელ საუკუნეში დაიყვნენ ქრისტიანები მართლმადიდებლებად და კათოლიკეებად?  
 — XI საუკუნეში, 1054 წელს.  
 — რამდენი სახმელეთო მეზობელი ჰყავს კანადას?  
 — ერთი. ეს არის აშშ, დანარჩენ ტერიტორიაზე 3 ოკეანის წყლები ესაზღვრება (ატლანტის, წყნარისა და ჩრდილოეთის). კანადას მსოფლიოში ყველაზე გრძელი სანაპირო ზოლი აქვს.  
 — ამერიკაში ჩასულმა პოლანდიელებმა დააარსეს ქალაქი ახალი ამსტერდამი. რა ჰქვია ახლა ამ ქალაქს?  
 — ნიუ-იორკი.  
 — მისი დაარსების ისტორია თუ იცით?  
 — დიას, 1664 წელს ინგლისელებმა, ჰერცოგ იორკის მეთაურობით, პოლანდიელებს ახალდაარსებული ქალაქი წაართვეს და ახალი იორკი ანუ ნიუ-იორკი უწოდეს.

## თამუნა კვინიკაძე

— რა აკავშირებთ ნაპოლეონთან ნიკოლოზ ბარათაშვილს, ალექსანდრ პუშკინს, ჯორჯ ბაირონს და შაინრის შაინეს?  
 — რა უნდა აკავშირებდეთ? ალბათ, თითოეულ მათგანს მისთვის ლექსი აქვს მიძღვნილი.  
 — გამოიცანი. ვინ არის რეჟისორი ფილმისა „გიორგი სააკაძე“?  
 — მიხეილ ჭიაურელი.  
 — ჩვენამდე მოაღწია დემეტრე I-ის მიერ შექმნილმა, საყოველთაოდ ცნობილმა საგალობელმა, რომელსაც მისი პირველი სიტყვების გამო, „შენ ხარ ვენახი“ უწოდეს. ვის ეძღვნება ეს საგალობელი?  
 — (ფიქრობს) ვერ მიმანიშნებთ?  
 — ერთ-ერთ წმინდანს ეძღვნება.  
 — წმინდა ნინოს ან ღვთისმშობელს.  
 — ღვთისმშობელს. „კვირა“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს...  
 — 7-ს.  
 — ცდებით, საუფლოს ნიშნავს. ინდოეთი, კამბოჯა, ავღანეთი. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან სად არ არის განვითარებული სარკინიგზო ტრანსპორტი?  
 — ავღანეთში.  
 — რა სიტყვები წერია ქართულ გერბზე?  
 — ეს რომ ვერ გიპასუხოთ, დიდი სირცხვილი იქნება (ფიქრობს). ცნობილი ფრაზაა, ხომ?  
 — დიას, ეს ფრაზა ერთ-ერთი იგავ-არაკიდან მოდის.  
 — „ძალა ერთობაშია“.  
 — სად მოხდა იესოს ფერისცვალება — გეთსემანის ბაღში, გოლგოთაზე, კაპერნაუმში თუ თაბორის მთაზე?  
 — თაბორის მთაზე.  
 — რომელია ყველაზე დიდი ზომის, მინანქრის ხატი მსოფლიოში?  
 — ხახულის ღვთისმშობელი.

დიელებს ახალდაარსებული ქალაქი წაართვეს და ახალი იორკი ანუ ნიუ-იორკი უწოდეს.  
 — ყოჩაღ! რა ტიპის მმართველობაა ლისტენ-შტაინში?  
 — კონსტიტუციური მონარქია.  
 — სად მდებარეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდი?  
 — ვაშინგტონში.  
 — დედამიწაზე ორი საოცარი ქალაქია: ერთ-ერთი მათგანი ერთი კონტინენტის 2 სხვადასხვა ნაწილში მდებარეობს, მეორე კი — ორ ნახევარსფეროში; პირველი ყოფილი დედაქალაქია, მეორე კი ახლაც ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქია. რომელია ეს ქალაქები?  
 — საინტერესო და დამაბნეველი კითხვაა. თუ შეგიძლიათ გამიმეორეთ (გამეორების შემდეგ) პირველი — სტამბოლი უნდა იყოს, მეორეს ვერ ვხვდები.  
 — ეს ქალაქი ორ ნახევარსფეროში მდებარეობს. მინიშნებას მოგცემთ: ნულოვან მერიდიანთან კავშირშია.  
 — ლონდონი. ნულოვანი მერიდიანი ლონდონის ობსერვატორიაზე გადის. გამოვიცანი!  
 — ბიჭს ჰყავს იმდენივე და, რამდენიც ძმა, ხოლო მის დას — ორჯერ ნაკლები და ჰყავს, ვიდრე ძმა. რამდენი და და რამდენი ძმა არის მათ ოჯახში?  
 — (ფიქრობს) 4 ძმა და 3 და. ძლივს არ გამოვიანგარიშე (იცინის)?!  
 — მოსწავლეს 4 ფანქარი რომ ეყიდა, 5 თეთრი დარჩებოდა, ხოლო იმავე თანხით 8 ფანქარი რომ ეყიდა, 7 თეთრი დააკლდებოდა. რა თანხა ჰქონდა მოსწავლეს?  
 — ერთი ნუთით, მადროვეთ, გამოვიანგარიშებ (ფიქრობს) 17 თეთრი. სწორად გიპასუხეთ?  
 — დიას. რა ეწოდება სიცოცხლისთვის აუცილებელ, პერიოდულად განმეორებად ფუნქციურ მდგომარეობას, რომელშიც ადამიანი თავისი სიცოცხლის ერთ მესამედს ატარებს?  
 — ძილი.  
 — რომელ პოეტს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები:

„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადია ცელობა,/ ცხვრადვე მამყოფე, უფალო, ოღონდ ამცილდეს მგელო-ბა“.

— ვაჟა-ფშაველას.

— „ენა ძველბერძნებს მოჰპარეს, რჯული — ებრაელებს, სომხებს — ანისი, ბასიანს გალმა ქვეყნები — ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის წაჰგლიჯეს, რადგან ასეთი რამ არ სჭირათ ჯერაც“. ვის გულისხმობდა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ მეფე გიორგი?

— ბიზანტიელებს.

— „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ძალიან ნაცნობია და ვერ ვიხსენებ. (ფიქრობს). მგონი, რაფიელ ერისთავს ეკუთვნის, არა?

— დიას. ის საქართველოდან ბავშვობისას გაიტაცეს და ირანში აღზარდეს. მან ამ ქვეყანაში დიდ წარმატებას მიაღწია. ინგლისელ ძმებ შერლებთან ერთად, ირანში სამხედრო რეფორმების ძირითად გამტარებლად მიიჩნეოდა. ვინ იყო ეს გამაჰმადიანებული ქართველი?

— ეს ამბავი ვიცი, მაგრამ მის მთავარ პერსონაჟს ვერ ვიხსენებ. იგი შაჰ-აბას I-ის თანამედროვე იყო.

— რადგან შაჰ-აბას I ახსენეთ, მის სიტყვებს შეგახსენებთ, რომელიც ამ პიროვნებასთან დაკავშირებით თქვა: „მე მთელი ირანი მემორჩილება, მე ვემორჩილები...“

— ვერა, ხომ გითხარით, ვერ ვიხსენებ.

— „...ალავერდი-ხან უნდი-ლაძეს“. რომელი იმპერატორის დროს გამოცხადდა რომში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?

— კონსტანტინე დიდის.

— 1626 წელს ერთმანეთს 2 ლაშქარი დაუპირისპირდა: ერთს გიორგი სააკაძე მეთაურობდა, მეორეს — თეიმურაზ I. სად გაიმართა ეს ბრძოლა?

— ბაზალეთის ტბასთან.

— დემეტრე I, ერეკლე II, ალექსანდრე I დიდი, თეიმურაზ I. ჩამოთვლილთაგან რომელი ქართველი მეფე არ აღკვეცილა ბერად?

— ერეკლე II.

— რამდენი მარცვალია სიტყვაში „ენციკლოპედია“?

— 6. ენ-ცი-კლო-პე-დი-ა (იციინის).

— რომელ სოფელში ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული პერსონაჟი — ოთარაანთ ქვრივი?

— სამწუხაროდ, ვერც ამ სოფლის სახელს ვიხსენებ.

— ნაბლიანში. რომელი ენიდან თარგმნა სარგის თმოგველმა „ვისრამიანი“?

— სპარსულიდან.

— ამ ორგანიზაციას სიცილიაში „კოზა ნოსტრა“ ჰქვია. როგორ ითარგმნება იგი ქართულად?

— „ჩვენი საქმე“.

— რომელი საერთაშორისო კინოფესტივალის უმაღლესი ჯილდოა „ოქროს პალმის რტო“?

— კანის ფესტივალის.

— რა ჰქვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს?

— ბუნდესტაგი.

— ეს დაავადება „ქათმის სიბრმავის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ავადმყოფი შებინდებისას და ცუდი განათების პირობებში ცუდად ხედავს. რომელი ვიტამინის ნაკლებობა იწვევს ამ დაავადებას?

— A ვიტამინის.

— რა არის „ტანკა“?

— „ტან-კა“? არ ვიცი.

— იაპონური პოეზიის უძველესი ჟანრი. ეს ქანდაკება 1886 წელს საფრანგეთში ფედერიკ მართოლდმა დაამზადა. დღეს ის სხვა ქვეყანაში დგას.

— ეს თავისუფლების ქანდაკება გახლავთ.

— რას ინახავს აქლემი კუზში?

— ამბობენ, წყალს ინახავსო, მაგრამ მე ვიცი, რომ ცხიმს ინახავს.

— მთაწმინდაზე ალექსანდრ გრიბოედოვის საფლავზე გამოსახულია წიგნი, რომელზეც აწერია...

— „ვაი ჭკუისაგან“.

— რას ზომავენ ჰიგრომეტრით?

— (ფიქრობს) თუ შეგიძლიათ, სავარაუდო პასუხე-

ბი მითხარით.

— ოკეანის სიღრმეს, ჰაერის ტენიანობას თუ ჰაერის ტემპერატურას?

— ალბათ, ჰაერის ტენიანობას.

— გამოიცანით. ვინ არის კანადის სახელმწიფოს მეთაური?

— ბრიტანეთის დედოფალი.

— რომელი ციური სხეულის სადიდებელია სვანური სიმღერა „ლილე“?

— მზის.

— ვინ არის ფილმის — „ნათლია“ რეჟისორი?

— ფრენსის ფორდ კოპოლა.

— ამ ტუბის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეა, ნაწილი კი — მის საზღვარს გარეთ.

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ.

— ჯანდარის ტბა. — დაასრულეთ კონფუციის სიტყვები: „საშინელება ის კი არაა, რომ მოგატყუეს ან გაგქურდეს, საშინელე-ბაა ის, რომ...“

— ეს ციტატა ზეპირად არ მახსოვს.

— „...რომ შენ ეს არ გავიწყდება“.



ძალიან ნაცნობია და ვერ ვიხსენებ...

იკუდი +

— ლითოლოგია (ბერძნ.) — გეოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს დანალექ ქანებს, მათ შემადგენლობას, ქიმიურ-ფიზიკური წარმოშობის თვისებებს და ა.შ.

— ქონსერვატიზმი (ლათ.) — ყველაფერი ძველის, დრომოჭმულის დაცვა.

— ქონიქსტურა (ლათ.) — ტექსტის დამახინჯებული ადგილის აღდგენა ან ისეთი ტექსტის გაშიფვრა, რომელიც არ იკითხება.

— ქონტამსტი (ლათ.) — წერილობითი ტექსტის შინაარსობრივად დასრულებული ნაწყვეტი, რომელიც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა.

— ძაბუშტონი (იაპ.) — იატაკზე დასაჯდომი ბრტყელი ბალიში.



დასაწყისი იხ. „გზა“ №23-24

ინგა ჩაყელი

შეხვედრა პარიზთან

ანამ ბალიშები ისე დააწყო, თითქოს კი არ დანვა, ტახტრევანში ჩაჯდაო და ლამის ნათურის სუსტ შუქზე კიდევ უფრო ლამაზი გამოჩნდა.

— როგორც ჩანს, პარიზის ჰაერიც კი სილამაზის წამალია, — ვუთხარი აღფრთოვანებულმა.

— გიგიმაც ეს მითხრა: მილიონი ქალი რომ დაშალონ ნაწილებად, შენს მსგავსს ერთსაც ვერ აანყობენო!

— რასაც გიგიზე ნამდვილად ვერ იტყვი. მას ხომ მიმზიდველი არაფერი აქვს, შენ კი მაინც გიყვარდა!

— შეუძლებელია, სიყვარული უნოდო იმას, რაც ჩემსა და გიგის შორის იყო. მასთან შეხვედრისას ცხოველური ინსტინქტი მმართავდა და მიუხედავად ამისა, ვიცი, მაინც ბევრ ქალს შეშურდება ჩემი, რადგან ზოგს 4-5 შვილი ისე ჰყავს გაჩენილი, სექსისგან სიამოვნება ერთხელაც არ მიუღია; მე კი ვინ იცის, რამდენჯერ „მიფრენია“ გიგისთან ერთად და ამ კაცის გარეგნობა საერთოდ არ მანალვლებდა. სხვათა შორის, დათო რომ არ გამოჩენილიყო, შეიძლება, სიცოცხლის ბოლომდე ვერ გავთავისუფლებულიყავი მისი გავლენისგან, მაგრამ დათო მართლა იდეალი აღმოჩნდა — მისი სხეული და სული ერთნაირად მიზიდავდა... იცი, რას მივხვდი? — მკვდარი კიდევ უფრო შემეყვარდა და შეუძლებელია, ოდესმე ვინმეს სურვილი გამიჩნდეს.

— კაცები ვგრე ადვილად არ დაგანებებენ თავს!

— და როგორ ფიქრობ, კაცები შეძლებენ ჩემს დაჩაგვრას?.. იცი, საფრანგეთში, პარიზის აეროპორტში საოცარი შოკი განვიცადე, ლამის გული

შეხვედრა პარიზთან

დაბრუნება

ნანილი მორა

ნამივიდა.

— რა მოხდა? — მოვემზადე მორიგი უჩვეულო ამბის მოსასმენად.

— ვიცოდი, რომ აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში აუცილებლად დაძვდებოდა ვინმე, ვისაც მასპინძლებთან უნდა მივეყვანე. ცდა არ დამჭირვებია — შევნიშნე ადამიანი, რომელსაც ტრაფარეტი, წარწერით: „ანა ჯაფარიძე, საქართველოდან“, სახის ნაწილს უფარავდა. როცა მივუახლოვდი, ტრაფარეტი დაუშვა და... მუხლები მომეკვეთა, რადგან ჩემ წინ ცოცხალი და უვნებელი დათო იდგა. არ ვიცოდი, რა მეფიქრა. გაოგნებული ვუყურებდი მამაკაცს, რომელმაც ჩემი გაცემა შენიშნა და თითქოს, მომიბოდიშა:

— მე ქართველი ვარ, ირაკლი, დათოს ნახევარძმა... მამატიეთ, არ მეგონა, ასეთი რეაქცია თუ გექნებოდათ. სხვებიც მეუბნებიან, რომ ძმას ძალიან ვგავარ; არადა, დათო ჩემზე ძალიან იყო, შავტუხაც, ლამაზიც...

ვერაფერი ვუთხარი... ბარგი მანქანაში მოვათავსეთ, შემდეგ კი ჩვენც ჩავსხედით.

— პარიზში პირველად ხართ? — მკითხა ირაკლიმ.

— დიას!

— აზრზე მოსასვლელად დრო გჭირდებათ და ცოტას გაგატარებთ...

სანიწალმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ ისეთი დაბნეული ვიყავი, ვერაფერს ვამჩნევდი. რა პარიზი, რის პარიზი, იმწუთას ერთი ფასი ჰქონდა ყველაფერს. ირაკლის არც ეს გამოჰპარვია:

— ახლა მჯერა, რომ მართლა ძალიან გიყვარდათ ჩემი ძმა. მხოლოდ მე ვიცოდი, როგორ ოცნებობდა დიდ სიყვარულზე, ნამდვილი ქართული ოჯახის შექმნაზე და ბევრ შვილზე... ალბათ, ჩვენი ამბავი იცით...

— რა ამბავი? — ვერ მივხვდი უცებ.

— დათომ რომ მამინაცვალი ანუ ჩემი მშობელი მამა მოკლა. ის მაშინ 12 წლის იყო, მე — შვიდის, მაგრამ ყველაფერი მასსოვს... ძალიანაც რომ მიწოდდეს, ვერასოდეს დავივწყებ იმ ჯოჯოხეთს, რომელსაც მამაჩემი გვაცხოვრებდა. დათოს ნამდვილმა მამამ დედა შეაცდინა და ფეხშიძემ მიატოვა. ჩემი ძმა თავისი ცხოვრების არევას მას აბრალებდა და მოკვლით ემუქრებოდა, დედას კი არ უნდოდა, მას კიდევ ერთი ცოდეა დაედო, თუნდაც, უღირსი კაცის მოკვლით და ამიტომაც, მისი ვინაობა სიკვდილმდე არ გაგვიმხილა...

— მამინაცვალმა ასეთი რა გაუკეთა,

რომ 12 წლის ბავშვი აიძულა, მკვლელობა ჩაედინა?

— დათოს ამის შესახებ არაფერი უთქვამს?

— არა!

— ჰოდა, არც მე გეტყვი! ისე, იცოდე, დათოს რომ არ მოეკლა, მე მოვკლავდი იმ პირუტყვს... როცა დათო არასრულწლოვანთა კოლონიაში გამოამწყვდიეს, დედამ ისე ინერვიულა, ტვინში სისხლი ჩაექცა და მას მერე ვერ მოიკეთა. მე ბავშვთა სახლში მოვხვდი. იქაც თავისებური ჯოჯოხეთი იყო. 9 წლის ვიყავი, პირველად რომ გამოვიქეცი — ბავშვთა სახლში ყოფნას ქუჩაში ცხოვრება მერჩინა. ქუჩის კანონი კი ხომ იცი, როგორ იცაა და მალე, მეც არასრულწლოვანთა კოლონიაში მოვხვდი. ესეც ბედნიერებად მივიჩნიე, რადგან იქ ძმა მყავდა... დათოს ავტორიტეტის მოპოვება არც დამანაშავეებს შორის გასჭირვებია — ზედამხედველები და აღმზრდელ-მასწავლებლებიც კი პატივს სცემდნენ. ჩვენ ერთ საწოლში გვეძინა, რადგან თავად ინდომა ასე და ძილის წინ სულ იმაზე მელაპარაკებოდა, რომ სწავლაზე და „დიდკაცობაზე“ უნდა მეფიქრა. მემუქრებოდა, — თუ ქურდობას ისევ გაბუდავ, მოგკლავო! მეც მჯეროდა, რომ ამის მართლა გააკეთებდა... როცა ფული და „კავშირები“ გაუჩნდა, საქართველოდან წამომიყვანა და ჩემს განათლებაში უამრავი ფული დააბანდა. ახლა ეკონომისტი ვარ, პარიზის ერთ-ერთი უდიდესი ბანკის თანამშრომელი, სახლიც მაქვს და ცოლიც მყავს, რომელიც სხვათა შორის, ქართველია. ერთმანეთი ორი წლის წინ, ინტერნეტით გავიცანი და მალე შევეუღლეთ კიდევ. ახლა ორი თვის შვილიც გვყავს, პატარა დათუნა.

— ანა-მარია თქვენთანაა? — ისევ შემეშინდა რალაცის.

— არა, ანა-მარია სხვა ოჯახში იზრდება. ხალხთან, ვისაც დათო საკუთარ ოჯახად მიიჩნევდა. იქ ისეთ ცნობილ პიროვნებას ნახავ, გაგვიკვირდება, მაგრამ... ერთადერთი აკრძალვა სწორედ ზედმეტი კითხვების დასმაა, — მითხრა ირაკლიმ და ცენტრალური გზიდან გადაუხვია. მივხვდი, გარეუბნისკენ ავიღეთ გეზი და სანამ რაიმეს ვიტყოდი, მეგზურმა თავად დააკმაყოფილა ჩემი ცნობისმოყვარეობა: — ეს პარიზის ყველაზე ელიტური უბანია...

კარი მოსამსახურემ გაგიღო. ევა ისე გადაამეხვია, თითქოს, მონატრებული და ან დედა დაენახოს, შემდეგ კი მომახალა:

— ჯანდაბას პარიზიც და რომან-



ტიკაც... ჩემი საქართველო მინდა. სამ-  
შობლო მესიზმრება და მისი მონატრე-  
ბა მაგიჟებს. აუუუ, რა მაფიქრებინებ-  
და, რომ თბილისში ყოფნა და მთანინ-  
დის უბნის იტალიური ეზოები ოცნე-  
ბად მექცეოდა...

ეკა ძალიან ახალგაზრდა რომ იყო,  
ერთი შეხედვითაც ჩანდა:

— 19 წლის ვარ, — მითხრა, როცა  
პირველმა ემოციამ გაგვიარა და სადი-  
ლის შემდეგ ყავის დასალევად ვერან-  
დაზე გადავინაცვლეთ. — დედისერთა  
ვარ, მაგრამ დალბინებულად არასოდეს  
მიცხოვრია. მამას სხვა ოჯახი ჰქონდა.  
პედაგოგი დედა ცდილობდა, ჩემთვის  
არაფერი მოეკლო, მაგრამ... კომპიუტერი  
მამამ და მისმა მეორე ცოლმა მაჩუქეს.  
სხვათა შორის, არც ისაა ცუდი ქალი.  
დედამ ცოტა ხნის წინ აღიარა: მამაშე-  
ნის ოჯახიდან წასვლა ჩემი ბრალია; კაცს  
სხვანაირი მოფერება უნდაო. თუ დამ-  
იჯერებ, დედაჩემი ქმრის მეორე ცოლთან  
მეგობრობს და მას ჩემი ნახევარძმების  
აღზრდაშიც ეხმარება...

— მე ამას ვერ შევძლებდი! — ვუთხ-  
არი გულახდითად.

— ვერც მე. სულ არ ვგავარ დე-  
დაჩემს. ირაკლიმ ჩემგან წასვლა რომ  
იფიქროს, ჯერ მას მოვკლავ, მერე კი  
თავს მოვიკლავ!

— აი, აქ ცდები, ჩემო კარგო. კაცს  
თუ წასვლა უნდა, არ უნდა შეაჩერო,  
თავი არ უნდა დაიმცრო იმისი მტკი-  
ცებით, რომ უიმისოდ არარაობა ხარ!  
ირაკლიმ მითხრა, რომ ერთმანეთი ინ-  
ტერნეტით გაიცანით.

— საძაგელი! იცი, როცა სურათები  
გავცვალებ, ვილაც მახინჯის ფოტოები  
გამომიგზავნა: უსამუველოდ გრძელი ცხ-  
ვირი, „პრიშიკებიანი“ სახე და ელამი  
თვალეები, მაგრამ მე უკვე ისე მიყვარდა,  
მისი გარეგნობა არ მაინტერესებდა.  
ირაკლი ძალიან ჭკვიანი, თბილი, ერთ-  
გული ადამიანი და ამას წერილებიდანაც  
ვგრძნობდი. ჰოდა, იმ სურათის ნახვის  
შემდეგ, მივწერე: ჩემთვის მაინც ულ-  
ამაზესი ხარ და თუ ოდესმე გავთხოვდე-  
ბი, მხოლოდ შენზე-მეთქი!.. ირაკლის  
საქართველოში ჩამოსვლა არ შეეძლო  
და ამიტომაც, დათოს შევხვდი. ის ისე-  
თი ლამაზი იყო, მაშინვე გავიფიქრე:  
როგორ შეიძლება, ამ ანგელოზის ძმა  
მახინჯი იყოს-მეთქი?! დედა ჩემი გათხ-

რეების წინააღმდეგი გახლდათ, რადგან  
ის-ის იყო, 17 წლის ვაჟი. მით უმეტეს,  
ჩემი საქართველოდან წასვლა არ უნ-  
დოდა, მაგრამ დათოს უარი ვერ უთხრა.  
მოკლედ, საჭირო საბუთებიც მახლმა  
გამიშადა და პარიზშიც ჩამომიყვანა...

სხვათა შორის, დათომაც არ იცოდა,  
თუ ირაკლიმ გამაშაყრა და ვილაც მახ-  
ინჯის ფოტო გამომიგზავნა. აეროპორტ-  
ში, ყვავილების თაიგულით მომლოდ-  
ინე საქმროს გულგრილად ჩაუფარე და  
ვილაც სხვას დაუწყო ძებნა. დათომ  
დაუსტვინა:

— ნუ გამაგიჟეთ, ბავშვებო, ნუთუ,  
ერთმანეთს სურათებითაც არ იცნობთ?!

ვერ ვიჯერებდი, რომ ჩემ წინ მდგო-  
მი ულამაზესი ბიჭი ირაკლი იყო. მერე  
ავტირდი და მუშტები დაუშინე: —  
რატომ მომამტყუე-მეთქი?

დათომ ზღაპრული ქორნილი გადა-  
გვიხადა, თავი ნამდვილი პრინცესა მეგ-  
ონა. მან თბილისიდან არა მარტო დედა,  
არამედ ცნობილი მომღერლებიც ჩამო-  
მიყვანა. სხვათა შორის, რამდენიმე მო-  
მღერლის ჩამოსვლა ჩვენი ოჯახის ცნო-  
ბილმა ახლობელმა დააფინანსა! — ეკამ  
ისეთი სახელი მითხრა, უცებ გამოვფხ-  
იზლდი და ვიყვირე:

— არ გამაგიჟო, ეგ ხომ ესპანეთის  
მოქალაქეა და იქ ცხოვრობს?!

— ის ყველგან ცხოვრობს! არ ვიცი,  
მართლა ჩაიდინა თუ არა ის ყველაფერი,  
რასაც აბრალებენ, მაგრამ პირადად მე,  
მასზე კეთილშობილ პიროვნებას არას-  
დროს შევხვედრივარ... სხვათა შორის,  
ქორნილის კასტა სახლში გვაქვს და  
შემიძლია, გიჩვენო...

— დათოცაა ფირზე? — უცებ დამ-  
ავინყდა ყველა და ყველაფერი.

— რატომღაც, დათო კამერას თავს  
არიდებდა, მაგრამ ერთგან ჩანს, როგორ  
აიყვანა მძინარე ანა-მარია (რომელსაც  
სავარძელში ჩაეძინა) ხელში და დარბა-  
ზიდან გაიყვანა...

ალბათ, ათასჯერ მაინც დავატრია-  
ლეთ ის კადრი, სადაც გაღიმებული  
დათო ჩაძინებული შვილისკენ ისრება,  
ფრთხილად აჰყავს და შუბლზე კოც-  
ნის... თვალეები ცრემლებით მაქვს სავსე  
და სინანულმა ლამის გული გამიხეთქოს.  
ეკას ვებრალებდი და მეხვევა. თავზე მეფ-  
ერება და ჩემთან ერთად ტირის. ირაკ-  
ლი შემოგვესწრო. არც მას უცდია ცრემ-  
ლის დამალვა, მერე კი მოვიდა და გა-

დამეხვია:

— ვერ წარმოიდგენ, როგორი მად-  
ლიერი ვარ ამ ცრემლებისთვის, ამ სიყ-  
ვარულისთვის... დათო უზარმაზარი  
ბედნიერების ღირსი იყო. იცი,  
საქართველოში ერთი ეკლესია მისი  
ფულით აიგო, სანაცვლოდ კი მოძღ-  
ვარს ერთი პირობა წაუყენა — მისი  
სულისთვის ყოველკვირეულად ელოცა...

იმ ღამით დათოს საძინებელში დან-  
ოლის ნება დამრთეს. ირაკლიმ მითხრა:  
— აქ ყველაფერი ისეა, როგორც  
დათოს სიცოცხლეში...

ოთახში უამრავი სათამაშო იყო და  
გამიკვირდა:

— ეს ანა-მარიასია. შვილს არაფერს  
უშლიდა!

— ანა-მარიას ნამდვილი დედა ვინ  
იყო? ბავშვზე პრეტენზია რომ განაცხა-  
დოს?

— ის არც ქართველია და არც —  
ფრანგი. დათომ ესპანეთში გაიცნო. ბავშ-  
ვის გაჩენას მხოლოდ იმიტომ აპირებ-  
და, რომ მდიდარი ოჯახისთვის მიეყი-  
და და იმ ფულით ცხოვრება აეწყო.  
დათომ მისი ფეხძიმობისა და განზრახ-  
ვის შესახებ შემთხვევით შეიტყო... მათ  
შორის სიყვარული არ ყოფილა. იცი,  
ისეთი ეგზოტიკური ტიპი ყოფილა, სა-  
წლოში უკეთესს რომ ვერ ინატრებს  
კაცი...

— ირაკლი! — გაიბუხა ეკა.

— ჰო, კაი... აბა, სხვანაირად როგორ  
ვთქვა, რომ ჩემი ძმა მასთან მხოლოდ  
ერთობოდა და ბიოლოგიურ მოთხოვ-  
ნილებას იკმაყოფილებდა?! მოკლედ,  
დათომ იმ ქალს ლამის მილიონი გადა-  
უხადა, ბრაზილიაში ბედნიერ-კმაყოფილი  
გამგზავრა, ბავშვი კი თავად წამოიყვან-  
ა და იმ ახლობლების ოჯახს ანდო,  
სადაც მისი თანატოლები იზრდებიან.  
ჰო, ძიძაც კარგი შეურჩია. შეიძლება,  
ჟანეტი ჩვენი დათუნასთვისაც დავი-  
ქირაოთ, როცა ანა-მარიას საქართველო-  
ში წაიყვან. ისე, არ ვიცი, როგორ გა-  
ძლებენ უერთმანეთოდ.

— აბა, რა ვქნა? — ავიჩიქე მხრები.  
— მე აქ ვერ დავრჩები და თუ უნდა,  
ჟანეტს წავიყვან საქართველოში.

— არა მგონია, მან საფრანგეთის  
სამუდამოდ დატოვება ისურვოს. აქ  
მოხუცი დედა, დები და სხვა ნათესავე-  
ბიც ჰყავს...

იმწუთას ჟანეტზე ფიქრი ყველაზე  
ნაკლებად შემეძლო. დათოს საძინებელ-  
ში მარტო დარჩენილი მის საწოლს, ბა-  
ლიშებს ჩავეხუტე და მწარედ ავტირ-  
დი... უცნაური რალაც დამემართა —  
თითქოს, ფიზიკურად ვგრძნობდი და-  
თოს და მისი სიახლოვე ისე მენატრე-  
ბოდა, რომ კარგა ხანს ვერ დავიძინე.  
მერე კი დამესიზმრა: დათო გიჟურად  
მეფერებოდა და დაუსრულებლად მიმ-  
ეორებდა, — ახლა ჩემი ხარ, ჩემი და  
შენში ვერავინ შემეცილება, ვეღარავინ  
დაგვაშორებს ერთმანეთს!

— შენი ვარ, შენი ვარ, შენი ვარ! —  
კვწნესოდი მეც...

## ჩვენი მკითხველი

**„გამარჯობა. მე „გზის“ მუდმივი მკითხველი ვარ და მაინტერესებს,  
„მოზილო-ზაციაში“ როგორ ჩავერთო? მინდა, ერთ მამაკაცს დავუკავ-  
შირდე და ვერ ვხვდები, როგორ? გთხოვთ, ამ კითხვაზე მიპასუხოთ.  
P.S. მას არც ნომერი აქვს მითითებული“.**


— იმისათვის, რომ სასურველი ნომერი  
გაიგოთ, მოზილოური ტელეფონის „სემეს“-  
ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GULI  
გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი,  
შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე,  
მესიხის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე  
8884. ამის შემდეგ თქვენ ავტომატურად მი-  
იღებთ სასურველ ნომერს.



ინფორმაციულ-მედიის სექტორში

ეონი ღვალის უბის წიგნაკრები:

1. კონსომე ერთგვარი ბულიონია.
2. „კურტიე“ და „მაკლერი“ სინონიმებია.
3. ამურის ვეფხვი სამას კილოგრამამდე იწონის.
4. რომაელები ათასს, ასო M-ით აღნიშნავდნენ.
5. გასანვე კარს იაპონურ სახლებში ფუსუმა ჰქვია.
6. ლასტი — გემის ტვირთის წონის საზომი ერთეულია.
7. თალია კომედის მუზა იყო ბერძნულ მითოლოგიაში.
8. მედუზები დედამიწაზე 650 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ.
9. ავიამზიდი „რონალდ რეიგანი“ ყველაზე დიდი გემია მსოფლიოში.
10. ამერიკელმა ასტრონავტებმა მთვარიდან 22 კილოგრამი გრუნტი ჩამოიტანეს.
11. ძუძუმწოვართა შორის, ადამიანს ყველაზე მცირე მოცულობის ფილტვები აქვს.
12. ვასილ მუჟანაძე 19 წლის მანძილზე იყო საქართველოს კომპარტიის ცკვას პირველი მდივანი.
13. ჰავაის კუნძულებს უფრო ხშირად ატყდება ცუნამი, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილს დედამიწაზე.
14. მანგროს დატბორილ ტყეებში მობინადრე კიბორჩხალა-ალპინისტები ხეებზე დაცოცავენ და ფოთლებით იკვებებიან.
15. მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარე, როირივერი ამერიკაში, შტატ მონტანაში ჩამოედინება. მისი სიგრძე 61 მეტრია.



16. „ია ნე ზნალ ეტა რანშე, მნე აზიასნილ სუდია, ჟელანიე ჟენ-შჩინი — ზაკონ, ჟელანიე მუჟჩინი — სტატია“, — ამბობს იან არლაზაროვი.

17. დოდო აბაშიძეს უზარმაზარი კაცასიური ნაგავი ჰყავდა, სახელად ჯო. ეს ძალღლი მძარცველებმა მოუკლეს, რის გამოც მსახიობი ძალიან დარდობდა.

18. ის, რომ ჩასუნთქვისას ჟანგბადი შთანთქმება და ამოსუნთქვისას ნახშირორჟანგი გამოიყოფა, ფრანგი ქიმიკოსის, ანტუან ლავუაზიეს მიერაა დადგენილი.

19. გენერალი რობერტ ედვარდ ლი, რომელიც ამერიკის სამოქალაქო ომში სამხრეთელთა არმიას სარდლობდა, მოხუცებულობაში გულის შეტევით გარდაიცვალა.

20. ინგლისის მიერ გატარებული პოლიტიკის გამო, ჯონ ლენონმა გაერთიანებული სამეფოს დედოფალს პროტესტის ნიშნად, უკან დაუბრუნა ბრიტანეთის იმ-

„მან თმა საქუთარი სდით ღურა-ღურა დაიხადა“



როგორ ახასიათებს ზურაბ ტყემალაძეს უფროსი ძმა

„ჩვენ შორის ყურადღებთან ის უფროა“, — გვითხრა „მრეწველთა პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ ტყემალაძის ძმამ, ვაჟრამ ტყემალაძემ. მისგან ისიც შევიტყვევთ, რომ თურმე ბატონ ზურაბს ბავშვობიდან არ ჰყვარებია წაგება...

ვაჟ მინდა

— ზურაზე სამი წლით უფროსი გახლავართ. ამიტომ, შესანიშნავად მახსოვს მისი ბავშვობა. ის ძალიან ცელქი, ჭიჭყინა, პრინციპული და ჯიუტი ბავშვი იყო. ამა თუ იმ საკითხში მისი დარწმუნება ძნელი იყო, სანამ საკუთარ სიმართლეს სათანადოდ არ დაუმტკიცებდი. გარდა ამისა, წაგება არ უყვარდა (სხვათა შორის, წაგება არც მის შვილებს და შვილიშვილებს უყვართ. ალბათ, ეს თვისება ზურასგან გამოჰყვამთ) (იციანის).

— როგორ, არასოდეს გიჩხუბიათ?

— ვერ ვიხსენებ, თორემ, ალბათ, არც უმაგისობა იქნებოდა...

— რომელი თამაში გიყვარდათ ყველაზე მეტად?

— ჩვენი საყვარელი თამაში, რა თქმა უნდა, ფეხბურთი იყო. მასზე ორივე ვგიჟდებოდით.

— თქვენ შორის რომელი უფრო ბეჯითი იყო?

— ბეჯითი მე ვიყავი. ზურა ნიჭიერი ბიჭი იყო. სხვათა შორის, შატალოზე სიარული მას ჩემზე მეტად უყვარდა.

— როგორც უფროს ძმას თუ გიმეცადინებთ ბატონი ზურა?


— რა თქმა უნდა. მე მას ძირითადად, ქიმიკაში ვამეცადინებდი ხოლმე. ის კი ამ პროცესს საშინლად ვერ იტანდა, რადგანაც მის მიმართ სიმკაცრეს ვიჩენდი (იციანის). სწავლების დროს ერთისა და იმავეს გამეორება არ მიყვარდა. ერთხელ რომ ავუხსნიდი და ვერ გაიგებდა, ძალიან ვბრაზდებოდი. სხვათა შორის, ეს თვისება დღემდე გამომყვა.

— ბავშვობაში ბევრი ბიჭი ოცნებობს, რომ მფრინავი, ფეხბურთელი, მესხანძრე ან პრეზიდენტი გამოვიდეს. ბატონ ზურას რა ოცნება ჰქონდა?

— პრეზიდენტობა არა, მაგრამ ადვოკატობა ნამდვილად უნდოდა. ჩვენი ბაბუის ძმა ცნობილი ადვოკატი იყო და ალბათ, ამან იქონია ზურაზე გავლენა. მიუხედავად ამისა, მომავალში მან სრულიად განსხვავებული პროფესია, მეღვინეობა აირჩია.

— ბატონო გურამ, თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?

— პროფესიით ქიმიკოსი ვარ; ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ზოოვეტერინარული აკადემიის კათედრის გამგე. ვმუშაობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში. გამოქვეყნებული მაქვს 100-ზე მეტი ნაშრომი და სამი სახელმძღვანელო.



გურამ ტყემალაძე

ამჟამად ახალ სახელმძღვანელოზე მუშაობას ვასრულებ.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ არაერთი სიმღერის ტექსტის ავტორიც ბრძანდებით, ასეა?

— დიახ. ლექსების წერა, საკმაოდ გვიან დავიწყე, თუმცა ლექსების წერის პროცესი ჩემთვის მეტად სასიამოვნოა. 100-ზე მეტი სიმღერის ტექსტის ავტორი ვარ. ჩემს სიმღერებს ასრულებენ: მერაბ სეფაშვილი, ეთერ კაკულია, ნუკრი კაპანაძე, ეკა კვალიაშვილი, კიდევ ბევრი სხვა მომღერალი.

— ბატონო ზურას, თუ ეხერხება ლექსების წერა?

— ჯერჯერობით მისთვის ასეთი ნიჭი არ შემიმჩნევია (იციან).

— დედამამიშვილები ერთმანეთისგან ხასიათით განსხვავდებით?

— დიახ. ზურა უფრო მომთმენი და დამთობია. მე მოსმენის უნარი ნაკლებად მაქვს. ჩვენ ერთმანეთს მს-

— ზურა. თქმაც არ მჭირდება, თვითონ მატყობს სახეზე, როცა რაღაც მიჭირს. ფინანსურად ყოველგვარი თხოვნის გარეშეც მეხმარება.

— გატყობთ, რომ ძმები ერთმანეთის მეგობრებიც ხართ, ასეა?

— მართალია, ჩვენ მეგობრები უფრო ვართ, ვიდრე დედამამიშვილები. ყველა მისი მეგობარი ჩემი მეგობარია, ჩემი კი — მისი.

— ალბათ, ერთმანეთის მესაიდუმლებიც ხართ?

— კი, მაგრამ მასთან მე უფრო გულახდილი ვიყავი, ვიდრე ზურა. მასთან არასოდეს არაფერი მქონია დასამალი. ის უფრო გულჩათხრობილია. მაგალითად, ცოლის შერთვა ისე გადაწყვიტა, არაფერი ვიცოდი, რომ გაიპარნენ, მერე გავიგე. რა უნდა მეთქვა? ალბათ, მომავალი რძალი რომ არ მომწონებოდა, ვუსაყვედურებდი, მაგრამ როცა მოგწონს, ძნელია რაიმის თქმა. მთავარია, კარგი ადამიანი მოიყვანა და რა მნიშვნელობა აქვს, მე მკითხა თუ — არა.

— ბატონო გურამ, პოლიტიკაზე თუ კმათობით სოღმე?

— არა, რას ამბობთ, ამაზე როგორ უნდა ვიკამათოთ?! მან ხომ ჩემზე უკეთ იცის ეს საქმე. ის ნამდვილი პოლიტიკოსია! რაც არ უნდა გაცხარდეს, ნონასწორობას არ დაკარგავს. არ მახსოვს, ვინმე დაუმსახურებლად გავკრიტიკებინოს. უყვარს ხალხი და ცდილობს, მათი გასაჭირი ხელისუფლებამდე მიიტანოს. არის ყოველთვის ობიექტური და განონასწორებული. მისი გამოსვლა პარლამენტში თუ ტელევიზიით ყოველთვის დამაჯერებელი და დასაბუთებულია. ასე რომ, პოლიტიკა მისი საქმეა და არა — ჩემი (იციან).

— გაგაცანით თქვენი ოჯახი?

— მყავს ქალ-ვაჟი და ორი შვილი-იშვილი. სამწუხაროდ, მეუღლე გარდამეცვალა.

— როგორი მამა და ბიძაა ბატონო ზურა?

— ძალიან კარგი. განსაკუთრებით შვილიშვილებზეა გადამკვდარი. ბიძა კიდევ უფრო უკეთესია. ჩემი შვილები უფრო მეტ საერთოს ნახულობენ ზურასთან, ვიდრე — ჩემთან.

— სულ ბოლოს, ყურნალის საშუალებით თქვენს ძმას რა მესიჯს გაუგზავნი?

— ზურა, ნუ ლელავ! ყველაფერი კარგად იქნება.



ძმები გყვამალაძეები

ზურამე სამი წლით უფროსი გახლავართ

ოლოდ ოჯახის სიყვარულსა და ერთგულებაში ვგავართ, სხვა დანარჩენ საკითხში — ნაკლებად. მაგალითად, მას შეუძლია საცვი და ნაპოლეონი ერთად ჭამოს, მე კი — არა (იციან).

— იქნებ გაიხსენოთ ჩვევა, რომელიც თქვენს ძმას ბავშვობიდან გამოჰყვა?


— ზურას ბავშვობიდან უყვარდა თმის წინწა. ამ ბოლო დროს გადაეჩვია, ალბათ იმიტომ, რომ თავზე თმა აღარ შერჩა (იციან).

— საუბრიდან ჩანს, რომ კარგი ძმობა გაქვთ, ასეა?

— რა თქმა უნდა. ჩვენ საუკეთესო ძმობა გვაქვს. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, დიდი ხნის განმავლობაში, მე და ზურა ჩვენი ოჯახებით ერთ ბინაში ვცხოვრობდით. ბუნებრივია, ჩვენ ერთი სურვილი, ერთი ტკივილი და სიხარული გვქონდა. უკეთეს ძმას როგორც ზურაა, კაცი მართლა ვერ ინატრებს. ის ჩემი გაჭირვების ტალ-კვესია.

— რომელი უფრო ყურადღებიანი ხართ?

ინფორმაციულ-ჟეპეხეპიტი კოლაჟი



ეორის ორდენი.

21. გადასახლებიდან გამოქცეული ანარქისტი კრაპოტკინი მდინარე ამურს ღამ-ღამობით ნავით მიუყვებოდა. უკუნეთ სიბნელეში იგი დროდადრო ძალღვივით ყეფდა, რათა გაეგო, სადმე ახლომასლო დასახლებული პუნქტი თუ იყო.

22. 1932 წელს ლოს-ანჯელესში ჩატარებული ოლიმპიური თამაშების დროს ამერიკელები ძალაუფლებურად თვალს ხუჭავდნენ კანონდარღვევაზე, რომელსაც სისტემატურად სჩადიოდნენ ევროპელი სპორტსმენები. ეს უკანასკნელი არად დაგიდევდნენ ამერიკაში შემოღებულ მშრალ კანონს.

23. მხატვრული ფილმის, „მიმინოს“ ეპიზოდი, სადაც ვალიკო მიზანდარი ტელეფონით ქართველ ებრაელ ისაკას ელაპარაკება, დასავლეთ ბერლინში მდებარე ჰიუმარკეტ „ევროპაცენტრში“ გადაღებული. ეს სავაჭრი ცენტრი აეროპორტის სიახლოვეს მდებარეობს. ალბათ გახსოვთ დიალოგი: „სიადიტიე ნა ტაკსი, სკაჟიტე: „ევროპაცენტრ“, სიადიტიე აბრატნა — სკაჟიტე: „აეროპორტ“. ნე სლოჟნო“, „— ა ტაკსი დოროგო სტოიტე?“, „— და ნეტ, ტუტ რიადომ“. მწვანე ნიანგის ყიდვისა და ისაკასთან საუბრის შემდეგ კი მთავარი გმირი ფეხით ბრუნდება აეროპორტში: რაც ფული ჰქონდა, მან სატელეფონო საუბარში გადაიხადა.

24. ლონდონში ღამღამობით მოქმედებენ მეზალე-პარტიზანები, რომლებიც ფარულად რგავენ ხეებს, დეკორატიულ ბუჩქებსა და ყვავილებს. მიუხედავად კეთილშობილური ზრახვებისა, მათ ქმედებს კანონი ხულიგნობად აფასებს, რადგან მიწა, სადაც ისინი მცენარეებს რგავენ, მათ საკუთრებას არ წარმოადგენს.

25. გურქუშებმა, ნეპალელმა მთიელებმა, რომლებიც ოდითგანვე მსახურობდნენ ინგლისის არმიაში, თავიანთი მამაცობით ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გაითქვეს სახელი. ერთხელ მათი კორპუსი ტყვედ ჩაუყვარდა იაპონელებს და ინგლისელთათვის მიცემული ფიცი რომ არ გაეტეხათ, გურქუშებმა ხმლებით დააჭრეს თავები ერთმანეთს. ნეპალელი მთიელები ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომშიც ინგლისელთა მხარდამხარ იბრძოდნენ. არგენტინელებს შიშის ზარს სცემდა მათი მოლუნული ხმლების ელვარება, რომლებსაც გურქუშები ქარქაშში მანამ არ აგებდნენ, სანამ მტრის სისხლით არ შეღებავდნენ. გურქუშებთან შეტაკების შიშით, ფოლკლენდის ომის დროს არგენტინელებმა რამდენიმე სიმაღლე უბრძოლველად მიატოვეს და გაიქცნენ.



# მოსისლე მტრებად ქაული ელბაიშვილები

ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო, — უთქვამთ, მაგრამ ყოველთვის როდი ამართლებს ეს ხალხური ჭეშმარიტება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დედამამიშვილები ერთმანეთის მოსისხლე მტრები ხდებიან და საკუთარ სისხლსა და ხორცს სასიკვდილოდაც კი იმეტებენ...



„ქმის გვლელის შვილს იანლიყი ათელი სხოვიაჯა თან გვლევს...“

## ება ტუხიაშვილი

როლანდი, 65 წლის:

— პატარა ვიყავი, როცა დედა გარდაემეცვალა. მამამ მეორე ცოლი შეირთო და შვილებისთვის თითქმის აღარ ეცალა. ჩემზე მზრუნველობა უფროსმა ძმამ იტვირთა და როგორც შეეძლო, მშობლების მაგივრობას მინეწდა: სკოლაში დავყავდი, გაკვეთილების მომზადებაში მეხმარებოდა, მაჭმევდა და მირეცხავდა კიდევ. თემური ბავშვობიდან ნიჭიერი, ბეჯითი იყო და სკოლის დამთავრებისთანავე უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა. როგორც კი 18 წელი შემისრულდა, ჯარში, რუსეთში მიკრეს თავი. თვე არ გავიდოდა, თემურისგან წერილი რომ არ მიმეღო: როგორ ხარ, ჩემო პატარა ძამიკო, ხომ არაფერი გიჭირსო? და მეც, თემურს ჯარიდან იმას ვწერდი, რასაც პირისპირ ვერასდროს ვეტყვოდი: შენ ხარ ჩემთვის დედაც, მამაც და სიკეთეს არასდროს დაგივიწყებ-მეთქი. ჯარში ორი წელი ვიმსახურე, შემდეგ კი შესაძლებლობა მომეცა, სამშუალო პროფესიული განათლება მიმეღო და ამიტომაც, რუსეთში კიდევ ორი წელი დავყავი. როცა საქართველოში დაებრუნდი, ჩემს ძმას უკვე ოჯახი, მაღალი თანამდებობა და მყარი მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა. მასხოვს, გულში ჩამისუტა, ამათვალე-ჩამათვალე, ცოლს რაღაც შეკვრა გადაუგდო და უთხრა: ებრაელებთან წაიყვანე და ისე ჩააცვი, როგორც ჩემს ძმას შეეფერებაო. როდესაც დავინახე, რომ რძალმა ჩემს „დუბლიონკაში“ რამდენიმე ათასი მანეთი გადაიხადა, შოკში ჩავვარდი. ჯარიდან ჩამოსულს, სულის მოთქმაც არ მაცალეს, შემინდნენ: ცოლი უნდა შეგართოთ და მშვენიერი შესახედაობის, კარგი ოჯახიშვილი გამირიგეს და გრანდიოზული ქორწილიც გადამიხადეს. მაგრამ ჩემი ძმის მზრუნველობა ამით არ ამოწურულა: სახლიც ამიშენა და სრული კომფორტისთვის მანქანაც მიყიდა.

რატომღაც, უმცროსი და უმწეო ძმის როლში ყოფნა მომბეზრდა და გადაწყვიტე, სადმე მუშაობა დამენყო. იმ დროისთვის თემური ერთ-ერთ სახელმწიფო უწყებას ხელმძღვანელობდა და რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დახმარება მას ვთხოვე. შევატყვე, არ ესმოვნა და თავი იმართლა: მტრების ყბაში ნუ ჩამაგდებ, ჩემს რეპუტაციას ნურავის გაასვრევენებ; იტყვიან, — თემურ ალექსანდროვიჩმა სახელმწიფო უწყება ოჯახურ კლანად აქციაო. მიუხედავად ამისა, ჩემმა ჭკვიანმა ძმამ გამოსავალი მაღე იპოვა და იმ უწყებაში, სადაც თვითონ პირველი პირი იყო, დარაჯად დამნიშნა. ამ „საპატიო“ თანამდებობაზე სამი თვე ვიმუშავე, შემდეგ კი ხალხის ქილიკსა და მითქმამოთქმას ვერ გაუძელი და სამსახურიდან წამოვედი. ძმა გამიჯავრდა: თუ გინდა, რაიმეს მიაღწიო, ნულიდან უნდა დაიწყო. არ იფიქროთ, რომ დარაჯად მუშაობას ვთაკილობდი, უბრალოდ, ქართული ხასიათისთვის უცხო და შეიძლება, მიუღებელიცაა, როდესაც ერთი ძმა დანესებულების ხელმძღვანელია, მეორე — ღამის დარაჯი.

— თქვენ შორის პირველი კონფლიქტს სწორედ მაშინ მოხდა?

— არა, მაშინ ჩემი ძმა მხოლოდ სიტყვიერი საყვედურით შემოიფარგლა და გზა დამილოცა: ღირსეული სამსახური თავად მოძებნეო. გარკვეული ხნის შემდეგ, საბინაო კოოპერატივში თავმჯდომარედ დავინიშნე მუშაობა. რამდენიმე თვეში კი ხელმძღვანელობამ ჩემი დანიშნაობა გადაწყვიტა და მაშინდელმა რაიკომის მდივანმა კაბინეტში დამიბარა. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მკითხა: თემურ ალექსანდროვიჩის ვინ ხარო? და მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ერთ-ერთი გავლენიანი კომუნისტის ძმა ვიყავი, შეფიქრიანდა,

მერე ბოდიში მომიხადა, — ცოტა ხნით უნდა დაგტოვო და კაბინეტიდან გავიდა. მაშინვე მივხვდი, ის ჩემს ძმასთან აპირებდა დარეკვას. ცდუნებამ ძლია და პარალელური ტელეფონი ავიღე. არ შევცდარვარ, ყურმილში ძმის ხმა ვიციანი. თემური მშვიდად ისმენდა ჩემს ქება-დიდებას, ხოლო როდესაც მისმა კოლეგამ ლაპარაკი ჩემს დანიშნაობაზე ჩამოაგდო, სულ ორი სიტყვა თქვა: არ გამოგადგებათო. ჩვენ შორის უთანხმოება სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. დედამამიშვილები ერთმანეთის მოსისხლე მტრებად ვიქცით. ოც წელზე მეტია, რაც ჩემთვის თემური მოკვდა. ამ ხნის განმავლობაში, ურთიერთს ბევრი შეურაცხყოფა მივაყენეთ: ჯერ იყო და სახლში მომივარდა, თავისი ნაჩუქარი ავტომობილის ნაყვანა უნდოდა. მე-ზობლები რომ არა, დღეს ციხეში ვიჯდებოდი, ის კი მკვდარი იქნებოდა. მერე, ჩამისაფრდა და სასიკვდილოდ თავად გამიმეტა — რკინის ჯოხით თავი გამიპო და თვეზე მეტი საავადმყოფოში, ტვინის შერყევის დიაგნოზით გავატარე. ვინ მოთვლის, რამდენჯერ დამემუქრა: შვილებს ამოგიხოცავო და არც მე დავრჩენილვარ ვალში. ამასობაში სიბერეც შემოგვეპარა, ორივე ბაბუა გავხდით და მართალია, მისგან გაპოხილი თავი შემეხორცდა, მაგრამ გულის იარა — არა. ცოტა ხნის წინ, მას თავს დიდი ტრაგედია დაატყდა — ერთადერთი ვაჟი დაკარგა, მაგრამ არც ამის შემდეგ შევურიგდი.

— ნუთუ, თქვენი ძმის მიმართ სიყვარული საერთოდ არ შეგრჩათ?

— გამოგიტყდებით, ასე ცხოვრება ძალიან მიმძიმდა. ქუჩაში, ერთმანეთს პირისპირ ბევრჯერ შევხვედრივართ და ამ დროს, სახეზე ორივეს ზიზლი გვექონდა ალბეჭდილი. ამიტომაც, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გადაწყვიტე და



ახლა, ჩვენი შეხვედრის შესაძლებლობაც არ არსებობს. ასე რომ არ მოვეცულოყავი, ერთმანეთს დიდი ხნის წინ დაჯიჯივადით. არ იფიქროთ, რომ სინდისი მქენჯნის; პირობით, ჩემი ძმის მიმართ სიძულვილი მცირედითაც არ განწელებია. ერთადერთი, ვის წინაშეც თავს დამანაშავედ ვგრძნობ, დედაჩემის სულია. ბოლო დროს, მას სიზმარში ხშირად ვხედავ: შორს დგას, ახლოს არ მოდის და არ მეფერება ისე, როგორც ბავშვობისას. უბრალოდ, დგას, მიყურებს და ტირის. ალბათ, გრძნობს, რომ მისი შვილები ერთმანეთის მოსისხლე მტრებად იქცნენ.

**პატონი ოთარე, 78 წლის:**

— შეგიძლია დედამამიშვილი ვიყავით: სამი და და ოთხი ძმა. პატარა ძმა ერთი წლისაც არ იქნებოდა, როდესაც მამიდაჩემის უყურადღებობის გამო დაიღუპა — აკვანში მწოლიარეს სათამაშოდ ბუჭედი მისცა, რომელიც ბავშვმა პირში ჩაიდო და როგორც დედა ჰყვებოდა: სასულღეზე დაეცო. იმ წელს იმერეთში საოცრად თოვლიანი ზამთარი ყოფილა. ჩვენი სოფლის კაცები, ბავშვით ხელში, რიგრიგობით იკვლევდნენ თურმე თოვლში გზას, მაგრამ რაიონამდევ ვერ ჩაუსწრიათ, ბავშვი გზაშივე გარდაცვლილა. შვილმკვდარმა დედამ დანარჩენებს სიტბო და სიყვარული არ მოგვაკლო. მახსოვს, ბუხართან შეკრებილებს სულ იმას გვეუბნებოდა: ამქვეყნად შვილებზე დიდი სიმდიდრე არ არსებობს. დღესაც რომ მოვკვდე, არ ვდარდობ, რადგან ვიცი, ერთმანეთს ჭირშიც და ლხინშიც გაიტანთო. ყველა ჩვენგანის დაოჯახებას დედა ვერ მოესწრო. მისმა გარდაცვალებამ დაძმები კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ერთმანეთის დახმარებით და გვერდში დგომით, ყველამ ვიქორწინეთ, ჩვენ-ჩვენი ბუდე მოვიწყვეთ. ერთადერთი, რაც გულს გვტკვენდა, ის იყო, რომ მამაპაპისეულ სახლ-კარში არც ერთი ჩვენგანი არ დასახლდა და სახლი, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, პარტახდებოდა. ერთხელ, როდესაც ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი, ჩემმა უფროსმა დამ შემოგვბედა: თუ სანინაალმდეგო არაფერი გაქვთ, ეგ სახლი მე მომეცით, ვუპატრონებ და სიბერის წლებსაც იქ გავატარებო. უარს ვინ ეტყობა?! მალე, ჩემმა დამ და სიძემ ძველებური ოდა მშვენიერ აგარაკად აქციეს. არ ვიცი, ამ ამბის შემდეგ ჩემს ცოლს რა დაემართა, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა: კანონით შენ გეკუთვნის და საგვარეულო სახლს სხვა გვარის კაცს რატომ უთმობო?! ისე „ამლესა“, რომ კაცს ჭკუა დამაკარგვინა, ჩემს დას და სიძეს მივუვარდი, სახლის ახალგადახურული სახურავი სულ ნაჯახით დაფუმტვრიე და ჩემი დის მოსაკლავადაც გავინიე. მტყუნმართლის ძიებაში, კონფლიქტი კიდევ უფრო გაღვივდა და ოდესღაც მოსიყვარულე და-ძმა მხოლოდ იმაზე

ვეფიქრობდით, ერთმანეთისთვის რა დაგვეშავებინა. აღარც ჩვენი შვილები ურთიერთობდნენ. ჩემმა დამ მამაპაპისეულ სახლზე უარი თქვა და მას შემდეგ, სოფელში აღარც ჩასულა. არც მე მიმიხედავს იმ სახლისკენ ან კი რა ნამუსით უნდა შევდგა იქ ფეხი? ამ რამდენიმე წლის წინ, ჩემი და მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, მასთან დალაპარაკება და დამშვიდობება ვერ მოვასწარი...

**ნინო, 20 წლის:**

— მეცხრე კლასში ვიყავი, როდესაც პირველად შემიყვარდა და დარწმუნებული გახლდით, რომ ეს სიყვარული ჩემი ცხოვრების მეგზური იქნებოდა. დათო ჩემზე ორი წლით უფროსი იყო. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და გრძნობების გამომჟღავნებას არ ვერიდებოდით. დათომ თავისი ოჯახის წევრები გამაცნო. მათ თბილად მიმიღეს და მითხრეს, რომ ჩვენი ურთიერთობის სანინაალმდეგო არაფერი ჰქონდათ; მხოლოდ ერთს გვთხოვდნენ: სკოლა დამემთავრებინა და ოჯახის შექმნაზე მერე გვეფიქრა... დათოს დედაჩემი და უფროსი და — ნათია გავაცანი (პატარები ვიყავით, როდესაც მამა სამუშაოდ რუსეთში წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა). დედას დათო ძალიან მოეწონა და მას ნათიაც მალევე დაუმეგობრდა. ბავშვობიდან ვცეკვავ და იმ პერიოდში ერთ-ერთი ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი ვიყავი. ერთხელაც ბულგარეთში, ოლიმპიადაზე მივემგზავრებოდით. დათოსთან რამდენიმე კვირით განშორება ძალიან მიჭირდა, მაგრამ ვერც უცხო ქვეყანაში მოგზაურობაზე ვიტყობდი უარს... დედამ, ჩემმა დამ და დათომ გამაცილეს. უკანასკნელად სწორედ მაშინ ვნახე ნათია


და ახლა უკვე ჩემი სიძე — დათო. ზუსტად არ ვიცი, ჩემი არყოფნის პერიოდში რა მოხდა, მაგრამ როცა თბილისში დავბრუნდი, თავზარდამცემი ამბავი შევიტყვე — ნათია და დათო გაპარულან. მათ შესახებ ბევრი მითქმა-მოთქმა და ჭორი მოვისმინე: ზოგი ამბობდა, — დათო ნასვამი იყო და შეცდა, ნათიასთან სექსი ჰქონდა და პასუხისმგებლობას არ გავეცაო; ზოგმა თქვა: გოგომ თავბრუ დაახვია და ჭკუიდან გადაიყვანაო! მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი დის ლალატმა ლოგინად ჩამაგდო და სიკვდილს ორი კვირის განმავლობაში ვებრძოდი. ფეხზე მხოლოდ შურისძიების წყურვილმა წამომაყენა. მას შემდეგ, სამი წელი გავიდა, მაგრამ ტკივილი ჯერაც არ გამინელებია. ახლა, დათო, ნათია და მათი შვილი გერმანიაში ცხოვრობენ. როგორც გავიგე, საბუთებთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ და ახლო მომავალში საქართველოში აპირებენ ჩამოსვლას. მოკლედ, ჩემი დროც დადგა — ნათიას სამაგიეროს აუცილებლად გადავუხდი! თქვენ კი მხოლოდ ერთს გეტყვით: ცოტა ხნის წინ, მე და დათომ ერთმანეთი ერთ-ერთი საიტის საშუალებით ვიპოვეთ და დღე არ გავა, ინტერნეტით არ ვილაპარაკოთ.

**ვაჟა, 46 წლის:**

— ჩვენს ოჯახს ძმის ხელით ძმისავე დაღვრილი სისხლი მძიმე ცოდვად აწევს. მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როდესაც მამაჩემს და ბიძაჩემს, მიწების განაწილების გამო, დავა მოუვიდათ. კამათი ჩხუბში გადაიზარდა, ჩხუბი ერთმანეთის შეურაცხყოფაში და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მამამ საკუთარი ძმა სანადირო თოფით მოკლა. ის მაშინვე დაიჭირეს და 12 წლით

**საქართველო**

**ნანოსაშრობი – აკოლოგთა უანასახალი იბადი**



მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტთა გამოგონება ბუნების დაცვის საქმეს დიდ სამსახურს გაუწევს. ნავთობისგან წყლის გასუფთავების მიზნით გამოგონებული ნანომემბრანის შესაქმნელად, მეცნიერებმა მარგანეცის ოქსიდური შენაერთის აბურდული ბოჭკო გამოიყენეს, რომლის სისქე მხოლოდ 50 მიკრონს შეადგენს. ნანოსაშრობი გარეგნულად, ქალაქისგან არაფრით განსხვავდება. მისი ზედაპირი პოლიმერული მასალის თხელი ფენითაა დაფარული. ამ ფენის მეშვეობით, ქსოვილი წყალს არ იკარებს და ამავდროულად, ნავთობის აბსორბაციას ახდენს. ეკოლოგები იმედოვნებენ, რომ მემბრანა მართლაც, ეფექტიანი საშუალება აღმოჩნდება, რადგან ბუნება კატასტროფის წინაშე დგას: მხოლოდ ბოლო 8 წლის განმავლობაში, ზღვებსა და ოკეანეებში 200 000 ტონა ნავთობი ჩაიღვარა. ■



თავისუფლების აღკვეთა მიუხაჯეს. დედამ მე და ჩემი და-ძმები დიდი გაჭირვებით გაგვზარდა, მაგრამ სიღუფსჭირეს ვინ ჩიოდა? — ყველაზე მძიმე, ძმის მკვლელის შვილის იარლიყი იყო, რომელიც მთელი ცხოვრება თან გვდევდა. ამ ტრაგედიის დავინწყების საშუალებას ხალხი ერთი წამითაც არ გვაძლევდა. ბავშვებს ფეხიც რომ გადაგვბრუნებოდა, ამბობდნენ: მამამისის ცოდვამ უნიათო! 12 წლის განმავლობაში, დედამ ქმარი ერთხელაც არ მოინახულა და სასჯელის მოხდის შემდეგ, აღარც მამა დაბრუნდა სახლში. ზოგმა თქვა: ციხიდან გამოსვლის შემდეგ ციხიდან გამოსვლას ვერ დაიხვეწა; ზოგმა კი გაგვიხილა, — საკუთარ თავს ძმის სიკვდილი ვერ ახატია და თავი ციხეშივე მოიკლაო. ასეა თუ ისე, შვილებმა დღემდე არ ვიცით, მამაჩვენი ცოცხალია თუ მკვდარი...

**ლელა, 32 წლის:**

— დედამაიშვილებს შორის უსიამოვნების მიზეზი შესაძლოა, მშობლის არასწორი ქმედება გახდეს. მინდა, ჩემს კარის მეზობლებზე გიამბოთ. ამბობენ, რომ დედებს ვაჟები მეტად უყვართ, ვიდრე — ქალიშვილები. საერთოდ, ვერ გამიგია, როგორ უნდა განასხვავოს დედამ შვილები, მაგრამ ფაქტია, ჩემს მეზობელ ქალბატონს უმცროსი ვაჟი უფრო უყვარდა, ვიდრე უფროსი ქალიშვილი. ამას გოგონაც გრძნობდა და ვინ იცის, რამდენჯერ მოსულა ჩემთან თვალცრემლიანი: დედა უსამართლოდ მექცევა და ნეტავ, ნაშვილები ხომ არ ვყავარო?!. მართლაც, ვაჟს რაც უნდა დაეშავებინა, დედა არაფრით უსაყვედურებდა, ქალიშვილს კი ელემენტარული მიზეზის გამო, სასტიკად სცემდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩავერუღვარ მათ ოჯახურ კონფლიქტში, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ გოგონამ თავის მონამვლაც სცადა და მხოლოდ სასნაულის წყალობით გადაურჩა სიკვდილს. ამ ამბის შემდეგ, მან საკუთარი თავის რწმენა კი დაიბრუნა, მაგრამ ოჯახის წევრები, ყველაზე მეტად კი ძმა შეიძლება და ცდილობდა, მასზე ექია შური. გოგამ ძმის გამწარებით გული რომ იჯერა და მას ცხოვრება დაუმახინჯა, საბერძნეთში არალეგალურად გადავიდა. წელიწადზე მეტია, საქართველოდან წავიდა და არავის ეხმარება. ან კი ვინ დარჩა საქართველოში? — დედა, რომელმაც ცხოვრება აურია და ძმა, რომელსაც მისი დანახვაც არ უნდა.

*P.S. იმედია, ამ შემზარავი ამბების ნაკითხვის შემდეგ, საკუთარ ცხოვრებაზე დაფიქრდებით და თუკი დედამაიშვილებთან უთანხმოება გაქვთ, სინდისის ქენჯნას იგრძნობთ და მათთან ურთიერთობის მოგვარებას სასწრაფოდ შეეცდებით.*

# სეზონის გამარჯვებული ინტელექტუალი სსკლს სპრექტორს...



წიჭი, გონიერება, წინგონიერება და სხარტი აზროვნება — აი, რა თვისებებით გამოირჩევიან სატელევიზიო ინტელექტუალური შოუს — „რა? სად? როდის“ — მონაწილენი. შოუს განახლებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ჩვენს ტელევიზორებში ის დღეს საკმაოდ მაღალი რეიტინგით გამოირჩევა. ზამთრის თამაშების ერთ-ერთ გამორჩეულ მოაზროვნეს — **ზურაბ ფარეშინას** სასაუბროდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეზოში შევხვდით. ის სოხუმში დაიბადა (1981 წლის 21 ივლისს), სკოლა მესტიის რაიონის სოფელ ლატალში დაამთავრა განათლებით იურისტთა და ამჟამად, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში („ვიპა“) სწავლობს, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამით. ზურას საყვარელი მწერალი — ფეოდორ დოსტოევსკია, უყვარს მუსიკა და ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია. სწავლის გაგრძელებას კვლავაც აპირებს.

## თამარ კვიციანი ხათუნა წინილაშვილი

— ზურა, სად აპირებ სწავლის გაგრძელებას?

— უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში.

— თუ გახსოვს, აფხაზეთში ყოფნის პერიოდი?

— ყველაფერი მახსოვს, განსაკუთრებით — სოხუმიდან წამოსვლის დღე. ღამის პირველ თუ ორ საათზე გამაღვიძეს, — აფხაზები მოდიანო, — და გავუღვიძე გზას... გალიდან ზუგდიდამდე. დაახლოებით ექვსი საათი ფეხით ვიარეთ, შემდეგ, სამკილომეტრიან რიგში მოგვინია დგომა. მთელი გალის რაიონი იქ იდგა, მიუხედავად ამისა, ჩემზე უარესი მოგონებები კოდორიდან გადმოსულა აქეთ.

— დავბრუნდებით აფხაზეთში?..

— აუცილებლად, მე ამის იმედი მაქვს.

— შენი აზრით, რა არის დღევანდელი ახალგაზრდობის პრობლემა?

— არა მგონია, ახალგაზრდობის პრობლემა იყოს უცოდინარობა, ისტორიის დავინწყება. დავიჯერო, ჩვენზე უფროსმა თაობამ უკეთესად იცოდა ისტორია?! სადღაც მაქვს ნაკითხული — ძალიან ძველი ამბავია, ერთ-ერთი გაზეთის პუბლიკაციიდან იყო ამოკრებილი შუმერული წარწერები: „ეჰ, ეს ახალგაზრდობა სულ წავიდა ხელიდან“... მერე წავიკითხე — ძველი რომაელი წერდა: „ეჰ, ახალგაზრდობა გაფუჭდა“. ალბათ, ჩვენი თაობის პრობლემა უფრო, უსაქმურობაა.

— რა არის დღევანდელი ახალგაზრდობის მთავარი საფიქრალი?

— დღევანდელ ახალგაზრდობას ძალიან ბევრი საფიქრალი აქვს. ჩემი აზრით, არ არის აუცილებელი, ყველამ სწავლაზე იფიქროს, მთავარია, ადამიანს რაღაც საქმე ჰქონდეს.

— შენი აზრით, გაამართლა თუ არა ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა?

— კი, რა თქმა უნდა, გაამართლა.

— საინტერესოა, რას ფიქრობ ფილმ „ვანზე“?

— დღევანდელი სვანეთი ისევე განსხვავდება ფილმში ასახული სვანეთისაგან, როგორც დღევანდელი საქართველო — 50 წლის წინანდელი საქართველოსაგან. ასეთი იყო ისტორია, მართალია, მაგას არ უარყვოფ...

— რას იტყვი ინტელექტუალურ თამაშზე — „რა? სად? როდის“? რა მოგცა ამ თამაშმა?

— კარგი ჰობია. და კიდევ — ამ თამაშში ერთი წუთის განმავლობაში უნდა გაისხნო საჭირო ინფორმაცია და მიიღო სწორი გადაწყვეტილება, რაც ძალიან რთულია.

— თამაშის რომელ მონაწილეს და რომელ გუნდს გამოაჩვენებ?

— მოთამაშეებიდან, რა თქმა უნდა, გოგა ტარიელაშვილს, ხოლო გუნდებიდან საუკეთესოდ, საბაშვილის გუნდი მიმანჩია.

— მიიღებ თუ არა მონაწილეობას მომდევნო სეზონის თამაშებში?

— ჩვენ ერთი სეზონი მოვიგეთ. გამარჯვებული გუნდები ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. ფინალისთვის ვაპირებ ჩამოსვლას, მაგრამ არ ვიცი, მოვასერებ თუ არა.

— ვინ ახსენა პირველად, მსოფლიოს 7 საოცრება?

— აუუ, ვილაც ბერძენმა, მაგრამ არ მახსოვს, მითხარით, ვინ არის?

— ჰეროდოტე.

— ა-ა, დიდი ჰეროდოტე!..

— ჩამოთვლილი სიტყვიდან, რომელი ნიშნავს ცეცხლსასროლ იარაღს: არბალეტა, ჩუგლოგი თუ არკებუნი?

— რა თქმა უნდა, არკებუნი.

— რას უსურვებ ჩვენს ჟურნალს?

— პირველ რიგში, ბევრ მკითხველს გისურვებთ, იმიტომ, რომ ბევრი მკითხველი დიდ ტირაჟს ნიშნავს, ტირაჟი ნიშნავს ფულს და ფულის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია.

# უსიძეველ ახსნილი სიყვარული და სუზღვრებამო წახული შეყვარებული

306 უყვარს გიორგი ალანდაძეს?

„ქალი ჭკვიანი, მიზანდასახული და საინტერესო უნდა იყოს“, — ამბობს „თავისუფალი თეატრის“ მსახიობი, გიორგი ალანდაძე, რომლის გმირი — ნიკა სერიალში „ჩიფების თაობა“ ბევრ გოგონას შეუყვარდა. ჩვენ შევხვდით მას და გავარკვეეთ, თუ როგორია ის რეალურ ცხოვრებაში, ჰყავს თუ არა შეყვარებული და საერთოდ, ჰგავს თუ არა თავის გმირს.

## ეპა მინდაა

— გიორგი, პირველად სიყვარულმა რა ასაკში აგიჩქროლა გული?

— ოოო!!! ბალში შემიყვარდა ერთი რუსი გოგონა, რომელსაც ნატაშა ერქვა. მახსოვს, ძალიან ლამაზი იყო. მას რომ დავინახავდი, თვალები მიბრწყინავდა (იცინის).

— სკოლაში ბევრი გოგონა მოგწონდა?

— სხვათა შორის, სკოლაში შეყვარებული არ მყოლია, მაგრამ სკოლის პერიოდში ერთი გოგო კი მიყვარდა, რომელიც სამწუხაროდ, მერე საზღვარგარეთ წავიდა, რითიც ჩვენს ურთიერთობას საბოლოოდ დაესვა წერტილი.

— სეროიზულად როდის შეგიყვარდა?

— სიყვარული სტუდენტობის პერიოდში მეწვია (ის მსახიობია). ის გოგო მთელი გულით მიყვარდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით.

— ერთი ნახვით შეყვარების თუ გვერა?

— რა თქმა უნდა. გოგო, რომელიც წელი მიყვარდა, პირველად რომ დავინახე, სრული შოკი მივიღე. საერთოდ, არასდროს ვიბნევი, მობილიზებული ტიპი ვარ, მაგრამ იმ მომენტში ენა ჩამივარდა. ერთი ნახვით შეყვარების ბედნიერება ყველას ხვედრი არ არის...

— ოდესმე სასიყვარულო ლექსი ან ბარათი თუ დაგიწერია?

— არა, არც ლექსი და არც რაიმე სასიყვარულო ბარათი... ასეთი რამეები არ შემიძლია.

— შეყვარებულისთვის მესიჯის გაგზავნაც არ გიყვარს?

— მიუხედავად იმისა, რომ მესიჯი საუკეთესო საკონტაქტო საშუალებაა, უნდა ვაღიარო, რომ შეყვარებული ადამიანისთვის, საერთოდ არ მხეხრება მესიჯის მიწერა. მირჩევენია, გოგოს პირადად დავულაპარაკო, ვიდრე მესიჯებით ვუგზავნო თბილი სიტყვები.

— ქერა გოგონები უფრო მოგწონს თუ შავგვრემანები?

— რა მნიშვნელობა აქვს, გოგონა ქერა თუ შავგვრემანი? მთავარია, მე მომეწონოს. სეროიზული ურთიერთობისას, გარეგნობაზე მეტად, მის შინაგან სამყაროს, ხასიათს და ინტელექტს ვაქცევ ყურადღებას. შეიძლება, ძალიან ლამაზი გოგო იყოს, მაგრამ იმდენად უინტერესო, რომ მასთან ურთიერთობის გაგრძელებაც კი აღარ მომიწევს.

— მამაკაცების უმრავლესობას

ჭკვიანი ქალი არ მოსწონს.

— მე არ ვეთანხმები მათ. რად მინდა უჭკუო და უგუნური ქალი. მე ის მარტო ლოგინისთვის კი არ მსურს. ასე რომ, სულაც არ ვაპირებ, ბედი უჭკუო ქალს დავუკავშირო.

— აქტიური გოგონები თუ მოგწონს?

— რა თქმა უნდა. აბა, მუდო რა მოსახსნიან?! ფიქრობ, არც გოგოს მოეწონება მუდო ბიჭის გვერდით ყოფნა.

— მოგწონს, ინიციატივას გოგონა რომ იჩენს?

— აუცილებელი არ არის. თუმცა მამაკაცს სიამოვნებს, როცა მის მიმართ მანდილოსანი ყურადღებას ავლენს.

— ასაკით შენზე უფროსს ცოლად თუ მოიყვან?

— რა თქმა უნდა. მთავარია, ის მომეწონოს; ასაკის გამო უკან არ დავიხევე.

— რას ფიქრობ, ქალი რა პროფესიის უნდა იყოს?

— ჩემთვის თითქმის ყველა პროფესიის ქალბატონი, გარდა მეძვისა, მისაღებია (იცინის). ქალს თავის საქმე უნდა ჰქონდეს. სულაც არ მინდა, რომ მუდღე სახლში „ჩემოდანივით იდოს“.

— შეყვარებული არ ხარ?

— მგონი, კი. ჯერ საკუთარ გრძობებში ბოლომდე გარკვეული არ ვარ. ის ჩემი მე-



გობრის ყოფილი შეყვარებულის დაქალია.

— საერთოდ, როგორ ხარ შეყვარებულობის პერიოდში?

— ჩვეულებრივი. ალბათ, უფრო თავშეკავებული. არ მიყვარს სიტყვებით სიყვარულის ახსნა. მირჩევენია, გოგონა სხვანაირად მივხვდებოდა, ვიდრე პირდაპირ გამოვუტყდე.

— საყვარელი ადამიანის მიმართ ყურადღებანი ხარ? გიყვარს საჩუქრების მიძღვნა?

— ყურადღებანი ვარ და მსიამოვნებს, როცა საყვარელ ადამიანს სიხარულს ვანიჭებ, მაგრამ მთავარი საჩუქარი კი არა, სიყვარულია.

— ეჭვიანი ხომ არ ხარ შეყვარებულის მიმართ?

— არა. მე ჩემს გმირს — ნიკას თითქმის ყველაფრით ვგავარ, გარდა ერთისა: ნიკა უსაზღვროდ ეჭვიანია, მე — არა. ეჭვიანობა დიდ შეურაცხყოფად მიმაჩნია, რადგან გოგოს, რომელიც გიყვარს, პირველ რიგში, უნდა ენდობოდე.

— ქუჩაში თავყვანისმცემელი გოგონები თუ გაჩერებენ?

— კი, როგორ არა. ერთხელ „თეატრალურ სარდაფთან“ ვიდექი, გიორგი ლიფონავას ველოდებოდი, უცრად ერთი გოგო მომვარდა, ჩამეხუტა და კოცნა დამიწყო; თან გაიძახოდა: ვაიმე, ძალიან, ძალიან მიყვარხარ და რომ დავინახე, თავი ვერ შევიკავე, რომ არ მოგვერებოდიო (იცინის). ერთხელ ქუჩაში საკმაოდ ასაკოვანმა ქალმა გამაჩერა და მითხრა: ევრანზე რომ გიყურებ, ისე მომწონხარ, მინდა, რომ ჩაგისუტოო. მეც ავდექი და ჩავეხუტე.

— როგორ ფიქრობ, აუცილებელია, ქალი კარგი კულინარი იყოს?

— სასურველია, კარგი კულინარი იყოს, მაგრამ კერძების მომზადება რომ არ იცოდეს, არც ამით დავზარალებდი, იმიტომ, რომ საკუთარი თავის მოვლა თავადაც მშვენივრად შემიძლია (იცინის).

— დაბოლოს, რას ურჩევდი იმ ადამიანებს, რომლებიც პაემანზე პირველად მიდიან?

— გირჩევთ, ერთმანეთის მიმართ გულწრფელები და გულღიები იყოთ.



ერთი გოგო მომვარდა, ჩამეხუტა და კოცნა დამიწყო

# კლანის მშველი ბოზონები, ნაცუმი სისუერი და სინლისი ქანა

ამ ბოლო დროს, თინეიჯერები სულ უფრო და უფრო გულახდილები არიან. მათ არ რცხვენიათ (რა თქმა უნდა, ყველას არ გგულისხმობ) თავიანთი არატრადიციული ორიენტაციის, ქართველებისთვის მიუღებელი ცხოვრების სტილისთვის უპირატესობის მინიჭების, ტრადიციების უარყოფის და ა.შ. რაც თავისთავად, უფროსების და არა მარტო უფროსების გაღიზიანებას იწვევს. შესაძლოა, უფროსი თაობის წარმომადგენლებშიც მოიძებნებოდნენ „სხვანაირად“ მოაზროვნეები, მაგრამ ისინი ყველაფერს ჩუმად აკეთებდნენ ან სულაც, ამ ყველაფერს შესახებ კრინტს არ ძრავდნენ და არაფერს ამჟღავნებდნენ იმიტომ, რომ ეს სირცხვილად მიიჩნეოდა. რა ხდება დღეს? — ამის გასარკვევად ახალგაზრდების გარკვეულ ჯგუფს დავუკავშირდით. სიმართლე გითხრათ, ეს ის მოზარდები არიან, რომლებიც ქუჩური ცხოვრების სტილს ანიჭებენ უპირატესობას და არაფერს ერიდებიან; ხშირად იკრიბებიან რესპუბლიკის მოედანზე და მიუხედავად ასაკისა თუ სქესისა, სიგარეტს



პირველად რომ მოვნიე, ძან მაგრობა იყო — მთელი დღე ვიცინოდი. ჩვენთან მარტო ეკუნა არ ეწევა და მას ამას არც ვაძალებთ. რაც არ უნდა, ღმერთმა ნუ მისცეს!

**ბაუნა, 15 წლის:**

— სიგარეტის ბოლიც კი მალიზიანებს. კარგი იქნება, ესენიც არ ეწეოდნენ, მაგრამ ეტყობა, ეს სიამოვნებას ანიჭებთ. მე კი სიამოვნებას ველო-სიბუდით სერიოზობა მანიჭებს და ამიტომაც, დათო თავის „ველოზე“ ხშირად მსვამს.

**— შენ არ გყავს ველოსიპედი?**

— არა და ჩემმა მშობლებმა ისიც კი არ იციან, მისი ტარება რომ შემიძლია. ერთხელ აქ მამაჩემი „გაჭიითე“ და ისე ჩავუქროლე, კაცს „კეპი“ მოსძვრა. შენ წარმოიდგინე, ვერ მიცნო და სახლში რომ მივედი, დედას უყვებოდა: ვილაყ თავზედმა გოგომ ლამის წამაქცია, ისე ჩამიქროლა, თმა ყა-ლყზე დამიდგაო!.. სასაცილო იცი, რა არის? თმა საერთოდ არა აქვს (იციანია).

**— მაინტერესებს, რას ფიქრობთ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებზე?**

**მინ:**

— რას უნდა ვფიქრობდეთ? მათ თავიანთი ჯვარი უნდა ატარონ ამ ცხოვრებაში; ჩვენ არავის განსჯის უფლება არ გვაქვს!

**ბარი:**

— ჩვენ გყავს საერთო მეგობარი, დიტო, რომელიც სამწუხაროდ, ახლა აქ არ არის. ის გეია, მაგრამ ამის გამო არ ვზაგრავთ.

**დათო:**

— მართალია! გოგონებმა დიტო გაგვაცნეს, მისი მიღება ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ როცა დაველაპარაკეთ, მიხვდით, რომ ის ცხოვრებამ დაჩაგრა და მისი დამცირების უფლება არ გვეკონდა.

**ბიო:**

— ახლა დიტო ჩვენი ძმა და მის ორიენტაციას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ყველაფერში გვერდით გვიდგას და როცა საჭიროა, ვაუკაცობითაც დაიკვებინოს. სალამის ვისთან გაატარებს, რა ჩვენი საქმეა!

**ბარი:**

— ცისფრებზე რეაქცია მართლა არ მაქვს, მაგრამ ვერ ვხედავ, გოგო როგორ უნდა შემოიყვარდეს? ეს ჩემთვის მიუღებელია; ალბათ, ლეს-ბოსლე გოგონასთან დამეგობრებას ვერ შეძლებდი.

## „დავიჯერო, ამისგან ადამიანის განჯურნება არ შეიძლება?“

### ლიპა ქაჩაია

ახალგაზრდებს შუადღისას შევხვდი, როცა ისინი რესპუბლიკის მოედანზე მდებარე შადრევანთან ისხდნენ და როგორც თავად მითხრეს, „გულს იგრილებდნენ“. ზოგი სახლიდან გაბრუნებული იყო წამოსული, ზოგიც — შეყვარებულს ებუტებოდა ან უსიყვარულობას უჩიოდა და დარდს ამ მოედანზე, თანატოლებთან ლაზღანდარობით, გამვლელებზე კაიფითა და სიგარეტის წევით იქარვებდა. მართალია, მათთან დალაპარაკება ცოტა არ იყოს გამძინელდა, რადგან ისინი უცხოებს ეჭვის თვალით უყურებენ და სიმართლე გითხრათ, თავიდან ჩემი გაშაყირებაც კი სცადეს, მაგრამ ბოლოს, ხელები ასწიეს და მითხრეს: თუ მართლა ჩვენს თანატოლებს ეხმარები და მართლა ის ადამიანი ხარ, ვინც ჩვენ კი არ განგვსჯის, არამედ უბრალოდ, ჩვენს ცხოვრებასა და მოსაზრებებს ურუნალის ფურცლებზე ასახავს, სიამოვნებით დაგელაპარაკებით და შენს „გზასაც“ წავიკითხავთ... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ჩვენი ინტერვიუ შედგა და მას ყოველგვარი შესწორებების გარეშე გთავაზობთ.

**მინ, 14 წლის:**

— ვიცი, რაც გაინტერესებს. მე მიმაჩნია, რომ ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, როგორც სურს და მის ცხოვრებაში ჩარევის უფლება არავის აქვს!

**ბარი, 14 წლის:**

— იცი, ნინი მართალია! ჩემი მშობლები რომ „მიჩმასებენ“, იმიტომაც არ ვუფერებ. მათ ჰგონიათ, რომ პატიოსანი შვილი ჰყავთ, რომელიც სახლიდან გრძელი ქვედაბოლოთი გადის და სკოლიდან ეგრევე შინ ან მეგობართან, სამეცადინოდ მიდის. მე კი ხომ ხედავ, სადაც „ემეცადინეო“?!

**— ანუ ფიქრობ, რომ უბატოს-ნოდ იქცევი?**

— ეს მშობლების აზრით, თორემ იმაში, რასაც მე და ჩემი თანატოლები ვაკეთებთ,

ცუდს ვერაფერს ვხედავ... ხომ მიყურებ, ახლა როგორ მაცვია? — დახეული ჯინსი, მოკლე მაისური და თვალბეჭეტი კი შელებილი მაქვს... ჩემი გრძელი ქვედაბოლო ჩანთაში მიდევს და სახლში მისულს, დედა მეჩხუბება, — ისე როგორ ჯდები, რომ ტანსაცმელი ასე გექმუჭნებო (იციანია).

**— აქ რას აკეთებთ, როგორ ან რთი ერთობით?**

**ბიო, 16 წლის:**

— ისე ვერთობთ, როგორც ვახერხებთ.

**ბარი:**

— ზოგჯერ იმის ფულიც კი არ გვაქვს, რომ ერთი ღვეზელი ვიყიდოთ და სხვა გზა რომ არ გვჩნდება, ფულს გამვლელებს ვთხოვთ.

**— შინ რომ წახვიდეთ, ეს პრობლემა არ გექნებათ...**

**ბიო:**

— ჰო, მაგრამ იქ რა უნდა გვაკეთოთ? სულ ტელევიზორს ჩემმა მტერმა უყურა. მე კიდევ, კომპიუტერი და კარგი ცხოვრება არ მაქვს... რა პონტია, სკოლიდან პირდაპირ სახლში წასვლა? რომელი საუკუნეა? „დედიკოს ბიჭი“ ხომ არა ვარ?..

**მინ:**

— ვერ ვხედავ, აქ თუ მოვდივართ და ჩვენთვის ვკაიფობთ, ამით რას ვაშავებთ?

**— მაგალითად, იმას, რომ ამ ასაკში სიგარეტს ეწევით. ეს ხომ ჯანმრთელობის საგრძნობლად დაგინიანებთ?!**

— (იციანია) მაშინ საქართველო მომავლედან იქნებოდა სასვე.

**დათო, 17 წლის:**

— რა მორალს გევიტახავ? დავიჯერო, შენ არასდროს მოგიწევია? დავაძალებდეთ, პლანაც კი გექნება გასინჯული. ისე, ჩვენ გარეშე თუ არ მოსწევს, კარგი იქნება.

**— რა, პლანსაც ეწევით?**

**ბარი:**

— ზოგჯერ ბიჭები ამითაც გვანებიერებენ.



**დათო:**

— მეც ასე მეგონა, ყველა გეის შუბლს გაუხვრეტდი, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, მართალია, თქვენი დამსახურებით, მაგრამ ის სამშოში მინაც მივიღეთ. მართალია, ცოტა არ იყოს „ტეხავს“, მაგრამ მას ორიენტაცია გარეგნულად არ ეტყობა და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემზე არასდროს „გამოინევს“!

**გიო:**

— ღმერთმა დაგვიფაროს, ბიჭო, რას ამბობ... ჩვენ კიდევ ერთი მეგობარი გვყავს — დიდი გიო, რომელიც ახლა რაიონშია წასული. იცი, მან დიტო დღემდე ვერ მიიღო და ყოველთვის მის დამცირებას ცდილობს. ჩვენ ვიცავთ მეგობარს.

**მამა:**

— და კარგადაც იცევეით. დიდ გიოს უფლება არა აქვს, ვინმე განიკითხოს. იცი, მას გოგონა „შემოუჭატიურა“ და ყველაფერი ხახვივით შერჩა, რადგან იმ გოგოს უყვარდა.

**დათო:**

— ეს შენი საქმე და გასარჩევი არაა... თანაც, ეს ამბავი ადრე, წლების წინ მოხდა, როცა გიო სხვანაირად აზროვნებდა და ცხოვრებისგან გამწარებულს (მას მშობლები მოუყვდა) ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. ახლა შეიცვალა, მას ყველანაირად ვენდობი.

**მარი:**

— მართალია, დიდ გიოს ბოლომდე ვენდობი და მისი წარსული სულ „მკვიდა“.

**მამა:**

— შენთვის თუ დაუმესიჯებიათ ლეს-ბოსელებს?

— **იშვიათად. ძირითადად, ცისფრები მესმიათ და თავიანთ პრობლემებზე მიყვებიან...**

— კარგია, მათ რომ ეხმარები. აბა, ამ ადამიანებს ხელი რომ ვკრათ, რას მივიღებთ?..

**მარი:**

— არც არაფერს, მათ სულ გავანადგურებთ და გაეთელავთ. სხვათა შორის, ასეთი ადამიანები ნამდვილი მეგობრები არიან. ცუდია, რომ მათ ორიენტაციის პრობლემა აქვთ. დავიჯურო, ამისგან ადამიანის განკურნება არ შეიძლება?

**გიო:**

— ისე, დიტოს როგორ უნდა დავხმაროთ? ხომ არ იცი, მისი ორიენტაციის გამო-სასწრაფებლად ვის შეიძლება მივმართოთ?

— **ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ გპირდებით, უახლოეს მომავალში ამ პრობლემით უფრო სიღრმისეულად დავინტერესდები და თქვენს ინტერესს აუცილებლად დავაკმაყოფილებ. თქვენს დიტოს ვერ გამოაცნობთ?**

— ის ხვალ შემოგვიერთდება, დღეს მშობლებს გაჰყვა სადღაც და თუ შენთან ლაპარაკის სურვილი ექნება, „პაუალუსტა“...

— **მისმა მშობლებმა შეიღის პრობლემის შესახებ არაფერი იციან?**

**მინი:**

— რა უნდა იცოდნენ? ვერა, ვერაფერს ხვდებიან და ჰგონიან, რომ მას შეყვარებული გოგონა ჰყავს.

**დათო:**

— მარიზე აქვთ ეჭვი და მგონი, სარძლოდაც მოსწონთ.

**მარი:**

— ჰო, მართალია, ასე ჰგონიათ, მე და დიტო კი ამ ეჭვს კიდევ უფრო ვუღვივებთ.

— **ეს რაში გჭირდებათ?**

— მეგობარს ვეხმარები, რა.

— **ე.ი. თქვენ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები არ გალიზიანებენ? ყველა თქვენი თანატოლი ასე ფიქრობს?**

**მამა:**

— მე ნამდვილად არ მალიზიანებენ, მაგრამ ისეთებიც ვიცი, რომლებიც ასეთი ადამიანების გვერდით არც კი გაივილიან.

**დათო:**

— რამდენიმე წლის წინ ერთი ცისფერი მაგრად ვცემე და ახლა, როცა დიტოს ვუყურებ, სინდისი მექნჯნის.

**გიო:**

— მართალია, მე არავინ მიცემა, მაგრამ ადრე, ამის სურვილი ნამდვილად მქონდა.

**მარი:**

— როცა ქუჩაში „მონარნარე“ ტიპებს ვხედავდი, მათ დავცინოდი და უკანალის ქნევაში ვბახავდი. ახლა მსგავს რაღაცას არ

გავაკეთებ. ალბათ, დიტოს ხათრით.

**მინი:**

— მე კი ისინი არასდროს მალიზიანებდნენ, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, ასეთი ძმა ან ნათესავი მყავდეს!

**მამა:**

— ასეთი ძმა რომ მყავდეს, ყოველთვის მისი დაცვა მომიწევდა, მე კი სუსტი სქესის წარმომადგენელი მქვია და მინდა, ნებისმიერი მამაკაცი, რომელიც ჩემ გვერდით იქნება, ღირსეული იყოს.

— **მეჩვენება, თუ დიტოს და მისნაირი ადამიანების გვერდით ყოფნის გრცხვენიათ?**

— სირცხვილი რა შუაშია? უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ მას მამაკაცად ვერ აღვიქვამ.

**დათო:**

— თუქცა, უკვე გითხარით, რომ ჩხუბისა და „საქმის გარჩევის“ დროს ის ნამდვილ ვაკუცობას ავლენს და უკან არაფერზე იხევის.

**მარი:**

— ჩვენი ცისფერი მეგობარი ძალიან გვიყვარს და ალბათ, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების გამართლებას ამიტომაც ცვდილობთ. რომ არა დიტო, ვერ გეტყვი, ამ საკითხზე როგორი მოსაზრება გვექნებოდა...

# „ეა გეი ვარ... მეზომის ბიჭთან უამთისრუას და სასწილან გაეზღას...“



ახლა კი მინდა, ჩვენი მკითხველის, გიო-გიოს გულისტკივილი თქვენც გაგიზაროთ და თუ მასთან დაკონტაქტების, მისთვის რჩევის მიცემის სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ. შეგახსენებთ, გიო ერთადერთი ადამიანი ნამდვილად არაა, რომელსაც ეს პრობლემა აწუხებს, მაგრამ ცუდი ისაა, რომ მან გარკვეული მიზეზების გამო, ქალებზე შურისძიება გადამწყვიტა და შესაძლოა, მისი მხვერპლი თქვენი მეგობარი, ნათესავი ან სულაც, თავად აღმოჩნდეთ...

**გიო-გიო:**

„გამარჯობა, ლიკა. უფრნალ „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ და ახლა თქვენი დახმარება სასწრაფოდ მჭირდება. ლიკა, საქმე ისაა, რომ მე გეი ვარ. 17 წლის ვიყავი, მშობლებმა მეზომის ბიჭთან რომ შემომისწრეს და სახლიდან გამაგდეს. ერთი პერიოდი ბიძაშვილთან ვცხოვრობდი. მამაჩემმა შემომითვალა: თუ გინდა, სახლში შემოგიშვა და შეილად გალიარო, ცოლი შეირთეო. ჩემი ბიძაშვილის მეზობლად ცხოვრობდა გოგონა, რომელსაც ძალიან მოვწონდი. მან, რა თქმა უნდა, ჩემი ორიენტაციის შესახებ არაფერი იცოდა, მე კი ფული და მშობლების დახმარება მჭირდებოდა. მოკლედ, დავექორწინდი და ჩემებმაც სისხარულით მიმიღეს. მალე, ბიჭი გვეყოლა. ერთხელ ჩემმა ცოლმა ჩემ შესახებ ყველაფერი შეიტყო და მიმატოვა. ბავშვიც წამართვა. ახლა საშინელ დეპრესიაში ვარ. იცით, ამჟამად „ლუდსაზარში“ ვმუშაობ და ასე მგონია, ყველა ჩემზე ჭორაობს. მართალია, ორიენტაცია გარეგნულად არ მეტყობა, მაგრამ მანაც, მგონია, რომ ყველას ვეზიზღები. ახლა გოგონების მიმართ აგრესია გამიჩნდა. ვცდილობ, ყველას თავი შევაყვარო და მერე ისევე მივაგდო ისინი, როგორც მე მიმაგდეს. ისე, ჯერჯერობით ეს საქმე კარგად გამოდის. ლიკა, გთხოვ, დამიბეჭდე. მინდა, მკითხველებმა რაიმე მიჩნონ. თუ ამ მესიჯს ვინმე ჩემნაირი წაკითხავს, გამომიხმეაუროს. ხალხნო, მხარში ამომმიდექით, თორემ მართლა ძალიან ცუდად ვარ“.

**P.S. ძვირფასო მკითხველებო! თქვენ შეგიძლიათ დააფიქსიროთ საკუთარი მოსაზრება ამ თემის ირგვლივ და კიდევ, თუ გყავთ არატრადიციული ორიენტაციის მქონე მეგობარი ან ახლობელი, ან სულაც, თავად დგახართ ამ პრობლემის წინაშე, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99). 17.35.27 და საკუთარი ტკივილი გაგვიზიაროთ.**



# „მამაკასში პაპუპუპით ზრინ, სულ სითჟო ღა ყუჩაღღეჟა სჭინღეჟათ“

„გზის“ №24-ში დაიბეჭდა უცნობი გოგოს მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ შეყვარებულს დაშორდა. „მართალია, მას ძალიან ვუყვარდი, მაგრამ ბოლო დროს სულ ვჩხუბობდით, რადგან მე აბიტურიენტი ვარ, ის კი მუშაობს და ისე ხშირად ვეღარ ვნახულობდი“, — შემოგჭიოდა უცნობი და თანატოლებს ეკითხებოდა: ხომ არ იცით, როგორ უნდა დავიბრუნო ჩემი სიყვარულიო?..

## „სწავლას მიხედვ, სტუდენტობაზე უმჯობესი არაფერიია!“

### თათა:

„აღბათ, შენი ყურადღება ნამდვილად მოაკლდა და იფიქრა, რომ მის მიმართ გრძნობა გაგინელდა... ან იქნებ, გცდის? ჯობს, გულახდილად დაეღაპარაკო“.

### ბრუნება:

„ესწავლა მასაც და ყოფილიყო სტუდენტი. არა მგონია, ჩხუბის მიზეზი ეგ იყოს, სადღაც სხვაგანაა ძაღლის თავი დამარხული. დაეღაპარაკე და სთხოვე, ამის ნამდვილი მიზეზი აგისხნას. ნუ გეშინია, თუ შეყვარხარ, არსად წავა; ამის გამო სწავლაზე გული არ აიცრუო. უფალი გფარავდეს“.

### ლია:

„იმის გამო, რომ შენი შეყვარებული მუშაობს, ჩხუბი არ უნდა დაგეწყო. ის მეოჯახე და მზრუნველი ბიჭი ყოფილა და თუ ოჯახს შექმნიდით, შენც პატივს გცემდა. აბა, გირჩევნია, ქუჩაში იდგეს?! ერთი შანსი კიდევ მიეცი. ეტყობა, ამდენი ჩხუბი მოსწყინდა და ამიტომაც აუცრუვდა გული შენზე. გთხოვ, სიყვარულს გაუფრთხილდი. ნეტავ, ჩემს ქმარსაც ემუშავა სადმე და ვყვარებოდი, ახლა ბედნიერი ვიქნებოდი...“

### დათო, Scorpion:

„გირჩევ, საკუთარ გრძნობებში გაერკვე. ის ბიჭი მართლა გიყვარს? შეიძლება, იმას სხვა ჰყავს და ვერ გადაუწყვეტია, რა ქნას?.. თუ ასე გაგრძელდა, დაშორდი“.

### იბა:

„თუ გინდა, შენი სიყვარული დაიბრუნო, დაურეკე და უთხარი, რომ ძალიან გენატრება ან „შემთხვევით“ შეხვდი ქუჩაში და შეეცადე, ყველაფერი გაარკვიო. ბედნიერებას გისურვებ!“

### პანელი-616:

„განშორება ნამდვილ სიყვარულს კიდევ უფრო აძლიერებს, უბრალო გრძნობას კი საბოლოოდ ანადგურებს. მისი საქციელიდან კარგად

ჩანს, რომ არ შეყვარხარ. ასე რომ არ იყოს, რითი აიხსნება მისი უყურადღებობა? არა უშავს, დასაკარგი ოდესმე მინც დაიკარგება და სჯობს, ეს ადრე მოხდეს, ვიდრე — გვიან. ამას საკუთარი გამოცდილებით გეუბნები“.

### თათაუკა:

„საქმარისად არ ჰყვარებხარ. გირჩევ მასზე ნაკლებად იფიქრო. თუმცა, ვიცი, ეს ძალიან გაგიჭირდება. შუშა რომ გატყდება, მისი გამთვლება არ ღირს, უნდა გადაადგო“.

### იპალა-ბირივი:

„სრული „იგნორი“ გაუკეთე და როცა დაგირეკავს, ცივად დაეღაპარაკე. უთხარი, რომ მისთვის არ გცალია და როცა შენგან სიცივეს იგრძნობს, იმედია, შეიცვლება. ჩემო კარგო, სწავლას მიხედვ და კარიერა გაიკეთე, მერე კი გამოჩნდება ღირსეული ადამიანი, რომელიც გაგამერთებს. მეც მეგონა, „მის“ გარეშე მოკვდებოდი, მაგრამ დამცირებამ და ტკივილმა მაიძულა, ჩემი ცხოვრების წაკითხულ ფურცლად მექცია. არ ღირს დაიტანჯო ისეთი ადამიანის გამო, რომელმაც თავადაც არ იცის, რა სურს. ის შენი ცრემლების ღირსი არ არის! ცხოვრება გრძელდება. დამიჯერე, ცუდს ყოველთვის წერტილი უნდა დავუსვათ და რაღაც ახალს, უკეთესს დაველოდოთ. გკოცნი და გვხვები. თუ გსურს, ვიმეგობროთ“.

### თავისუფალი ჩიტი:

„ბიჭების სიყვარულის არ მჯერა“.

ყველას გართობა უნდა, მერე კი „პაკას“ გეუბნებიან. თუ შეიძლება, ჩემს ამბავს მოგიყვებით. ერთმა ბიჭმა, სანამ მისი გახვდებოდი, სწავლა ამიკრძალა. რატომ? — ცოლი სახლში მინდაო და უარი რომ ვუთხარი, დამშორდა. მე სიცოცხლე აღარ მინდოდა, მან კი ერთ თვეში ცოლი მოიყვანა... ერთი წლის მერე გიო გავიცანი და შემეყვარდა, მასაც ვუყვარდი (ყოველ შემთხვევაში, ასე მეუბნებოდა), მაგრამ როგორც კი გამოვუტყედი, — მიყვარხარ-მეთქი, მამინვე მომახალა: შენთან „ზასაოზა“ მინდაო. ახლა ვარ ჩემთვის, მარტო. ასე რომ, არ ვიცი, ამ ბიჭებს თავში რა უტრიალებთ. ერთ რჩევას მოგცემ: სანამ ის ბიჭი დაგშორდება, შენ „დაახვევინე“. სწავლასა და კარიერაში წინსვლას გისურვებ!“

### ნილია:

„მართალია, ამბობენ: სხვა სხვისა ომსა ბრძენიაო, მაგრამ მაინც, გირჩევ: მოდი, დაელოდე, მიეცი იმის საშუალება, რომ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოს და გადაწყვეტილება ცხელ გულზე არ მიიღოს. ეს პერიოდი კი სწავლას დაუთმე და დეპრესიაში ნუ ჩავარდები. რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა დაიბრუნო დეკარგული სიყვარული, ვფიქრობ, თუ თვითონ არ დაგიბრუნდება, ძალით მის დაბრუნებას აზრი არა აქვს. შენ წინ ყველაზე ლამაზი ხანა, სტუდენტობის წლები გელოდება. წარმატებებს გისურვებ! გამიხარდება, თუ შენს სიყვარულს კარგი ფინალი ექნება და ბედნიერი იქნები. გკოცნი“.

### პატარა ლელა:

„ეტყობა, შენს „ლოვეს“ არ შეყვარხარ, თორემ, რა დაფიქრება სჭირდება? შეეშვი, რად გინდა ასეთი კაცი? როცა შეყვარებული ვიყავი, ჩემი „ლოვე“ უჩემოდ 1 საათსაც ვერ ძლებდა“.

### კიკო:

„ჩემო პატარა მეგობარო, შენ მხოლოდ იმაზე უნდა ფიქრობდე, რომ მისაღები გამოცდები ჩააბარო და სტუდენტი გახდე. სულ რაღაც 2 წლის წინ, მეც



აბიტურიენტი ვიყავი და მხოლოდ სწავლაზე ვიყავი გადართული. გირჩევ, მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრო და მიზნის მისაღწევად იბრძოლო. დროებით, გვერდით გადადე გართობაც და სიყვარულიც. მით უმეტეს ახლა, როცა სულ რაღაც 15 დღეში გამოცდები კარზე „მოგიკაკუნებს“. სულითა და გულით გისურვებ სტუდენტობას, ამაზე დიდი ბედნიერება, უკეთესი წლები არ არსებობს! აბა, შენ იცი“.

**გაფიქრება:**

„შეშვი, რა... რომ უყვარდე, ფხიხელსაც და მთვრალსაც ემხსოვრები. ასე რომ, უკეთესი ვინმე იპოვე. P.S. ტოპოლინა, იქნებ, მე ვარ ის პრინცი და შენ კიდევ ის პრინცესა, რომლებმაც ერთმანეთი დაკარგეს და ახლა, „გზის“ ფურცლებზე ეძებენ ურთიერთს!“

**„იმედს ნუ დაყარავ და სიყვარულისთვის ბოლომდე იბრძოლე“**

**პასუხ:**

„სჯობს, დაელოდო. მერწმუნე, ის აუცილებლად შეგეხმიანება და ისევ შენ გვერდით იქნება. ჩემი აზრით, მას ნამდვილად უყვარხარ. უბრალოდ, უნდა, რომ თავის თავში გაერკვეს, ყველაფერი გააანალიზოს. როცა ადამიანი ალკოჰოლითაა გაბრუნებული, მას მხოლოდ საყვარელი ადამიანი ახსენდება. მიუხედავად ამისა, სწავლას არ შეეშვა. მალე გამოცდებს ჩააბარებ და შეყვარებულის სანახავად მეტი დრო გექნება. წარმატებებს გისურვებ, გენაცვალე!“

**ლიკა:**

„შენი მესიჯის წაკითხვისას საკუთარი თავი გამახსენდა. მე ახლა სხვისი ცოლი მქვია, მაგრამ მაინც... იმედს ნუ დაკარგავ და სიყვარულისთვის ბოლომდე იბრძოლე“.

**NIKE:**

„როცა სიყვარულს ტკივილი მოაქვს, მერწმუნე, ეს ჭეშმარიტი სიყვარული არ არის. ჯობს, ის ბიჭი დაივინყო და სწავლას მიხედო. მერწმუნე, ამით ბევრს მოიგებ!“

**ეკალა-ტირიფი:**

„სათქმელი მართლაც, ბევრია და თუ გინდა, დამიკავშირდი. ახლა კი გირჩევ: დაკარგულის დაბრუნებას ჯობს, თავი მაღლა ასწიო, სარკეში შენს ორეულს ყოველდღე გაუღიმო და უთხრა, რომ ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებ. დამიჯერე, ის, რაც გაცივდა, ვეღარ გათბება. ამას საკუთარი

გამოცდილებით გეუბნები. ჩემო კარგო, ცხოვრებით დატკბი!“

**იპუშკაძე:**

„გულწრფელობისთვის დიდ ბოდიშს გიხდი, მაგრამ არა მგონია, იმ ტიპს უყვარდე ისე, როგორც ამას იმსახურებ. ყველაფერს სჯობს, სწავლას მიხედო, რადგან სტუდენტობაზე უმჯობესი არაფერია. არასდროს დაიმცირო თავი მამაკაცის წინაშე და არასდროს სთხოვო სიყვარული. თორემ მისი „ვალიდან“ ვერასდროს ამოხვალ. ჯობს ცოტა ეგოისტი და ამაყი გახდე. არ მისცე უფლება, შენს გრძობებზე ითამაშოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის მისი პატივისცემა მოგიწევს, სამაგიეროდ კი მიიღებ დიდ ტკივილსა და დამცირებას. ნუ გააბატონებ მამაკაცს!“

**GREEN GIRL:**

„თუ არ დაგიბრუნდება, დიდად არ იდარდო. გამოჩნდება ადამიანი, რომელიც შენს გრძობას დააფასებს. ეცადე, მომავალში გონებით შეიყვარო და არა — გულით. წარმატებები!“

**აჩილი:**

„ლიკა, უღრმესი მადლობა, ამდენ ადამიანს რომ ეხმარები. უცნობო გოგოვ, ჩემი აზრით, მას ისევ უყვარხარ. ეცადე, არ ეჩხუბო და თბილად მოიკითხო ხოლმე“.

**პახელი სალომა:**

„შესანიშნავი საქმით ხარ დაკავებული და სიყვარულზე ფიქრით ნუ მოცდები

ბი. კარგია, რომ გიყვარს, მაგრამ მას თუ გულგრილობას ამჩნევ, ე.ი. ეს სიყვარული მყარი არაა. თუ სიყვარული ნაღია, მაშინ ფრაზა: „დრო მომეცი“, მით უმეტეს, ბიჭის მხრიდან, არ არსებობს. ისე, მინც აცალე, რა იცი, რა ხდება. მაგრამ ისიც გახსოვდეს, შეუცვლელი არავინაა, შენ კი მთელი ცხოვრება წინ გაქვს“.

**ლუნა:**

„ლიკ, როგორ ხარ? ნეტავ იცოდე, როგორ არ მიყვარს, „თინიჯიკული პონტები“ ბოლო ფურცლებზე რომ იბეჭდება, რატომღაც ამას ვერ ვეგუბები... ახლა კი უცნობ გოგოს ვეხმაურები: გენაცვალე, თუ უყვარხარ, შენ გამო ყველაფერს გააკეთებს, თუ ამდენ ხანს მართლა წრფელი გრძობით გიყვარდით ერთმანეთი, დაგიბრუნდება. ბედნიერებას გისურვებ! მთავარია, დეპრესიაში არ ჩავარდე“.

**უცნობი:**

„ჩემო კარგო, მამაკაცები ბავშვებივით არიან, სულ სითბო და ყურადღება სჭირდებათ. ალბათ, შენგან სწორედ ალერსი მოაკლდა და ამიტომაც წავიდა“.

ლიკ, იქნებ, მეც ამისრულო თხოვნა. ძალიან მინდა, ბრიტნი სპირსის სიმღერის — Everytime — ტექსტი დამიბეჭდო, იმედია, არ გამანზილავ.

TOXIC, 13 წლის.



Notice me/ Take my hand/ Why are we/ Strangers when/ Our love is strong/ Why carry on without me?/ Everytime I try to fly/ I fall without my wings/ I feel so small/ I guess I need you baby/ And everytime I see you in my dreams/ I see your face, it's haunting me/ I guess I need you baby/ I make believe/ That you are here/ It's the only way/ I see clear/ What have I done/ You seem to move on easy/ And everytime I try to fly/ I fall without my wings/ I feel so small/ I guess I need you baby/ And everytime I see you in my dreams/ I see your face, you're haunting me/ I guess I need you baby/ I may have made it rain/ Please forgive me/ My weakness caused you pain/ And this song is my sorry/ Ohhhh/At night I pray/ That soon your face/ Will fade away/ And everytime I try to fly/ I fall without my wings/ I feel so small/ I guess I need you baby/ And everytime I see you in my dreams/ I see your face, you're haunting me/ I guess I need you baby



# სანედისწერი ფიქსიურით...

## ინგა ჩაყელი

44 წლის ასაკში გელა ისევ უცოლო იყო და საამისოდ მიზეზიც ჰქონდა — ბავშვობაში, „საჯიშე ადგილზე“ ცხენმა ისე მწარედ ამოარტყა ტყუბი ნიხლი, ლამის სული გააფრთხობინა. ცოცხალი კი გადაარჩა, მაგრამ ექიმმა ასეთი დიაგნოზი დაუსვა: ქალს რაცხა რომც მოუხერხოს, შვილზე არც იოცნებოსო!.. ჰოდა, გელას ცხოვრებითი მამა სიკვდილამდე იმას ამბობდა, ნეტაი, მომკვდარიყო, მაგის სიცოცხლეს რაღა ფასი აქვსო!..

არადა, ისეთი ვაჟკაცი დადგა, მაჭანკლები ხომ გასაქანს არ აძლევდნენ და გოგოებიც არ აკლებდნენ ხელს, უსირცხვილოდ ეკიდებოდნენ კისერზე. როგორი გასამხელი იყო: ქალი ისევე მჭირდება, როგორც მანქანას მესუთე ბორბალი, ისე, ყოველი შემთხვევისთვის! ამიტომაც, ცხვირანულმა დაინყო სიარული. ამბობდა:

— ჯერ ქალი არ მინახავს, რამეზე უარი ეთქვას, ყველა გაფუჭებულ-გათახსირებული მგონია და ამის შიშით, ცოლის მოყვანას სიცოცხლის ბოლომდე ვერ ვიფიქრებ! ამიტომაც, თავს უშველეთ, ჩემს მოლოდინში ტყუილად ნუ ჩამოჭენებთ!..

მთელი წელიწადი თავაუღებლად მუშაობდა და რადგან სექსუალურ ენერგიასაც საქმეს ახმარდა, შეუცვლელ სპეციალისტად მიიჩნეოდა. იმის შიშით, სხვასთან წასვლა არ ეფიქრა, შვიდი იმხელა ხელფასს უხდიდა, რომ შვებულების გატარება მსოფლიოს ნებისმიერ კურორტზე შეეძლო და უკან დაბრუნებული, წალმა-უკულმა აფრიალებდა სამახსოვროდ ჩამოტანილ ფოტოსურათებს და ცოლების იმედად დარჩენილ ჯიბეგაფხვილ ბიჭებს გაცოფებამდე ახელებდა:

— ყოველდღე ახალ-ახალ გოგოს ვიხუტებდი, ზოგჯერ ლამეში ორსაც „ვეჭიდავებოდი“. ე, ეგი არაბია, ეგი — ფრანგი, ეგი — იტალიელი, მარა არ თქვას ვინმემ, რომ ზანგს აჯობებს, — იმათ სექსის ცოფი სჭირთ!

ათვალღერებდნენ ბიჭები სურათებს და შურდათ გელასი. ამას არც მალავდნენ:

— რითი ვართ ამ ღმერთგამწყრალზე ნაკლებები, ცოლიც რომ აღარ კადრულობს ჩვენთან დანოლას!..

— ე-ეჰ, ფული მქონდეს და კაცობაში ვინც გამეჯიბრებოდა, ცალკე ეტრაბახს! — მკერდში მჯიღს იცემდა გიზო.

— ფულით დანიის პრინცესას ვაკოტრი-ალებ რიონის პირზე! — ხელების შლით ამბობდა ბადრი.

— ფული მქონდეს, ჩემს ცოლს შევეჩვენებოდი სანოლში რამეს?! — რაღაცას ბოლომდე არ ამხელდა გოჩა.

მხოლოდ დათო არ იღებდა ხმას და გაფითრებული დასცქეროდა ერთ-ერთ ფოტოსურათს..

დათომ ამ უბანში რამდენიმე თვის წინ იყიდა ბინა და როგორც თავად უყვარდა თქმა, — სიდედრის კლანჭებიდანაც მოახერხა თავის დახსნა. ეს კი ცოლის დახმარებით შეძლო, რომელიც იტალიაში წავიდა ორი წლის წინ და სწორედ მისი გამოგზავნილი ფულით იყიდა ბინა.

— რას ამბობ, სადაურია ეს ქალი? — ჰკითხა ენადგაკრევილ გელას და თან თითით იმაზე მიაჩინა, ყავას რომ სვამდა და ფოტოგრაფს უღიმოდა..

— სადაურია არც მიკითხავს, მაგრამ კაი გემრიელი ქალი კი იყო, დილაზე არ დამაძინა! — გაიკრიჭა უშნოდ გელა და იმდენად მოულოდნელად მოხვდა მუშტი ცხვირ-პირში, უგონოდ გაიშლარათა მინაზე და როცა დათომ მამაკაცურ ღირსებაზე ნიხლიც მიაყოლა, ერთი კვირის მიცვალებულივით გალურჯდა..

გონს მოსულმა ბიჭებმა ძლივს გააკავეს დათო, რომელიც მოსაკლავად იწვევდა გელაზე:

— გამიშვით. უნდა მოვკლა ჩემი ოჯახის დამაქცევარი, მერე კი სანამ თავს მოვიკლავ, სახლ-კარი უნდა გადავწვა!..

მოკლედ, ის ქალი, სურათზე რომ ნებანება წრუპავდა ყავას, დათოს ცოლი აღმოჩნდა, რომლის პატიოსნებაზე, სატის წინაც უყოყმანოდ დაიფიცებდა ამაყი ქმარი და ახლა, სხვა რა გზა ჰქონდა საქვეყნოდ თავმოჭრილს დარჩენილი!

გელა „სასწრაფოთი“ გააქანეს, დათო საპატრულო პოლიციის მანქანით და ალბათ, კაცის დასაჭურისებისთვის კარგა ხნითაც ახევივინებდნენ ციხის კედლებს, გელას მკურნალ ექიმს რომ არ ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა პროცესზე:

— ეგ პატიოსანი კაცი სახლში გაუშვით და ის ავყია დაიჭირეთ, რომელიც ბავშვობიდანვე საჭურისია და ქალი სიზმარშიც არ ჰყავს ნანახი! — თან მტკიცებულებად გელას ავადმყოფობის ისტორია დადო მაგიდაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ბევრს ეხვეწა ექიმს:

— ნუ დამლუპავ, ნუ გაამხელ ჩემს უბედურებას, თორემ უბანში თავი აღარ გამომიყვით!

მაგრამ ექიმს სულაც არ შეეცოდა:

— აბა, იმ პატიოსან კაცს დაუწვინო ოჯახი და მოვაკვლევი ერთგული ცოლი?! — კაცების 80%-ს საზღვარგარეთ ჰყავს ცოლი და შენი გულისთვის რამდენი სხვაც განწარდებან!..

მოსამართლემ, რომლის ორი დაც სამუშაოდ იტალიაში იყო წასული, გელა უყოყმანოდ გაათავისუფლა დარბაზიდან და ხელიც ჩამოართვა: გენაცვალე, ვაჟკაცობაშიო! — მერე კი გელას ციხის საავადმყოფოში გადაყვანის ბრძანება გასცა..

## კალიფორსკოპი

# დაქტილოსკოპია არ გადახანებულა

ბრიტანეთის ქალაქ ლესტერის უნივერსიტეტის მეცნიერმა ჯონ ბონდმა დაამტკიცა, რომ დაქტილოსკოპიის ისტორიის სანაგვეზე გადაგდება ჯერჯერობით ძალზე ნაადრევია. მის მიერ შემუშავებული მეთოდი, ლითონის ზედაპირიდან ნაშლილი ან გადარეცხილი თითების ანაბეჭდის აღების საშუალებასაც კი იძლევა ადამიანის ოფლი მცირე რაოდენობით მარილებს შეიცავს, რაც მეტალის ზედაპირზე ქიმიური კოროზიის არეს ტოვებს. მეცნიერმა, კვალის აღმოსაჩენად, ზედაპირი საეციალური, ელექტროგამტარი ფხვნილით დაფარა, შემდეგ მასში მაღალი ელექტროპოტენციალი გაატარა, რის შედეგადაც, ანაბეჭდი ისე გამოჩნდა, რომ ფორმა არ დაუკარგავს. ამ მეთოდის გამოყენება სხვადასხვა ლითონის ზედაპირიდან, მათ შორის, გასროლილი ტყვიის ჰილზიდან თითების ანაბეჭდის აღების დროსაც შეიძლება.



# ნაგალს + ალკოჰოლი = ?

ადამიანების უმრავლესობას კარგად მოეხსენება, რომ ნაგალზე ალკოჰოლის დაყოლება არ შეიძლება. და მაინც, რა მოხდება თუ ვთქვათ, პარაცეტამოლს წყლის ნაცვლად ლუდს ანდა სულაც არაყს დავაყოლებთ? საკითხის ასე დასმისას სპეციალისტები ორ ძირითად მომენტზე ამახვილებენ ყურადღებას: 1. ალკოჰოლი ცვლის ნაგალის მოქმედებას და 2. ნაგალი ცვლის ალკოჰოლის მოქმედებას. თანაც, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ადამიანს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არცთუ მარტივი პრობლემები ექმნება. თუმცა მივყვეთ თანამიმდევრობით...

## ალკოჰოლი სვლის ნაგალის მოქმედებას

ალკოჰოლს ნაგალის მოქმედების პოტენცირება (გაძლიერება), ინჰიბირება (შესუსტება) ანდა მისთვის სრულიად არადაამახასიათებელი თვისებების მინიჭებაც კი შეუძლია. ყველაზე სამწუხარო მაინც ისაა, რომ ზოგჯერ იმის წინასწარ გამოცნობაც შეუძლებელია თუ კონკრეტულად რომელი უსიამოვნებით შემოგვიბრუნდება ნაგალზე სპირტიანი სასმლის დაყოლება. მსგავს შემთხვევებში, ბევრი რამ კონკრეტული ნაგალისა და კონკრეტული ალკოჰოლური სასმლის ინდივიდუალურ თავისებურებებზე დამოკიდებულია. ასე, მაგალითად, კლოფელინზე ალკოჰოლის დაყოლების შემთხვევაში, ადამიანი ძალიან სწრაფად ითიშება, გამოფხიზლებულს კი თითქმის აღარაფერი ახსოვს. სხვათა შორის, სანამ კლონიდინის ჯგუფის პრეპარატები (კლოფელინი, ჰემიტონი) აფთიაქებში თავისუფლად იყიდებოდა, მეძავეები მათ თავიანთი გულუბრყვილო კლიენტების გასათიშავად და ამ გზით, მათ პირწმინდად გასაძარცვავადაც საკმაოდ აქტიურად იყენებდნენ.

შემდეგი სავალალო ეფექტი, რომლითაც ძირითადად, თვითმკვლელები სარგებლობენ, საძილე-ბარბიტურატებზე არყის დაყოლებით მიიღწევა. გარდა იმისა, რომ თანამოღობა თავადაც აქვს ნარკოტიკული ეფექტი, ის თავის ტვინის უჯრედებში ბარბიტურატების შეღწევასაც მნიშვნელოვნად აადვილებს. ამას კი საძილე საშუალების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო დოზის მიღების შემთხვევაშიც, სუნთქვის სასიკვდილოდ სამიში შეზღუდვის გამოწვევა შეუძლია.

ალკოჰოლთან ანტიდერესანტებიც (განსაკუთრებით, მონოამინოოქსიდაზის ინჰიბიტორების ჯგუფის პრეპარატები) შეუთავსებელია. ეს ფერმენტი ჩვენს ორგანიზმში მონოამინების ჯგუფის ბიოლოგიურ ნივთიერებებს — ადრენალინს, ნორადრენალინს, სეროტონინს, მელატონინს, პისტამინს და დოფამინს შლის. მონოამინოოქსიდაზის ბლოკირება ჩამოთვლილ ნივთიერებებს სისხლში უფრო დიდხანს ცირკულირების საშუალებას აძლევს — ამ გზით, იზრდება ორგანიზმის სასიცოცხლო ტონუსი, უმჯობესდება განწყობილება და დაზარალებულის დერესიდიდან გამოსაყვანად საჭირო სხვადასხვა მოქმედება სრულდება.



ალკოჰოლი კი დერესანტი ანუ ანტიდერესანტების ანტაგონისტი და ამდენად, პრეპარატის მოქმედებაც ნულზე დაჰყავს. ამასთან, ალკოჰოლი ადრენალინის დამატებით გამოყოფის სტიმულირებას უწყობს ხელს, რის გამოც გულისცემა ძალიან ხშირდება, არტერიული წნევა მატულობს და იწყება წვრილი სისხლძარღვების სპაზმი.

გარდა ამისა, ლუდისა და ღვინის ზოგიერთი სახეობა შეიცავს ნივთიერება ტირამინს, რომელსაც ადრენალინის მსგავსი წყობა და მოქმედება ახასიათებს. ჩვეულებრივ პირობებში ტირამინი ნაწლავებში იშლება, მაგრამ მონოამინოოქსიდაზის ინჰიბიტორების მიღების ფონზე, მას სისხლში მოხვედრა და არტერიული წნევის უსაზღვროდ გაზრდა შეუძლია.

თითქმის ასეთსავე ეფექტს მივიღებთ თუ გაცივების დროს ცხვირში ნებისმიერ სისხლძარღვების შემავიწროებელ ნივთებს ჩავინვეთებთ და „გასახურებლად“ წინასწარ არაყსაც გადავკრავთ. ეთანო-

ლი, ყველაფერთან ერთად, ადრენალინის ზემოქმედებისადმი გულის მგრძობელობასაც ამაღლებს. ადრენალინისებრ ნივთიერებათა (ცხვირის „გაჭედვის“ დროს კი სხვა არ გამოიყენება) ყველაზე უმნიშვნელო დოზაც კი მნიშვნელოვნად აისახება ადამიანის გუნება-განწყობილებაზე. ვფიქრობთ, დიდად სასიამოვნო არ უნდა იყოს, როცა გული საგულეში ვედარაფრით გვეტევა და იქიდან ამოვარდნას ჯიუტად ლამობს.

ალკოჰოლის კიდევ ერთი პატარა სიმუხთლე თირკმლის ციტოქრომების ჯგუფის ფერმენტების ძლიერი გააქტიურების უნარია. ეს ფერმენტები, ძირითადად, ჩვენს ორგანიზმის საერთო დეტოქსიკაციაზე აგებს პასუხს, თუმცა იქ მოხვედრილი ძალიან ბევრი პრეპარატის, მაგალითად, ორალური კონტრაცეფტივების უტილიზაციაც შეუძლია. შედეგად კი ორგანიზმში მოხვედრილი ესა თუ ის პრეპარატი შეიძლება, ძალიან სწრაფად და სრულიად უსარგებლო ნაწილებად დაიშალოს.

**აირჩიე და შეიძინე სხსლიდან გაუსვლელად**  
 ინტერნეტ მაღაზია  
**www.elva.ge**  
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოყვების დასახელება	1 კვ. ფაზა	2 კვ.
1. რუბინს ჰერმეტიკი	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	59.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

პრესის გაერთიანების სააგენტო  
 ქ. თბილისი  
 იოსებძის ქ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქსი: 38-26-74  
 E-mail: elva@kvispaltira.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

სიფრთხილე გვმართებს ანთების სან-ინალმდეგო საშუალებებთან დაკავშირებითაც. ასე, მაგალითად, ალკოჰოლთან ერთად მიღებული რევმატიული ართრიტის სამკურნალო ერთ-ერთი საბაზისო პრეპარატი — მეტოტრექსატი, თირკმელს საკმაოდ მტკივნეულად „ურტყამს“. დაახლოებით ამავე მდგომარეობამდე მიგვიყვანს სპირტიანი სასმლის პარაცეტამოლთან ერთად მიღება, რასაც მედიკოსები ჰეპატოტოქსიკურ ეფექტს უწოდებენ. ალკოჰოლთან „დაწყვილებული“ სხვა არასტეროიდული ანთების საინალმდეგო საშუალებები (თუნდაც იგივე ასპირინი) კი კუჭის წყლულის გაჩენის რისკს ზრდის.

**ნაბალი ალკოჰოლის მოქმედებას სვლის**

როგორც ცნობილია, ეთილის სპირტი ჩვენს ორგანიზმში ფერმენტების ზემოქმედებით იშლება. სანაყის ეტაპზე ალკოჰოლდეჰიდროგენება ეთანოლს ძმრის აღდეჰიდად, შემდგომ ეტაპზე კი ძმრის მჟავად აქცევს. ეს უკანასკნელი ნახშირორჟანგად და წყლად უკვე განსაკუთრებული პრობლემის გარეშე იშლება. ჩამოთვლილთა შორის ყველაზე ტოქსიკური პროდუქტი ძმრის აღდეჰიდაა. სწორედ მას უნდა ვუმაღლოდეთ ე.წ. ნაბახუსევის სიმპტომებს — თავის ტკივილს, გულისრევას, და ა.შ. ამ თავისებურებაზეა აგე-

ბული ხალხში „ჩაკერების“ სახელით ცნობილი ალკოჰოლიზმის მკურნალობის ერთ-ერთი მეთოდიც.

ექიმებს პრეპარატი დისულფირამი (ესპერალი, ანტაბუსი, ტეტურამი) შეჰყავთ პაციენტისთვის და აფრთხილებენ, რომ სასმელი აღარ უნდა დალიოს, თორემ ძალიან ცუდად გახდება. თუ ამის შემდეგ ადამიანი მაინც გარისკავს და დღევს, ძმრის აღდეჰიდადით სრულფასოვანი მონამვლა არ ასცდება.

ანალოგიურად მოქმედებს ზოგიერთი ანტიბაქტერიული პრეპარატიც, მათ შორის, ყბადაღებელი მეტრონიდაზოლი (ტრიხოპოლი), რომლის ეფექტიც სექსუალურად აქტიურ არაერთ ადამიანს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. ამავე სიაში ყველა ცეფალოსპორინი, გრიზოფულვინი, სულფანილამიდი (ბისეპტოლის ჩათვლით), ნიტროფურანი (ფურაზოლიდონი) და კეტოკონაზოლიც უნდა შევიტანოთ. მათი მიღებისას „სასურველი“ ეფექტის მისაღწევად ერთ აბზე ერთი ჭიქა სასმლის დაყოფაც სრულიად საკმარისია.

ნამლის მიერ ალკოჰოლის მოქმედების შეცვლის კიდევ ერთი კლასიკური მაგალითი კოფეინის უკავშირდება. ალბათ შეგიძინებიათ: ყავის ლიქიორი ადამიანზე ლამის არაყოფით მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ გრადუსი თითქმის ორჯერ ნაკლები აქვს. ეს ეფექტი კოფეინისა და ეთანოლის ურთიერთქმედების შედეგია.

კოფეინს, როგორც ფსიქოსტიმულატორს, „გამოფხიზლების“ დროებითი, ხანმოკლე ეფექტის გამოწვევა ნამდვილად შეუძლია, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ, ადამიანს სიმთვრალე ბევრად უფრო მკვეთრად გამოხატული ფორმით უბრუნდება. საქმე ისაა, რომ კოფეინი ორგანიზმში ეთილის სპირტის ჰემატოენცეფალური ბარიერის გავლით შეღწევას აძლიერებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ალკოჰოლი ტვინისკენ გაორმაგებული ძალით მიისწრაფვის და ჩვენც თითქოს ორმაგად ვთვრებით.

სამკურნალო საშუალების ვერც ერთ ინსტრუქციაში ვერ აღმოაჩენთ სტრიქონს — „დაყოფით ალკოჰოლი“. იმიტომ, რომ ეს ორი რამ ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელია. ამიტომაც თუ საკუთარ თავზე ფარმაკოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარების სურვილით არ იწვით, ჯობს, ნამლებს ოთახის ტემპერატურის წყალი დააყოლოთ. შემთხვევათა ოთხმოდცათხუთმეტ პროცენტში ეს ყველაზე სწორი საქციელი იქნება. ხოლო დანარჩენი ხუთი პროცენტის შესახებ, როცა ნამალს რძე, მინერალური წყალი ანდა სხვა სითხე უნდა დააყოლოთ, პრეპარატზე დართულ იმ ინსტრუქციაში უნდა ამოიკითხოთ, რომელიც კოლოფის გახსნისთანავე ნაგვის ყუთში დაუფიქრებლად მოისროლოთ...

# სიასლა! ჩანართი პათოვის, ვისაც

## სასლში პაბარა ჰყავს

**პედიატრიული ჩანართი თქვენს მკურნალში**

**ოჯახის პედიატრი**


**შეკითხვები პედიატრს**

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევუჩიოთ ბავშვს ფაფა

**შეაბროვა და აკინდა**



საქართველო

თქვენთვის ქალბატონებო!



გამოხმაურება

დედაჩემი ნატოს მსგავსად რომ მოქცეულიყო

მარინა ბაბუნაშვილი

სასიამოვნოა, რომ ჩვენი მკითხველი ჟურნალის გამოსვლისთანავე გვეხმაინება. წინა ნომერში დაბეჭდილ წერილს სხვადასხვა ასაკის ქალბატონები გამოეხმაურნენ. გამოდის, რომ რუბრიკა „ცხოვრებით“ ინტერესდებიან როგორც 12-21 წლის გოგონები, ასევე 40-50 წლის მანდილოსნებიც. ისინი ჩვენს რეკომენდაციებთან ერთად განიცდიან მათ ტკივილსა თუ სხარულს, გვიზიარებენ თავიანთ შეხედულებებს, ემოციებს და აღფრთოვანებასაც არ ფარავენ, თუკი ამას წერილის „გმირი“ იმსახურებს.

„გაიხარე, ნატო! გვირგვინი და ათასი ჯილდო გვეუთვნის. ქალის ნამდვილი ეტალონი ხარ. სიტყვებიც კი არ მყოფნის, ისეთი აღტაცებული ვარ. ახლა რუბრიკის ავტორს მივმართავ: მარინა! უკვე წლებია, მუდმივად ვკითხულობ თქვენს რუბრიკას „კვირის პალიტრაში“. ძალიან მიყვარხართ და დიდ პატივს გცემთ. მიყვარს მთელი „კვირის პალიტრის“ რედაქცია. უზომოდ გახარებული ვარ, რომ „გზაშიც“ დაინყეთ ცხოვრებისეული ამბების ბეჭდვა. „კვირის პალიტრა“ და „გზა“ ჩემი ფავორიტი გაზეთი და ჟურნალია. მია“.

„ვეთანხმები ნატოს და მომწონს მისი საქციელი. ქალმა, მართლაც არ უნდა შექმნას ტრაგედია იმის გამო, რომ ქმარმა მიატოვა. დედაჩემიც ნატოს მსგავსად რომ მოქცეულიყო, ახლა მასაც, მეც და ჩემს ძმასაც უფრო მშვიდი და წარმატებული ცხოვრება გვექნებოდა. ახლა კი გაცრუებული იმედები და დანგრეული ფსიქიკა დაგვრჩა. თამუნა“.

„გაოგნებული ვარ ნატოს საქციელით. ყველა ვერ შეძლებდა ქმრის ლალატის მერე ასე დიდსულოვნად მოქცევას. ის უაღრესად კეთილშობილი ადამიანია. ვაჟზე კი გული დამწყდა და გაგებრაზდი კიდევ: როგორ დაკარგა ასეთი ძვირფასი ადამიანი?! მართალია, ისინი ერთად არ არიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვაჟა ძალიან ნანობს ნატოს დაკარგვას. ლელა“.

„სიტყვები არ მყოფნის, ისეთი აღფრთოვანებული ვარ ნატოს საქციელით. მჯერა, უფალი მასაც მოუტანს ბედნიერებას. მეც განონანსნორებული და მიმტყველები ადამიანი ვარ, მაგრამ ალბათ ვერ შევძლებდი, მეპატიებინა იმ კაცისთვის, რომელმაც შუა გზაზე დამტოვა და შემარცხინა“.

„დიდი მადლობა რუბრიკის ავტორს და ჟურნალის რედაქტორს, ასეთი საინტერესო წერილებისთვის. ერთი თვისება მაქვს — სხვის შეცდომებზე ვსწავლობ და ვცდილობ, იგივე მეც არ დაფუშვა. ნატოსგან ვისწავლე, რომ ვიყო კეთილი და მიმტყველები. ხატია“.

„ულამაზესი ამბავია, ნატო კი საამაყო ქართველი ქალი და დედაა. მან თავისი მოთმინებით იმას მიაღწია, რომ შეილებს სიყვარული არ წაართვა, არ დაუშალა მამასთან და მის მეორე ცოლ-შვილთან ურთიერთობა. სიძულვილისა და ბოლმის გულში ჩადებას სიყვარულის გაცემა სჯობს. ალბათ, გულის სიღრმეში ნატოს ძალიან უჭირს, მაგრამ ეტყობა, ძლიერი ქალია. ვიცი, ამ სირთულესაც გადალახავს. ვისურვებდი, ბევრმა ქალმა მაგალითი მისგან აიღოს. თაისი“.

„ძალიან მომეწონა თქვენი ახალი რუბრიკა. ამით „გზა“ კიდევ უფრო საინტერესო გახადეთ. ვაფასებ ნატოს კეთილშობილებას და თავდადებას. მესმის მისი. თუ ადამიანი მართლა გიყვარს, მისთვის შეუძლებელს შეძლებ. ამის ერთ-ერთი ცოცხალი მაგალითი მე თვითონ ვარ. საკმაოდ გვიან, 34 წლის ასაკში, გაგიჟებთ

შემიყვარდა ერთი ადამიანი. დავტოვე სიმწრით „შეკონინებული“, თუმცა უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი და ჩემს ორ მოზრდილ გოგონასთან ერთად, იმ კაცთან გადავდი საცხოვრებლად. ის ყველა ახლობელს და ნათესავს, როგორც ჩემი ქმარი, ისე გავცნო. გავიდა დრო და მან მიმატოვა. რომ არ გავგიჟებულიყავი, წერა დავინყე. ჩემს ტკივილსა და ემოციებზე დღიურში ვწერდი. მე ის მაინც მიყვარს, არ შემიძლია, ცუდი რამ გაუფკეთო, თუმცა მინდა, ერთხელ წინ დავუდო ჩემი ჩანაწერები და წავაკითხო. დაე, იცოდეს, რა გადაამატებინა და რამხელა დარდი ამკიდა სიკვდილამდე. თქვენი ერთგული მკითხველი, ირა“.

„თქვენი ახალი რუბრიკა სულის წამალი და გულის მალამოა! მართლა გეუბნებთ, კი არ გეხუმრებით. ვერ წარმოიდგენთ, ამ პუბლიკაციებში ჩემი და ჩემი ახლობლების ცხოვრების მსგავსი რამდენი ეპიზოდი ამოვიკითხე. თუმცა, იმაშიც უნდა გამოგიტყდეთ, რომ ნატოსავით ვერ მოვიქეცი. ახლა კი ვნანობ, მაგრამ უკვე გვიანია. ჩემმა 21 წლის გოგონამ მითხრა: შეხედე, ნატო რა ქალია! განა, მან არ გადაიტანა ტკივილი, განა, ის არ იყო შურადაცხოფილი, მაგრამ ომი კი არ გამოუცხადა ქმარს, სიმშვიდე შეინარჩუნა და შვილებს სული არ გაუბზარაო. ველარაფერი ვუთხარი. მართალი იყო, ჩემს წერვებს და ემოციებს შევწირე ჩემი შვილების სიმშვიდე და კეთილდღეობა. ახლა ვცდილობ, ყველა სურვილი შევუსრულო, მაგრამ ვატყობ, მაინც გულნატყენი არიან ჩემზე. ლელა, 49 წლის, თბილისი“.

# სხვისი შვიდი

უკვე გითხარით, ჩემს ძველ რესპონდენტებთან ურთიერთობა დღემდე მაქვს-მეთქი. როცა ჟურნალში „კვირის პალიტრის“ რესპონდენტთა ცხოვრებისეული ამბების ბეჭდვა დაიწყო, ზოგს მე დავუკავშირდი, ზოგიც თავად შემეხმინა და სურვილი გამოთქვა, მოეთხრო ის, რაც გაზეთში არ დაბეჭდილა და რაც ადრინდელი პუბლიკაციის მერე მოხდა მის ცხოვრებაში. ერთ-ერთი ასეთი რესპონდენტი ინგა გახლავთ, რომლის ამბავმა თავის დროზე

ძალიან დააინტერესა „კვირის პალიტრის“ მკითხველი. ინგამ მაშინაც გულახდილად მიაბზო, რაც თავს გადახდა და არც ახლა დაიზარა, მოეთხრო მისი შემდგომი ცხოვრების შესახებ...  
 თუმცა, ტრადიციულად ჯერ ძველ ამბავს შემოგთავაზებთ და მოკლედ გიამბობთ იმ წერილის შინაარსს, რომელიც „კვირის პალიტრაში“ 2003 წლის 19 მაისს დაიბეჭდა სათაურით — „საიდუმლო ამბავი თუ ბედისწერა?“

## მარინა ბაბუნაშვილი

### თავი პირველი: გვიან გამჟღავნებული საიდუმლო

ინგა დედისერთა გახლდათ. მისი მშობლების სიყვარულზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ, რითაც გოგო ძალიან ამაყობდა. დედამისი ულამაზესი ქალი იყო, ინგაც მშვენიერი გოგონა დადგა, მაგრამ ყველას უკვირდა, მშობლები შავფრემანები იყვნენ, ინგა კი — ქერა და მწვანეთვალეა. დაინტერესებულთ, ინგა ღიმილით უხსნიდა — დიდ ბებიას, თავად ანჩაბაძის ქალს ვგავარ, ისიც ქერა იყო.

ინგამ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და იმავე წელს, ერთი გამოცდით სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. ლევანიც მაშინ გაიცნო. მისი კურსელი იყო. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ. შეუღლება გადაწყვიტეს, მაგრამ ინგას მშობლებმა სასიძო დაიბარეს და სთხოვეს — ნუ იჩქარებთ ქორწინებას, ჩვენ ხომ არ გიშლით ურთიერთობას, წინ სწავლის რთული წლები გელით, ორი კურსი მაინც დახურეთ და მერე მოანერეთ ხელიო. ლევანი დიდ პატივს სცემდა ინგას მშობლებს და პირობა მისცა, თქვენი სურვილის მიხედვით მოვიქცევითო.

ინგას ძალიან კარგი კლასელები ჰყავდა. მართალია, ისინი სხვადასხვა სასწავლებელში მიმოიფანტნენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ, ხშირად ყოფილიყვნენ ერთად. თავზარი დაეცათ, როცა გაიგეს, რომ თავიანთი კლასელი — დემნა ავტოავარიამი დაღუპულიყო. დემნას მამამ გადაწყვიტა, 19 წლის ვაჟი სამეგრელოში, საგვარეულო სასაფლაოზე დაესაფლავებინა. მეგობრის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად მთელი კლასი წავიდა. ლევანი ავად რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად თან გაჰყვებოდა საცოლეს.

დაკრძალვის მერე ჭირისუფლებმა დემნას მეგობრები არ გამოუმევეს, ერთი დღეც დარჩით, ხვალაც გავიდეთ საფლავზე და თბილისში მერე გაემგზავრეთო. ინგას კლასელს, რამაზს, როგორც იტყვიან, ხელი მოემართა. მას მეხუთე კლასიდან უყვარდა ინგა, მაგრამ კარგა ხანს ვერ უმუღავნებდა. ბოლოს გაბედა და სკოლის ბანკეტზე გამოუტყდა სიყვარულში, ინგამ კი ცივი წყალი გადაასხა. მერე რამაზმა გაიგო, რომ ინგას თავისი კურსელი შეუყვარდა და მალე ცოლადაც გაჰყვებოდა. დადარდინებული ბიჭი საგონებელში იყო ჩავარდნილი. ინგას ვერ თმობდა. რამაზის მეგობრებმა იცოდნენ მისი გასაჭირი, აგუღიანებდნენ, — იქნებ, რამენაირად დაითანხმო ინგაო და... რამაზმა გამბედაობა მოიკრიბა და კვლავ გაუმეორა გოგოს: უშენოდ არ მეცხოვრება, ნუ გამწირავო. ინგა ძალიან გაბრაზდა, — ასეთ დროს, როცა ეს-ესაა მეგობარი მინას მივებარეთ, სიყვარულზე როგორ მელაპარაკები; თანაც, ერთხელ და სამუდამოდ შეუშვი მაგ თავში, რომ მე სხვა მიყვარსო. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, რამაზს ორი ძმაკაცი გვერდით დაუდგა, ინგა მსუბუქ მანქანაში ჩასვეს და სვანეთისკენ გაქუსლეს. გოგონამ თვალეები ტირილით დაისივა. იმედოვნებდა, მამა და ლევანი მოაკითხავდნენ და „ტყვეობიდან“ დაიხსნიდნენ. მაგრამ მესამე დღეს მხოლოდ მამამ და ბიძამ მიაკითხეს. მამამ უთხრა — ტრადიციულ ოჯახში ხარ აღზრდილი, უკვე გათხოვილი ქალი გქვია და რა მნიშვნელობა აქვს, ნებით წაჰყევი თუ ძალით წაგიყვანეს; შინ დაბრუნებას აზრი არა აქვს, რამაზი ცუდი ბიჭი არ ჩანს; განათხოვარის სახელის დარქმევას, ოჯახის ქალობა სჯობსო. ინგას ტირილი აუვარდა, — რამაზი არ მიყვარს, ლევანს შემახვედრეთ, მასთან მინდა ლაპარაკიო. პასუხად მამამ კიდევ უფრო გულის გასახეთქი

რამ უთხრა: სანამ წამოვიდოდი, ლევანი ვნახე, მან ჩვენთან ერთად წამოსვლა არ მოისურვა, შენთან კი დაგვაბარა, ბედნიერებას ვუსურვებო. გაოგნებული დარჩა ინგა, მაგრამ დარწმუნებული იყო, მამა არ მოატყუებდა. თბილისში რომ დაბრუნდნენ, დედაც გახარებული დახვდა, ხალისიანად დალოცა ქალიშვილი და სიძე. ინგა თითქოს ბურანში იყო, მთავრეულივით მოქმედებდა.

ინსტიტუტში დაბრუნებულ ინგას ლევანი კურსზე აღარ დახვდა. მეგობრებმა უთხრეს, მოსკოვში წასვლა უცებ გადაწყვიტა, ბიძამისი იქ ცხოვრობს და ახლა იქ აგრძელებს სწავლასო.

ამონარიდი წერილიდან: „ბედს შევეგუე. რამაზი თავს მეველებოდა. ძალას არაფერზე მატანდა, ის კი არა და, ქორწილიდან ერთ თვეზე მეტხანს, ცალ-ცალკე გვეძინა და მოთმინებით ელოდა იმ დღეს, როდის შემიყვარდებოდა. ჩვენი ურთიერთობა ნელ-ნელა გათბა. პირველი ბიჭი შეგვეძინა, დემეტრე დავარქვით. მინდოდა, მეორე შვილიც მყოლოდა, მაგრამ ორსულობის მეექვსე თვეს აუცილებელი შეიქნა ნაყოფის მოცილება. ძალიან ვიდარდე. რამაზი ჩემზე უფრო წუხდა. მეხვეწებოდა, ოლონდ შენ იყავი კარგად, შვილზე აღარ იფიქრო, დემეტრე ხომ გყავსო“.

ინგას მამამ სიძეს თავისთან დააწყებინა მუშაობა. ინგამ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში ექიმ-გინეკოლოგის ადგილი იშოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ, თანამშრომელმა ბინა შეიძინა და ახალმოსახლეობის აღსანიშნავი წვეულება გამართა. მოწმენდილ ცაზე მუხის გავარდნას ჰგავდა ინგასთვის ლევანის იქ დანახვა. როგორც გაირკვა, რამდენიმე თვის წინ, მას მოსკოვში გაცნობილი ქართველი ქალი (მასპინძლის მამიდაშვილი) შეურთავს ცოლად და



ახალშეუღლებულნი თბილისში ერთად დაბრუნებულან.

ინგას ლამის გული საგულიდან ამოუვარდა. ლევანი თვალს არ აშორებდა, შორიდან უღიმოდა, მაგრამ ვაი, ამ გაღიმებას ვერ მოითმინა ინგამ და პირველი ნაბიჯი მან გადადგა.

— რატომ შემაქციე ზურგი, რატომ ერთხელ მაინც არ მომიკითხე? იქნებ, უშენობა როგორ მიჭირდა?! — წყენა ვერ დაფარა ქალმა. ლევანმა ბოლომდე ვერა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც გაუმჟღავნა სიმართლე: ერთ ადამიანს პირობა მივეცი, რომ საიდუმლოს შევინახავდი; ამიტომაც ვერ გაუბნები, რატომ მიგატოვეო.

ლევანის ნათქვამმა მოსვენება დაუკარგა ინგას. ათას ვერსიას თხზავდა, მაგრამ დასკვნა ვერ გამოჰქონდა; ვინ იყო ის ადამიანი, ან რა პირობა მისცა ლევანმა მას?

— ეს კითხვები მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევდა და ისიც, გამუდმებით ერთსა და იმავეზე ფიქრობდა. მერე ისე მოხდა, რომ ინგას ერთმა ტკივილმა მეორე დაავიწყა. მის სათაყვანო მამას სამსახურში ინსულტი დაემართა და ექიმების დიდი მცდელობის მიუხედავად, ერთ საათში გარდაიცვალა. რამაზი სიმამრის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო დაიტვირთა სამსახურის საქმეებით, ხშირად უწევდა რუსეთში ხანგრძლივი მივლინებები. გარკვეული დროის შემდეგ, ისევ ამოტივტივდა პასუხგაუცემელი კითხვები. ძალიან უნდოდა ლევანის ნახვა, მაგრამ ვერ ბედავდა — მასაც ოჯახი ჰქონდა და ლევანსაც.

ერთ დღეს, თანამშრომელი (ვის ოჯახშიც ლევანი ნახა) გახარებული მივიდა სამსახურში და თქვა, ჩემს მამიდაშვილს ბიჭი შეეძინაო. მისი მამიდაშვილი კი ლევანის მეუღლე იყო.

„მაშ, ლევანი მამა გახდა?“ — სიხარულით გაუელვა ინგას. გარდა იმისა, რომ ლევანის ბედნიერება მართლაც გულით გაუხარდა, მასთან დარეკვის საბაბიც მიეცა. ლევანი არ ელოდა ინგას მილოცვას. მერე ქალმა შეხვედრა სთხოვა. შეხვედრა იმ ადგილზე დათქვეს, სადაც სტუდენტობისას ყოფნა უყვარდათ. ლევანმა სწორედ მაშინ გაუმხილა: „რამაზმა ისეთი რამ უთხრა მამაშენს, რომ კაცი მუხლებში ჩამივარდა, ოღონდ ინგაზე უარი თქვი, თბილისიდან წადი და სიკვდილამდე შენი მსახური ვიქნებიო. მამაშენის „მსახურობა“ რად მინდოდა, შენ თუ დაგკარგავდი?! დათანხმება არ მინდოდა, მაგრამ დამეშუქრა — ეს ყველაფერი ჩემი ან მეუღლის სიკვდილით დამთავრდება, თუ ინგა რამაზს ცოლად არ გაჰყვებაო. დანარჩენს ნუ მომაყოლებ, შენ თვითონ გამოჰკითხე დედაშენს“, — დაასრულა ლევანმა. ინგამ დედას კატეგორიულად მოსთხოვა, საიდუმლოებით მოცული ამბავი გაემჟღავნებინა.

აი, რა უამბო ქალბატონმა ნანამ ქალიშვილს: „მე და მამაშენს 10 წელი შვილი არ შეგვეძინა. ბავშვის აყვანა გადავწყვიტეთ. აქ რომ არავის გაეგო, ტალინში გადავწყვიტეთ წასვლა. მამაშენს იქ ბევრი მეგობარი ჰყავდა და იმედი გვექონდა, დაგვეხმარებოდნენ. ახალგაზრდა ქალმა ქორწინების გარეშე გოგონა გააჩინა და დატოვა. დაგინახე თუ არა, მაშინვე შემიყვარდი და გიშვილეთ. საქართველოში ვინმე რომ არ დაეჭვებულყო, გადავწყვიტეთ, ტალინში კარგა ხანს დავრჩენილიყავით. მამაშენი თბილისში დაბრუნდა და ყველას უთხრა, მკურნალობამ შედეგი გამოიღო, ნანა ორსულადაა და იქ მოიმშობიარებსო. იმ სამშობიაროში, სადაც შენ

გაჩნდი, ერთი ქართველი გოგონა იყო პრაქტიკაზე. მან ყველაფერი იცოდა. საჭიროდ არ ჩამითვლია, საიდუმლოს შენახვა მეთხოვა, რადგან პრაქტიკის გავლის მერე მოსკოვში აპირებდა ცხოვრებას და მუშაობას. ის გოგო რამაზის ბიძას გაჰყოლია ცოლად. როცა რამაზის სიყვარულის ამბავი გაუგია, გამოუკითხავს შენი ოჯახის ამბები, მიმხვდარა ყველაფერს და რამაზისთვისაც უამბნია. მან კი ჩვენი საიდუმლო თავის სასარგებლოდ გამოიყენა. როცა მოგიტაცა, ორი დღის მერე ჩვენთან მოვიდა, შენი ადგილსამყოფელი გვითხრა, თან გაგვაფრთხილა, — თუკი ხელს არ შემიწყობთ, იძულებული ვიქნები, ინგას ყველაფერი ვუამბოო. მეც და მამაშენსაც სიკვდილივით გვეშინოდა ამ საიდუმლოს გამჟღავნების. დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენგან ნახვიდოდი და ამიტომაც მამაშენმა გამოსავალი იპოვა — ლევანს კაცურად სთხოვა, გვერდზე გამდგარიყოთ.

დედა მის წინ იჯდა, ცრემლები ღვარად მოსდიოდა და შვილს, რომელიც სულაც არ იყო მისი სისხლი და ხორცი, საცოდავად მისჩერებოდა. მას ეგონა, ინგა წამოხტებოდა და კარს გაიჯახუნებდა, მაგრამ ინგა თავის გამზრდელს ჩაეხუტა და მადლობა გადაუხადა იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელიც ასე უხვად ჰქონდა, მრავალი წლის განმავლობაში. რაც შეეხება რამაზს, მასთან ცხოვრება ველარ შეძლო და გაეყარა.

### თავი ზოგადი შეხვედრა ნამდვილ დედასთან

მას შემდეგ, რაც ინგამ თავისი ნამდვილი წარმომავლობა გაიგო, გადაწყვიტა, მშობლის ვინაობაც დაედგინა. თავისი აღმზრდელი დედისგან იცოდა, რომ ბიოლოგიური დედა ნახევრად რუსი იყო. გვარად ალექსეევას, სახელი ესტონური ჰქონდა — ალდონა.

**ინგა:**

— დედაჩემმა შეფუთული ყუთი გადმომცა, სადაც ნამდვილი დედის ძველი ფოტო და ხელნერილი (რომ ჩემზე პრეტენზია არ ექნებოდა) იდო. ამ მწირი მონაცემებით მისი მოძებნა ძნელი იყო. არადა, ისე მინდოდა მისი ნახვა, რომ ყველაფრის ინტერესი დავკარგე. სამსახურს გულს ვეღარ ვუდებდი და მთავარ ექიმს ვთხოვე, ოჯახური პირობების გამო უფასო შევბულება მოეცა. ლევანი რამდენჯერმე შეემხიანა. შეეჩვილე, რაც მანუხებდა, მაგრამ



დანანებით მიიხრა, სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებო. როცა რამაზმა ჩემი გულსინალები შეიტყო, დამამედა, ყველაფერს გადაკეთებ, რომ გაგახარო, ოცნება აგისრულო და შენი სიყვარულიც დავიბრუნო. მართლაც, ბევრს ეცადა. ის ხომ ხშირად მიდიოდა რუსეთში მივლინებით. ერთხელაც, ჩემთვის არაფერი უთქვამს, ისე გაემგზავრა ტალინში. იმ სამშობიაროში მივიდა, სადაც მე გავჩნდი. ის ექიმები მოიკითხა, რომლებიც იმ დროს იქ მუშაობდნენ. მხოლოდ ერთი, ხანში შესული ექთანი დახვედრია და იმანაც საიმედო ვერაფერი უთხრა. ბოლოს, სამშობიაროს არქივში 2-დღიანი ძებნის მერე, რალაცები ამოუქექავს და სწორ კვალზეც დამდგარა.

როცა თბილისში დაბრუნდა, მაშინვე მე მომაკითხა. ისეთი გაციკროვნებული თვალებით მიყურებდა, რომ მივხვდი, უსათუოდ რალაც ექნებოდა გაგებული. მან საჩუქრები გამოგვინოდა მე, დემეტრეს და დედაჩემს და გვითხრა, ეს ყველაფერი ესტონეთიდან არისო. მივხვდი, რომ ჩემთვის საჭირო ინფორმაცია მოპოვებული ჰქონდა. ვეღარ მოვითმინე და გახარებული კისერზე ჩამოვეკიდე. აღდონა აღექსევა, ჩემი გაჩენის მერე ესტონელ კაცს გაჰყოლია ცოლად. მისგან ორი ქალიშვილი შესძენია. ისინი ტარტუში ცხოვრობდნენ. რამაზი დამპირდა, რომ ახლო მომავალში ესტონეთში წამიყვანდა და ჩემთვის უცნობ დედას და დებს გამაცნობდა. ორი წლის მერე,

როგორც იქნა, გავემგზავრეთ. აღმოჩნდა, რომ აღდონა ტარტუს უნივერსტიტეტში ლექციებს კითხულობდა. მეგონა, მას უსაზღვროდ გაახარებდა ჩემი დანახვა, იტირებდა, გულში ჩამიკრავდა... მან კი ჯერ ხელი ჩამომართვა, მერე თვალებზე ხელი გადამისვა და თქვა — თვალებით მგაგებარო. სულ ეს იყო! ვთხოვე, დები გაეცნო ჩემთვის, მაგრამ უარი მიიხრა, აქ არ არიან, საზღვარგარეთ სწავლობენო და ის ქვეყანაც არ დამისახელა, სადაც იყვნენ. მივხვდი, მატყუებდა. უბრალოდ, აღარ უნდოდა წარსულის გახსენება. მე ხომ მისი „დიდი შეცდომა“ ვიყავი. გულდამდულრული გამოვბრუნდი. ის ღამე თეთრად გავათენე. რამაზი გვერდში რომ არ მყოლოდა, ალბათ, გავგიჟდებოდი. მინდოდა, ნამდვილი მამის ვინაობაც დამედგინა, მაგრამ აღდონამ მასზეც მიმიკიბ-მომიკიბა, — არ მახსოვს მისი გვარი; ხანმოკლე ურთიერთობა გვექონდა; როგორც კი გაიგო, მისგან ორსულად ვიყავი, მაშინვე მიმატოვა და უგზო-უკვლოდ გაქრაო.

შინ დაბრუნებული, მძაფრი ემოციებით ისეთი „გადამწვარი“ ვიყავი, რომ ერთადერთი, რაც ძალიან, ძალიან მინდოდა, დედაჩემის ჩახუტება იყო. დიახ, ნანა გახლდათ ჩემი ნამდვილი დედა!

ნანა შეუძლოდ დამხვდა, ლოგინში იწვა. მოლოდინად იყო ქცეული. სანამ დავილაპარაკებდი, ისე დამაკვირდა, თითქოს სურდა, სახეზე ამოეკითხა ჩემი

შთაბეჭდილებები და ემოციები. მოტეხილი მეჩვენა. პატარა გოგოსავით შევუნევი ლოგინში და ისე ჩავებუტე, როგორც მიჩვეული ვიყავი. ის თავზე ხელს მისვამდა და ჩუმად ტიროდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ჩურჩულით მიიხრა: უსაზღვროდ მეშინოდა შენი დაკარგვის, რადგან როცა იგებენ, რომ ნაშვილები არიან, ბოროტდებიან, ოჯახში აღარ ჩერდებიან და შინიდან გარბიან; მეგონა, შენც ამას იზამდი და ამიტომ დავთანხმდით მეც და მამაშენიც რამაზის წინადადებასო. როგორ შემეძლო, ამ ძვირფასი ადამიანისთვის საყვედური მეთქვა? — შენ ხარ ჩემი ნამდვილი დედა, წარსულიდან მხოლოდ ის ღამაზი დღეები მემახსოვრება, რომლებიც შენ და მამამ მაჩუქეთ-მეთქი. რამაზს კი დიდსულოვნად ვაპატიე ის ერთგვარი „გარიგება“, რომლითაც „მომიპოვა“ და ჩემი მშობლები დააშანტაჟა. მან ხომ ეს დიდი სიყვარულის გამო ჩაიღინა. მე და რამაზი შევრიგდით. ლევანი მხოლოდ ერთხელ ვნახე, ისიც შემთხვევით შემეფეთა ქუჩაში, თავის პატარას ასეირნებდა. თბილად მოვიკითხეთ ერთმანეთი, ეს იყო და ეს. ახლა მე და რამაზი კვლავ ერთად ვართ და ამის გამო ღმერთს სულაც არ ვემდური.

*P.S. კვლავ ველით თქვენს გამომხაურებებს. ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ.: 8.99.27.25.61.*

**ყველაზე COOL თინეიჯერული ჟურნალი**

# ოსკარი

ჟურნალი სულ მალე  
მკითხველს  
სუპერთანამედროვე  
საფლირტაო  
ქარტს მისთავაზობს.

**არ გამოგჩადს!  
შეაგროვა!  
ეფლირტავა თანატოლებს ოსკარ-ფლირტით!**

**შენ ხომ ყველაზე თანამედროვე ხარ!**

**მშაგარი "ოსკარი" მშაგარი სიუჟეტრიჯაბით!**



# სანდალეო პოპინი და პონკინი პოპინი



მონყენილი მუსიკოსი – რომელიც თაობების ჯერჯერ იქცა და პანჯგუფის ფეთქებადი, სუანდალური იმიჯის მქონე ვოკალისტი – რომელსაც ინტელექტის ფენომენური დონე ჰქონდა, გამუდმებით ჩხუბობდნენ, ერთმანეთს აგინებდნენ, ჭურჭელს ამსხვრევდნენ და მეგობრები შიშობდნენ, რომ ოდესმე ისინი ერთმანეთს დაასახიჩრებდნენ. ამის მიუხედავად, ჯურტ ჯობენმა და ჯორტნი ლავმა ერთად ო წელი იცხოვრეს და გოგონაც შეეძინათ, რომელიც ქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდათ. მათი სიყვარული ჯი განწირული აღმოჩნდა.

როდესაც ოთახში პოლიციელები შევიდნენ, კორტნი მაშინვე ყველაფერს მიხვდა. მხოლოდ იკითხა: „ეს როგორ მოხდა?“ — „მან ტყვია დაიხალა. გვამი ორანჟერეაში, 2 დღის შემდეგ იპოვეს“, — უპასუხა სერჟანტმა ისე, რომ იატაკისთვის თვალი არ მოუცილებია. კორტნიმ თავი მექანიკურად დაუქნია. მას

ქმრისგან კილომეტრები აშორებდა, მაგრამ გული ცუდს უგრძობდა. ის და კურტი გამუდმებით ერთნაირ სიზმრებს ნახულობდნენ, მაგრამ ბოლო 2 დღის მანძილზე კორტნის მხოლოდ დამჭკნარი ყვავილები ესიზმრებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ ის ლოს-ანჯელესიდან სიეტლში ჩაფრინდა. აეროპორტიდან

შინ მიმავალი კი მანქანაში ყურებზე ხელებს იფარებდა, რომ ვერ გაეგო, გაზეთის გამყიდველი ბიჭები როგორ გაყვიროდნენ: „უკანასკნელი სიახლე! კურტ კობენმა ტყვია დაიხალა!“ სახლი პოლიციელებით იყო გარშემორტყმული. კორტნიმ კორდონი ძლივს გაარღვია, ორანჟერეაში შევარდა და შემშრალ სისხლის გუბეში უგონოდ დაეცა.

თითქმის 1 დღე-ღამის განმავლობაში იყო გულწასული და მხოლოდ დროდადრო მოდიოდა აზრზე. როგორც კი თვალს გაახელდა, ფეხზე დგებოდა, ქმარს ხმამაღლა ელაპარაკებოდა, ადანაშაულებდა, ტიროდა და სიბნელეში ხელის ცეცებით დაეძებდა. „ეს არ უნდა მომხდარიყო!“ — უყვიროდა ის ორანჟერეაში აყვავებულ ორქიდეებს, მაგრამ ხვდებოდა, რომ ბოლო დროს ყველაფერი სწორედ ამისკენ მიდიოდა. კურტი ცხოვრებამ დაღალა. მას აღიზიანებდნენ უურნალისტები, რომლებიც სულ თან დაჰყვებოდნენ და ფეხებში ებლანდებოდნენ; აღიზიანებდნენ ფანატიკოსი თაყვანისმცემლები, რომლებიც მისი ფანჯრების ქვეშ ათენ-ალამებდნენ. ლლიდა გასტროლები, აწუხებდა ბრონქიტი და კუჭის ტკივილი, რაც ჰეროინზე დამოკიდებულების ბრალი იყო.

ოდესღაც კობენს თავისი დებრესია უყვარდა კიდევ, რადგან მხოლოდ ასეთ, მონყენილ მდგომარეობაში შეეძლო ისეთი მუსიკის დაწერა, რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა. გიტარაზე დაკვრა შვებას ანიჭებდა. ერთხელ მან ახალი სიმღერა დაწერა — „მძულს ჩემი თავი და მინდა, რომ მოვკვდე“. ამის შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში ბედნიერად და ლაღად ცხოვრობდა — შვილს ასეირნებდა, ცოლისთვის თაიგულს ყიდულობდა,



მასხვამკრებს მოლონგრებს  
აჲ შურთი. მათ იმ მასხვამკრებს  
შურთი, ვისაც მეც ხურლას  
სდოვვენ.




საღამოობით კი საყვარელ წვნიანსაც ამზადებდა. მალე მისი სიმღერა პიტად იქცა და თინეიჯერები მის სიტყვებს გამუდმებით იმეორებდნენ. როდესაც საყვარელი ქალი მიგატოვებს, მშობლები გულს გინყალებენ და საკუთარი გარეგნობა ზიზღს გგვრის, კურტის რეცეპტი უნდა გამოიყენო, — ამბობდნენ ისინი. მუსიკოსმა გაზეთში ამოიკითხა, რომ მისი მუსიკის თანხლებით ახალგაზრდა ფანტიკოსმა გოგონამ ორივე ხელზე ვენები გადაიჭრა. შემდეგ შენიშნა, ახალგაზრდები როგორ იკეთებდნენ ჰეროინის მის კონცერტზე და ამის შემდეგ სიცოცხლემ აზრი დაკარგა.

კორტნის ეს წვერ-გაუპარსავი, გაბურძენილი, სევდიანი მამაკაცი სიგიჟემდე უყვარდა. მათი მღელვარე რომანი ჩხუბით დაიწყო. კორტნი „ნირვანის“ კონცერტზე მივიდა და კურტი საერთოდ არ მოეწონა. ის ბარში შემთხვევით, პირისპირ შეეჩხრა მუსიკოსს და განუცხადა, რომ სულელურ სიმღერებს წერდა. კონცერტის მერე ძალაგამოცლილმა, მთვრალმა კურტმა, უცნობი, სიმპათიური გოგონას მიერ ნათქვამი ფრაზის შემდეგ — რომ მისი სიმღერები არაფრად ვარგა, — გინების მთელი მარაგი გამოიყენა, გოგონას კათხიდან ლუდი სახეში

შეასხა და უთხრა, — რომ არ არის ვალდებული, მის იდიოტურ აზრს ანგარიში გაუწიოს, რადგან ბართან მეგობარი გოგონა ელის და ძალიან ეჩქარება. კორტნიმ კობეინის მეგობარ გოგონას გამჭოლი მხერა ესროლა და მიუგო: „ის ხომ მსუქანა?“ ასეთმა თავხედობამ კურტი გააცოცხლა, კორტნი უკანასკნელი სიტყვებით გალანძღა, სავარძლიდან გადმოაგდო და იატაკზე დაანარცხა. კორტნი მთელი ხმით ყვიროდა. კურტმა მის გასაჩუმებლად სხვა გზა ვერ მოძებნა და ტუჩებზე დაეკონა. „მინდოდა, ხმა ჩაეწყვიტა“, — განმარტა მოგვიანებით. მეგობრებს კი გამოუტყდა — ასე მხოლოდ იმიტომ მოიქცა, რომ ამ თავხედი გოგონას გაცნობა უნდოდა.

კორტნის მიზანიც ეს გახლდათ. მას კონცერტი არ მოეწონა, მაგრამ ვოკალისტი-მა ჭკუიდან გადაიყვანა — გამჭოლი, ცისფერი თვალები, გაუპარსავი წვერი და მიბნედილი მხერა... სცენაზე ისე იქცეოდა, თითქოს ყველა იქ მყოფს იცნობდა: „გაუმარჯოს, 1-2 ახალი სიმღერა დაწერე“, — უშუალოდ ამბობდა ის. „ნირვანის“ გამოჩენისთანავე მოდაში „გრანჟის“



სტილი შემოვიდა. ბრჭყვი-ალეებით მორთულ ტყავის შარვალში გამოწყობილი, პომპეზური როკერების ნაცვლად, სცენაზე კუბოკრულ პერანგებში გამოწყობილი ბიჭები გამოდიოდნენ და მტკივნეულ თემებზე მღეროდნენ: „მეგობარი გოგონა წავიდა, დაღევა მინდა, ცხოვრება ბინძურია“... კორტნიმ კურტში მონათესავე სული დანახვისთანავე აღმოაჩინა. შენიშნა, რომ ცხოვრება არც მისთვის იყო ია-ვარდით მოფენილი და დედიკოს ბიჭს არ ჰგავდა. ეტყობოდა, ბავშვობა ქუჩაში ჰქონდა გატარებული. კურტი მღეროდა: „დედა და მამა გასართობად წავიდნენ და მე ბებერ ბებიასთან დამტოვეს“. კორტნიმ კი გაიფიქრა, რომ მას ბებერი ბებიაც არ ჰყავდა და როდესაც მშობლები გასართობად მიდიოდნენ, კორტნის ქუჩაში მარტო ტოვებდნენ, ხოლო თუ საღამო იყო, სააბაზანოში კეტავდნენ. მამების რაოდენობას კი კორტნი უკვე ვეღარ ითვლიდა. პირველი მამა უღვაშიანი ჰიპი იყო, რომელმაც გოგონას სახელი „ლავ“ (სიყვარული) შეარქვა. როდესაც კორტნი 4 წლის გახდა, მამას უნდოდა, რომ მას „გაზაფხულივით“ ეცეკვა. კორტნის სახლში, დილიდან საღამომდე ზეიმი არ წყდებოდა. უცნობი სახეები

ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. მოდიოდნენ ცნობილი მუსიკოსებიც, რომელთაც უკან თაყვანისმცემლების ზღვა მოჰყვებოდა. ყველანი გონის დაკარგვამდე თვრებოდნენ და ხმაურობდნენ. პატარა კორტნის მოჩვენებები, ჩონჩხები, მოწამლული რძე და ათასგვარი სისაძაგლე ესიზმრებოდა ხოლმე.

როდესაც გოგონა 7 წლის გახდა, საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადავიდნენ და კორტნის ისევ ახალი მამა გამოუჩნდა, რომელიც რიგით მესამე იყო. მალე დედას 2 გოგონა შეეძინა, რომელთა დაბადებამ კორტნის მარტოობის განცდა გაუჩინა. ის ხომ ყველამ მიივიწყა. მთელი

დღების განმავლობაში ტიროდა და საშინელ სურათებს ხატავდა, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი, რა დაემართებოდათ მის დებს. კორტნის მათი სიკვდილი სურდა — მაშინ დედას მხოლოდ ის ეყვარებოდა.

ოჯახი ქოხში ცხოვრობდა, რომელიც გაურანდავი ფიცრებით იყო შეჭვდილი და მიწის იატაკი ჰქონდა. ეს გახლდათ პანკების საცხოვრებელი, სადაც ბევრი ადამიანი ერთად ცხოვრობდა, რომელიც სქესთა გაყოფის სასტიკი წინააღმდეგი იყო. კორტნის კაბის ჩაცმა და თოჯინებით თამაში აკრძალული ჰქონდა. სკოლაში გოგონას ქვეშაფსიას ეძახდნენ, რადგან მშობლებს აზრად არ მოსდიოდათ, მისთვის ტანისამოსი გაერეცხათ. ამის გამო კორტნის გამუდმებით უსიამოვნო სუნი ასდიოდა. თანაკლასელები გაურბოდნენ. დედას კი მიაჩნდა, რომ კორტნის სულში პატარა, ბოროტი მხეცი იჯდა. კორტნის არ უყვარდა, როცა ვინმე ეხებოდა. ამ დროს შეეძლო, გაქცეულიყო და უგზო-უკვლოდ გადაკარგულიყო.

კორტნი იხსენებდა, რომ დედამ სკაუტების ჯგუფში ჩარიცხა და პირველსავე გაკვეთილზე, როცა მასწავლებელმა ბავშვებს ხატვა შესთავაზა, ზოგმა — ვაშლი, ზოგმა კი ყვავილები და მზის ჩასვლა დახატა. ხოლო კორტნიმ სისხლის გუბეში ჩაყრილი დახოცილი ადამიანები გამოსახა ქალაღზე. ამ შემთხვევის შემდეგ დედამ იფიქრა, რომ

უფროსი შვილი უმცროსებზე ცუდ გავლენას მოახდენდა და მათთან კონტაქტი აუკრძალა. ამ დღის შემდეგ, კორტნის მხოლოდ ქოხზე მიშენებულ ფარდულში ჰქონდა ძილის უფლება. გოგონა ფსიქიატრთან მიიყვანეს. დედა მოითხოვდა, ის კლინიკაში დაეტოვებინათ, მაგრამ ტესტის მიხედვით დადგინდა, რომ გოგონას ნორმიდან გადახრილი მხოლოდ ინტელექტის კოეფიციენტი ჰქონდა. სტანდარტული



სკალის მიხედვით, ეს გენიალურობას ნიშნავდა.

მალე მშობლები ახალ ზეღანდიაში გადასახლდნენ, კორტნი კი ნაცნობ ექთანს დაუტოვეს, მაგრამ გოგონას დიდხანს ვერც მან გაუძლო, რადგან გოგონა გამუდმებით ჩხუბობდა მის ვაჟთან, რომელსაც თავის ოცნებებსაც უმხელდა ხოლმე. მისი ოცნებები კი დაახლოებით ასეთი შინაარსისა გახლდათ: ყველა მეზობელი და მასწავლებელი თიხის დოქში გამოიმეწყვდია და შიმშილით მოეკლა; ან თავის ფერმაში ლამაზი ქალები გაემრავლებინა და შემდეგ მათრახით ეცემა, რათა უფრო ლამაზები გამხდარიყვნენ.

ერთხელ სკოლაში „ფიფქიას“ დადგმა გადაწყვიტეს. გოგონამ პრინცესას მთელი როლი ზეპირად ისწავლა, მაგრამ მხოლოდ ბოროტი დედაბრის როლი ერგო, რასაც კიდევ ერთი იმედგაცრუება მოჰყვა.

მისმა მომვლელმა კორტნის გამოხდომებს ვერ გაუძლო და გოგონა ახალ ზეღანდიაში გაამგზავრა. კორტნიმ 1975 წლის შობა მშობლებთან ერთად გაატარა. საჩუქრად იაფფასიანი, პასტელის საღებავი მიიღო, მისმა დებმა კი ფეხსაცმელები და ლამაზი კაბები. „ახალმა მამამ“ 10 წლის გოგონას ღვინო შესთავაზა. ალკოჰოლმა მისი სისასტიკე უფრო გამოავლინა და განაწყენებულმა, ჩხუბი დაიწყო. ამ მომენტში კორტნიმ თავი ურჩხულად წარმოიდგინა, რომელსაც

სურდა, ერთი ხელის აქნევით ყველანი ვირთხებად გადაექცია. ღამით გოგონა დედას ფეხებში შეუწვავდა, ოთხად მოიკეცა და მიეხუტა, მაგრამ დედამ საწოლიდან ფეხით გადმოაგდო. კორტნი კარისკენ კოჭლობით წავიდა და გარეთ გავიდა. დილით კი ცხვრების სადგომში, ერთანად ტალახში ამოსვრილმა გაიღვიძა. მან იგრძნო, რომ გაცილებით დიდი იყო, ვიდრე გუშინ. ერთ ღამეში გოგონას თითქოს რამდენიმე წელი მომატებოდა და ფიქრობდა: „ახლა მე მარტოდმარტო ვარ დედამინის ზურგზე. დედა არასდროს შემეყვარებს“.

კორტნი შინიდან წავიდა. ხან ნაცნობებთან ათევედა ღამეს, ხან — ინტერნატში. მაისურის ქურდობისთვის არასრულწლოვანთა კოლონიაშიც მოხვდა. ციხის ფსიქიატრები ინტელექტზე ჩატარებული ტესტის პასუხებით გაოგნებული დარჩნენ და გოგონა მათი შუამდგომლობით, პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს. კორტნი ქუჩის ბავშვების



გახადე და იმაცონე!


ბანდას შეეკედლა და რომ არა ინტელექტის მაღალი კოეფიციენტი, მათგან არაფრით განსხვავდებოდა.

კორტნი 15 წლის იყო, როდესაც კოლონიაში გაცნობილმა მეგობარმა გოგონამ დაურეკა და დახმარება სთხოვა. ეს სიახლე გახლდათ — ის ხომ არავის სჭირდებოდა და ახლა უეცრად, ვიღაცას დასჭირდა. კორტნიმ ყველაფერი მიატოვა და მეგობრის დასახმარებლად გაეშურა. შეხვედრისას შენევა ჩაეხუტა და ლოთი მამის შესახებ უამბო, რომელიც მასზე ძალადობას ცდილობდა. 2 საათის შემდეგ მეგობრები მთავარ ქუჩაზე იდგნენ და გამვლელ ავტომანქანებს აჩერებდნენ. მათ ავტოსტოპით ქვეყნის შემოვლა გადაწყვიტეს. „დიდი მოგზაურობა“ 2 კვირა გაგრძელდა და კორტნის ნამდვილი მამის, ჰენკის სახლში დასრულდა. ის გოგონებს შემთხვევით გადააწყდა ერთ-ერთ იაფფასიან ლუდის ბარში და შინ წაიყვანა. ჰენკი მზრუნველი მამა აღმოჩნდა, მაგრამ მალე მზრუნველმა „ანგელოზმა“ შენევას თვალი დაადგა. დროის უმეტეს ნაწილს მასთან ატარებდა და ბლომად ფულსაც ახარჯავდა. კორტნი ძალიან გაბრაზდა და შინიდან გაიქცა. ამჯერად მარტოდმარტო დახეტიალებდა ქალაქიდან ქალაქში და ერთ დღეს, ადგილობრივი როკჯგუფის კონცერტზე მოხვდა. დაცვის თანამშრომლის დახმარებით, კულისებში შეაღწია და კონცერტის მსვლელობას იქიდან ადევნებდა თვალყურს. უყურებდა ზურგით მდგარ მუსიკოსებს და ოცნებობდა, რომ მათ ადგილზე ყოფილიყო. ჯგუფის წევრები მყვირალა მუტანტებს ახსენებდნენ, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ ახალ ტალღაში მისი ადგილი ნამდვილად იყო.

კორტნი ლავის გზა როკენ-როლისკენ, კულისებზე, მუსიკოსებისა და დაცვის თანამშრომლების ლოგინზე გადიოდა. ის სარკის წინ ხვეწდა მანერებს, ახლობელი ტრანსვესტიტების საშუალებით სწავლობდა ჩაცმას და ცდილობდა, ცნობილი ვარსკვლავებისთვის მიეხადა. საარსებო ფულს კი სტრიპტიზბარებში გამოსვლით შოულობდა. ჰიტ-პარადის მომავალი დედოფალი თმას და ტუჩებს ლურჯად იღებავდა, თვალებს კი — შავად და ამგვარად, ძველი, გერმანული ზღაპრის ბოროტ ჯადოქარს ემსგავსებოდა.

უხეში და ხისტი ხასიათის გამო ხშირად ებმე-

ჯერ თევზისა და ბრინჯის მომცრო ულუფას აძლევდნენ. კორტნი თავს უცხო პლანეტაზე გრძნობდა და დარდის გასაქარვებლად ყოველ საღამოს თვრებოდა. დაპირებულ ხელფასს კეთილსინდისიერად უხდიდნენ, მაგრამ ცოტა ხანში, დამატებითი სამუშაოს შესრულება შესთავაზეს. მოხუც იაპონელებთან სექსზე უარი თქვა და ამერიკის საელჩოს დახმარებით, მშობლიურ პორტლენდში დაბრუნდა. კარგად გამოიძინა, გიტარა შეიძინა და გოგონების როკჯგუფი ჩამოაყალიბა. მათ არც ფული ჰქონდათ და არც ინსტრუმენტზე დაკვრა იცოდნენ; უნიჭო ლექსებს



ბოდა სხვადასხვა ავანტიურაში. ერთხელ, მასთან კარგად ჩაცმული მამაკაცი მივიდა და იაპონიაში, სტრიპტიზბარში მუშაობა შესთავაზა, კვირაში 2.500 დოლარად. ამ წინადადებას კორტნი უყოყმანოდ დათანხმდა და ტოკიოსკენ მიმავალი, მომავალ პერსპექტივაზე აღფრთოვანებული ფიქრობდა. თუმცა, ყველა ოცნება წყლაში ჩაეყარა, როცა ადგილზე ჩავიდა. ყველა მოცეკვავეს ერთ ოთახში, იატაკზე ეძინა და დღეში ორ-

ნერდნენ, რეპეტიციებზე ლუდს სვამდნენ და ოცნებობდნენ, თუ რაში დახარჯავდნენ გამომუშავებულ მილიონებს. ჯგუფმა ვერც ერთი ღირებული სიმღერა ვერ შექმნა და დაიშალა. კორტნის ბევრი არ უფიქრია, მაშინვე დუბლინში, მეგობრებთან გაემგზავრა. ესწრებოდა საღამოებსა და კონცერტებს და პარალელურად ფოტოგრაფიას სწავლობდა. მოგვიანებით ერთ-ერთ მუსიკალურ ჟურნალში ფოტოგრაფად დაიწყო მუშაობა და ბევრი ვარსკვლავი გაიცნო. დუბლინს ლონდონი, ლივერპული და ისევ პორტლენდი მოჰყვა, სადაც კორტნი ლამის კლუბში დიჯეიდ მოეწყო და თაყვანისმცემლებიც გაუჩნდა.




ქვემოთ შეგონებებს, მოცა შენი „მოსვლეს“ აშშ-ში — „ბენც!“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დღეს ერთმანეთთან ჩახუტებულ, ხვეწ-  
ნა-კოცნაში გართულ გოგო-ბიჭებს სად  
ალარ შეხვდებით: დასასვენებელ პარკებში,  
სკვერებში, კაფე-ბარებში, საცხოვრებელი  
კორპუსების სადარბაზოებში... გამოვკითხე  
ახალგაზრდები და გავარკვიე, რა არის  
მათთვის სიყვარული, როგორ უყვართ და  
როგორ სძულთ. ასეთი რა ცეცხლი უკიდ-  
იათ, რომ ერთმანეთს საზოგადოებრივი  
თავშეყრის ადგილებშიც ეალერსებიან? სად  
გადის ზღვარი ნამდვილ გრძნობასა და  
უბრალოდ, გართობას შორის?

გაირკვა, რომ ბევრ ახალგაზრდას უჭირს  
იმის ახსნა, თუ რა არის სიყვარული. მიუხე-  
დავად ამისა, ფაქტია, რომ უყვარს. ხოლო  
ის, ვისთვისაც სიყვარული უცხო გრძნობაა,  
ამას მტკივნეულად განიცდის. მოკლედ, ბევრი  
რომ არ გავაგრძელო, შეყვარებული და  
სიყვარულის მოლოდინში მყოფი ჩემი თანა-  
ტოლების აზრს მოგახსენებთ.



# სად გადის ზღვარი ნამდვილ გრძნობასა და გართობას შორის

## ეთო ყორღანაშვილი

**მარი** (18 წლის, სტუდენტი):

— როცა შეყვარებული ვარ, სიცოცხლე მიხარია. სიყვარული ცხოვრების სტიმულს მძლევს. მგონია, რომ ამქვეყნად ყველაფერს შევძლებ. ერთხელ, ძალიან ბევრი სამეცადინო მქონდა, მაგრამ სიხარმაცემ მძლია და სალამოს არხეინად დავიძინე. ღამით, მესიჯის ხმამ გამაღვიძა. „პატარავ, კიდევ მეცადინეობ? იცოდე, არ შემარცხვინო!“ — მწერდა ჩემი სიხარული. აბა, ამის მერე რაღა დამაძინებდა?! თითქოს, ძალა მომეცა. დილის ოთხ საათამდე ვიზუთხავდი კონსპექტებს. ლექციისთვის კარგად მოვემზადე... როცა საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მიფუჭდება, არა

მხოლოდ სწავლის, ცხოვრების ხალისიც მეკარგება.

**ნინიკო** (17 წლის, მოსწავლე):

— პარკში სეირნობისას ხანდახან შეყვარებული მეუბნება ხოლმე: — „მარჯვნივ არ მიიხედო!“ — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენგან მარჯვნივ ვილაცები „ზასაობენ“ და მე მათ არ უნდა შევხედო (იცინის).

**თქვენ არ კოცნით ერთმანეთს?**

— მხოლოდ ლოყაზე. კიდევ, ჩამეხუტება ხოლმე, ოღონდ — ზოგჯერ.

**ანა** (20 წლის, სტუდენტი):

— 20 წლის ასაკში ძლივს ვილაც შემიყვარდა. მანამდე არავინ მყვარებია. ერთმანეთი ტელეფონით გავიცანით.

ასაკით ჩემზე ბევრად უფროსია, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ერთმანეთს კარგად გავუგეთ. უკვე ოჯახის შექმნასაც ვაპირებდით, მაგრამ მისი ტყუილების გამო დავშორდით.

**რა მოგატყუა?**

— თავისი საქმიანობის შესახებ იცრუა. მითხრა, ჩემი ბიზნესი მაქვსო. აღმოჩნდა, რომ მთავრობისთვის მუშაობს — „ჩამშვებია“ (ალბათ, ინფორმატორს გულისხმობს. — ავტ.) თუ რაღაც ასეთი...

**ამის გამო ალარ გიყვარს?**

— მხოლოდ მაგიტომ არა, სხვა რაღაცებიც იყო... მიყვარს კი არა, მძულს! სადმე რომ შემხვდეს, არ ვიცი, რას ვუზამ. ბოლოს რომ მელაპარაკა ტელეფონით, ბილწისიტყვაობდა. წინათ ასე არასდროს მოქცეულა. თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა. მეც ვეუზრდელე და ყურმილი დავუკიდე. ახლაც მირეკავს, მიმესიჯებს ხოლმე, მაგრამ არ ვპასუხობ. ალარ მაინტერესებს ეგ ადამიანი და ალარც სიყვარულის მჯერა.

**ფიზიკური სიახლოვე გეკონდათ?**



გამოცდილობს გაჩუქ  
ნებისმიერი სიზმარს  
ფაქსიციციმშულისა.



და ბიჭი შევნიშნე, ერთმანეთში იყვნენ გადახლართულები. თან საშინელ, ქარიან ამინდში. ალბათ, ესაა ექსტრემალურ პირობებში სექსი (იციინის). თავიანთი ჭკუით, „გარაჟს“ ეფარებოდნენ, მაგრამ მერვე სართულიდან ორივე უსირცხვილო ძალიან კარგად ჩანდა. საშინელი თაობა მოდის, აღარაფრის რცხვენიათ.

**იროდი (20 წლის, სტუდენტი):**

— ერთხელ, დამშვიდობები-სას, ლოყაზე უნდა ეკოცნა და ვითომ „შემთხვევით“, ტუჩები ჩემს ტუჩებზე მოუხვდა. გავუბრაზდი და მერე მხოლოდ ხელზე მეფერებოდა ხოლმე.

**ზვიადი (17 წლის, მოსწავლე):**

— სიყვარული რა არის, ვერ ავხსნი, მაგრამ... მაგარი გრძნობაა, რა! „პროსტა“, რაც არ „მეფასება“, ერთმანეთის ხვევნა-კოცნაა! ჩემი აზრით, ეგ უზნეობა და ცუდი საქციელია.

**— შეყვარებულის კოცნა ცუდი საქციელი?**

— არა, კაცო, ასე სახალხოდ არ უნდა „იზასაონ“, თორემ შეყვარებულს თუ არა, აბა, ვილას უნდა აკოცო?

**დათურა (16 წლის, მოსწავლე):**

— შეყვარებულთან „ზასავს“ რა სჯობია!

**— შენი და რომ აღმოაჩინო მსგავს სიტუაციაში?**

— და არ მყავს.

**— ვთქვათ, გყავს...**

— აუ, სულ თმით მივათრევ სახლში, ცემით დავალურჯებ

და ოთახში ჩავკეტავ! მერე მამაჩემს მოუყვები ყველაფერს და მისგანაც მაგრად მოხვდება. შემდეგ მამა დედას ეტყვის და ისიც კარგად მიუყვავს და რავი, მერე თუ ცოცხალი გადარჩა... უჰ, რა კარგია, და რომ არ მყავს!

**ნათია, მატსახელად პონძლი (სტუდენტი):**

— რა სიყვარული? დანერე, რომ არავინ მიყვარს და არც არავის ვუყვარდები!

**— ეტყობა, ამას ძალიან განიცდი...**

— განვიცდი, აბა, რა! 19 წლის ვარ და ჯერ შეყვარებული არ მყოლია. ზოგჯერ ისეთ შეუხედავ გოგონებს ვხედავ, რომლებსაც მაგარი ტიპები ჰყავთ დათრეული, რომ ლამის გავგიჟდე. ჩემი აზრით, ბიჭმა სერიოზულად რომ შემოგხედოს, ან ძალიან ლამაზი უნდა იყო, ან — მაგარი „მაყუთა“.

**შორენა (27 წლის):**

— ამის მსგავსი ცხოვრებაში არაფერი მინახავს: საღამოს ფარდას ვასწორებდი და შემთხვევით, ფანჯრიდან გოგო

თუ შეყვარებულს ვაკოცე და ამ დროს დედაჩემმა დამინახა აივნიდან ან ვინმე ნაცნობმა შემნიშნა ქუჩაში. ამასთან დაკავშირებით არანაირი კომპლექსი არ მანუხებს და ვილაც „კომუნისტების“ აზრი სულაც არ მაინტერესებს. მიყვარს და გამოვხატავ.

**ღამურა (რეპერი):**

— ჩემთვის სიყვარული დამთავრდა მაშინ, როცა ოჯახი შექმენი.

**— ?!**

— ...ანუ იმას კი არ ვამბობ, რომ ჩემი მეუღლე არ მიყვარს, უბრალოდ, სიყვარული, ჩემი აზრით, გარკვეულწილად გართობაა, გატაცება, ლტოლვა, სექსი... ეს ყველაფერი ერთად სიყვარულია.

**— რას ფიქრობ შეყვარებულ წყვილზე, რომელიც სახალხოდ ეალერსება ერთმანეთს?**

— რა თქმა უნდა, კარგი არაა, მაგრამ საგანგაშოც არაფერია. ისე, მაგისტრის სპეციალური ადგილები არსებობს: ბინა, სასტუმრო, დისკოთეკა...

ალბათ დამეთანხმებით, რომ ბინას, სასტუმროს, დისკოთეკას ფინანსები სჭირდება. საინტერესოა, როგორ შოულობენ ახალგაზრდები ფულს, როგორ ახერხებენ სწავლისა და მუშაობის ერთმანეთთან შეთავსებას? ამის შესახებ ახლო მომავალში მოგახსენებთ.



თუ შენი მოსჯილს ვერაფერს  
შენიშნა, ვერც წასჯილს  
შენიშნავენ.



# ორი მხრივან დანახული ერთი გზისობა

ფსიქოლოგს ხშირად აკითხავენ სიყვარულით „დაავადებული“ ადამიანები. ჩვეულებრივ, რეალურ ცხოვრებაში შესაძლოა, სიყვარული სატანჯველად იქცეს. ეჭვიანობით ტანჯვა, საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიში, ლალატის გამო იმედგაცრუება — შეყვარებული ადამიანების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.



## ბრაუნი მარხანი

ამას წინათ, ჩემთან საკმაოდ წარმატებული, ცნობილი ქალბატონი მოვიდა, რომელიც უკვე კარგა ხანია, თავისსავე უფროსის საყვარელია. ამ სიყვარულისთვის მან ბევრი რამ გაიღო მსხვერპლად. მასთან ერთად სხვა ქალაქში გადასახლდა, ახლობელი ადამიანები და საყვარელი სამსახური მიატოვა და ქმარსაც გაშორდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, საყვარელთან კამათის დროს მას პირიდან სისხლი წასკდა. საავადმყოფოში ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს. ეს შოკის მომგვრელი იყო, რადგან რო-

გორც თავად ამბობს, სურდოც კი არასოდეს შეჰყრია. ამჟამად მკურნალობს და ექიმების მონდომება შედეგინანია. სულ მალე ქალი განიკურნება. მისი საყვარელი პანიკაშია, მაგრამ მასზე კი არა, საკუთარი თავის გამო შფოთავს. საყვარელს სამსახურში გამოჩენას უკრძალავს, შეხვედრაზეც უარს ეუბნება და ექიმისგან გამოჯანმრთელების ცნობას ითხოვს. მამაკაცის რეაქცია ქალს დიდ ტრავმას აყენებს, რადგან უწინდელი ურთიერთობის ფონზე, ახლანდელი საქციელი გაუგებრად ეჩვენება.

რა ხდებოდა სინამდვილეში, ამაში გარკვევა მეც კი გამიჭირდა. საუბრისას ჩემი ყურადღება ერთმა ფრაზამ მიიპყრო, რომელიც ქალს შემთხვევით წამოსცდა. მან თქვა, რომ მამაკაცი თავისი საქციელით ხშირად თრგუნავდა. ამ ფრაზას ჩავეჭიდე და აღმოჩნდა, რომ მათი ურთიერთობის რეალური სურათი სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც ქალბატონი ხატავდა. ურთიერთობა სისასტიკესა და ტყუილზე იყო დაფუძნებული. უპასუხოდ რჩებოდა კითხვა: რატომ ხუჭავდა ქალი თვალს ამ ყველაფერზე?

იმიტომ, რომ სიყვარულის დაკარგვის ეშინოდა, მაგრამ ასეთ დროს, უმჯობესია, დაფიქრდე, იქნებ სწორედ მისი დაკარგვა ჯობდეს?

ადამიანთა უმეტესობა იმის გამო ზარალდება, რომ არ შეუძლია, საკუთარი თუ სხვა პიროვნების რეალურ შინაგან სამყაროს ჩასწვდეს და ილუზიებით ცხოვრობს. ამის შედეგად, ცხოვრება სარკვეს ემსგავსება. ადამიანი ცდილობს, სხვა გამოსახულებაში საკუთარი თავი ამოიცნოს და ამას რომ ვერ ახერხებს, ძალიან განიცდის.


სიყვარულისგან გამონვეული ტკივილი რეალობის დაკარგვის ერთგვარი სიმპტომია. თუ სასიყვარულო ურთიერთობას არაჯანსაღი სულიერი განცდა მოაქვს, მაშინ დროა, მის სამკურნალოდ გარკვეულ ზომებს მიმართო.

თუ სიყვარულს მხოლოდ განცდა და უარყოფითი ემოცია ახლავს, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი „მე“ დაკარგე და მხოლოდ საყვარელი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობ. ასეთ დროს მსხვერპლის როლში გაუცნობიერებლად აღმოჩნდები და სულიერი წონასწორობის შენარჩუნებას ნებისმიერი ხერხით უნდა შეეცადო. მსხვერპლშენიშვნა ნამდვილ სიყვარულს არ ნიშნავს. ნამდვილმა გრძნობამ მხოლოდ სიამოვნება და სულიერი სიმშვიდე უნდა მოგანიჭოს.



# პრობლემა

ვიდრე ანას ამბის გაგრძელებას შემოგთავაზებთ, მანამდე წინა თავების მოკლე შინაარსს შეგახსენებთ. ანა ახალგაზრდა ქალია, რომლის მეუღლეც წლების წინ რუსეთში გაემგზავრა, ბოლო რამდენიმე



წელი კი ოჯახს აღარ ეკონტაქტებოდა. მარტო დარჩენილმა ქალმა თავისი ცხოვრების მოწყობა გადაწყვიტა და ყვაილების ბიზნესში ჩაება, საქმეს თავი წარმატებით გაართვა და ახლა უკვე მომცრო სათბურის მფლობელიც გახლავთ. რამდენიმე თვის წინ მახო სრულიად მოულოდნელად დაბრუნდა. განაწყენებულმა ანამ მასთან, როგორც მეუღლესთან ურთიერთობა აღარ მოინდომა, მაგრამ ერთ ჭერქვეშ ცხოვრების უფლება შვილის, სალომეს გამო მისცა. ამასობაში, ანა მეგობრის საყვარელმა, ერთ-ერთ სახელმწიფო უწყებაში იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ადგილზე დანიშნა. ანამ თავისი შეფის, დათოს შებმა გადაწყვიტა, მაგრამ მოგვიანებით, მის მიმართ სიმპათია გაუქრა. სამაგიეროდ, თავისსავე დეპარტამენტის თანამშრომლის, ნიკოლოზის (რომელსაც მეტსახელად ალენას ეძახიან) მიმართ განსაკუთრებული სიმპათიით განეწყო. ანა დათომ საფრანგეთში გაგზავნა, საიდუმლო ჩანანერის გადასაცემად. წინა ნომერში თხრობა იმ მომენტში შევწყვიტეთ, როცა ანა, თვითმფრინავში გატარობილ მამაკაცთან ერთად, პარიზის დასათვალიერებლად წავიდა და იქიდან დაბრუნებული სასტუმროს ნომერში განმარტოვდა.

დასაწყისი — „გზა“, №11-24

## მარი ჯაფარიძე

დიღამდე უშფოთველად მეძინა, ვიდრე კაკუნმა არ გამაღვიძა. ავდექი და კარი გავაღე. იქ სასტუმროს თანამშრომელი, ახალგაზრდა ქალი დამხვდა, რომელსაც ხელში ახალი თეთრეული და პირსახოცები ეჭირა. ჩემი ნამძინარევი სახის დანახვაზე ინგლისურად მომიბოდიშა და შემახსენა, რომ კარზე — „არ შემანუხოსო“ — ტრაფარეტის დაკიდება დამვიწყნია. ქალი შემოვუშვი, მე კი პირდაპირ სააბაზანოში შევედი.

• იმდენი ლამაზი და ანგელოზივით გოგო მხვდება გზაში ყოველდღე, რომ ნერვები აღარ მაქვს, მაგრამ ხომ არ გავკვიდები და გადავკვიდები გიჟივით?

• პატარა შეცდომა გამეპარა. „მეტროს“ ამბავი ბატონ გია არსენიშვილზე კი არა, ბატონ პეტრე ცისკარიშვილზე ყოფილა. ერთმა მატნელმა შემისწორა, ახლა. გრუზინკა.

• იქნებ ნიკი მიგწერა, კახას ასე რომ მიმართავ, უცნობო. ანდა, არ მითხრა, ლუნასი და ჩემი, ძალად გრუზინკასი შეგეშინდა. მართლა გეშინია? რა ცოდო ხარ! გრუზინკა.

• დათოს! დათ, კარგად ვართ. ნიკა პარასკევს მიდის. მათემ შემოგიტვალა, რომ წამოწოლილხარ მხარ-თეძოზე, ცოტა შენც მომეხმარეო... დათო, ჟურნალის (მაგრამ — არა „გზის“) 24-ე ნომერში ინტერვიუა ჩემს მოძღვართან და ნაიკითხვააბა, შენ იცი, გოცნით. მოკითხვას გითვლის ყველა შინაური. მარი.

• დევიზიანო, ნიკი რატომ არ დანერგე, რომელი ხარ? გაფრთხილება, კიდევ ერთხელ მასწავლებლებ ცუდად და გინება არ აცდებოდა, ყველა გრამატიკულ ბრუნვაში განძის მაძიებელი.

• ლუნა და გრუზინკა, სორი, პირიქით, თქვენი მულობა გამიხარდება. ვილაც კი ბანძ რჩევას მაძლევს და პადხალიმები და დებილები თავისკენ მოიკითხოს. კახა, მითხარი რამე. ვინმე.

• ლუნა, იცი? მე ვერანაირად ვერ დაგიკავშირდები, არც ერთ მგზავნელთან არ მაქვს დვიჟინია და არც ნომრები ვიცი. არადა, რამდენი ხანია, ვიძახი, მგზავნელების გაცნობა მინდა-მეთქი.

• აბა, რა ხდება, ბარტყებო, რას შვრებით? :) შოოდა, კაია, რომ ბრუნდება ხალხი! ნიკოლ, ლატომ დამივიწყე ქალ, ჰა? (lilly-მაც დამივიწყა. (ნანკა-კუსკა, გაიხარე, სიხ. გამადლობთ. ashley pcd.

• ლუნა, აპოლონ, ლიმონ, ბოტოტა, ათენი-23, რა საყვარლები ხართ?! ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სულ გიცნობდით. ღმერთმა დაგლოცოთ, ყველა კახელი სალომე.

• განძის მაძიებლო, ეტყობა ვილაც ინტრიგანს და ბოლმიანს შენი შურს და დევიზებს ეფარება. შენც დაუდევიზე. მაგალითად: გინახავთ ტურის ნაქები ვეფხვი? შენ გვერდით ვართ.

• კარგი რა, შეეშვით, განძის მაძიებელს, მეტი საქმე არ გაქვთ? ყველამ თავის თავს მიხედოს. წერეთ და იკითხეთ, მაგით ვერაფერს დაუშავებთ. ლუნა.

• მოგესალმებით ყველას, როგორ ხართ? ილინ, სად დამეკარგე? ჩორი-ჩორი, ან შენ სად ხარ? ლელუჩია, სიხარულო, გამომჩნდი, მამაცო თოჯინავ, მაგარი ხარ! მიყვარხარო. როზი.

• აგნეცა, მენატრები. რატომ დამეკარგე? გკოცნი. თამო.

• განძის მაძიებლო, ტომ სოიერი მეც შენსავით მიყვარს. :) მეზობლის გოგოს კი მინდა ვუთხრა: ეტყობა, სილამაზე შენგან შორსაა, თორემ გეცოდინებოდა...

• გიო27, ნამდვილი ჩიხუ-ახუა ხარ! ლაკოს დაჩმორებულო! თამ, რა ნიკით შემოხვედი ნუხელ? ბუსუსაო, ხა, ხა, ხა! ბუსუსა არა, ფანტია ფლავი! მე გირჩევ, დაგრუზული კამაზი იყო. ევა.

• განძის მაძიებელს ნუ ლანძღავთ, ხალხო, მას თქვენი წონა მართო ტვინი აქვს. მოვიკითხავ ყველა ქუთაისელს. :) მის რაგბი.

• ყველას მოვიკითხავ მაგრები ხართ! სად დაიკარგე, ლეო91? მაგრად ვზიარულობდი შენს მესიჯებზე. ან კაკუ სად არის? უთქვენოდ მოვიწყინე. ყველა მიყვარხარო. ცირა.

• თუ გიყვარვართ, ტარაკანის შესაქმელად გვიმეტებ? უკარება, ხომ იცი, შენი იდეა მომწონდა. ჟურნალისტი ექიმი ვიქნები და რესპონდენტმა მართლა რაღაც რომ მთხლიმოს, ჩემს თავს თვითონ მი-

ვხედავ. გამადლობთ, ეგ იდეა რომ მომანოდე. ისე, ჟურნალისტი-ანესტეზიოლოგ-ფიზიონომისტობას არა უშავს, ხომ? ნუ, დერმატოლოგობასაც ვაპირებ. ლუნა.

• დაანებეთ ამ განძის მაძიებელს თავი. ერთი ჩვეულებრივი ბიჭია, რომელიც ერთობა და თავად ილამაზებს ცხოვრებას. მას არ ვიცნობ, მაგრამ ჩხუბი არ გვინდა, რა?! ok? ცირა.

• ზარებს რეკენ ალავრდის სამრეკლოზე, ანათებენ წმინდა ტაძარს კელაპტრები, ზეციურს ვთხოვ მუხლმოდრეკით, თქვენს სიყვარულს, არა გჯერათ? ძლიერ, ძლიერ მენატრებით. ცირა.

• მაფიოზას ბალის ასაკისას ვერაფერს ვატყობ. უბრალოდ, მაგდა გაბლატავდა. ზრდილობიანად შეეძლო ეთქვა, რომ ცოტა პატარები არ იზიდავენ.

• მე დაკარგე შენ, ჩემო ტკიპუნია. ჩემო ცხოვრებავ, მთელი ცხოვრება ცრემლია ჩემთვის და მოგონება, შენი ლამაზი სიყვარულის. ჩემო პატარა ანგელოზო, ჩემო ტკიპუნია, გახსოვს, ჩვენი ბაყაყი და ჩვენი ნაძვის ხე? მე იქ ხშირად მივდივარ, ტკიპუ. ჩვენს ადგილზე ჩამოვვადები ხოლმე და ვტირი, ჩუმი ვტირი, ჩვენს ლამაზ სიყვარულზე გკოცნი. მამუ.

• მის რეალ, ჩვენს მარიამულთან არ უნდა გვადრა ამბიცოთი გაბერილი საყვედურები. მის და „გზის“ რეიტინგს ამით არაფერი დააკლდება, შენ კი ბევრს კარგავ მგზავნელებო, მპუა.

• ვაავა, ვერ უყურებ, რავა ზრუნავენ კახელი სალომე და მის რეალი „გზის“ რეიტინგზე? მეგრელებსაც გვბლოკავენ, ძამა, ხანდახან, მარა წყალს კი არ ვამღვრევთ. გული — საგულეში, ok?

• გიო, ვერ გიტან! ერთი ბენოთიც არ მიყვარხარ. არ მინდა შენი დაბრუნება. ნუ მოხვალ, ჩემთვის სულერთია. ჩვენ არ გვეჭირდება და კიდევ... ვერ გიტან, ვერ, ვერ გიტანააან! ფაიფური.

• მარ, დაბადების დღეს გილოცავ, მრავალს დაესწარი, ჩვენთან ერთად. გფარავდეს ღმერთი. აბუნარა.

• ეეეე, დავინწყებაც ასეთი უნდა! :( დავიჯერო, მართლა ვერავინ მცნობთ? მე ხომ ერთ დროს „გზის“ ყველაზე პატარა წვერი ვიყავი. :( ექა ვიტილებ, მე პატარა მავნე. (მე გცნობ, პატარა მავნე, არ იტირო. როგორც კი გამომჩნდი, მაშინვე გიცანი. მიხარია, რომ ისევე ჩვენთან ხარ. მარი).

• პროტესტს ვაცხადებ! ძველები დააბრუნდიით! მე აქ ვარ! პატარა... ვიინ? აბა, გამოიცანით! P.S. დედა, მიყვარხარ! პატარა მავნე.

• აუ, ეს სიღნაღი დიდი არაფერი, რა! ეგეთი „ბიგ ბენი“ ხომ ყველგანაა? ნუუ, თითქმის :) კოსტავას ქუჩაც, პოპულიც, თი-ბი-სი ბანკიც არ გამიბრანდეთ, ეხაა! :) ტყუილი

რა ვთქვი? არა, ფანტანთან კი ბევრი ვინუნწკლავ. აუ, იმ ბიჭმა კინალამ თავი ამაცალა, ისე მწვდა თმაში. :) ბიჭებო, ჩემგან იგნორში ხართ! ვოტ, ტაკ! არც თმის წინკენა გიშველით და არც პუტვა. :) მაგნე მავნედ დარჩება და ახლა ვითომ რა ვთქვი?

• აუ, ასოები ზოგან დავაკული, ზოგან სულ აფურიე. მეძინება და... ეე, შენ გენაცვალოს შენი შვილი, ჩემო, უი, კინალამ წამომცდა... P.S. დედა, მიყვარხარ, პატარა მავნე.

• rock the best! :) fuck The scool! girls don't cry" :))) შოოდა, კიდევ იმას ვამბობდი: I love you mum! Your craze daughter. პატარა მავნე.

• ისევე გამოვტოვე ასოები. ფუუუ, რაააა! პატარა მავნე.

• მოვიკითხავ დიდი სიყვარულით პატარა მავნეს, ბაობაოს, ილინს, მგლის დას, კანიბალკას, ლორელაის, სესის, უზნეო ანგელოზს და ყველა მგზავნელს. ყველანი მიყვარხართ, ბოა.

• აუ, ნუხელ ნახევრად მეძინა და ამ დილით რომ ვნახე, სულ არეულად მენერა მესიჯები. სირცხვილოოო! პატარა მავნე.

• კახელო-616-ს გაუმარჯოს! არ ვლოდი, მეც თუ შემამჩნევდი. მაპატიე, დაიკო, მაგრამ ჩრდილში ყოფნა მირჩევინა. იქნებ ოდესღაც მაინც გაიცნო, არ ვიცი, არ ვიცი... თეთრი ვარდი.

• მომილოცეთ! ამ კვირაში მუსიკის გამოცდები მქონდა და წარმატებით ჩავაბარე. ის კი არა და, წლის საუკეთესო მოსწავლედაც მაღიარეს, მამა! აბუნარა.

• ახლა მე, გრუზინკა, მის რეალი, კახელი სალომე და 9717 შევხვდით ერთმანეთს, ძლივს არ გავიცანი მგზავნელები? რა საკალელები არიან?! გენათაღეთ ყველას. კახელო-616.

• ღმერთო, რა ძნელია გაურკვევლობაში ყოფნა! ნუთუ ღმერთი სამაგიეროს მიზღავს, ჩემი სისულელეების გამო? ოლონდ ეს არა... ეგოისტკა.

• ძამიკო, ნუ გაქვს ყურები ჩამოყრილი და ნუ ხარ ასეთი სევდიანი. ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება და მოგვარდება. შენ მშვიდად იყავი.

• გული გალია არაა, გრძობა კი — ჩიტი, დაატყვევო და შენთან ამყოფო. ახლა წადი და იფრინე იქ, სწადე შენი გული თავის საბუდარს იპოვის. შენი ბედნიერებით მეც გავიხარებ. მოხუცი.

• ნიკოლ, ჩვენ ყველაზე მაგრები ვაართ! ვინ იფიქრებდა, დაი? შო, ისა და... ერთმა მომწერა, აპოლონი ვარო და თუ „გზის“ აპოლონია, ხელახლა მომწეროს. ნომერი წამეშალა. ეგოისტკა.

• green girl, საიდან დაასკვნი, რომ მე ქუთაისელი ვარ? თუმცა, შენ ხომ ნათელმხილველი ხარ. ეე, არ გცოდნია და ტყუილად იბრალებ მკითხაობას. მე საქართველოდან ვარ. ჯაჯა.

- მოგესხნებათ, ქართველები ეგრეთ წოდებულ საზღვარგარეთ მიდიან ხოლმე, სამუშაოდ. ჩემი ნათესავიც ნასულია და მეც მპირდება, წაგიყვანო. ჰოდა, ამას წინათ დამირეკა და მითხრა: აქანე ბინაში რომ ჩაწერო, სამსახურის ცნობა გინდა, სამსახურში რომ მიგიღონ, ჩანერის ცნობა გინდა; თუ ცნობები შეაგროვე, მაშინ უფრო მეცოდები, რადგან მასაც ცნობა უნდა, რომ შენია ეს ცნობებიო. მე მგონი, ღირს ნასვლა, ჰაა, რას იტყვი? ჰა, ჰა, გგონათ, წავიდოდი? ნურას უკაცრავად, არსადაც არ წავალ. ჯეჯე.


- ლა, ლა, ლა, მავნე ვიცანი! :) მოვიკითხავ ქუთათურს, მანაველს, თაისს და ქუთაისელ მგზავნელებს. [naTaTo18@rambler.ru](mailto:naTaTo18@rambler.ru) აქ მომწერეთ, ვისაც არ გიცნობთ. ლუნას მპუა! green girl.

- ილინი ბათუმშია! გავიცანი, მე და ვერმასტმა ვნახეთ და მაგრად ვიძინარულეთ. რა საყვარლობა გოგოა, პირდაპირ ჩასაყლაპია, რა ილინი, ცურვა არ გინდა, გასწავლო? სუპერსთარი.

- პრივეტ, ყველას! როგორ ხართ? მოვიკითხავ ყველას, ვინც მიცნობს. თქვენ სულ დამივიწყეთ. :( მიყვარხართ ყველა, გულით კეთილი მგზავნელი. მარად თქვენი მზობისცა.

- მგზავრი, პატრიკ, შენ ხარ თუ ვცდები? ჰო, მართლა, ჩორი, ლიმონა, ნათათო, ლანკა, მესტრო, ილინი, ლელუჩია, ვერმასტ, ძველი მგზავნელები სად ნახვდით, ა? ასე უგზო-უკვლოდ დაკარგვაც არ შეიძლება! მიჰბაძეთ ლანკას, როგორც იქნა, გამოჩნდაა! მაგარი უინტერესო გახდა, უთქვენოდ.

**მეცნიერება**



- ოლეგ, კახა, ხათუ, ლაშა, ძაკო, მიყვარხართ, მიყვარხართ უზომოდ და მენატრებით. თქვენით ვცოცხლობ და თქვენზე ფიქრით ვარსებობ აქ, თქვენგან შორს. გკოცნით ბევრს, თქვენი მზია, ათენიდან.

- ანტონ გოგიაშვილო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ყოველ წუთს შენზე ვფიქრობ. ბედნიერი ვარ, რადგან ვიცი, შენც ისევე გიყვარვარ, როგორც მე. უფალი გფარავდეს. ნინო.

- იცი, უშენოდ მე ვერ ვიცოცხლებ, იცი, უშენოდ არც ღირს სიცოცხლე, იცი, მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე და მხოლოდ, მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ. ანტონ, სიგიჟედე მიყვარხარ. ნინო.


- რამაზ ზაზაძე, დედა გნაცვალოს, როგორ გამიხარდა შენი ხმის გაგონება. დედიკოს მაგრად უყვარხარ. შენი თამო დედა.

- ჩემო სიცოცხლე, სიხარულო და მუდმივო სიყვარულო, ჩემო ტკიპუნია, ბედნიერი გამყოფოს ღმერთმა. იცი, როგორ მიყვარხარ? მეტირება. ჩემო ლამაზო ტკიპუ. მამუ.

- კობა, ჩემო სიცოცხლე, მაგრად მიყვარხარ და მენატრები. რაც უნდა მოხდეს და რაც უნდა გავიგო, მე მაინც დაგელოდები, ხომ იცი?! ციო.

- კოტე, ჩემო სიხარულო, როდის მიხვდები, რომ მესაკუთრე ვარ და ვერავის გაუყუოვ შენს თავს? მიყვარხარ უსაზღვროდ და გელოდები. შენი პატარა.

**მეცნიერება**



- 17 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავ დალი მჭედლიძეს. სიხარულსა და ბედნიერებას გისურვებ, შენს საყვარელ ოჯახთან, შვილებთან, შვილიშვილებსა და დედმამიშვილებთან ერთად. არ მოგკლებოდეთ ღმერთის წყალობა. გკოცნით, დარეჯანი.

- მცხეთაში, ანი ჯიმშიტაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერ და ლამაზ მომავალს. მზია და ნანი.

- საკობანოში, მათა ჯიმშიტაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. გმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს, შენს ქმარ-შვილთან ერთად. ძალიან გვწაბრები. მზია და ნანი.

- არგო ჯიმშიტაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ თავისუფლებას, ჯანმრთელობას, უღვევ სიხარულს და ღმერთის მფარველობას. უსაზღვროდ მენატრები და მიყვარხარ. მზია.

- თელავის რაიონში, ართანში მცხოვრებ ნინი გაიპარაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ღმერთის მფარველობას და წინსვლას, ცხოვრებაში. სოფო და თამილა.

- ჩემს შვილს, თემურს და რძალს, დარეჯანს საბურძნეთიდან ვულოცავ ქალიშვილის შექმნას. სასახლო გოგო გაზრდილიყოს ჩვენი

პატარა მაიკო. კოცნის მათა ბებო.

- 20 ივნისს, დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ ძმისშვილს, ელზა დაგელიშვილს. გისურვებ, შენი გასაველელი წლები სულ სიყვარულსა და სიხარულში გაგეტარებინოს. ბედნიერი მენახე, ყოველთვის. გლოცავ, გკოცნი და გეფერები. ნათელა მამიდა.

- 20 ივნისს, დაბადების დღეს ვულოცავ დალი ყვავაძეს. დაიკო, დაესწარი მრავალს, შენს პატარა ანანოსთან ერთად. სულ გახარებული და ბედნიერი ყოფილიყავი, შენს ერთადერთ შვილთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ჩემო საყვარელო ადამიანებო. შენი დაიკო ევა.

- დიდი სიყვარულით, ჩემს სუსტ კაცს, აკაკი მაისურაძეს დაბადების დღეს ვულოცავ. იყავი მუდამ ბედნიერი. გკოცნი უამრავს. ხ.

- აფხაზეთის პრინცესავ, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ცხოვრებაში წარმატებებს. ასევე მივულოცავ დაბადების დღეს ჩემს მეგობრებს, მანჩოს და მადოს. მიყვარხართ. მანაველი.

- ჩემს საყვარელ ძმისშვილს, გვანცა ქეჭიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ყველა ნატვრის ასრულებასა და უღვევ სიხარულს. მიყვარხარ ძალიან. გკოცნი, ნათია.

- ირაკლი სიჭინავას ვულოცავ შვილის შექმნას. სანდროს ფანი ვარ, არანაკლებ მამიკოსი. მიყვარხართ. თათო.

- ჩვენს საყვარელ ადამიანს, ხათუნა მეზვრიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 18 ივნისს. ყოველი დღე ბედნიერებითა და სიყვარულით გაგვრებული გაგიტენოს ღმერთმა. გვიყვარხარ.

- დათო კურტანიძე, გილოცავ დაბადების დღეს, 20 ივნისს. მიუხედავად იმისა, რომ გული სითბოსგან დამიცალე, მაინც დიდ ბედნიერებას გისურვებ. უფალი გფარავდეს, მუდამ. ანა.

- დაბადების დღეს ვულოცავ ლევან ბასიაშვილს. დაესწარი მრავალს, ჯანმრთელად და ბედნიერად, შენს ოჯახთან ერთად. სალი. 1325.

**ყურადღება!**

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს

გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ყურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

# რას გავაჩვენებთ მათთვის 3-დან 33 წლამდე

## 3 წელი

— გავიზარდო და მაგრად ჩავარტყა თავში ჩემს მეზობელ გიორგის. რატომ მატყუებს, რომ მამამისი მამაჩემზე მაგარია?

## 4 წელი

— ქუჩაში ვიპოვე 100 ლარი და — ნაყინი, კონსტრუქტორი და პედლებიანი მანქანა ვიყიდო. ეზოში ვისეირნებ ხოლმე და ყველა ბავშვს შეშურდება.

## 5 წელი

— მამაზე დიდი უნდა გავხდე, უღვაშები გავიზარდო, სიგარეტის მოწევა ვისწავლო, ტირილი ვისროლო და დედაზე დავექორწინდე.

## 6 წელი

— ბალის ნაცვლად სკოლაში უნდა ვიარო, რადგან იქ არ დამაძინებენ და არც ფაფას მაჭმევენ.

## 7 წელი

— სკოლაში არ უნდა ვიარო. ხომ არ გაგიჟდნენ? 11 წელი ამას უნდა გავუძლო? ეს ხომ იმაზე მეტი დროა, ვიდრე ჩემი წარსული ცხოვრება?!

## 8 წელი

ჯარში წავალ! იარაღიც მექნება და ვისვრი კიდეც.

## 9 წელი

— მეხანძრე გამოვალ ან კოსმონავტი, მაგრამ მანამდე საცხოვრებლად ამერიკაში უნდა წავიდე.

## 10 წელი

— ანრი ჯოხაძე გამოვალ, ლექს-სენი ან ჯეკი ჩანი. აუცილებლად გავხდები ვარსკვლავი და ფილმში ბეტმენის როლსაც შევასრულებ.

## 11 წელი

— კარატეზე ვივლი და სკოლაში ან კლასში ყველაზე მაგარი ვიქნები. პირველ რიგში, ლაშას ვცემ, ჩემი ჩანთა ტალახში რომ ჩააგდო, იმიტომ. დედაჩემი მომკლავს...

## 12 წელი

— მეკობრე გავხდები და განძსაც ვიპოვი. ცუდია, რომ ცურვა არ ვიცი.

## 13 წელი

— ცნობილი პოეტი გავხდები. სარვამარტო ლექსი რომ დავწერე, დედაჩემი და მასწავლებელი ლამის გაგიჟდნენ, ისე მოეწონათ.

## 14 წელი

— კრივზე შევალ. გავიგე, რომ იქ სიმაღლეს ყურადღებას არ აცევენ.

## 15 წელი

— ცოტა უნდა გავიზარდო. ფიზკულტურის გაკვეთილზე ბოლოდან მესამე ვდგავარ. გოგონებიც კი ჩემზე მალეები არიან.

## 16 წელი

— წვერი უნდა გავიპარსო, მაგრამ დედა მომკლავს, ღინღლი მაქვს და ამის გაპარსვას მიშლის.

## 17 წელი

— სადმე უნდა ჩავაბარო. ყველაზე პერსპექტიული ფაკულტეტი რა არის? არა, ჯერ ჯარში წავალ.

## 18 წელი

— სექსუალური გამოცდილება უნდა მივიღო. ჩემი კურსელები ამბობენ, რომ უკვე უამრავი ქალი ჰყოლიათ. მე კი... ერთადერთი იმედი თავოა... უარი რომ



მითხრას? არავისთვის უთქვამს უარი და რალა მე მეტყვის?

## 19 წელი

— კარგი იქნება, თუ როკჯგუფს ჩამოვაყალიბებ. თმას გავიზრდი და ფანების არმიაც მეყოლება. ფრთხილად, გოგონებო, არ წამაქციოთ. ჩემთან სექსის მსურველები პროდიუსერთან ჩაენერეთ!

## 20 წელი

— პოეტი ვერ გამოვედი, მაგრამ მწერალი აუცილებლად გამოვალ. ჯერ ღირებული ვერაფერი დავწერე და ვერც „მის სამყარო“ გავფიქვე.

## 21 წელი

— ცოლი უნდა მოვიყვანო. კარგი რა, დედა, შენ თვითონ არ ამბობდი, ერთი სული მაქვს, როდის დაქორწინდებიო?

## 22 წელი

— უნდა ვიპოვო 100 მილიონი დოლარი, ვალები გავისტუმრო, შვილს ნორმალური საწოლი და ტანისამოსი ვუყიდო, ცოლს — ქურქი; ჩემთვის კომპიუტერი და ჯინსის შარვალი შევიძინო.

## 23 წელი

— ბინა უნდა ვიქირაო და საცხოვრებლად ცალკე გადავიდე.

## 24 წელი

— აუცილებლად უნდა დავწინაურდე, რადგან უამრავი ადამიანის საქმეს ვასრულებ და



მხოლოდ მაღლობას მეუბნებიან. ხელფასს კი არაფერს მიმატებს.

**25 წაი**

— ზღვაზე, უდაბნოში, ტაიგასა ან ტუნდრაში გავემგზავრები. სულერთია, სად წავალ, ოღონდ ცოლისა და მშობლებისგან შორს ვიყო.

**26 წაი**

— ის ახალი თანამშრომელი გოგო უნდა გავუიმიო. 22 წლისაა, ქმარს გაშორებული, ქერა, მაღალი, დიდი მკერდით. გამაგიჟა კაცი. მთელი თვის ხელფასს დავთმობდი, ოღონდ მასთან ერთად ლიფტში გავიჭედო.

**27 წაი**

— მეორე უმაღლესი უნდა დავამთავრო — ეკონომიკური ან იურიდიული განათლება მივიღო. პირობას ვდებ, ამჯერად პატიოსნად ვისწავლი და ლექციებს არ გავაცდენ.

**28 წაი**

— უნდა ვიპოვო, დავხატო, მოვიპარო ან გამოვიმუშაო 432 ათასი დოლარი. 2 ათასს ცოლს მივცემ და თავს დამანებებს, 30 ათასად ერთოთახიან ბინას ვიყიდი, გარეუბანში; 10 ათასად მშობლებს სოფელში სახლს გავურემონტებ. დანარჩენს კი დივნის სარჩულის ქვეშ შევტენი და წვრილმანი ხარჯებისთვის შევიწინახავ.

**29 წაი**

— ყველას მოვკლავ, ვინც არ მომწონს, მაგრამ ისე უნდა მოვახერხო, რომ ციხეში არ წავიდე. ნუ, ცოტა ჯარიმას

გადავიხდი... დეგენერატებო, თქვენი დანახვაც არ მინდა!

**30 წაი**

— ხე უნდა დავრგო, მაგალითად — ალუბლის. აქ მარწყვს დავრგავ, ეზოს ბოლოში სკამს დავდგამ და ყვავილებს გავაშენებ. საღამოობით დავჯდები და ჩამავალი მზის ცქერით დავტკებები.

**32 წაი**

— სავიზიტო ბარათები უნდა შევუკვეთო და „დათქას“ დაძახებაზე პასუხის გაცემას გადავეჩვიო. ბოლოს და ბოლოს, განყოფილების უფროსი გავხდი. მერე რა, რომ მხოლოდ ერთი ხელქვეითი მყავს? ახალი მობილურიც უნდა შევიძინო, თორემ ძველის



**31 წაი**

— მგონი, კარგი იქნება, რამდენიმე წლის წინ დაწყებული რომანის წერას თუ განვაგრძობ. დღეს შემთხვევით მივაგენი ხელნაწერს. ნუთუ ეს ჩემი დაწერილია? კარგია, მაგრამ სუპერი არ არის. აქედან რომანი ნამდვილად არ გამოვა, მაგრამ გადაკეთება შეიძლება.

გამოჩენის მრცხვენია. ორშაბათიდან ღიბის დაგდებაზე უნდა ვიფიქრო.

**33 წაი**

— განვლილ ცხოვრებას თვალი უნდა გადავავლო, კორექტივები შევიტანო და სრულფასოვანი ცხოვრებით ვიცხოვრო... ხვალიდან დავიწყებ...

<<< 16

მოკლე ჩართვა

# რა მოსაზრობა, დაეინფორმოს მხოლოდ ქალები რომ ცხოვრობდნენ?


• იმ დღეს გამისკდეს მინა და თან ჩამიტანოს, როცა დედამინაზე მარტო ქალები დავრჩებით. მართალია, „სინსილამ უნდა განყოფილოს ყველა მამაკაცი“, მაგრამ ვალიარებ, რომ მათ გარეშე ცხოვრება არც მინდა და არც შემიძლია. ასე რომ, ვიყოთ და ვიღუღუნოთ ადამმა და ევამ, სიამტკბილობაში, სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებს. იკუშვები.

• მარტო ქალები? ღმერთმა ჯერ კაცი შექმნა და მერე —

ქალი. არც მარტო ქალებია კაი და არც — მარტო კაცები. იყვნენ, რა... აბეზარა.

• დედამინაზე მარტო ქალები რომ ცხოვრობდნენ, იქნებოდა სრული მატრიარქატი და საშინელი მონყენილობა. მაშინ ვეღარ ვიჭორავებდით კაცებზე, დედამთილებზე. აღარც გაპრანჭვას ექნებოდა თავისი ეშხი. გულელებიც არ აგვიფართხალდებოდა ძალუმად და აღარც მე ვიქნებოდი რომანტიკოსი. გამოუსწორებელი რომანტიკოსი. ●

# წაჩიღიღი ქვაჩის



ძვირფასო მეუღლე, ამ წერილს ელექტრონული ფოსტით გიგზავნი, რადგან დარწმუნებული ვარ, აუცილებლად წაიკითხავ. მაპატიე ეს პატარა ეშმაკობა, მაგრამ უბრალოდ, მინდოდა, ბოლო 2 წლის განმავლობაში (რაც კომპიუტერი შეიძინე) ჩვენს ოჯახში მომხდარი მოვლენების საქმის კურსში ჩამეყენებინე.

ბავშვები კარგად არიან. დათუნა წინა თვეში 8 წლის გახდა. კარგად სწავლობს და ყველას მიაჩნია, რომ ლამაზი და ნიჭიერი ბავშვია. ხატვის ნიჭი აღმოაჩნდა და რამდენიმე დღის წინ, ხატვის გაკვეთილზე ჩვენი ოჯახი დახატა. ოჯახის წევრების სახეები რეალურს მიახლოებდა, მაგრამ ყველაზე კარგად შენი ზურგი დახატა. შეგიძლია, შენი შვილით იამაყო.

წინაკოს სექტემბერში 3 წელი შეუსრულდა. ძალიან გგავს და ამით ამაყოებს კიდევ. ჭკვიანი ბავშვია, ისიც კი ახსოვს, რომ მის დაბადების დღეზე მთელი 2 საათი ჩვენთან ერთად გაატარე და ყოველთვის სიხარულით იხსენებს, მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს საშინელი ქარიშხალი და წვიმა იყო, ხოლო სალამოს ფანჯარაც გაგვიტყდა.

მეც კარგად ვარ. შარშან თმა ქერად შევიღებე და ვფიქრობ, ძალიან მიხდება. ჩემი უფროსი ძალიან დაინტერესდა ჩემი კარიერით, მერე კი ჩემთვის ყველაზე ახლო მეგობარი გახდა.


მივხვდი, რომ საშინაო საქმეები არცთუ რთული მოსაგვარებელია. თავიდან, როცა იატაკს ცოცხით ვგვიდი, მტვრისგან გაცემინებდა, მაგრამ ახლა უკვე მტვერსასრუტი ვიყიდე და შენც აღარ წუხდები. ახლა სახლში სისუფთავე და სიმყუდროვეა. გასულ ზაფხულს ყველა კედელი შევღებეთ იმ კედლის გარდა, სადაც შენი კომპიუტერი დგას — ხელი არ შეგიშალეთ.

აქ ვასრულებ წერილს, რადგან ჩემი წასვლის დროა. ჩემმა შეფმა ყველანი ზღვაზე დაგვპატიჟა და ჩემოდანი უნდა ჩავალაგო. ჩემს დაბრუნებამდე ახალგაზრდა ქალი დავიქირავე, რომელიც ყავას მოგიდულებს და კერძაც პირდაპირ კომპიუტერთან მოგართმევს.

ვფიქრობ, რომ შენ და კომპიუტერი კარგ დროს გაატარებთ, მე კი შენზე ვიფიქრებ. შეეცადე, როცა კომპიუტერს გადატვირთავ, შენც გამიხსენო.

ლიმილი

<<< 24



შიდაც ცხოვრებისგან  
სიამოვნება!

# ფუფუნდკემოვნებული და ნაძვირ ბუნვის ხილვა გავლილი ქართველი

აფრიკაში რომ მიემგზავრებოდა, თავი ალბათ, ჯერარდ დარელის ან ერნესტ ჰემინგუეის ნაწარმოებების გმირად წარმოიდგინა, თავახდილი ჯიპითაც იმოგზაურა ჯუნგლებში და ერთი-ორჯერ თოფიც გაისროლა... ოცნება იქით იყოს და, აფრიკაში მოხვედრაც უკვე საოცრება მგონია, ამიტომ დამინტერესა მისმა მოგზაურობამ, რომელიც საკმაოდ სერიოზული პროექტის განხორციელებას მიეძღვნა — განაში მცხოვრები კონკრეტული ადამიანებისთვის, მინის ასაზომი მაღალი სიზუსტის ხელსაწყოს — GPS-ის გამოყენება უნდა ესწავლებინა. რამდენიმე დღის წინ აფრიკის კონტინენტიდან დაბრუნებული, გლობალური პოზიციების სისტემის (GPS) ექსპერტი, ბატონი ბიორბი კურტანიძე აფრიკულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.



გიორგი კურტანიძე

## ირმა ხარშილაძე

— განა განვითარებად ქვეყნად მიიჩნევა. იქ სახელმწიფო ენა ინგლისურია. ძალიან კარგად ლაპარაკობენ ამ ენაზე, მაგრამ თავიანთი სლენგი აქვთ — თითქოს ყლაპავენ ინგლისურ სიტყვებს და ძალიან მიძინელებოდა მათი ლაპარაკის გაგება. ლამის ერთ სიტყვაზე ვაგებდი ხოლმე წინადადებას და ასე ვიგებდი მათ ნათქვამს.

## — თქვენ ქმოდით?

— კი, ყველას ესმოდა... ჩემი მოგზაურობა სრულყოფილად რომ აღვწერო, თხრობას თვითმფრინავიდან დავიწყებ. იცით, რა განსხვავებაა თბილისიდან ამსტერდამში გადაფრენასა და ამსტერდამიდან განის დედაქალაქ აკრაში გადაფრენას შორის? თბილისიდან რომ გაფრინდი, თავი სამარშრუტო ტაქსოში მეგონა, 5 საათის განმავლობაში ჩაქვლეტილი ვიჯეტი სალონში. სამაგიეროდ, ამსტერდამიდან ვიფრინე საინტერესოდ — პერსონალური ტელევიზორი და 100-მდე ფილმის ნახვის საშუალება მქონდა, სტიუარდესები ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ხან ღვინოს მთავაზობდნენ, ხან კონიაკს, საჭმელს, ნუნებს და ასე შემდეგ მოკლედ, 7 საათი განცხრომაში ვიყავი (იკინის).

## — განის შესახებ მანამდე რაიმე თუ იცოდით?

— ვიცოდი, რომ იქ ადრე აშანტის ტომმა იმპერია შექმნა, ჰყავდათ იმპერატორი, აშანტის ენაზე ლაპარაკობდნენ და ეს ქვეყანა აფ-

რიკაში უძლიერესად მიიჩნეოდა, ვიდრე ინგლისელებმა არ დაიპყრეს და თავიანთ კოლონიად არ აქციეს. მათი დამოუკიდებლობა იმდენად ხანმოკლე იყო, ქვეყნის ისტორიაზე რომ ილაპარაკო, მხოლოდ მონობის ისტორიას თუ მოუთხრობ ვინმეს. განაში საერთოდ, 50 ტომამდე ცხოვრობს. ინგლისელებმა ეს ტომები გააერთიანეს და სახელმწიფო ენადაც ინგლისური დაუწესეს.

## — როგორები არიან განელე-ბი, რა ტრადიციების ხალხია, როგორი საკვები აქვთ?..

— საკვებზე ახლაც ყურანტელი მივლის. ეროვნული კერძი აქვთ — ფუფუ. წარმოიდგინეთ ღომის თეთრი მასა, ოღონდ უფრო მკვრივი, ცომივით, გუნდის მოგლეჯას რომ შეძლებ. ცალკე მომზადებული აქვთ საცივივით მასა, ძალზე ზეთიანი, რომელიც ან თხის ხორცის ნახარშზე დამზადებული ან თევზის. წვნიანშიც შესაბამისი ხორცი ყრია. ისეთი წინაკიანია, მეგრული კერძი, მასთან შედარებით, ტკბილი მოგეწევენა. ღომივით მასას აწუფუფუს აგლეჯ გუნდას, ამოანობ საცივივით მასაში და ისე მიირთმევენ. იქვე დგას წყლით სავსე გობი, რაშიც ხელებს ისველებ ხოლმე.

## — ფუფუს ინდივიდუალურად გიდგამენ თუ საერთო თევზზეა მოთავსებული?

— ძირითადად, ინდივიდუალურად მოჰქონდათ, მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ საერთო გობიდან მიირთმევდნენ და მეც მუბატოებოდნენ. სვა რა გზა მქონდა, უნდა მეჭამა (იკინის)?!. მაგრამ ასეთი რამ ერთადერთხელ „ჩავიდინე“. წინაკამ ხომ სულ ბოლო მომიღო! სუფთა, ფუფუ იყო, რა (იკინის)!

## — ფუფუს ან საერთოდ, საკვებს რა სასმელს აყოლებენ?

— ალკოჰოლიურ სასმელს თითქმის არ სვამენ. უმეტესად, მდიდრები მიირთმევენ, მაგრამ ისინიც იშვიათად თვრებიან. სიგარეტის მოწევაც კი ცუდ ტონად მიიჩნევა. ქუჩაში არც

არავინ დამინახავს სიგარეტით ხელში. ძალიან ღარიბი ქვეყანაა. მხოლოდ 20% ცხოვრობს კარგად, 5% — საშუალოდ, 75 კი — უღატაკესია. შუქი და წყალი დედაქალაქშიც კი არა აქვთ. არც კინოთეატრი აქვთ, არც ცირკი და არც ზოოპარკი.

## — ისე აფრიკაში ზოოპარკი რად უნდათ? ჯუნგლები ხომ არას!

— მერე, აკრაში ხომ არ არის ჯუნგლები?! ადამიანებს გართობა ხომ უნდათ? ამიტომ პლაჟზე ერთობიან. ოკეანე ოდესმე გინახავთ?.. ზღვასავით, ერთი ტალღა კი არა, ერთდროულად ექვსი მოდის. საოცარი სანახაობაა. მაგრამ ატლანტის ოკეანეში ვერ იბანავებ, ფეკალური მასებითაა სავსე შავი პარკების გამო. არც იქაურები ბანაობენ. ნაპირზე თუ დასველებიან, ისიც — შავკანიანები. მოკლედ, პლაჟზე ჩამწკრივებულია ბარები, წინ ბევრი სკამი დგას. როგორც კი დაჯდები, თუ თეთრკანიანი ხარ, მათხოვრების ალყაში მოექცევი. საერთოდ, თეთრკანიანები მილიონერები ჰგონიათ — პირველად იქ ვიგრძენი ჩემი კანის „პრიორიტეტი“ (იკინის). ზოგიერთები ერთსიმიანი ბანჯოთი დადიან — მოკლენ შენტან, დაგიკრავენ და სანამ ფულს არ გადაუხდი, ვერ მოიცილებ. კიდევ კარგი, ზანგი მეგობრები მახლდნენ პლაჟზე და ამ ხალხს მიგერიებდნენ!.. საღამოს 5-6 საათზე იქვე, პატარა სცენაზე სამმა ბიჭმა ცეკვა დაიწყო. ძალიან მაგრად ცეკვავდნენ. მერე აკრობატულ ნომრებზეც გადავიდნენ, ურთულეს რაღაცებს აკეთებდნენ.

## — აბა, ცირკი სულ არ სჭირდებათ!

— მეც მაგას ვამბობ. შენობა არ აქვთ, თორემ პლაჟზე საუკეთესო საცირკო სანახაობას აწყობენ. ცხენებს დაატარებენ, გველებს გაჩვენებენ და ფულსაც შენი სურვილის მიხედვით უხდი... ძალიან გაამოცა განელის ჩვეულება: მე მანქანა მემსახურებოდა, მძღოლი კარსაც კი მიღებდა, მაგრამ ქუჩაში შემიმჩნევია, მიკროავტობუსი გაუჩერებია ტიპს, გადმოსულა და იქვე, ყველას თვალწინ მოუსაქმებია, მერე



სე არის სეზე შემოხვეულ, შიდა სე კვე მკვდარია, გარეთამ მოკლა. უმარბარი სეა ჩვეულებრივად, შედხარ მასში და შემოთ რომ ახვდავ ცას ხედავ

კი კვლავ ტრანსპორტში ჩამჯდარა. ასეთი რამ ბევრჯერ ვნახე... გარდა ამისა, ყველა, თავგადასარსული დადის. გრძელთმიანს თუ წაანყდები, უნდა მიხვდე, რომ შედარებით შეძლებულია. როცა ვიკითხე, ასე რატომ დადიოდნენ, მიპასუხეს, შამპუნი ძვირი ღირს, ხშირად ვერ დავიბანთ და ტილები დაგვესვაო. ქალებს უწერილესად დაწინილი თმა აქვთ. ვინც გრძელი თმით დადის, ესე იგი, პარიკი ახურავს.

— როგორი ხალხია?

— ძალიან მშვიდობისმოყვარე ხალხია, ყველა გილიმის, გესალმება, ხელს გიქნევს. თანაც, იმ უბანში თეთრკანიანი მარტო მე ვიყავი და ძალიან თბილად მექცეოდნენ. თუმცა რადგან მდიდარი ვეგონე, ხშირად მატყუებდნენ კიდევ.

— ჯუნგლების სანახავად არ წაგიყვანეს?

— რას ამბობთ, იქ წასვლის თვითონაც ეშინიათ! საგანგებოდ წამიყვანეს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, სადაც უზარმაზარი ციხესიმაგრე მჩვენებს — მათი ერთადერთი ისტორიული ძეგლი. იქ ადრე დამწყვედული ჰყავდათ მონები, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყანაში ყიდდნენ. ციხესიმაგრის ტერიტორიაზე დავდგი თუ არა ფეხი, მათხოვრები დამესივნენ. გამოვიტხვს, — რა გეგია, რომელი ქვეყნიდან ხარო? ექსპურსიის შემდეგ გარეთ დამხვდნენ და მომართვეს ნიჟარა წარწერით — „გია, მოგესალმებით!“ თან დააყოლეს, — ფეხბურთის გუნდი ვართ და ცოტა ფული მოგვეციო (იციინის). მოკლედ, მინც დამცანცლეს ფული, ნიჟარა კი გადავაგდე — დამტყუებული და „გაუბედურებული“ იყო.

— დედაქალაქში მრავალსართულიანი შენობები თუ დგას?

— არა, ძირითადად, „ბარაკები“. ორმილიონიანი ქალაქია და სულ 7 სასტუმროა. კინოთეატრი არა აქვთ, მაგრამ რალაც სერიალებს იღებენ; მუსიკას ქმნიან, მაგრამ ფილარმონია არა აქვთ. იქ ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც სიგიჟემდე არ უყვარდეს მუსიკა და არ ცეკვავდეს.

— თქვენც გაცეკვებს?

— კი, რალაცები მასწავლეს... ძალზე მომხიბვლელი ქალები ჰყავთ, საოცარი აღნაგობის და ძალზე მოსწონთ თეთრკა-



უზარმაზარ, 70-მეტრიან ხეებზე 40 მეტრის სიმაღლეზე გადებული ბენვის ხიდები ვნახე, ამერიკელების გაკეთებული

ნიანი მამაკაცები (იციინის და ქალების თემაზე საუბარს წვევებს)...

— რა სარწმუნოების ხალხია?

— ძირითადად, კათოლიკეები არიან, ისე, ბევრი მუსლიმანიც ვნახე.

— ეკლესიები აქვთ? სად ლოცულობენ?

— ეკლესია, როგორც ასეთი, არა აქვთ. რალაც შენობებია, რომელსაც აწერია „ეკლესია“, ასე თუ ამოიცინობ. მუსლიმანებს კი აქვთ მეჩეთის ტიპის სამლოცველოები. კიდევ მისდევენ რალაც სარწმუნოებას. სადაც ვუშობდი, იქ მესმოდა ხმები, — ლოცვის დროს როგორ მღეროდნენ თუ ტიროდნენ...

— საყოფაცხოვრებო რიტუალები როგორი აღნიშნავენ? ქორწილებს როგორ კრძალებენ?

— სხვათა შორის, ქორწილიც ვნახე და დაკრძალვაც. ბოტანიკურ ბაღში ვიყავით... იცით, რა უნიკალური ბაღი აქვთ?! ისეთი ხეები ვნახე, რომ ალბათ თეთლ მსოფლიოში ვერ ნახავ. ჩემთვის ყველაზე შთაბეჭდავი ერთი იყო, 1926 წელს ინგლისელებს აღმოუჩენიათ. ხე არის ხეზე შემოხვეული; შიდა ხე უკვე მკვდარია, გარეთამ მოკლა. უზარმაზარი ხეა. ჩვეულებრივად, შედისარ მასში და ზემოთ რომ აიხედავ, ცას ხედავ. კიდევ, ვნახე ხე, რომელსაც 50 კაცი ხელს ვერ შემოარტყამს. უნივერსალური ჯიშია, თურმე სამკურნალოდაც იყენებენ, ავეჯის დასამზადებლადაც და კიდევ სხვა ათას რამედ. ამ ხის ფესვები ზემოთ ამოდიოდა და მეორე ხის ფესვებს უერთდებოდა. ასეთი სილამაზე არსად მინახავს. ლიანებივით ხეებსაც შევხვდი, სხვა ხეებს რომ კლავენ, ახრჩობენ... იმ ბოტანიკურ ბაღში ვნახე ქორწილი. ხომ არ გგონიათ, სუფრა იყო გაშლილი?! კაცი იდგა, მიკროფონში აშანტურ

ენაზე ლაპარაკობდა, სხვები კი უსმენდნენ. რელიგიური შვრება მეგონა, თურმე ქორწილი ყოფილა. სამოსითაც კი ვერ გამოვარჩიე ნეფე-დედოფალი.

— საერთოდ, როგორ იცვამენ?

— უბრალოდ, გამორჩეული არაფერი აქვთ. იქ ორი სეზონია — მშრალი და წვიმიანი. მე წვიმიან სეზონზე მომიწია ყოფნამ: ასეთ დროს შესაძლოა, კვირაში ორჯერ, თითო საათი იწვიოს. წამოვა თავსხმა წვიმა, ერთ საათში გადაიღებს და ვითომ არც ყოფილა. ასე გრძელდება სექტემბრამდე.

— მგონი, დაკრძალვაც ნახეთ...

— უფრო, ქელეს დავარქმევი. ბოტანიკურ ბაღში კაფე-ბარი იყო და იქ ჰქონდათ სუფრა გაშლილი. სულ ტირილით მღეროდნენ ან ისხდნენ, საუბრობდნენ და ლუღს სვამდნენ.

— ლუდი სხვა ქვეყრიდან შემოაქვთ თუ თვითონ ხარშავენ?

— სანარმოები აქვთ, პაპუასები კი არ არიან...

— კიდევ სად წაგიყვანეს, რა გაჩვენეს?

— ცენტრალურ რეგიონში ნაკრძალი აქვთ. რომ მითხრეს, წაგიყვანთო, გავიხარე. ვიფიქრე, მეშველა, აფრიკაში ლომებს, მარტორქებსა და სხვა ცხოველებს ახლოდან ვნახავ და სატრაბახოდ მექნება-მეთქი. შენც არ მომიკვდე! რის გარეული ცხოველები?! სამაგიეროდ, უზარმაზარ, 70-მეტრიან ხეებზე 40 მეტრის სიმაღლეზე გადებული ბენვის ხიდები ვნახე, ამერიკელების გაკეთებული.

— ზედ გაიარეთ?

— ყველამ გავიარეთ შვიდივეზე. ვილაც შავკანიანმა გოგონამ შედ სტუნვა დაიწყო და ისე ავქანავდით, ხალხს კინაღამ გული გაუსკდა. ატყდა ნივილ-კივილი. უმრავლესობას ძირს ჩახედვისაც ეშინოდა.

— თქვენ, როგორც სამაშველო სამსახურის სტაჟიანი თანამშრომელს, რა შეგაშინებდათ?

— ოდნავაც არ შემშინებია. საერთოდ, არა მაქვს სიმაღლის შიში. მხოლოდ ცხოველებს ვეძებდი თვალებით.

— ლიანებზე არ გადაშტარხართ?

— ახლა, ტარხანი კი არ ვარ (იციინის)... მოკლედ, ჯუნგლებში ვერ მოხვდით. აღარ დადინან განელები იქ, ახლა მხოლოდ მაგარი მობილურები და მანქანები აინტერესებთ. განაში კორუფციის დონე პიკს აღწევს. ახალგაზრდობა კარგად ერთობა, დისკოთეკებს პლაჟზევე აწყობენ.

— სკოლები ალბათ, აქვთ, არა?

— აქვთ, მაგრამ ქალები და ვაჟები, ასევე — თეთრები და შავები ცალ-ცალკე სწავლობენ; თან, ყველას ფორმა აცვია. ინსტიტუტებში კი შეხვდები შავებს და თეთრებს ერთად. თეთრებისთვის ბარებიც ცალკეა. იქ მხოლოდ სვამენ და საუბრობენ. შავების ბარშიც ვიყავი, იქ ყველა ცეკვავს. ფილის გმირი მეგონა თავი, მაგრამ... საქართველო ძალიან მენატრებოდა. ერთი თვე ცოტა დრო არ არის! ისე, თუ მიმინვევენ, სიამოვნებით ჩავალ კიდევ. რაც მთავარია, აშანტურ ენაზე გამარჯობაც — „მანაი!“ — ვიცი და დამშვიდობებაც — „ნათიე!“



ამ ხის ფესვები ზემოთ ამოდიოდა და მეორე ხის ფესვებს უერთდებოდა. ასეთი სილამაზე არსად მინახავს



# უცხოეთის ცის ქვეშ

წერილი მათა  
წინამორბედი წერილი იხ. „გზა“, №16-24

## გიორგი მახარაძე

### ტაო-კლარჯეთი და შავშეთი

რამდენადაც ცნობილია (და რაც ძალზე გულსატენია), დღემდე არ არსებობს წიგნი „ტაო-კლარჯეთის ისტორია“. ცნობები ამ კუთხის გაბნეულია სხვადასხვა ნაშრომში...

ტაო და საერთოდ, მთელი ჭოროხის ხეობა უძველესი დროიდან ქართული სამყაროს ნაწილი იყო. ჭოროხის აუზი ძველთაგანვე ქათველური ტომების განსახლების არეალს წარმოადგენდა. სამხრეთ საქართველოს ეს მხარე ტაო-კლარჯეთსა და შავშეთს მოიცავდა. აკად. ნიკო მარი 1915 წელს აღნიშნავდა: „რასაც სომხეთის ისტორიისათვის წარმოადგენს ქალაქი ანისი, იმაზედ ბევრად მეტ მნიშვნელობას წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური და განსაკუთრებით კულტურული ისტორიისათვის ტაო-კლარჯეთის ნანგრევები“.

მდინარე ჭოროხი სიგრძით ალაზანსაც აღემატება და რიონსაც. ართვინიდან ზემოთ ჭოროხის ხეობაზე მდინარის სათავემდე ძველი კლარჯეთია. არეალის მნიშვნელოვანი ნაწილი კლარჯეთის საერისთავოში იყო გაერთიანებული, რომელიც საკუთრივ კლარჯეთს, ნიგალის, შავშეთს და რიგ სხვა ტერიტორიებსაც აერთიანებდა. თავდაპირველად კლარჯეთის ცენტრი სერთვისი იყო, ხოლო ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს მის ადგილს არტანუჯი იკავებს. არაბების შემოსევამდე ეს მხარე რამდენჯერმე აღმოჩნდა სომხური სახელმწიფოს ფარგლებში, ხანმოკლედ — მაგრამ ქართველები მალევე იბრუნებდნენ. სამწუხაროდ, არტანუჯის რაიონში ამჟამად თითქმის მთლიანად დავიწყებულია ქართული, ახლა აქ უმთავრესად სომხები ცხოვრობენ.



სოფელი ტაო-კლარჯეთში

IX-XI საუკუნეებში კლარჯეთი ქართული კულტურისა და განათლების მძლავრ კერას წარმოადგენდა. ჭოროხის მთელ ტერიტორიაზე, მტკვრისა და ევფრატის ზემო ნელში ააგეს მონუმენტური, ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები: ბანა, ხახული, ოშკი, იშხანი, ტბეთი, ხანძთა, ანჩა, ოპიზა, დოლისყანა, შატბერდი, ფანასკერტი და სხვ. შემორჩენილია ხატოვანი გამოთქმა: „საქებარია სილამაზე ოშკის ტაძრის, ადგილმდებარეობა ხახულის, მხატვრობა იშხნისა და წყალი პარხალისა“, ხოლო ბანას ტაძარი 1843 წელს ცნობილმა ბოტანიკოსმა და მოგზაურმა კარლ კოხმა ასე შეაფასა: „მთელ აღმოსავლეთში მხოლოდ კონსტანტინოპოლის გამოკლებით (იგულისხმება აია სოფისი ტაძარი. — ავტ.) რაც კი მინახავს, უეჭველად ეს ყველაფერზე ულამაზესი და უმშვენიერესია“. გიორგი ყაზბეგის აზრით, „ტბეთი დაამშვენებდა თვით რომსაც კი“.

### სოფელი ხლარჯეთის მიწაზე

ტაო-კლარჯეთში დიდად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, მუსიკალური კულტურა, რომელთა წარმომადგენლები არიან ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც არიან გიორგი მერჩულე, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები, ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი მიქაელ მოდრეკილი და სხვ.

#### ოშკი

კლარჯეთის მხარეს ძველ ქართულ წყაროებში „საქართველოს სინას“ სახელით მოიხსენიებდნენ. მაშინ იქ 20-მდე განთქმული მონასტერი მოქმედებდა.

ოპიზის სახელს უკავშირდება სახელგანთქმული ქართველი ოქრომჭედლების — ბექა და ბექემე ოპიზრების მოღვაწეობა.



ადარნასე ბაგრატიონის მემკვიდრე ამოტი პირველის გარდაცვალების შემდეგ, სამხრეთ-დასავლური გაერთიანება ორად გაიყო — ტაოს და კლარჯეთის სამთავროებად.

XI-XIII საუკუნეებში საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურმა ცენტრმა მტკვრის ხეობაში გადმოინაცვლა და ამ მხარეს მესხეთ-ჯავახეთი დაერქვა. XII საუკუნიდან მას ათაბაგები — ანუ მეფის მრჩეველები განაგებდნენ და ამიტომაც სამცხე-საათაბაგოდ იქცა.

X-XI საუკუნეებში საქართველოს თურქობა შემოესია, მათ მოაოხრეს ჯავახეთი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი.

XIV საუკუნის დასაწყისში საქართველოს ისევ ოსმალო შემოესია, ხოლო XV საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩაღდა ბრძოლები ოსმალებსა და სპარსელებს შორის ქართული მიწებისათვის. 1576 წელს გაიმარჯვეს ოსმალებმა და დაიპყრეს მესხეთ-ჯავახეთი.


XVI საუკუნის დასასრულს მესხეთ-ჯავახეთის გარდა ტაო-კლარჯეთიც თურქების ხელში აღმოჩნდა. დაიწყო ამ ადგილების მოსახლეობის უმოწყალო გამაჰმადიანება. სხვა უსასტიკეს ზომებთან ერთად ქრისტიან ქართველებს მძიმე ხარკს აკისრებდნენ, ხოლო მაჰმადის რეჟიმის მიღების შემთხვევაში, ხარკისგან ათავისუფლებდნენ.

სამხრეთ საქართველოს ქართულ კურთხეულ მიწაზე არსებული მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრული ძეგლების დიდი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია. სადაც კი მეტ-ნაკლებად დაცულია — ეს ძირითადად, იმის წყალობითაა, რომ მაჰმადიანებმა ისინი მეჩეთებად გადააკეთეს. ასეთებია, მაგალითად, ტბეთის, პარხლის, იშხნის, ხახულის, დოლისყანის ტაძრები.

ტაოსა და შავშეთში ძალზე ცოტა — ქართველი და თურქი ცხოვრობს. ძირითად მასას — ქურთები შეადგენენ, რომლებიც ფანტასტიკური სისწრაფით მრავლდებიან. ტაო საერთოდ, მწირნიადგინი, მთიანი მხარეა და კლარჯეთსა და შავშეთთან შედარებით, არც მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# მძიგოს ნიძახი



დასაწყისი „გზა“ №24

## სვება კვარაცხელია

— როგორც ვხედავ, თავოც თქვენთან ცხოვრობს, — საუბარი წამოიწყო ირაკლიმ.

— არა, ცალკე. ეს თავოს სახლია, ერთი წელიც არ არის, რაც ვუყიდე. შემჭამა, მარტო უნდოდა ეცხოვრა, დამოუკიდებლად. ჰოდა, ოცნება ავუსრულე. ჩვენ ვაკევი ვართ, ძველ სახლში. დროებით აქეთ გადმოვდით, რომ მომიცვივდნენ და ლამის დაღუწეს იქაურობა, რემონტს ვაკეთებ.

— ვინ, ჩვენ?

— მე და მერი... აი ისიც, — ოთახში ოცდაათიოდე წლის ქალი გამოჩნდა, მაღალი, ყელმოღერებული, სასწაულებრივად ლამაზი. ასეთი ქალები ირაკლის ფილმებში თუ ენახა, ნამდვილი არის-ტოკრატი, ევროპული გარეგნობის. იგი ორივეს მიესალმა, დაგვიანებისთვის ბოდიში მოიხადა და სუფრას მიუჯდა, თან თვალს გვერდით მჯდომ ირაკლის არ ამორებდა.

— გაიცანი, ეს ირაკლია... დროებით აქ იცხოვრებს, თავოს მიხედავს, სანამ ჩვენ ჩამოვალთ, — აუსხნა გურამმა, — ეს კი მერია, ჩემი მეუღლე, — მერე ირაკლის წარუდგინა ცოლი.

— მოხარული ვარ, — ოდნავ წამოიწინა ირაკლი და თავი დახარა.

— მეც, — თქვა ქალმა და მამაკაცს, მომაჯადოებელი, მრავლის მოქმელი გნებინა ღიმილი ესროლა.

ირაკლიმ თვალი აარიდა, იცოდა მერისნაირი საბედისწერო ქალების ხასიათი, გამოცდილი ჰქონდა ასეთებთან ურთიერთობის სიმწარე. ახლოს არ უნდა მოუშვა — ეს იყო პირველი და ერთადერთი „კანონი“, რომელსაც უკვე ათ წელზე მეტია, პრინციპულად იცავდა.

— ბარბაღე, თავო სად არის? — გასძახა მასპინძელმა მოსამსახურეს.

— უკვე წავიდა, ლექციაზე მაგვიანდებაო, ბატონო გურამ, — უპასუხა ბარბაღემ, რომელსაც ტაფით შემწვარი კარტოფილი მოჰქონდა.

— სახლი და საერთოდ, აქაურობა ერთი-ორი დღით დამჭირდება ჩემი საქმეებისთვის, — თავი არ აუწევია, ისე წარმოთქვა ირაკლიმ.

— კვირის ბოლოს ჩვენ მივემგზავრებით, იქამდე კი შეგიძლიათ ყველაფერი გულდასმით გადასინჯოთ და შეისწავლოთ.

რამდენიმე დღემ უშფოთველად ჩაიარა. ისეთი არაფერი მომხდარა. ირაკლი მუშაობას შეუდგა. მისი ოთახიდან კარი

პატარა საკუჭნაოში გადიოდა, სადაც ექვსი კამერა იყო დამონტაჟებული თავისი მიკროფონით, რომლითაც ნებისმიერი ოთახიდან საუბრის მოსმენა შეიძლებოდა. ეკრანზე ეზოს მთავარი შემოსასვლელი მოჩანდა, აგრეთვე ჰოლში შემავალი კარი, კაბინეტი, სასადილო ოთახი, სახლის უკანა ეზო და მეორე სართულის დერეფანი, სადაც ირაკლის, გურამისა და თავოს ოთახები იყო განლაგებული. ირაკლიმ სამივე ოთახში სათადარიგო პისტოლეტი დამალა და სიგნალიზაციაც შეამოწმა. ყველაფერს რომ მორჩა, შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა.

თავო შორიდან მტრული გამოხედვით ზვერაგდა დაუპატიჟებელ პირად მცველს. ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა, რომ ვილაც უცხო კაცის თანხლებით უნდა ევლო თვეების განმავლობაში, თანაც ყველგან — შინ, გარეთ, პაემანზე, კინოში, საპირფარეოშიც კი... ჰმ, ბოროტი აზრები მოსდის პატარას თავში, დააცადოს, უჩვენებს სეირს, ეგლა აკლია, ვილაც ბებერი პოლიციელის ტყვე გახდეს. მეტი საქმე არა აქვს! თავისუფლებას ვერავინ წაართმევს, ვერავინ! ეს მამამისმა ვერ მოახერხა და ეგ გადახრჩუებული მოხუცი რას დააკლებს? ნახოს, რა დღეს დააყრის, მალე გააქცევს აქედან.

სალამო ხანი იყო. ვახშმის შემდეგ ირაკლი ეზოში გავიდა, გულდასმით მოათვალიერა იქაურობა, ყველა კუთხე-კუნჭული შეამოწმა, რომ საეჭვო გარემოებები გამოერიცხა და როცა დარწმუნდა, საშიშროება არსაიდან იყო, მშვიდად შებრუნდა სახლში. გურამი ტელევიზორს მისჯდომოდა — მერის პირსახოცი მოეხვია თავზე და თითებს სახეზე იტყაპუნებდა, სააბაზანოდამ გამოსული, ლამის კრემს ისვამდა კანზე.

მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ქალმა კატასავით მინაბა ულამაზესი თვალები, გამომწვევი ღიმილი აუთამამდა ტუჩებზე. მამაკაცმა თვალი აარიდა და მზერა იქვე მოკალათებულ ბიზნესმენზე გადაიტანა. გურამი ყურადღებით უსმენდა საინფორმაციო გადაცემას.

— გვწველიან, ამათი დედაც! — აქნეული ხელი მუხლზე დაიტყაპუნა მამაკაცმა.

— კარგი, გური, ყველაფერზე ნუ ნერვიულობ, ცოტაც მოიცადე და ყველასგან დაისვენებ, — შენიშვნა მისცა ცოლმა.

— ჩემს ოთახში ავალ, თქვენი ნებართვით, — ჩაიბურტყუნა ირაკლიმ და პასუხს არ დალოდებია, კიბეს აუყვა.

გურამს მისი სიტყვები არც გაუგონია, მთელი ყურადღება ეკრანზე ჰქონდა გადატანილი. ირაკლი მალლა ავიდა და ვიდეოკამერების შემოწმებას შეუდგა. ბოლოს თავოს ოთახთან შეჩერდა და დააკაკუნა. არავინ გამოეხმაურა. ისევ დააკაკუნა და როცა კვლავ არავინ უპასუხა, კარი შეღო. გოგონა საწოლზე მიწოლილიყო და ყურსასმენებით ფლერს უსმენდა. პირადი მცველის დანახვაზე ოდნავ შეირხა და მარცხენა წარბი ირონიულად აწკიპა.

მამაკაცი ზღურბლთან შეყოვნდა. ეს

თავხედი გოგო ნერვებს უშლიდა. მისი ნება რომ ყოფილიყო, დიდი სიამოვნებით მიტყუებავდა, განსაკუთრებით იმ სიტყვების მერე, — უფრო ახალგაზრდა ვერავინ ნახეთო?! — რომ თქვა. სამწუხაროდ, ამდენის უფლება არ ჰქონდა. ის იყო, გამობრუნება გადაწყვიტა, რომ თავო ლოგინზე წამოჯდა და ცალი ყურსასმენი მოიძრო.

— დიდხანს აპირებ ჩვენთან დარჩენას? — ისეთი ტონით ჰკითხა, თითქოს ოჯახის უფროსი ყოფილიყო.

— სანამ საქმეს დასჭირდება, — თავშეკავებით უპასუხა მამაკაცმა.

— რამდენი წლის ხარ?

— ორმოცდაორის. კიდევ რა გაინტერესებ?

— ბლუფია ეს ყველაფერი, მე არავინ მერჩის, — თქვა და ფეხები მოირთხა.

— მაგასაც ვნახავთ. გგონიათ, მე მეხალისება თქვენი დევნა? — ირაკლი ოთახში შევიდა და კარი მიხურა, რადგან მიხვდა, რომ თავოს მასთან ლაპარაკის გაბზმა სურდა.

— გული მერევა ამ ყველაფერზე. მამაჩემმა უკვე აღარ იცის, როგორ შემზღუდოს. ვერ ვიტან, — ზიზლით გამოცრა კბილებში, — ვერც მას და ვერც მის კეკელკას.

— მას თქვენთვის სიკეთე უნდა, — ირაკლიმ დოინჯი შემოიყარა და ოთახში მიმოიხედა.

— სიკეთე, აბა! კი, როგორ არა! ახლა გავახსენდი? სხვების თვალის ასახვევად აკეთებს ამას. პრესტიჟის ამბავია და მეტი არაფერი. აქამდე სად იყო? ახლა გაახსენდა, შვილი რომ ჰყავს? მაშინ სად იყო, იმ დეგენერატს რომ აკვლევინებდა? არ იცოდა, სამაგიეროს რომ გადაუხდიდნენ?

ირაკლიმ კოპები შეკრა: რას ამბობს? მოაკვლევინაო? ამ ბავშვმა რალაც იცის, რასაც მას უმაღლავნ. „აბა, აბა, კიდევ რას იტყვი, პატარავ?“ ყურადღება დაძაბა, თუმცა ხმა არ ამოუღია.

— რაო, ქალბატონმა მერი შერვაშიძემ, შენც მოგწუხსა, არა? ხომ მაგარი ნაშაა! უყვარს მამაჩემს მისნაირები! კიდევ კარგი, მიდის, თორემ შენც შეგაბამდა, — გოგონამ აშკარად სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

— მერი შერვაშიძე რა შუაშია? — ეგონა, თავო დედინაცვალს ხუმრობით უწოდებდა ასე.

— შერვაშიძეა ქალბატონი, იმიტომაც დაიგირიხება ასე, თავადი ჰგონია თავი. არადა, ერთი ტეტია სომეხია, გვარგადაკეთებული. იცი, სინამდვილეში რა გვარია?

— არ მაინტერესებს, ეს ჩემი საქმე არ არის, — თავი გადააქნია ირაკლიმ და ბოლთის ცემას მოჰყვა.

— აბა, რა გაინტერესებს? მამაჩემის ბიზნესი?

— თუნდაც... და თქვენი ცხოვრებაც, სამეგობრო წრე, ამხანაგები...

— უკაცრავად, მაგრამ თქვენობით

რატომ მომმართავ? მაშინ, კაფეში არ იყავი ასეთი „თავდაბალი“...

— ეს ჩემი სამუშაოა, მაშინ კი... ჯერ კიდევ არ ვმუშაობდი.

— აბა! — თითები ერთმანეთს შეატყუბა თავომ და ნიკაპი ზედ ჩამოდა, — სამუშაო! ჩემს დაცვას საკუთარი ქალიშვილი დაცვა, არ გირჩევნია. — თავხედურ ტონს არ იცვლიდა გოგონა.

— მე არ მყავს ქალიშვილი.

— აკი შენნაირი ერთი სახლში მიზისო?

— ის ჩემი დისშვილია, დროებითი სტუმარი.

— ჰო-ო! მას არ სჭირდება დაცვა?

— არა, ის თვითონ უკეთ იცავს თავს, იაპონური ორთაბრძოლების დიდოსტატი, შავი ქამრის მფლობელი, მეორე დანი აქვს.

— კარატეზე დადის?

— აიკიდოზე დადიოდა.

— მეც მინდოდა კარატეზე, მაგრამ მამაჩემმა არ გამიშვა, ქალის საქმე არ არისო.

— რატომ გგონიათ, რომ ვეცდები? — გაიცინა ირაკლიმ და იქვე, ფანჯარასთან მდგარ სავარძელში ჩაჯდა. — მე ჩემი საქმე მაქვს, კლიენტის ცოლებთან არაფერი მესაქმება.

— დრო რომ ჰქონდეს, თვითონ ეცდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ასწრებს. იცი, რამდენი გააგიჟა? დააქლიავა გურამის ძმაცაცები. ზოგი სპეციალურად მოდიოდა ხოლმე, მასთან შეხვედრის შანსი რომ მისცემოდა.

— არ გვიანდა ამაზე ლაპარაკი.

— ჰო, რა თქმა უნდა, შენ ასეთი რამეები არ გაინტერესებს. გგონია, რომ ღვარძლი მალაპარაკებს. როგორც გინდა. ადრე თუ გვიან, ყველა დარწმუნდება ჩემი სიტყვების სიმართლეში.

გოგონა, თითქოს ჯიბრზე, თავიდან წამოწყებულ თემას არა და არ უბრუნებოდა. ირაკლის კი არ უნდოდა, თვითონ შეესხენებინა. ცოტა ხანს კიდევ აცალა და რადგან თავო კვლავ თავისას აგრძელებდა, მოულოდნელად გაანწყვეტინა ლაპარაკი.

— როდის მოხდა ეგ ამბავი?

— რომელი ამბავი? — მარცხენა წარბი ისევ აზიდა თავომ, მორთბმული ფეხები გაშალა, ირაკლისკენ მობრუნდა და იდაყვით დაეყრდნო სანოლს.

— რომლის გამოც მამაშენს დასდევნ, — თქვა მამაკაცმა და სახეზე წამოხურდა, თითქოს დანაშაულს სჩადიოდა.

— აჰ, ორი თვის წინ. რა, თვითონ არ მოგიყვა?

— არა, არ უთქვამს.

— აბა რა თქვა, რატომ დამდევნო?

— სხვა მიზეზი დაასხელა, — არ დააკონკრეტა პირადმა მცველმა და, ცოტა არ იყოს, ინანა კიდევ, რატომ დაუბრუნდა ამ თემას. არ არის ლამაზი, პატარა გოგოს დასტყუო სიმართლე, როცა უფროსები საგულდაგულოდ გიმალავენ მას.

— არ დაიჯერო! მაყუთი მოუტეხეს და თავისი ბიჭები მიუგზავნა. მთელი ამბები იყო, ჩხუბი მოხდა, ერთი მოკლეს. ჰოდა, ახლა იმ მოკლულის ძმა დასდევს.

— ვინ არის, რას წარმოადგენს?

— სვანები არიან, ძმები, სამნი თუ ოთხნი... დიდ ფულს ატრიალებენ. ადრე ერთად იყვნენ საქმეში, მერე ცალ-ცალკე გავიდნენ. როცა ორივეს ინტერესი ერთმანეთს შეეჯახა, დასცხეს კიდევაც ერთმანეთს. შემდეგ ცუდი რამეები მოხდა, არც ერთს არ უნდოდა პირველად დათმობა. მამაჩემი ღორია, თორემ ყველაფრის მოგვარება შეიძლება. ერთი თეთრითაც არ უნდა, რომ იზარალოს. მერე საყვარელი მუულღე რითი გააძლოს? იმას ხომ ყველაფერი უნდა, ყველაფერი... იცი, როგორ აქეზებს. გადმოყრის ნიანგის ცრემლებს, ასე ცხოვრება არ შემოიძლია, სახლიდან წავალო და ისიც გიქს ჰგავს, საათობით ეფერება და აწყნარებს. რა მარაზშია! — ტუჩები აიბზუა თავომ.



— ჰოდა, თქვენც იმას მიხედეთ, რაც თქვენი საქმეა.

— რას, მასწავლებლობას თუ ფარმაცევტობას?

— რატომ? თქვენ მშვენიერ ესკიზებს ხატავთ. კარგი მოდელიერი დადგებით, თუ ასე გააგრძელებთ.

— მამა ამასაც მიშლის, — ეგ პედერასტი კაცების საქმე უფროა, ვიდრე ლამაზი ქალების; ნესიერ ქალს რა უნდა სამოდულო ბიზნესშიო. ამ დროს, მისი ცოლი ყოფილი მოდელია, რომ იცოდე... და ზუსტად იმ ცისფერ მოდელიერებთან მუშაობდა.

— მართლა? — მისდა უნებურად წამოსცდა ირაკლის, რითიც თავი გასცა, რომ დაინტერესებული იყო მერის პიროვნებით.

— მაგარი ნაშაა, არა? სულერთია, მაინც არაფერი გამოგივა.

— რა ბიზნესი აქვს მამათქვენს? — დაინტერესდა ირაკლი.

— საიუველირო. ძვირფასი ქვები და ლითონი ჩამოაქვთ და გააქვთ, ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი, ლალი, რა ვიცი, ყველანაირი სამკაულს აკეთებენ. ზოგს აქვე ყიდვიან, ზოგსაც საზღვარგარეთ გზავნიან.

— ამ ბიზნესში ამდენი ფული ტრი-ალეებს? საიდან?

— ჰმ... საიდან და... აყალბებენ.

— როგორ? რას შვრებიან? — ირაკლი ახლოს მიუჩოჩდა, ყური ხომ არ მატყუებსო.

— აყალბებენ. ამას წინათ, დუბაიდან ჩამოიტანეს ბიჟუტერიის დიდი პარტიკა და ისე გაუშვეს გაყიდვაში, როგორც იტალიური ოქრო და ვერცხლი. ყალბი ბრილიანტები კი რუსეთის გზას გაუყენეს. აი, სწორედ მანდ მოუვიდათ შეცდომა და ჩაცვივდნენ. ამაზე ატყდა ერთი ამბავი.

— თქვენ საიდან გაქვთ ამდენი ინფორმაცია?

— აქ რომ ყოველ ოთახში მიკროფონია დამონტაჟებული და შენ გულდაგულ ამონებ, როგორ გგონია, მე არ ვიცი, რისთვისაა? ადევნი ერთხელაც, ლილას თითი მივაჭირე და მოვისმინე. გურამი ზარალის ანაზღაურებას ითხოვდა.

— აქ მოხდა მკვლელობა?

— არა, აქ არა, მაგრამ იქამდე ჩვენთან მოვიდნენ საქმის გასარჩევად. ახლაც ყურში ჩამესმის, ბოლო ხმაზე როგორ იგინებოდნენ. დაცვა რომ არ ყოფილიყო, დახოცავდნენ ერთმანეთს.

— მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დამთავრდეს ეს ამბავი? რალაც მოლაპარაკება ხომ უნდა შედგეს?

— არ ვიცი, ეგ ჩემი საქმე არ არის. მე ის ვიცი, რომ პირადად არავინ შემეხება. აი, თვითონ ნახავ, რაც იქნება, მთქნარებისგან დაიღვლები.

— საიდან იცით? რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

— ვიცი, — მტკიცედ წარმოთქვა თავომ და მამაკაცს თვალეები აარიდა, თითქოს რალაცას მალავსო.

ირაკლი არ ჩაეძია, ამწუთას გურამის ამბავი უფრო აღელვებდა, ვიდრე თავოს საიდუმლოებები. დინჯად წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

— ძილი ნებისა, ხვალ შევხვდებით, — დაემშვიდობა გოგონას, სანამ კარს გაიხურავდა.

რატომ დაუმალა დამკვეთმა სიმართლე? ნათუ უფრო სერიოზულადაა საქმე? მთელ არმიასთან ხომ არ მოუწევს შერკინება? სვანებს მტერი გადაევიდა! საზიზლარი შურისძიება იციან. არა, უნდა დაელაპარაკოს გურამს, ასე არ შეიძლება. რად უნდოდა ეს ყველაფერი, რა შარში გაყო თავი! ვერა, ვერ ისწავლა ჭკუა.

ამ ფიქრებით თავის ოთახს მიადგა. ამ დროს, კიბეზე ამომაგვალ მერის მოჭკრა თვალი და რატომღაც, სინთლეში გადაურა სახეზე. ქალმა ისე ვნებიანად გაუღიმა, ლამის გონება დაებინდა. რა მაცდური

ვინმე! მერი თანდათან უახლოვდებოდა, ირაკლი ადგილიდან არ იძვროდა. ბიზნესმენის ცოლმა უსიტყვოდ ჩაურა გვერდით, საცხე მკერდით ოდნავ გაეხახუნა და რომელიღაც საოცრად ნაცნობი მცენარის სურნელზე დატოვა, თითქოს ვარდის... შეიძლება მაგნოლიის... ეს იმ კრემის სურნელია ალბათ, სახეზე რომ უსვია, გააჟრჟოლა მამაკაცს. მერი თავის ოთახს მიადგა. ერთმანეთისთვის თვალი არ მოუცილებიათ, ისე ჩამოსწია ორივემ კარის სახელური, ლამის ერთდროულად. ირაკლიმ ირიბად ვიდეოთვალს გახედა,



რამდენად დაფიქსირდა ეს სცენა ეკრანზე, მერე შუბლშეჭმუნხილი შეიმალა ოთახში, ერთი ღრმად ამოისუნთქა და ლოგინზე გაუხდელად მიესვენა.

ხვალ გაარკვევს ყველაფერს.

— რალაც საეჭვო სინწყნარება, რატომ? — ხმადაბლა გადაულაპარაკა გურამმა დილით სააბაზანოდან გამოსულ ირაკლის.

— ამის მიზეზი თქვენ უკეთ გეცოდინებათ, — ცოტა არ იყოს, მკვახედ გაიჟღერა პირადი მცველის პასუხმა.

— წარმოდგენა არა მაქვს, — მხრები აიჩჩა ბიზნესმენმა.

— ნუთუ? — ირაკლიმ დამცინავად ჩაილიმა და თვალი თვალში გაუყარა დამქირავებელს.

— რას ნიშნავს ასეთი ტონი? — აიმერიზა გურამი. — სად გგონია თავი, რამე ხომ არ გეშლება... ბიჭო!

— ჯერ ერთი, შენი „ბიჭო“ არა ვარ, — ზრდილობიანი მიმართვის ფორმა საჭიროდ აღარ მიიჩნია ირაკლიმ, თვალეები დაქაჩა და ერთი ნაბიჯით გურამისკენ გაიწია, — მეორე — შენ თვითონ გეშლები მათში, თითების გატყავუნებით ფეხის წვერებზე რომ ატრიალებ. მე შენი თანამშრომელი არა ვარ და არც არასდროს

ვიქნები. ახლა კი კარგად მომისმინე, დაურევე იმ შენს გიოს, ორ წამში აქ გაჩნდეს, დავსხდეთ და ვისაუბროთ, თუ არა და, დავახვევ იმ შენს ათას ლარს და... გასაგებია? — თითის ქნევით ალაპარაკდა ბოლოს. — გასაგებია? — კიდევ ერთხელ გაიმეორა, დაელოდა, სანამ გაფითრებული და ოფლით შუბლდაცვარული მამაკაცი თავს დააქნევდა, მერე გატრიალდა და მეორე სართულისკენ გაემართა.

ამ დროს გვერდითა ოთახის კარი გაიღო და მოკლე ნითელ კომონოში გამოჩნობილი, ფეხშიველი თავო გამოტანტანლა.

— მორიელს ვახლავარ! — აგდებულად მიესალმა გოგონა.

ირაკლიმ გამარჯვებული კაცის იერით ჩაუკრა თვალი და უსიტყვოდ გაუჩინარდა თავის ოთახში.

თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ ჭიშკართან მანქანის მკვეთრი დამზერუჭების ხმა გაისმა. ირაკლი მიხვდა, გიო რომ მოქანდა. ცოტა ხანში ნაბიჯების ხმა მოესმა, ვიღაც მისკენ მოემართებოდა. ნამიც და კარზე კაუჭნი გაისმა.

— შემოდი, ლიაა! — გასძახა ირაკლიმ და სანოლზე ჩამოჯდა.

ზღურბლზე აქოშინებული გიო გამოჩნდა.

— რა ხდება, ძმაო, რა პრობლემა შექმენი? მასკარადების დროა ახლა?

— უკმაყოფილოდ იკითხა მოსულმა.

— მე მივდივარ, იმ ფულს საღამოს დაგიბრუნებთ, — მამაკაცმა თავი ჩაქინდრა და ბოტასიანი ფეხი იატაკზე აათამაშა.

— მოიცა, მოიცა, — მოლბა გიო და გვერდით მიუჯდა, — ასე არ გამოვა. ჯერ ის მითხარი, რითი ხარ უკმაყოფილო, იქნებ თანხა გეცოტავა? კაცურად დავილაპარაკოთ.

— კაცურად? მე მეუბნები მაგას? თქვენ იქცევით კი კაცურად? — იფეთქა ირაკლიმ. — თუ გინდათ, საქმე ვაკეთო, ჯერ გამარკვავეთ, სინამდვილეში რა ხდება და ეგ ზღაპრები წილების გაყოფის შესახებ სხვებს მოუყვივით, — ირაკლის ფერი არ ედო სახეზე.

— აუჰ, აუჰ, შენ რა ფიცხი გამხდარხარ, შე კაცო... დამშვიდდი, დანყნარდი... არავის არაფერში მოუტყუებხარ. შენ მხოლოდ ის ვითხრეს, რისი ცოდნაც შენთვის იყო აუცილებელი, დანარჩენი არ გეხება, ძმაო! — გიომაც აუნია ხმას.

— მე ასე არ ვმუშაობ, გიო, არც არასდროს მიმუშავია. ირაკლი მეუნარგია სუფთა ადამიანი, იცი ეს შენ! როცა საქმეს მძალევე, ყველაფერი უნდა მითხრა, უნდა ვიცოდებ, რას ვაკეთებ, რატომ და რამდენად მილირს ჩემი სიცოცხლის საფრთხეში ჩადგება. ბოროტმოქმედების დაცვას მიჩვეული არ ვარ, ერთხელ და სამუდამოდ დაიმხსოვრე.

— კარგი, კარგი... მითხარი, რა გაინტერესებს, ყველაფერში გაგარკვევ.

— პირველ რიგში, მინდა ვიცოდებ, ვინ და რატომ დასდევს შენს შეფს...



— ვიბლიანები არიან, ძმები. ბევრი მიქარეს, ამიტომ გურამმა საქმეს ჩამოაშორა, ეს კი არ აბატიეს.

— რა საქმეზეა ლაპარაკი, ნანლი-ნანლი ნუ მელაპარაკები...

— ბრილიანტებზე. გურამი ყოველთვის სუფთად მუშაობდა, მაგათ კიდევე აუარეს. რამდენიმე თვის წინ გაგზავნილი პარტიიდან ოცდაათი პროცენტი ყალბი აღმოჩნდა. მივხვდით, ამითი ნაწლიწარი რომ იყო, მაგრამ ვერ გავტყუებთ, არაფრით გამოტყუდნენ. მოკლედ, გამოვეყავით ოთხივეს და ცალკე გავედით.

— ანუ ოთხ ძმას?  
— ჰო, ოთხ ძმას. ორი თვის წინ, მორიგი საქმის გარჩევისას, სროლა ატყდა და ერთი დაიბრია. ჩვენგან ორი დაქრეს.

— პოლიცია რატომ არ არის საქმის კურსში?

— როგორ არ არის, ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ისინი იმალებიან და ვერ იჭერენ, ამაშია საქმე. ძებნაა გამოცხადებული, კვალს დღემდე ვერ მიაგნეს. სწორედ ეგ არის უბედურება, რომ ჩუმად დაძვრებიან და რანამს დაგვესხმიან თავს, არ ვიცით. ამისთვის გვჭირდება შენი დახმარება. მიხვდი?

— აკი ვილაც ზემოდან მფარველობსო?

— ეგრეც არის, თორემ აქამდე „ტრუპები“ იქნებოდნენ.

— ქურდული სამყაროცაა ჩარეული ამ საქმეში?

— სხვანაირად მიმალვას ვერ მოახერხებდნენ, მით უმეტეს, საქართველოდან არ წასულან, საქართველოდან კი არა, თბილისიდანაც კი.

— ვინ იძიებს ამ საქმეს?

— გიგა ნემსაძე.

— ჩვენი გიგა?

— ჰო.

— მომიწევს მისი ნახვა. არ გეწყინოს, მაგრამ უფრო დეტალური ინფორმაცია მჭირდება.

— შენი ნებაა, ოღონდ უარს ნუ იტყვი და როგორც გინდა, ისე მოიქციე, ვინც გინდა, ის ნახე.

— ეს რატომ მიდის ამერიკაში, გარბის?

— არა, არა, პარტნიორებს უნდა შეხვდეს. ისინი შეუფოთებული არიან, არ მოსწონთ ასეთი ვითარება. პრესტიჟის შელახვის ეშინათ. გარდა ამისა, გურამს გული ანუხებს, ოპერაციაც გასაკეთებელი აქვს. ამას დრო უნდა, ხომ გეცმის... ახლა კი წამოდი, გურამი გველოდება.

მოლუშული ირაკლი წამოდგა, ღრმად ამოიხვნეშა, გიოს შეხედა და თქვა.

— იცოდე, თუ რამეში ჩაიჭრები ჩემთან, შენ მოგიგრეს კისერს, იმას კი არა, — და პირველი გავიდა ოთახიდან. გიო უკან მიჰყვა.

დაბლა ჩასულთ ბარბალეს კივილის ხმა მოესმათ და რაღაც ჩოჩქოლი. გიოს ოფლმა დაასხა სახეზე.

— ვიბლიანები?! აქ... აქ არიან? — გიო ირაკლისკენ შებრუნდა, მაგრამ მხოლოდ

გამოსახლებულა დაინახა მისი, მამაკაცი ბალში გამავალ ღია ფანჯარაში გაუჩინარდა.

ირაკლი აივანზე ახტა, კარი გამოაღო და დერეფანში გავარდა. ვიდუროთახს მიაშურა, ეკრანზე მომხდურებს ექებდა. ჰოლოში სამი ნიღბიანი დაინახა, რომლებიც კაბინეტისკენ დაიძრნენ. ირაკლიმ გადამცემი მიკროფონს მიუერთა და საქამრეზე დაიმაგრა, მერე კარადიდან ოპტიკურ-სამიზნის თოფი გამოიღო და იმ ლილავს დააჭირა ხელი, რომელიც კაბინეტთან აკავშირებდა. შემდეგ ისევ ეზოში გადახტა, იქვე დაგდებულ დიდ ქვას ამოეფარა და იარაღის სამიზნიდან ოთახის სივრცეს გახედა. კაბინეტში შვიდნი იყვნენ. სამი ნიღბიანი, თავო, ბარბალე, გიო და გურამი. მერი არსად ჩანდა. ალბათ თავის ოთახში იყო. არ გამოვიდოდეს მაინც, იქნებ მიხვდეს ამდენს. ირაკლიმ ერთი ნიღბიანი მიზანში ამოიღო. გადამცემში მკაფიოდ ისმოდა მათი ლაპარაკი.

— ხომ არ გეშინია, ბიჭო?!.. არა... არა, მოკვლას არ გიპირებთ, უფრო უნდა დაგსაჯოთ... ხომ ძალიან გიყვარს შენი შვილივო? — ავტომატი მიაღო თავოს და არადადამიანურად გადაიხარხარა. — შენი ლეგენდარული დაცვის ბიჭები სად არიან? არ გამოწერეს საავადმყოფოდან? თუ ახლები გყავს? — დაიღრიალა მან.

— არ მეგონა, ჩემი გაცნობა თუ გინდოდა, — გაისმა ოთახში ირაკლის ხმა, — ბავშვს ხელი გაუშვი, თორემ ცოცხალი ვერ გახვალ აქედან.

თავდაშლემეღებმა ერთმანეთს გადახედეს. ორი ნიღბიანი ოთახში დაბნეულად ტრიალებდა და ავტომატებს აქეთ-იქით იქნევდა. ვერ მიხვდნენ, ხმა საიდან მოდიოდა.

— გვაშინებ? გვაშინებ? — მალლა აიხედა და იღრიალა მესამემ. — პოლიცია გიცავს, შე ახვარო? — გურამს ცხვირწინა აუქნია ავტომატი.

— არა, რჩევას გაძლევ, რომელიც მორიგის ნაკბენივით დაგამახსოვრდება... — თავისთვის ჩაილაპარაკა ირაკლიმ და სასხლეტს თითი გამოჰკრა.

დაინახა, ერთ-ერთი ახმახი იატაკზე როგორ გაიშლართა, რასაც შემზარავი ყვირილი მოჰყვა. მეორემ ფანჯრიდან ქვას ამოფარებული ირაკლი შეამჩნია, იარაღი დაუმიზნა, მაგრამ კიდევე ერთი გასროლა და ისიც დაეცა. მესამე გამძვინვარებული დააქნევდა თავოს და ღრიალებდა.

— მოვკლავ... მოვკლავ! თქვენნი!..

— მოკალი მერე, რაღას უცდი, — მშვიდად წარმოთქვა ირაკლიმ და ისევ გამოჰკრა სასხლეტს თითი, უცნობს ავტომატი ხელიდან გაუფარდა და მკლავიდან სისხლი წასკვდა. თავო კედელს აეკრა. ირაკლი ქვას მოშორდა და ფანჯრისკენ გაიქცა, მაგრამ იქ მისულს მესამე აღარ დახვდა, გაქცეულიყო.

— პოლიციაში დავრეკავ, მიხედავენ ამათ, — სიჩუმე გურამის გაბზარულმა ხმამ დაარღვია...

მალე სახლი პოლიციელებითა და „სასწრაფოს“ ექიმებით აივსო. შედგა და-

კითხვის ოქმი, დაჭრილები წაიყვანეს. ირაკლიმ გიგა ნემსაძე განზე გაიხმო და დიდხანს ელაპარაკა.

— სახლის დაცვას გავაძლიერებთ, მართო გაგიჭირდება, — თქვა ბოლოს გიგამ და ძველ მეგობარს მხარზე ხელი მოუთათუნა.

დაჭრილი ნიღბიანები ვიბლიანების მიერ დაქირავებული კილერები აღმოჩნდნენ. გამოძიებელმა გვიან დატოვა სახლი. ირაკლი თავის ოთახში ავიდა. კარზე დააკაუნეს.

— მობრძანდით, — თავაუწევლად გასძახა.

ოთახში გურამი და მერი შემოვიდნენ. მერი იღიმოდა, გურამი უხერხულად იშმუშნებოდა.

— მაპატიე, ძმურად... დილით ძალიან გავცხარდი... შენი მაღლობელი ვართ, ყველაფერი ჩინებულად ჩაატარე, — ძლივს აბამდა სიტყვებს ერთმანეთს.

— არაფერიც, — ირაკლიმ შეხედა, — თავოს სიცოცხლე საფრთხეში ჩაავადე.

— რაც მთავარია, ყველაფერი მოგვარდა, — ნაბიჯი წინ გადმოდგა მერი-მაც.

— სხვა დროს ასე არ უნდა მოვიქცე, — თვალი აარიდა მამაკაცმა ორივეს და ფანჯარაში გაიხედა, — ეზოს შემოსასვლელთან ავტომატური სიგნალიზაციის დაყენება დამავინყდა, — თავის თავზე ბრახობდა იგი.

— რა დროს მეძინა?! — განელილი ხმით წარმოთქვა მერიმ და ხელები ისე გაშალა, თითქოს იზმორებოთ, თან ქმრისთვის შეუშინეველი იდუმალი ღიმილი აჩუქა დღის გმირს.

ცოლ-ქმარი გავიდა თუ არა, ოთახში თავომ შემოაჭრა.

— მაგარი ყოფილხარ, — გაუღიმა პირად მცველს.

მამაკაცმა მრავალმნიშვნელოვნად მოხედა.

— აკი მე არ მერჩინო? — ჩაიცინა.

— გურამის შესაშინებლად გააკეთეს ეს, მე არაფერ შუაში ვიყავი, სულ არ შემშინებია, — უდარდელად თქვა გოგონამ და სანოლზე ფეხებმოკეცილი შეხტა.

— რაღაც მეეჭვება, — ურწმუნოდ გადააქნია თავი ირაკლიმ და თოფის განმენდას შეუდგა, — ვფიქრობ, მეტი სიფრთხილე გმართებს, ცეცხლს ნუ ეთამაშები.

— მე ვიცი, რასაც ვამბობ, — მტკიცედ წარმოთქვა თავომ და მამაკაცისკენ გადაიხარა, — მაინც მაგარი ხარ. ახლა ცოტათი მომწონხარ კიდევ, — ბავშვური ხმით გადაიკისკისა გოგონამ.

ირაკლიმ გაოცებულმა გადახედა მისკენ დახრილ თავებზე გოგოს.

— ჰოდა, მიფრთხილდი, — თავო მკვირცხლად ჩამოხტა საწოლიდან, მამაკაცს ეშმაკურად ათამაშებული თითები დაუქნია და ოთახიდან ხტუნვა-ხტუნვით გავიდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# გონების სასარჩილო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ურუნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

**„პასუხიანს“ სვამისაჲნ არ გაგაჲსეთ თვალი.**

1. პითაგორა საკმაოდ კარგი სპორტსმენი იყო. იგი ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობდა. კერძოდ, რომელ სახეობაში?
2. დაასახელეთ ფრანგი დრამატურგი, რომელიც ლუდოვიკო XV-ის საიდუმლო აგენტი იყო.
3. სექტემბრის პირველ კვირადღეს, ქალაქ ვაიმარში ჩასული ტურისტები ცრემლად იღვრებოდნენ. რატომ?
4. დაასახელეთ ინგლისელი ქიმიკოსი, რომელმაც 1794 წელს პირველმა აღწერა ფერის შეგარძების მოშლა.
5. ეს რომელია ერთი თითით იფხანდა თავს, რის გამოც, იგი მთელ რომში დაცინვისა და განქიქების საგნად იყო ქცეული. დაასახელეთ იგი.
6. იტალიელმა მომღერალმა ადელინა პატიმ, სანამ თეატრალურ ასპარეზზე სახელს მოიხვეჭდა, დიდი სიდუხჭირე გამოიარა. იგი ყაზბისგანაც კი ნისიად ყიდულობდა ხორცს. მოგვიანებით, როცა მომღერლის დებიუტი შედგა, დარბაზი მაყურებელს ვერ იტყვდა. წარმოდგენას ყაზბიც დაესწრო და როდესაც დაინახა, რა პატივით მიიღო ხალხმა მომღერალი, გადამწყვიტა, მასაც შეეტანა თავისი წვლილი მსახიობის ზემოთ და დარბაზიდანვე დაუძახა: „პატი, პატი...!“ დაასრულეთ მისი სიტყვები.
7. ეს უდიდესი დამპყრობლები ლაშქრობისას უმი ხორცის ნაჭერს ცხენის ზურგსა და უნაგირს შორის ათავსებდნენ და ჭენებით დაბეგვილს უმაღვე ჭამდნენ. დაასახელეთ ისინი.
8. რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის კუნძული ტაიტი?
9. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელები თავიანთ სამხედრო გემებს ისე ნიღბავდნენ, გეგონებოდათ, ის ნეიტრალური ქვეყნების სავაჭრო ხომალდი იყო და ამის შედეგად, წარმატებით ძირავდნენ მოწინააღმდეგეს. ერთ-ერთი ასეთი გემი, სახელწოდებით — „პინგვინი“ კარგა ხანს დაუბრკოლებლად მოქმედებდა. როგორ მოხერხდა მისი აღმოჩენა?
10. როგორ დაიღუპა ფილიპე მახარაძე?
11. სად მდებარეობს მსოფლიოს ყველაზე მაღალი ჩანჩქერი — ანხელი?
12. რას ნიშნავს სიტყვა „ბაშუსტა“?
13. რა შეარქვა ილია ჭავჭავაძემ ვინმე ტანდაბალ გომართელს, რომელიც მის შემოქმედებას აკრიტიკებდა?
14. საქართველოს ეს მეფე ყრმობაში დედით დაობლდა. მხეცურად იქნა მოკლული გვანცა დედოფალი — უმშვენიერესი ქართველი ქალი წყალში ჩაახრჩვეს. დაასახელეთ იგი.
15. სად უფრო ადრე გაიხსნა მეტროპოლიტენი, თბილისში თუ ერევანში?

# ანეკდოტები

\*\*\*

სამამულო ომის დროს, სოფლის სადალაქოში წვერის გასაპარსად შესულ კლიენტებს დალაქი ტყვიის ორ ბურთულას აძლევდა, რომ როგორმე, ჩაცვნილი ლოყები გაეპარსა.

— კი, მაგრამ, რომ გადამეყლაპოს?



— იკითხა ჭიჭიკიამ.

— რა მოხდა, შე კაცო, აგერ, გუშინ ბიქტორამაც კი გადაყლაპა, მარა დღეს ქე მომიტანა უკან, — დაამუქდა დალაქმა.

\*\*\*

სამამულო ომი ახალი დამთავრებულია. საბჭოთა ჯარისკაცები სახლებში ბრუნდებიან. ყველა მათგანს, ნადავლის სახით, ფრონტიდან რაიმე იარაღი მოაქვს. მათ ცოცხლად გადარჩენილი ფაშისტების მცირერიცხოვანი ჯგუფები უსაფრდებიან, იჭერენ და რა იარაღსაც უპოვიან, უკანალში სტენიან დაიჭირეს რუსი, უპოვეს პისტოლეტი და უკან შესტენეს; დაიჭირეს აზერბაიჯანელი, უპოვეს ავტომატი, დგანან და უკან სტენიან. აზერბაიჯანელი კვდება სიცილით.

— რა გაციინებს, შე დეგენერატო?

— გაუკვირდათ გერმანელებს.

— სომეხს ტანკი მოჰყავს!.. — ხარხარს უმატა აზერბაიჯანელმა.

\*\*\*

საბჭოთა ჯარში გურული ასეულს სამწყობრო სიარულში ავარჯიშებს. რუსულის ცოდნასთან, ცოტა არ იყოს, მწყრაღადა:

— როტააა, შაგოოომ მარშ! რას, დვა, ტრი! — ასეული მწყობრი ნაბიჯით დაიძრა.

— როტააა, ნალევეეეეო! რას, დვა, ტრი! — ასეული, როგორც ერთი, მარცხნივ შეტრიალდა.

— როტააა, ნა პრააააააო! რას, დვა, ტრი!

— ასეული მარჯვნივ შემოტრიალდა და სიარული განაგრძო. გურული ხედავს, ერთ მხარეს დიდი უფსკრულია და ასეულიც სწორედ იმ მიმართულებით მიაბიჯებს. მისი შეჩერება დააპირა, მაგრამ დაავიწყდა, როგორ არის რუსულად „სდეე!“.

— მეიცა, როტაა.. მაქეთ ნუ მიხვალ, როტაა.. დაყრუედი, როტაა?! როტაა.. როტაა!!!

— ასეული უფსკრულში გადაეშვა. გურულმა თავში იტაცა ხელები და იყვირა: — გედირიე, როტაა?!

\*\*\*

მოშეს კლასელები დასცინიან, დებილიაო. მასწავლებელმა ბავშვები დატყუა:

— გრცხვენოდეთ, როგორ შეიძლება, ამხანაგზე ასე ლაპარაკი?!

— მასწავლებლო, აბა, მიეცით ხუთშეკელიანი და ათშეკელიანი მონეტები და ნახეთ, რომელს აირჩევს. გაკვირვებულმა მასწავლებელმა მართლაც შესთავაზა ფული და მოშემ ხუთშეკელიანი მონეტა აირჩია.

— ხომ გითხარით, მასწავლებლო, დებილია-თქო, — ახარხარდნენ ბავშვები.

— კარგი, ბავშვებო, შედით საკლასო ოთახში, შენ კი, მოშე, აქ მოდი.

— გისმენთ, მასწავლებლო.

— რატომ აირჩიე ხუთშეკელიანი მონეტა?

— იმიტომ, რომ უფრო დიდია.

— კი, მაგრამ ათშეკელიანით ხომ უფრო მეტი რაზის ყიდვა შეიძლება!

— ვიცო!

— აბა, რატომღა ირჩევ ხუთშეკელიანს?

— კარგი, გეტყვით, მაგრამ იმათ არ უთხრათ, რა!

— გპირდები!


— მე რომ ერთხელ მაინც ავიღო ათშეკელიანი მონეტა, მერე არაფერს შემომთავაზებენ...

\*\*\*

გურული სადგურის მორიგეს ეკითხება:

— ოზურგეთის მატარებელი მალე მოვა?

— დღე-დღეზე ველოდებით, — ამთქნარებს მორიგე.




\*\*\*

ერთ შეკრებაზე მომხსენებელი სანარმოს ძაღების არასწორ განლაგებას აკრიტიკებდა, — ნედლეული სადაც არის, იქ გადამამუშავებელ საწარმოებს არ აშენებენო. — მედიცინაშიც ეგრეა, — წამოიძახა დარბაზიდან ვილაცამ, — ნედლეული გურიამია, საგიჟეთი კი — თბილისში!

\*\*\*

ქართველმა მოსკოვში ტაქსი გააჩერა, რომლის საჭესთანაც ქალი იჯდა და ეუბნება:



— რომელიმე იაფფასიან საროსკიპოში მიმიყვანეთ.  
— უკვე ადგილზე ხართ, — გაუღიმა ქალმა.

\*\*\*

ნაწყვეტი მომხსენებლის გამოსვლიდან: „სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები ასე ბევრნი არ იქნებოდნენ, ჩვენ მათ ზურგს რომ არ ვაქცევდეთ!“

\*\*\*

არქიტექტორმა ხიდი ააშენა. არ იცის, როგორ გამოცადოს. წავა ბრძენთან, რჩევის საკითხავად. ბრძენი ეუბნება:  
— ხიდზე 100 სიდედრი დააყენე და უთხარი, — ერთდროულად ახტენ და თუ ხიდი არ ჩაინგრავს, ე.ი. ვარგისია.  
— რომ ჩაინგრეს?  
— ეგ მთლად უკეთესი.

\*\*\*

ქართველსა და სომეხს პოლიცია მისდევს. გარბიან თავქუდმოგლეჯილები. ბოლოს, ტყეს შეაფარეს თავი. სომეხი იპოვეს, ბუჩქებიდან გამოათრიეს და მანქანაში ტყინან.  
— გამოდი, გივი, გვიპოვეს! — გასძახა სომეხმა ქართველს.

\*\*\*

— იცით, ჩვენი ქალიშვილის ხელი ერთდროულად ორმა კაცმა — ინჟინერმა და ჟურნალისტმა გვთხოვა.  
— რომელს გაუღიმა ბედმა?  
— ინჟინერს! ჩვენი შვილი ჟურნალისტს გაჰყვა.

\*\*\*

გამომძიებელი დაქვრივებულ ქალს თანაგრძობით ეკითხება:

— მაინც, რა გითხრათ სიკვდილის წინ ქმარმა?

— რა და მაგ თოვით ტყუილად მემუქრები, შიგნით ტყვიები არ დევსო!

\*\*\*

გერმანელები სოფელში შეიჭრნენ, გლეხები სახლებიდან გამოყარეს, ქათმებს, ბატებსა და გოჭებს მუსრი გააფლეს, დახსნეს ბელეები, გაიღმუნენ რუსული არყით და გოგონებს დაერივნენ. სოფლელებმა, ადგილობრივი მილიციის დახმარებით, მხოლოდ საღამო ხანს შეძლეს ხანდაზმული გერმანელი ტურისტების დაშოშმინება.

\*\*\*

ჭიჭიკია განთქმული მონადირეა.  
— მოყვე, ერთი, ჭიჭიკია, რაფრა ნადირობ დათვებ? — ეუბნება მეზობელი.

— რაფრა და ვიპოვი დათვს, გაფაბრაზე, ისიც გამოძევიდება, აძვრები ხეზე — დათვიც ამომყვება, ხეს გავარხევ, ძირს ჩავარდება, ეცემა და ამ დროს ჩემი ძაღლი, ბისკვიტია გამოაჭამს ყვ...შს.

— კი, მარა თოფი რაღად გინდა?  
— შემთხვევით, მე თუ ჩავვარდი ძირს, მაშინ ბისკვიტია უნდა გავაგორო, თვარა, გლახად წამივა საქმე!

# გონაგონ სპეკტიკონი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

## (პასუხები)

1. კრივში.
2. პიერ ოგიუსტენ ბომარშე.
3. ამ დროს იქ სახვის დიდი ბაზრობა იმართება.
4. ჯონ დალტონი.
5. იულიუს კეისარი.
6. „...ხორცზე გასწორებული ვართ!“
7. მონღოლები.
8. საფრანგეთს.
9. ერთ ინგლისელ მფრინავს საეჭვოდ მოეჩვენა ის ფაქტი, რომ გემის თავზე გადაფრენისას, ეკიპაჟი ხელს მეგობრულად არ უქნევდა, როგორც ეს ჩვეულებრივ სდებოდა ხოლმე. ამიტომაც, გემი განადგურებულ იქნა.
10. 1941 წლის დეკემბერში გული გაუსკდა.
11. ვენესუელაში. მისი სიგრძე 979 მეტრია და 220-სართულიან სახლზე მაღალია.
12. ეს თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს: „დიახ, ბატონო“, „ბატონი ბრძანდებით“.
13. დიდი ჭკუის პატარა კოლოფი.
14. დიმიტრი II თავდადებული.
15. თბილისში, 1966 წელს (ერევანში 1987 წელს გაიხსნა).

# ჩვენი უოსკო მადანაა ძვირფასო მკითხველებო!



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „ვიორის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონკრეტულ მხარეზე „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდით რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.

# ფერის ბავლენა ადამიანის ქსეპაში

**ფსიქოლოგებმა ხანგრძლივი გამოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ფერები მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის კულტურასთან, მის ფიზიკურ მდგომარეობასთან, ცნობიერებასა და ქვეცნობიერებასთან**

## ნითელი

ნითელი ფერი ნერვული სისტემის სტიმულაციას განაპირობებს. ასევე კუნთებსა და ღვიძლს ენერჯით ამარაგებს, სისხლის წნევას ამაღლებს, მაჯისცემას აძლიერებს და სუნთქვით ვარჯიშებს ზრდის.

ნითელი ფერი მამაკაცის აქტიურ სანჯისთან, ცეცხლთან, სისხლთან, სიყვარულსა და ვნებასთანაა გაიგივებული. იგი ხშირად შფოთვას, მოუსვენრობას იწვევს და ნერვულ დაძაბულობას აძლიერებს. ეს ფერი ადამიანს ცხოვრებისეული წინააღმდეგობების გადალახვაში, გამბედაობის მოკრებასა და ამტანიანობის გაძლიერებაში ეხმარება.

## ყვითელი

ყვითელი, ნითლის მსგავსად, სისხლის წნევასა და ადამიანის ტვინის აქტივობას აძლიერებს, გარე სამყაროს მიმართ ინტელექტუალურ ინტერესს იწვევს, მხედველობითი აღქმის გაძლიერებას უწყობს ხელს და გულსიცემასაც არეგულირებს. ეს ფერი, ასევე შედარებით ნაკლები ინტენსივობითა და სტაბილურობით, გრძობების გამყლავნებასა და მის „ანყვეტამდე“ გამოკვლენას იწვევს.

ყვითელი — მზის სიმზურვალესთან, სიხარულთან, მზიარულეებასა და ბედნიერებასთან ასოცირდება. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება პიროვნების ისეთ მახასიათებლებზე მეტყველებს, როგორცაა: კონფლიქტის თავიდან აცილების სურვილი, დამოუკიდებლობისკენ ლტოლვა, ბედნიერების იმედი და მოლოდინი, სიახლისკენ სწრაფვა და პატივისცემის მოპოვება.

## მწვანე

მწვანე — ადამიანის მიზანსწრაფულობასა და შეუპოვრობას, სიმტკიცეს, მუდმივობას, ცვლილებათა მიმართ წინააღმდეგობას შეესაბამება. ამ ფერის ემოციური მდგომარეობა სიამაყეა. ადამიანი კი, რომელიც უპირატესობას მწვანეს ანიჭებს, თავისი შეხედულებებისა და მრწამსის გამარჯვებისკენ, საზოგადოებრივი აღიარებისა და პოზიციების შენარჩუნებისკენ ისწრაფვის.

მწვანე ფერი ახალი სიცოცხლის სანჯისთან, სიყმანვილესა და იმედთან ასოცირდება.

ეს ფერი სისხლისა და თვალის წნევის რეგულირებას, სუნთქვის სტაბილურობას, მხედველობის გაძლიერებას, ყურადღების კონცენტრაციას, ინტელექტუალური შრომისუნარიანობის ამაღლებას, სიმშვიდის განცდას, დადებითი ემოციების გამოკვლენას, ჰიპოზურ და ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას უწყობს ხელს.



## ლურჯი

ლურჯი შინაგანად მელანქოლიურ ტიპს შეესაბამება და სიმშვიდისა და კმაყოფილების განცდას იწვევს. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება სინჯნარის მოთხოვნილებას, დასვენების აუცილებლობასა და ძალთა აღდგენის სურვილს ადასტურებს.

ლურჯი აზრსა და სამყაროსთან, ღვთიურ სიბრძნესა და ერთგულებასთან ასოცირდება.

ამ ფერის ტანსაცმლის ხანგრძლივად ტარება, დალილობასა და დეპრესიას იწვევს. ღრმა განცდების შემთხვევაში კი ძალთა აღდგენას უწყობს ხელს.

## ნაცრისფერი

ნაცრისფერი, შეიძლება ითქვას, ნატურალური ფერია და ადამიანზე არანაირ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას არ ახდენს: არც აწყნარებს და არც აღაგზნებს მას. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება მეტყველებს ადამიანის სურვილზე — ჩაიკეტოს და გაემიჯნოს სამყაროს; ხოლო მის უარყოფილებს ცნობისმოყვარეობა ახასიათებს. ამ ფერს აღიარებენ ისინიც, ვისაც საკუთარი ღირსებების გამოვლენა არ სურთ.

## იისფერი

იისფერი, ნითელი და ლურჯი ფერების ნაზავს წარმოადგენს და შესაბამისად, მათ თვისებებს მოიცავს. ამ ფერს უპირატესობას ბავშვები, მოზარდები, ინტელექ-

ტუალურად და ემოციურად ჩამოყალიბებული ადამიანები, ხშირად სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებიც ანიჭებენ. ამ ფერის „აღიარება“ წარმოადგენს შთაგონებისკენ მიდრეკილებას, მოთხოვნილებას — სწორად გაუგოს პარტნიორმა; სურვილს, მოხიბლოს და მოაჯადოოს ადამიანი ისე, რომ პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს.

იისფერი ადამიანზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ხანდახან მას ინტელექტს უქვეითებს და დეპრესიულ მდგომარეობაშიც კი აგდებს.

## სისფერი

ცისფერი ადამიანს ამშვიდებს, აღუნებს, სისხლის წნევასა და სუნთქვის სიხშირეს ამცირებს.

მუქი ცისფრისთვის უპირატესობის მინიჭება სიჯიუტეზე, ქედმაღლობასა და პიროვნების სისასტიკეზე მეტყველებს. ამ ფერს „ტკივილგამაყუჩებელი“ თვისებაც აქვს, თუმცა მისი ხანგრძლივი ზემოქმედება დალლას იწვევს.

## ყავისფერი

ყავისფერი ყვითელ-ნითელი ფერების ნაზავია. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება დისკომფორტისგან გათავისუფლების სურვილს გამოხატავს. აღნიშნული ფერი წმინდა მინიერ ფერს წარმოადგენს.

ყავისფრის პერიოდულად ზემოქმედება იმ ადამიანებისთვისაა კარგი, რომლებიც ინტელექტუალურ საქმიანობას ეწევიან და მოდუნებასა და დასვენებას საჭიროებენ.

## ნარიჯისფერი

ნარიჯისფერი სითბოს აღქმასთან უშუალო კავშირშია და ადამიანში სისიამოვნო აღგზნებასა და კეთილდღეობის შეგრძობას იწვევს.

ეს ფერი ცეცხლის ალთან, ბედნიერებასთან, სიამოვნებასთან ასოცირდება.

## შავი

შავი ფერი გაუჩინარების იდეას, სრული განდგომის სურვილს გამოხატავს. ამ ფერისათვის უპირატესობის მინიჭება მეტყველებს ადამიანის სურვილზე, გაემიჯნოს სამყაროს, წინ აღუდგეს თავის ბედს და საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, გაბედულად, დამანგრეველად და აგრესიულად იმოქმედოს. ამ ფერის უარყოფა კი საკუთარი ქცევისა და გადაწყვეტილების გაკონტროლების სურვილზე მეტყველებს.

შავი ფერის ტანსაცმელს ძირითადად აგრესიულად განწყობილი მამაკაცები ატარებენ, პროტესტის ნიშნად. ამავე დროს, ეს ფერი ძალზე პოპულარულია ქალებში.





## კოცნის 7 დადებითი თვისება

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ კოცნა არა მხოლოდ სიამოვნება, არამედ სხვადასხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. თურმე ადამიანი, რომელსაც სწორად კოცნიან, სხვებზე საშუალოდ 12 წლით მეტხანს ცოცხლობს. გარდა ამისა, კოცნას, სხვა ბევრი დადებითი თვისებაც ჰქონია:

ის გულის მუშაობის საუკეთესო სტიმულატორია — გულისცემა წუთში 110 ერთეულამდე იმატებს. საუკეთესო საშუალებაა ფილტვების გასაფარჯინებლად: ფილტვები გაძლიერებულად იწყებს მუშაობას და წუთში 20-ის ნაცვლად, 60 ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას ახორციელებს. ასეთი „ვენტილაცია“ კი ფილტვების დაავადების საწინააღმდეგო საუკეთესო პროფილაქტიკაა. კარგი საშუალებაა ღრძილების ანთებისა და კარიესის წინააღმდეგ. კოცნის დროს გამოყოფილი ნერწყვი ნებისმიერ საღებავ რეზინზე უკეთ

ანეიტრალებს კბილებზე წარმოქმნილ მუჟავას. კოცნა ღრძილების საუკეთესო მასაჟიც ყოფილა. საუკეთესოდ ებრძვის სტრესს. ხანგრძლივი კოცნისას წარმოიქმნება ბიოქიმიური რეაქციის ჯაჭვი, რომელიც „სტრესის ჰორმონებს“ ანადგურებს. საუკეთესო ვარჯიშია სახის კანისთვის. კოცნის დროს უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა, კანი ხდება უფრო ელასტიკური და წვრილწვრილი ნაოჭები ქრება კიდევ. საუკეთესო ტკივილგამაყუჩებელია. ნერწყვში შემავალი ენდორფინის

ჰორმონის წყალობით, ვენებიან კოცნას შეუძლია, წამებში გააქროს თავის ან კბილის ტკივილი. საუკეთესო „ტრენაჟორია“: ყოველი სამწუთიანი კოცნის შედეგად, ორგანიზმი დაახლოებით 12 კკალს წვავს. ასე რომ, დღეში კოცნის სამი „სეანსი“ და... შედეგად 1 კგ-საც იკლებთ. გერმანელი წყვილი ერთმანეთს დღეში საშუალოდ 3-ჯერ კოცნის; მეორე ადგილზე ფრანგები და იტალიელები არიან; ყველაზე იშვიათად ერთმანეთს თურმე, ინგლისელები კოცნიან. ■

## პილინგი — კანის სიჯანსაღის საშუალება

თანამედროვე კოსმეტოლოგიაში, სიტყვა „პილინგი“ საკმაოდ აქტუალურია. ჯერ კიდევ ძველი დროიდან ცნობილია სახის კანის დამუშავების პროცედურა მჭადის ფქვილითა თუ ქაბოთი. სწორედ ეს მეთოდი გახლავთ ახლანდელი პილინგის „წინაპარი“ („პილინგი“ ინგლისურად ხეხვას ნიშნავს). შემოგთავაზებთ სახის კანის ხეხვის ანუ პილინგის რამდენიმე ნატურალურ მეთოდს, რომელიც ერთიორად გაგიახლგაზრდავებთ სახის კანს და მას ჯანსაღ იერს მიანიჭებს.

1 ჭქერის მარცვალი (შესაძლებელია „ჰერკულესის“ ფაფაც) გაატარეთ ხორცსაკემ მანქანაში, დაუმატეთ 1 ჩ/კ საჭმელი სოდა და მცირეოდენი ბორის მუჟავა. ნარევი შეინახეთ მინის ქილაში, კოვზთან ერთად — ის ცხიმოვანი და ფერიმჭამელებიანი კანის დასამუშავებლად გამოიყენება. პროცედურა შემდეგნაირად უნდა ჩაიტაროთ: 2 ს/კ ნარევეს დაასხით

ცოტაოდენი თბილი წყალი (ფაფისებური მასის მიღებამდე) და შეიზილეთ სახის კანში მსუბუქი მასაჟით (ნიკაპი, ყელი, ლოყები, ცხვირი, შუბლი). როგორც კი იგრძნობთ, რომ მთელი მასა კანზე თავისუფლად „მოძრაობს“, მაშინვე გულდასმით ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ანალოგიურად შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი პურის გული. ამგვარი პროცედურების შემდეგ ჩნდება



ბა სისუფთავის შეგრძნება, კანი რბილდება და სასიამოვნოდ გამოიყურება. გაითვალისწინეთ, რომ პროცედურის წინ, სასურველია, სახის კანი ნოტიო ან სველი იყოს. კარგ შედეგს იძლევა ცხიმოვანი კანის დამუშავება-ხეხვა ქაბოთი და შემდეგ მისი ჩამოხარება თბილი წყლით. პროცედურის შემდეგ სასურველია, სახეზე ოთახის ტემპერატურის მარილწყალი შეიშაპუნოთ — მას კანისთვის მატონიზებელი მოქმედება აქვს. პილინგის პროცედურები ორი კვირის მანძილზე, ყოველ საღამოს ჩაიტარეთ. კურსის ბოლოს კვერცხის გულის 20-წუთიანი ნილაბი გაიკეთეთ.


**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
**ინტერნეტ მაღაზია**  
**www.elva.ge**  
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეტიინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. შაჩინეეე აბრიააე	11.65	69.7
4. შაჩინეიაა ააჩინეიააა	7.00	41.8
5. შაჩინეიაა	4.00	24.0
6. შაჩინეიაა ააჩინეიაა	0.80	19.9
7. შაჩინეიაა		

პრესის გაერთიანების სააგენტო  
 ქ. თბილისი  
 ოსტაძის ქ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქს: 38-26-74  
 E-mail: elva@kivrispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

რუბრიკა მოამზადა  
**იკა გუნთაიშვილი**



# დიდბორის საჯარო ფრენის აქტი

## გონა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-24

მზე თვალბში ჩასცქეროდა. ისე იგი, ისევ ზურგი შეექცია მშობლიური არდოტისთვის. ეს იყო ბოლო, რაც იხილა და რაც გაიფიქრა. მერე თითქოს მყინვარწვერს მოწყვეტილი ზვავი დაეცაო. საშინელმა ძალამ დაიტანა, მიწას დასცა და მზერას წყვედადი წააფარა...

რა მოხდა შემდეგ და როგორ დარჩა ცოცხალი, მისთვის შეუცნობელი დარჩა...

თურქთა მეთაური, აჰმედი გააფთრებული ჩამოხდა ცხენიდან. საკბილოს იმედად დაედევნა ქართველ მხედრებს და ამის ნაცვლად, თავისი სამი მეომარი დაკარგა. ერთი თავგაპობილი ეგდო ლოდებზე, მეორე — შუაგაჩეხილი ჩამხობილიყო საკუთარი შიგნეულის გროვაში, მესამე ჯერჯერობით ცოცხალი იყო. წვივმოკვეთილი გორავდა მიწაზე, მაგრამ აჰმედმა კარგად იცოდა, რომ ის ვეღარ გადაჩებოდა. გზად მომავალ მარბიელ ჯარს მძიმედ დაკოდელი მეომრის მკურნალობის დრო არ ჰქონდა.

აჰმედმა სწრაფად გამოიტანა განაჩენი: მის ნიშანზე, თურქებმა დაჭრილი გააკავეს და ტყავის საბელით გაგუდეს.

როგორც კი დაჭრილმა ხრიალი შეწყვიტა, თურქებმა ხმლები იშიშვლეს და მუროჩის შემოეხვივნენ. აჰმედის ხელის აქნევა და — სამი თანამებრძოლის დადუპვით გამაგებულნი სელჩუკები ლუკმა-ლუკმა აკუნავედნენ დაჭრილ ფხოველს, — მაგრამ აჰმედი დუმდა. ის ჩაფიქრებული ათვალეირებდა მუროჩის ხმალს, რომელიც ხელიდან გავარდნოდა.

ერთ-ერთ თურქს მოთმინებამ უმტყუნა და დაჭრილს ხმალი მოუღერა.

— უკან გადუე! — მრისხანედ შესძახა აჰმედმა და ხმლის თვალეირება განაგრძო. ბრძოლაშივე მიხვდა თურქთა მეთაური, რომ უჩვეულო ხმალი უნდა ჰქონოდა ქართველ მეომარს. საკუთარი თვალთ იხილა, როგორ გაჩეხა ერთის შემოკვრით მისი მოლაშქრე. ისე გაკვეთა, თითქოს ჰამადანური აბჯარი კი არა, აბრეშუმის ხალათი ეცვა... კარგი მეომარი ჩანდა ქართველი, ფარიკაობაც ემარჯვებოდა და გულადიც იყო. მაგრამ მარტო ამასაც არ იყო საქმე. როგორი გაბედულიცა და მარჯვე მოფარიკავეც უნდა ყოფილიყო, ერთი შემოკვრით ვერაფერს დააკლებდა ჰამადანს ნაჭედ აბჯარს. თვით ხმალში უნდა ყოფილიყო მისი სიძლიერის საიდუმლო. ამიტომაც ვერ გაბედა ქართველ მეომართან პირისპირ შებმა. ზურგიდან, ქურდულად წამოეპარა და ისე დაჰკრა გურზი.

ხმალი კი მართლაც, უჩვეულო აღმოჩნდა. ფოლადმა სისხლის მოშორებისთანავე დაიწყო ლაპლაპი და მგლის დამლა გამოაჩინა.

ფიქრს მიეცა აჰმედი. უბრალო მოლაშქრეს ასეთი ხმალი საიდან უნდა ჰქონოდა?.. აბჯარიც კარგი ჰქონდა, სადა, მაგრამ — საუკეთესოდ ნაქსოვი ჯაჭვის პერანგი. აბჯრის სისადავეს არ გაუკვირვებია. ბევრჯერ შეხედუროდა ომში ქართველ დიდებულებს და იშვიათად ენახა ისინი მდიდრულ აბჯარში. სადა საჭურველს არჩევდნენ და ეს ქართველიც ასე იყო აღკაზმული.

„იქნებ, აღსართან კახთა მეფის აზნაური ან თავადია?.. — ფიქრი განაგრძო აჰმედმა. — რუსთავიდან მოდის. შეიძლება, კვირიკემ გაგზავნა ვეჟინს. რაიმე ცნობას კი უბირ გლესს არ ანდობდა კახთ უფლისწული... და თუ თავადი ან აზნაურია, მასში გამოსასყიდსაც გადაიხდიან კახნი. ამით მაინც ავინაზლაურებ სამი მეომრის სისხლს...“

— სახე მოხანეთ და ჭრილობა შეუხვიეთ! — თავის ხალს უბრძანა ფიქრს მოწყვეტილმა აჰმედმა.

— ჭრილობა შეუხვიეთ?! ამ გურჯმა სამი ამხანაგი მოგვიკლა და ვუაქიმოთ?! — ბრაზით შემოხედეს თურქებმა.

— ხმა ჩაიწყვიტეთ, ბრიყვებო!.. შენ და შენ — გურჯს მიხედეთ, დანარჩენებმა კი ჭალა გაჩხრიკეთ და მეორე მოძებნეთ. დაჭრილი იყო და თუ თავის-

ით აღმოხდა სული, მისი ცხენ-იარალი და თავი მომიტანეთ. თუ ცოცხალს გადააწყდით, არ მოკლათ. აქ მომგვარეთ! — ბრაზით წამოიყვირა აჰმედმა და ურჩთა დასაშინებლად, მათრახი შეათამაშა.

მუქარამ უმალ გაჭრა. თურქები ამხედრდნენ და ჭალისკენ დაძრეს ცხენები. ორმა კი მუროჩის გვერდით ჩაიმუხლა.

არ ეგონა აჰმედს, თუ გურზის დარტყმას გადაურჩებოდა ქართველი მეომარი. ზემოდან დაჰკრა, გამეტებით. ასეთ დარტყმას უმალ უნდა მოეკლა. მაგრამ ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილიყო დაბადებული. ჩაბალახის ნაპირს დასცემოდა გურზი, კიდე შეეჭყჭყა, სახის მფარავი ჯაჭვიც ჩაეხია და შუბლყვრიმალნი გაეჩეხა. სხვა არაფერი დაშავებოდა მეომარს.

ვიდრე მეომრები ჭალას ჩხრეკდნენ, მდინარეს კიდეც ერთი რაზმი მოადგა.

— გურჯი ცხენზე დააკარით! — თურქებს უბრძანა აჰმედმა, თავად კი ცხენს მოახტა და მდინარისკენ გაქუსლა.

ჯარის მეთაურს მოჰბეზრებოდა მისი ლოდინი და მამველი გამოეგზავნა. მოკლედ გაესაუბრა აჰმედი და უკან გააბრუნა მამველი.

— დახმარება არ მჭირდება. დაჭრილ გურჯს მოვძებნი და წამოგენევი, — მერე კი თავისი მოლაშქრეების მოსაძებნად, ჭალას მიაშურა, მაგრამ ვიდრე იქამდე მიაღწევდა, მდინარის გაღმა ბრძოლა ატყდა.

ხმლების უღრიალმა და მეომართა ყიყინამ ჭალაშიც შეაღწია. ხმლებმომარჯვებულნი მოცვიდნენ აჰმედის მოლაშქრენი. მანაც იშიშვლა ხმალი და მეომრებს უბრძანა — მომყვიეთო!.. მაგრამ მალევე შედგა. ქართველთა გამარჯვების ყიყინამ და თურქთა შიშნარევა ბლავილმა გადააფიქრებინა მდინარის გაღმა გასვლა და თავისიანების დახმარება. იფიქრა: მდევარი დაგვადვენა, კახთა მეფე და თურქთა ათასეული თუ ასე მალე გადათელეს, ჩემს ოციოდ მეომარს რაღას დამართებენო?! ბრძოლას, გარიდება არჩია. საპირისპირო მხარეს შეაბრუნა ცხენი და თავისი მეომრებიც გაიყოლა.

გურჯთან დატოვებული თურქები ამხედრებულები დახვდნენ. ტყვე გაეთოკათ და საიმედოდ დაეკრათ ცხენზე. იქ შეაჩერა თავისი რაზმი აჰმედმა. კიდეც ჰქონდა იმედი: იქნებ, დაჯაბნონ თურქებმა ქართველები და მერე, საერთო ლაშქარს მეც შევუერთდებო, — მაგრამ მალე, მდინარის გაღმა გაქცეული თურქები და მათ დადევნებული ქართველები გამოჩნდნენ. ქართველები ისე მისდევდნენ თურქებს, როგორც მგლის ხროვა — ცხვრის ფარას და ყველა ჩამორჩე-

ნილს ხმალ-შუბით ჩეხდნენ. აჰმედი მიხვდა, რომ თანამემამულეებთან შეერთებას ვეღარ შეძლებდა. თავისი რაზმის მეომრებს ანიშნა — მომყევითო! — და საპირისპირო მხარეს შეაბრუნა ცხენი.

...მუროჩიმ საფეთქლები მოისრისა და ლაპარაკი განაგრძო:

— გონს ძლიერმა ტკივილმა მომიყვანა. ისე ირყეოდა ყველაფერი, თითქოს ადიდებულ მდინარეში ჩავარდნილს, ნაკადი ლოდებზე მახლიდა. მერე ცხენის სუნი და ოფლით სველი გვერდები შევიგრძენი. მივხვდი, უნაგირზე ვიყავი დაკრული. ცხენს საბერველივით დაუდიოდა გვერდები. თვალის გახელა ვცადე. ვერ შევძელი: სისხლს შეენებებინა ქუთუთოები. ერთი ხანობა ვიფიქრე: იქნებ, მკვდარი ვეგონე თურქებს და იქავ მიმატოვეს, მერე უშიშამ მომძებნა და ახლა შინ მივყავარ-მეთქი? — მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ვცდებოდი. შენ თავად დაჭრილი იყავი. სისხლნაკლულს, ცხენზე თავის შეკავება გიჭირდა და მე როგორღა მომძებნიდი? რომც მოგეძებნე, ცხენზე ვერ შემსვამდი. ეს თავიდან გავიფიქრე. მერე კი თურქთა ყაყანიც ჩამესმა და მივხვდი, რომ მათი ტყვე ვიყავი... ლამემდე შეუჩერებლად ვიარეთ. თურქებს რალაც ამინებდათ.

არც ცხენებს ინდობდნენ და არც საკუთარ თავს. ჭენებით აგრძელებდნენ გზას. ჯაყჯაყისგან ისევ წამსკდა სისხლი. მალე ისევ დავვარგავდი გონს. ამ დროს თურქები შედგნენ. ცოტა ხანს ილაპარაკეს. მერე ცხენიდან ამხსნეს, მიწაზე დამაგდეს, ხელები გამითავისუფლეს და წყალიც მომცეს. გაჭირვებით მოვიბანე სახე, ქუთუთოებზე მიმხმარი სისხლი მოვიშორე და მიმოვიხედე. არ შემცდარვარ. თურქებს დავუტყვევებოვარ. ადგილი კი ვერ ვიცანი. უღრან ტყეში დაეცათ ბანაკი. მარტო ტანმსხვილ ხეებსა და გაუვალ ბუჩქნარს მოვკარი თვალი. იქვე რუც მორაკრავებდა. ჩემ პირისპირ ჟღალწვერა და თეთრჩაღმიანი თურქი იჯდა. დანარჩენები თავისთვის საქმიანობდნენ: ზოგი ცხენს ასმევდა წყალს, ზოგი ცეცხლს ანთებდა, ზოგიც აბგამი იქექებოდა.

— რა გქვია? — დამტვრეული ქართულით მკითხა ჟღალწვერამ.

არაფერი მითქვამს.

— ჯიუტი ხარ თუ ყურთ გაკლია, გურჯო?! მე აჰმედი ვარ, შენი პატრონი და შენი სახელი მაინტერესებს, — ბრაზით წამოისროლა თურქმა და თანაც, ჩემი ხმალი შეათამაშა ხელში. თვალთ დამიბნელდა ხმლის ხილ-

ვისას. ორ დღეში, მეორედ ვხედავდი სხვის ხელში.

— ხმა ამოიღე, ძაღლო! — დამყვირა თურქმა და ბრტყლად შემომკრა ხმალი. მემწარა საკუთარი ხმალი. იმაზე უფრო კი საკუთარმა უღონობამ მომიკლა გული. არ შემეძლო ადგომა და იმ ურჯულოს კისრის მოსინჯვა.

— ახლაც თუ არ ამოიღებ ხმას, შენზე გავსინჯავ ფხას, — თქვა ჟღალწვერამ და ხმალი ისევ მოზიდა.

— ფხოველი დამიძახე, — ვუპასუხე.

— ეგ რა სახელია? — გაუკვირდა თურქს.

— შენ გეყოფა... — შევუღრინე.

— ვისი ჯიშ-ჯილაგისა ხარ?.. ვისი გვარისა, ვისი შთამომავალი? — ისევ მკითხა ჟღალწვერამ.

— ფხოველთა ჯილაგისა და გვარისა ვარ, — ისე მივუგდე, როგორც ავ ძაღლს — ძვალს.

— არ ყოფილხარ ჯაბანი, მაგრამ სითამამე იარაღად არ გამოგადგება. თუ გინდა, ცოცხალი დარჩე, ქედი მოიდრიკე და ისე მომიდექ, როგორც შენს ბატონს, — ცივი ხმით თქვა აჰმედმა.

— სიკვდილით ვერ შემაშინებ, — ვთქვი მე.

პასუხად, თურქმა ხმალი მოიქნია, მაგრამ არ დაურტყამს. კისერთან შემე-

ცოცხლემი?

— გამოსასყიდს ელი? — ვკითხე მე.

— მაშ, სხვა რაში მარგიხარ? გამოსასყიდს ველი, — დამიდასტურა თურქმა.

— არა არს ფხოველთა წესი, კაცებით ვაჭრობა და შენც ამაოდ ელი გამოსასყიდს, — იმედი გავუცრუე.

— ტყუი... ვაჭრობას მიმართავ... ყმას არავინ გამოისყიდის, მაგრამ თავადსა ან აზნაურს კახთ მეფე არ შეეღვეს! — გაბრაზდა ჟღალწვერა.

— არც თავადი ვარ, არცა აზნაური, მაგრამ არც ყმა ვარ, — ვუთხარი მე.

— ეგ — როგორ?.. სად გაგონილა, კაცი არც თავადი იყოს, არც — აზნაური და არცა — ყმა? — გაუკვირდა თურქს.

— არა ჰყოლია ფხოვს ყმა და ბატონი და არცა ეყოლებს. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი და გამოსასყიდსაც ნუ ელი ჩემში.

დავამთავრე ლაპარაკი. მეგონა, მომკლავდა ჟღალწვერა. მისი მხედრებიც მაგას ფიქრობდნენ. ბრაზით შემოგვევივნენ და აყაყანდნენ. მათი ენა არ მესმოდა, მაგრამ ვხვდებოდი — მოკალ ჯიუტიო! — ჩასისინებდნენ მეთაურს. მაგრამ მაინც არ ქნა ჟღალწვერამ. ჯერ იმათ უთხრა რალაც. მერე მე მომიბრუნდა და ქართულად გამიმეორა:

— ისევ ტყუი. დიდებულთაგან უნდა იყო. უბრალო მეომარს ასეთი ხმალ-აბჯარი საიდნან ექნებოდა?! მაგრამ არ გინდა სახელის გამჟღავნება. გეშინია, დიდი გამოსასყიდი არ მოგთხოვო... იცოდე, რომ არსად მეჩქარება. შენს მოკვლას ყოველთვის მოვასწრებ. ვატყობ, რომ არ ხარ მორჩილებას ჩვეული, მაგრამ ვნახოთ, სადამდე გაყვება ეგ სიჯიუტე და ხვალ-ზეგ როგორ აჭიკჭიკებები!

ის ლამე ტყეში გავატარეთ. ჭრილობამ ისე დამასუსტა, რომ ფეხზე დგომაც არ შემეძლო, მაგრამ მაინც არ მენდო თურქი: ხელფეხი გამიკოჭა, ხეზეც მიმაბა და გუშაგიც მომიჩინა.

დილით... უთენია წამოყარა თურქები ჭღალწვერამ და გზის გაგრძელება სცადა. სამზადისს მორჩინენ თუ არა, მეც ამხსნეს ხიდან და ცხენზე დამააკრეს.

მალე დავიძარით. საით მივყავდი თურქებს, არ ვიცოდი, მაგრამ ახალამონვერილი მზე ისევ სახეში მანათებდა და ვხვდებოდი, რომ საითაც უნდა წავყვანე, ისევ მამორებდნენ ფხოვს... პირველი დიდი ქალაქი — ანისი



ჩერა. თანაც, გამომცდელად მაკვირდებოდა. გაშმაგდა, როცა წარბი არ შევიხარე. დიდხანს მიყურა ავად. მერე თავი დაიოჯა. ხმალი დაუშვა და მითხრა:

— შენი მოკვლა რომ მნდომებოდა, ახლა ცოცხალი არ იქნებოდი. აქაც არ მოგიყვანდი, იქვე, ჭალაში აკუნავდი, მაგრამ შენს ფერებას აღარ ვაპირებ. ხმას თუ არ ამოიღებ, მოკვდები. თანაც, იოლი სიკვდილი არ გელირსება. წამებით ამოგხდი სულს!.. არ მაინტერესებს, ვინ ხარ და რისთვის მიდიოდი კახთ მეფესთან. მარტო ის მითხარი: ვინ გადაიხდის ოქროს შენს სი-

ვიხილევ. არაფრით ჰგავდა ის ქალაქი ფხოვსა და ანანურს. დიდი იყო, უზარმაზარი, მაგრამ საველალლო სანახავიც იყო. გალავანი ჩამოშლიდა. შელენილ გოდოლებს ბალახი მოსდებოდა. ზედ ყვავ-ყორანს გაემართა საბუდარი. დიდი და მდიდარი ქალაქი ყოფილა ოდესლაც. ახლა კი თურქთ ტყვეთა სასყიდ ბაზრად ექციათ.

— არც ვიცი, როგორ გიამბო, უშიშა, და რომც გიამბო, მაინც ვერ მიხვდები, რა არის მონათა ბაზარი. მანამდე ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რამ არსებობდა. ჩვენც გავყოლივართ ფხოველ მწყემსებს, როცა არაგვს გასაყიდად მიერეკებოდნენ ცხვარ-ძროხას, მაგრამ ასეთი რამ იქაც არ გვინახავს. ჩვენებური მწყემსი უფრო კარგად ეპყრობა საქონელს, ვიდრე თურქი — საიდანლაც გატაცებულ ადამიანს. იქ ვნახე ყელზე საბელშებული და ნადირივით გალიაში გამომწყვდეული ქალი, ბავშვი, გოგო, ბიჭი. ახალგაზრდა და მოხუცი. საიდან ალარ იყვნენ ის უბედურები?! ბიზანტიელები, ბულგარელები, ყივჩაყები, სომხები... იყვნენ ქართველებიც. მეტი — კახ-ჰერეთელები. ისინი ბოლო ლაშქრობაში დაუტყვევებინათ თურქებს. ღამით ტყვეებს სადგომებში ამწყვდევენ. დილიდან კი იწყებოდა ვაჭრობა. ტყვეები სადგომებიდან გამოჰყავდათ. გუნდებად მიერეკებოდნენ ბაზრისკენ. არაგვის უწევდნენ ანგარიშს, არც — ბალღს, არც — ქალს. უმოწყალოდ სცემდნენ მათრახით და შუბის ნვერებით ჩხვლეტდნენ. მარტო ლამაზ ქალებს ინდობდნენ. მათაც შემოჰკრავდნენ ხოლმე, მაგრამ — მსუბუქად, სილამაზე რომ არ შეეღახათ და მერე, იაფად არ გაეყიდათ.

არც მყიდველი იყო გამყიდველზე უკეთესი. მიღეთის ხალხი იყრიდა თავს ანისის მონათა ბაზარში. მათი მცირე ნაწილი თავისთვის ყიდულობდა ქართველ თუ სომეხ გოგო-ბიჭებს. უმეტესი კი იქ ყიდულობდა და მერე ბაღდადსა და ისპაჰანს მიერეკებოდა, უფრო ძვირად გასაყიდად.

მყიდველები წვერის ფხანითა და კრიალოსნის თამაშით მიმოდოდნენ ტყვეთა შორის. თვალბომოჭუტულები არჩევდნენ ტყვეებს. დიდხანს ფიქრობდნენ და მერე იმაზე დიდხანს ევაჭრებოდნენ ტყვის პატრონს. დროდადრო, ბანჯგელიანი თითებით ჩქმეტდნენ ტყვე ქალს. ახალმოჩიტულ გოგონებს წელის სივინროვებსა და ძოჭუ-მკერდს უმოწმებდნენ. თუ მოინდომებდნენ, იქვე, მძებისა და მამების თვალწინ აშიშვლებდნენ... თუ მყიდველი და გამყიდველი ვერ შეთანხმდებოდნენ, ტყვეს გალიაში აბრუნებდნენ და სხვა მუშტარს ელოდნენ. თუ შეთანხმდებოდნენ, გამყიდველი ქისაში თურქულ დირჰემებს ჩაიხსრიალებდა.

მყიდველი საბელს ჩააბამდა ტყვეს, თავის მსახერებს მიაბარებდა და მომდევნო უბედურის შესარჩევად გაუყვებოდა ტყვეთა უსასრულო მწკრივს... ეს ჯოჯოხეთი იყო, უშიშა! არა ისეთი, როგორზეც გვიამბობდა ანანურში ბერი ფილიმონ, მაგრამ მას მარტო წიგნებში ამოვეითხა ჯოჯოხეთი და ვერც კი წარმოვიდგენდა, რომ ის იქვე, ანანურიდან რამდენიმე დღის სავალზე იყო!..

— შენ... შენც მოგინია იმ ტყვეთა შორის დგომამ?! — აღელდა უშიშა.

— ჰაი, ჰაი, რომ მომიწია. რით განვსვავდებოდი მათგან?.. მეც ისეთივე ტყვე ვიყავ, როგორიც კახი ან ჰერეთელი ყრმა... მაგრამ — არა! ერთი რამით მაინც განვსვავდებოდი დანარჩენი ტყვეებისგან: ჩემი „ბატონი“, აჰმედი აბჯრინად მყიდდა, — უბასუხა მუროჩი.

— აბჯრინად?! — გაუკვირდა უშიშას.

— აბჯრინად... ანისში ჩასვლისას, აჰმედის რაზმი ფუნდუკში დაბანაკდა. მე ცხვრის სადგომში დამაბინავა. ჩემთან ერთად, იმ სადგომში სამი სომეხიც გამოამწყვდიეს. ისინი დვინის მახლობლად დაუტყვევებია აჰმედს. დვინი დიდი ხნის დაპყრობილ-დახარკული ჰქონდათ სელჩუკებს. იქ აღარავინ ომობდა და ის სომეხებიც არ გარიდებინათ თურქებს. მაგრამ აჰმედი ხელცარიელი ბრუნდებოდა საქართველოდან და რაზეც ხელი მიუწვდებოდა, ყველაფერს იტაცებდა. სომეხები ვერც კი მიხვდნენ, თუ რა მოელოდათ თურქებისგან. გაქცევა და დამალვაც კი არ უცდიათ. შეჩვეულები იყვნენ თურქებს. ვინ იცის, რამდენი ასეთი დიდი თუ მცირე რაზმი ჰყავდათ ნახი და ახლაც მშვიდად ელოდნენ მათ ჩავლას. მაგრამ ძვირი დაუფუცდათ ის სიმშვიდე. თურქებმა სამივე დაატყვევეს და ნახირთან ერთად, გაირეკეს წინ. სომეხებს ეგონათ, ალბათ, ნახირს რაღაც ადგილამდე მიგვარეკინებენ და მერე შეგვეშვებიანო, მაგრამ აქაც შეცდნენ. დალაშქრებამდე ატარეს თურქებმა. მერე ჩემსავით, გათოკეს და მინაზე დაყარეს. მაშინ კი მიხვდნენ, რაც ელოდათ და ყვირილი დაიწყეს, მაგრამ არ შეისმინეს თურქებმა მათი მოთქმა. შუბის ნვერებითა და მათრახებით ჩააჩუმეს მენახირენი... ერთი ოჯახიდან იყვნენ საცოდავები, მამა და ორი ვაჟი. ერთი — თორმეტი წლისა იყო, მეორე — მასზე უმცროსი, ექვსის თუ შვიდისა იქნებოდა... იმ სომეხზე იმიტომ გიამბობ ბევრს, რომ მათი მიზეზით მოხდა ყველაფერი, რაც მერე შემემთხვა...

სადგომი აუტანლად ყარდა. მინა ცხვრის კურკლით იყო დაფარული. კედლებზე უთვალავი მკბენარი დაფოფხავდა. ოთხს ერთი დაგლეჯილი ჭილოფი მოგვიგდეს. ერთი ქოთანი, თიხანარე-

ვი, ამღვრეული წყალი და აყროლებული ცხვრის დუმა იყო ჩვენი სასმელ-საჭმელი. შიმშილით კუჭი გვიხმებოდა. ბოლო დღე-ღამეში, მარტო ერთი ხმიანი გაიმეტეს ჩვენთვის და ისიც ბალღებს დაუთმეთ, მაგრამ აყროლებულ დუმას მაინც ვერ შევჭამდი. ცოტაოდენი წყალი მოვსვი, ჭილოფზე მივგდე და დავიძინე... იმ დღემდე, მონათა ბაზარი ნახი არ მქონდა. მეგონა, რომ თურქები დასასვენებლად შეჩერდნენ და ხვალ ან ზეგ ისევ გავაგრძელებდით გზას, მაგრამ მოგტყუვდი. დილით უცნაურმა ხმაურმა გამომაღვიძა. მიღეთის ხალხი ხმაურობდა. ზოგი ყვიროდა და ილანდებოდა, ზოგიც მოთქვამდა. დროდადრო, მათრახის ტყლაშუნი და იმ უბედურთა კვილი გაისმოდა, რომლებსაც ის მათრახი ხვდებოდათ. მაინტერესებდა, რა ხდებოდა, მაგრამ სადგომს ფანჯრები არ ჰქონდა, კარი კი სხვა მხარეს გადიოდა და ღრიჭებიდან ვერაფერს ვხედავდი.

ხმაურზე სომეხმა ორივე შვილს მკლავები მოხვია და კუთხეში მიიყუთა. თანაც, ჩემთვის რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ მე მისი ენა არ მესმოდა, მას კი — ჩემი.

ასე ვიყავ, ვიდრე აჰმედის თურქებმა სადგომიდან არ გამოგვიყვანეს. მეგონა, გამოთოკავდნენ, ადრე ყოველთვის ასე აკეთებდნენ, მაგრამ იმ დღეს ყველაფერი სხვანაირად მოხდა.

ბნელი სადგომიდან გამოსულს, მზემ თვალი მომჭრა. ცოტა ხანს ცეცხლოვანი გორგლის გარდა, ვერაფერს ვხედავდი. მერე მზერა დამიბრუნდა. გაკვირვებული გავშემდი: როგორ შეცვლილიყო იქაურობა! ღამით დიდი მოედანი გადავკვეთეთ. აქა-იქ ცეცხლი ენთო. გარშემო მსხდარი თურქები ცხვრის ხორცს ჭამდნენ. მოედანზე სხვა არავინ მიხილავს. ახლა კი...

მარცხნივ და მარჯვნივ, ჩამოკონკილ ტყვეთა უსასრულო მწკრივი გაჭიმულიყო. მათ შორის მყიდველები მიმოდიოდნენ. იქიდან მოდიოდა ხმა, რომელმაც დილით გამაღვიძა — ქალების მოთქმა, ბალღთა ტირილი და თურქთა ლანძღვა-გინება. მალე მე და სამი სომეხიც იმ მწკრივში მოვხვდით. სომეხები წელს ზემოთ გააშიშვლეს, რომ უკეთ შეეთვალერებინა მყიდველს, მე კი მუხის სარებისგან შეკრულ გალიაში შემადგეს. გამიკვირდა. დაჭრილი ვიყავი, დასუსტებული, იარაც დამიჩირქდა. სახვევად დადებული ძონებისგან სისხლნარევი ჩირქი ჩამოედინებოდა. შუბლი და ყვირი-მალი ისე მქონდა გასივებული, რომ ცალი თვალით ვერაფერს ვხედავდი. აბა, ასეთ ყოფაში როგორ გავიქცეოდი?! ის სომეხი მენახირე კი ჯან-ლონით სავსე კაცი იყო. თავად იყო ჯაბანი, თორემ რომ მოენდომებინა, აჰმედის რაზმის ნახევარს მუშტით დასცემდა

მინაზე. მაგრამ გალიაში მაინც მე მოვხვდი. მერე კიდევ უფრო გამაჰვირვა აჰმედმა. ჩემი აბჯარი მოატანინა თურქებს. გალიაზე ჩამოვიდა ჯაჭვი, ფარი, ხმალ-ხანჯალი და შლეგივით აყვირდა. მაშინ ვერაფერს მივხვდი. ღამით კი სომეხმა ამისხნა, ჟღალწვერა რატომაც მოიქცა ასე: დავრდომილს კარგ ფასად ვერ გამოიღდა და მეტი მოგება რომ მიელო, გაჰყვიროდა, — კახთ მეფის, აღსართანის აზნაურია, კახეთის ომში ავიყვანე ტყვედო!.. — ჩენი აბჯარი-იარაღი კი ამის დასტურად გამოიკვიდა გალიაზე.

იმ დღეს მუშტარი არ გამოგვჩენია. რამდენიმე მუსლიმანი გამოელაპარაკა აჰმედს, მაგრამ ალბათ, ფასზე ვერ შეთანხმდნენ და უკან გაბრუნდნენ. საღამოს კი მე და სომეხები ისევ სადგომში დავგაბრუნეს. იმ საღამოს გულუხვობა გამოიჩინა აჰმედმა: ორიოდ ხმაიდი და ცხვრის ხორცის ნაჭერი გაიმეტა ჩვენთვის. მერე წყალი და ჭინჭებიც მოატანინა. მიბრძანა: სახიდან სისხლი მოინმინდე და ახალი სახვევი დაიდე, თორემ იარა უარესად დაგიჩირქდებაო. ჩემზე არ ზრუნავდა — ჩირქითა და სისხლით მოთხვრილი სახით მყიდველს ვაფრთხობდი და ეს აფიქრებდა. ჩემს დასაკლავ დანას როგორ გავლესდი, მაგრამ მაინც მოვიბანე სახე, იარაღი გავინმინდე და ახალი სახვევიც დავიდე. თავისთვის უნდა მეშველა, უშიშა! უნდა გავქცეოდი თურქებს, მაგრამ იარით დასუსტებული ამას როგორ მოვხებრებდი?..

ის იყო, ჭრილობა შევიხვიე, რომ კარი გაიღო და სადგომში აჰმედი და კიდევ ერთი თურქი შემოვიდნენ. მაღალი, ბრგე კაცი იყო ის თურქი. ჭრაქით მიანათ-მოანათეს იქაურობა, მერე წიხლისკვრით გარეკეს ცხვარი და ჩვენ პირისპირ ჩამოსხდნენ. მენახირემ თვალების ფახულით შეათვალიერა თურქი და უეცრად, დამდულ-რულივით აყვირდა: „ალი ჰასანი!..“

მფარველ ანგელოზად მოეკვლინა სომეხ მენახირეს და მის შვილებს ალი ჰასანი. ტყვეობიდანაც დაიხსნა და შინაც დააბრუნა. აღარ ჰქონდათ გადარჩენის იმედი. უკვე სჯეროდათ, რომ ხვალ ან ზეგ, რომელიმე თურქს მოუვიდოდა თვალში და... ვეღარასოდეს დაბრუნდებოდნენ მშობლიურ დეიწში და უცხო მინაზე, მონობაში დალევდნენ სულს.

და ამ დროს გამოჩნდა ალი ჰასანი... სასწაულად მიიჩნია მენახირემ მოულოდნელი გადარჩენა. მინაზე დაემხო ბლავილით და მუხლები დაუკოცნა მხსნელს. მისი ბატონის ახლო მეგობარი ყოფილა და თავად მენახირესაც ბევრჯერ უნახავს დვინს ჩასული. თანაც, ბატონის ნათლულებიც ყოფილან მისი

შვილები და აჰმედის გატაცებულ ნახირში ალი ჰასანის საქონელიც ერია. ამან გადაარჩინა. ნახირზე მეტად, ერთგული ყმა და ნათლულები დანანებია ბატონს, მაგრამ თვითონ ვერ გაუბედავს მათი ძებნა. იცოდა, რომ თურქები არავის დაუთმობდნენ გატაცებულ ნახირსა და ტყვეებს. ომით თუ დააგდებინებდნენ. თურქებთან ომი კი ყველაზე მეტად აშინებდა ბატონს. ბრძოლაში რომც გაემარჯვა, თურქები შურს იძიებდნენ და ვინ იცის, იქნებ, ნახირთან ერთად, საბატონოც დაეკარგა და თავიც ზედ მიეყოლებინა?! ამიტომაც ნახირსა დასხარება ალი ჰასანს და ნახირისა და ტყვეების გამოსასყიდი თანხაც მისცა.

ალი ჰასანს ყურადღება არ მიუქცევია



ვია აღრიალებული მენახირისთვის. აჰმედს მიუბრუნდა და ვაჭრობა გაუმართა. ჩანს, კარგად იყო გამოწვრთნილი ასეთ საქმეებში. უსიტყვოდ, ხელით მიანიშნა აჰმედს: ამათი ყიდვა მინდა და ამდენს გადაგიხდით.

იუარა აჰმედმა: ორი მაგდენი მარტო მაგათი საჭმელ-სასმელი დამიჯდაო. მაშინ, კიდევ ერთი თითი გაშალა ალი ჰასანმა. ისევ იუარა აჰმედმა. ალი ჰასანმა ჩაიციხა და ხელით ანიშნა: მაშინ, შენი ფასი თქვიო. აჰმედს არაფერი უთქვამს. მუქად შეკრულ ხელზე მოჰკიდა ხელი და ორი თითი გააშლევინა. ახლა მყიდველი გაჯიუტდა: ძვირს ითხოვო.

— საქონელი ჩემია და ფასსაც მე ვადებ, — უპასუხა აჰმედმა.

— სამს ერთად ვყიდულობ, ამაში მაინც გამინიე შალავათი. რა გინდა, აქვე გაასაღებ საქონელს. აღარც მათი ბაღდაღში ჩაყვანა დაგატყვევდა და აღარც — კვება. განა, ეგ მოგება არა არის? — შეევაჭრა ალი ჰასანი.

— მაშინ, შენი ფასი თქვი, მაგრამ რაც შემომთავაზებ, იმას ნულარ გაიმეორებ, — უთხრა აჰმედმა.

ალი ჰასანმა თვალები მოჭუტა და ჰასანის მიერ გაშლილი ორი თითი-

დან ერთი მოკვცა.

— კარგი... შენს ასაქსა და სახელს ვცემ პატივს. მთელი ბაღდადი გიცნობს. როგორ ვთქვა მერე: ორი დირჰემის გამო გავანაწყენე-მეთქი ჰასანი?! ასრულდეს ალაჰის ნება! შენს ფასად დაგიტომბო მაგ ტყვეებს, — თქვა აჰმედმა და შეთანხმების ნიშნად, მარჯვენა გაუნოდა.

ალი ჰასანმა ხელი ჩამოართვა და თავის მსახურს სომეხების წაყვანა უბრძანა, მაგრამ აჰმედმა ამის ნება არ მისცა.

— ვივაჭრეთ, მოვილაპარაკეთ, მაგრამ ეს მარტო სიტყვა იყო. სად არის ფული? — პირდაპირ თქვა აჰმედმა.

— ღამით არასოდეს ვატარებ ქიქარვასლაში დავტოვე. ტყვეებს ახლა წავიყვან, ანგარიშს კი დილით გავასწორებ... იქნებ, არ მენდობი? — უპასუხა ჰასანმა.

— მაშინ, ტყვეებსაც დილით წავიყვან, — ცივად მოუჭრა აჰმედმა.

ჰასანმა უკმაყოფილოდ გაიქინა თავი. მერე მსახურს მიუბრუნდა და ქარვასლიდან ფულის მოტანა უბრძანა.

— იქნებ, ეს ტყვეც გყვიდა? — გახალისებულმა აჰმედმა ჩემზე მოანიშნა.

ჰასანმა ყურადღებით შემათვალიერა და უარი უთხრა: ეგ გაძვალტყავებული ჩონჩხი, თანაც — ნაიარვეი და დაჩირქებული სახით, არაფრად მარგია; არც მსახურად ივარგებს და გაყიდვითაც ვერ გაყვიდით.

— სამაგიეროდ, აზნაურია. ჰერეთელია, კახთ მეფე აღსართანის ქვეშევრდომი. ომში დავატყვევე. თუ იყიდი, მის აბჯარსა და ხმალ-ხანჯალსაც გიფეშქაშებ, — შესთავაზა აჰმედმა და ჩემი იარაღის მოსატანად წავიდა.

ალი ჰასანი დიდხანს ათვალეირებდა ხმალს. მგლის დამლას დააკვირდა, ფხა მოუსინჯა, ერთი-ორჯერ შემოიქინა. მერე ქარქაშში ჩააგო, ჩემ წინ ჩაიშულა და ისე ხმადაბლა მითხრა, რომ მარტო მე გამეგონა:

— აჰმედი მატყუარა კაცი არ არის, მაგრამ შენ ისეთივე ჰერეთელი ხარ, როგორი თურქი — მე...

გამაკვირვა მისმა სიტყვამ. აჰმედიც ლაპარაკობდა ქართულად, მაგრამ უჭირდა. ზოგი სიტყვა რომ არ იცოდა, თურქულს ურთავდა. ხანდახან ხელფხვს იშველიებდა და ისე მაგებიანბდა სათქმელს. ეს კი...

ალი ჰასანმა გამართულად თქვა სათქმელი. ისევ, როგორც ამას ქართველი იტყოდა... — თქვა მუროჩიმ და ისევ ფიქრებში ჩაიძირა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# უპიქრესი ემიგრანტები

## პინკი მდივანი, კნოვანსკელაუების გაჩემოცვა და ცხავეიკული ალსასნული ლიანდაგზე

წერილი მიხუთი.

წინამორბედი წერილი იხ. „გზა“ №24

### მანანა ბაბრიჭიძე

**რუსუდან დავუვილი**, ისტორიკოსი, პროფესორი:

— ალექსი მდივანი და მისი ოჯახის წევრები XX საუკუნის 30-იანი წლების ევროპული და ამერიკული პრესის დიდი ყურადღებით სარგებლობდნენ.

ცნობილ ქართველ გენერალს ზაქარია მდივანს (ვარშავის კომენდანტი) და მის ცოლს, ნახევრად ქართველ, ნახევრად პოლონელ ქალს ელისაბედს, 5 ულამაზესი შვილი ჰყავდათ — სერგო, დავითი, ნინო, რუსუდანი და ალექსი, რომლებსაც კარგი განათლება მისცეს ჯერ პეტერბურგში, შემდეგ — თბილისში. როცა საქართველოს ოკუპაციის გამო მდივანების ოჯახს სამშობლოს დატოვება მოუხდა, ალექსი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და ყმანვილობიდანვე იგემა ემიგრანტული გაჭირვება. 14 წლიდან ებრძოდა სიღარიბეს — მუშაობდა ქარხანაში, ყიდდა ძველ ნივთებს და ასრულებდა შემთხვევით სამუშაოს. 17 წლის ალექსის, ოჯახის მეგობარმა, ამერიკელმა კაცმა უპატრონა, ინგლისში წაიყვანა და კემბრიჯის კოლეჯში მიაბარა, სადაც ბიჭმა რამდენიმე წელი დაყო. იქ მალე გაითქვა სახელი, როგორც საუცხოო სპორტსმენმა, კოლეჯის პოლოს (ცხენბურთის) გუნდის კაპიტანმა და მოხდენილმა ჭაბუკმა. იქვე დაუმეგობრდა

წარმოშობით პოლანდიელ, ალენ ვან ასტორის ცნობილ და მდიდარ ოჯახს.

— ინგლისში მუშაობა სად დაიწყო?

— კოლეჯის დამთავრების შემდეგ ნიუ-იორკის „სიტი ბანკის“ პარიზის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა და იმ დროიდან მოყოლებული, მატერი-ალურად უზრუნველყოფილი გახდა. 1931 წელს კი პარიზში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ლეგაციის მდივანი გახდა და სამშობლოს სამსახურშიც ჩადგა. მალე გამოამყვანა დიპლომატიური ნიჭი და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, ევროპული განათლება და დიდი პატრიოტიზმი. მას პოპულარობას მატებდა ის, რომ პოლოს მოთამაშეთა მისი გუნდი ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო ასპარეზობაში. ალექსი ქველმოქმედიც გახლდათ — დახმარებას უწევდა საქართველოს საელჩოს პარიზში, ქართული კოლონიის სხვადასხვა დაწესებულებას. საქართველოს სატკივარზე სამსჯელოდ, ხშირად აწყობდა შეხვედრას დეპუტატებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, თავისი ხარჯით გზავნიდა დელეგატებს იმ კონგრესებზე, სადაც საქართველოს საკითხი განიხილებოდა. თვითონაც მონაწილეობდა, როცა ამის საჭიროება ჩნდებოდა.



ალექსი მდივანი და ბარბარა ბაგჩი

სკვლავებს შორის მოუხდათ ტრიალი. სამივე სილამაზითა და არისტოკრატიზმით გამოირჩეოდა, რაც ძალზე იზიდავდა პრესურის წარმოშობის მდიდარ ამერიკელებს. თავადი, ფრანგული გამოთქმით — Prince — მათ სამეფო სახლის შთამომავალთა მდგომარეობაში აყენებდა და ისინიც წარმატებით იყენებდნენ წოდებას. როდესაც მათ მამას, ზაქარიასაც ამ ტიტულით მიმართავდნენ, იცინოდა: მე ალბათ, ერთადერთი ადამიანი ვარ ამქვეყნად, რომელმაც თავადის ტიტული შვილებისაგან მიიღო. მალე უფროსმა ძმამ სერგომ, მუხჯი კინოს ცნობილი კინოვარსკვლავი — პოლა ნეგრი შეირთო ცოლად, რომელსაც მსახიობობის გარდა, პოპულარობა რუდოლფ ვალენტინოსთან გახმაურებულმა რომანმა და ჩარლი ჩაპლინთან ხანმოკლე ქორწინებამ მოუტანა. 1926 წელს 4 ათასი ვარდი გაგზავნა ვალენტინოს დაკრძალვაზე და მის კუბოსთან გონებაც დაკარგა, მაგრამ მალე გამოიგლოვა და ცოლად სერგი მდივანს გაჰყვა. თუმცა კავშირი მალე დაირღვა... მომდევნო ძმამ — დავითმა, იმ დროისათვის არანაკლებ ცნობილი ქალი — ასევე კინოვარსკვლავი მერი მერპი შეირთო, რომელმაც კარიერა თავის დროზე, მესამე ქმრის — რეისორ რობერტ ლეონარდის წყ-

### ხალხმრავალი ქორწილი სახელგანთქმულ ოტელ „რიცში“ გადაიხადეს



ალობით შეიქმნა. როცა მსახიობმა დიდ წარმატებას მიაღწია, ლეონარდთან მისი ურთიერთობაც დაშორდა... 1926 წელს ის დავით მდივანს გაჰყვა ცოლად. დავითმა უმაღლესი წარმატება მის სამსახიობო კარიერას. მეი რამდენიმე ხმოვან ფილმში გამოჩნდა და კინოეკრანებიდან უკვალოდ გაქრა. ვერც მისმა მოგონებების წიგნმა მიიზიდა მკითხველი... დავითმა შემდეგ, კალიფორნიაში ნავთობის ჭაბურღილი შეიძინა და გამდიდრდა კიდევ... ნინო მდივანი ამერიკელ ადვოკატს, დეტექტივების სახელგანთქმული ავტორის, კონან დოილის შთამომავალს გაჰყვა ცოლად. ნიჭიერი მოქანდაკე რუსუდანი პარიზში განთქმული ესპანელი მხატვარ-მონუმენტალისტის, ხოსე მარია სერტის მონაფე გახდა და შემდეგ ცოლადაც გაჰყვა. ასე და ამგვარად, ყველანი გამდიდრდნენ და თავისიანებსაც მუდამ ხელს უმართავდნენ.

**— ალექსი მდივანი რით გამოირჩეოდა ძმებისგან?**

— თანამედროვეთა ცნობით, ალექსის უფროსი ძმები სჯობდნენ გარეგნობით, მაგრამ არისტოკრატიული მანერები, კემბრიჯული აღზრდა, თავადშვილური დარდიმანდობა, სამშობლოს გამო თვალში ჩამდგარი, ნოსტალგიური სევდა ყოველთვის აქცევდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ის იოლად იხვეჭდა ადამიანთა ნდობას, გულთან ახლოს მიჰქონდა სხვისი გაჭირვება, ყოველთვის პოულობდა სახსარს ადამიანების დასახმარებლად და სიტყვებს — ნუგეშის საცემად. ბუნებრივი ნიჭის წყალობით, მისთვის ღია იყო ყველა კარი — სპორტის, ხელოვნებისა და ლიტერატურის სამყაროში. როდესაც ერთერთი გაზეთის კორესპონდენტმა ალექსის ჰკითხა, — რა არის საჭირო ქალის გულის მოსაზადირებლად? — პასუხად მიიღო: საჭიროა, მის გულს მოუსმინო... ყველა ეს თვისება იყო მიზეზი იმისა, რომ შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობისას, ბანაკოვში ერთ-ერთ წვეულებაზე იგი ამერიკის უმდიდრეს ქალსა და ყველასათვის სასურველ საპატარძლოს — „უნივერსიტეტის მეფის“ ასულს ბარბრა ჰატენს მოეწონა. ქალს ის, როგორც „ქართველი პრინცი“, ისე გააცნეს, რამაც ბარბრას თავიდანვე განსაკუთრებული ინტერესი აღუძრა. მან თავისი არჩევანის შესახებ მალე ოფიციალურად გამოაცხადა. „ალექსიმაც ჩვენს ყოფილ მთავრობას მიაკითხა პარიზში — ჩემი თავადური წარმოშობის საბუთი მომეცითო. ჟორდანიაზე უარი უთქვამს, — ჩვენ უკვე წარმავალი ვართ და ამ ახალგაზრდებს გზა რატომ უნდა გადავუღოთო?! მისცა

ჟორდანიაზეც ქალადი“, — გვიამბო ემიგრანტმა შოთა ბერეჟიანი.

**— ქორწილი სად გაიმართა?**

— 1933 წლის 22 ივნისს, ალექსი მდივანმა და ბარბრა ჰატენმა, 800 სტუმრის თანდასწრებით, ჯვარი დაინერეს თეთრი შროშანებითა და როდოდენდრონით მორთულ პარიზის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსულ მართლმადიდებლურ ტაძარში, რომელიც პატარძლის განკარგულებით, სასწრაფოდ შეაკეთეს, გადაღებეს და ჭაღების რაოდენობაც გაასამაგეს. ხალხმრავალი ქორწილი სახელგანთქმულ ოტელ „რიცში“ გადაიხადეს.

„ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა საქორწინო მოგზაურობის წინ გადაღებული, ახალგაზრდა წყვილის ფოტო. გაზეთი წერდა, რომ პატარძლის მამამ ამ ქორწილისათვის 1 მილიონი დოლარი გაიღო, ბარბრამ კი რჩეულს 50 ათასი დოლარი გადასცა — პოლოს გუნდის ცხენების აღკაზმულობის შესაძენად... ამ დაქორწინებას წინ უძღოდა ხმაურიანი პუბლიკაციები დასავლეთის პრესაში: ბარბრა ჰატენი ამერიკაში ერთ-ერთი უმდიდრესი ქალი იყო, იშვიათი სილამაზითაც გამოირჩეოდა და მისი ხელის მთხოვნელთა შორის, ფრიად წარჩინებული პირებიც იყვნენ... ნათესავეებისა და ქართველი ემიგრანტების გარდა, ქორწილს პარიზის წარჩინებული წრეების მრავალი წარმომადგენელი ესწრებოდა. ფრანგულ და ამერიკულ გაზეთებში დაიბეჭდა ვრცელი ცნობები როგორც ქორწილის, ისე საქართველოს შესახებაც: „ვუსურვებთ ახალგაზრდაწერილებს დიდ ბედნიერებას და იმედს გამოვთქვამთ, რომ ისინი იქნებიან ერთგულნი და თვალსაჩინო წევრები ჩვენი ეროვნული ოჯახისა და არ მოაკლებენ თავის ერს ყურადღებას და სამსახურს“, — წერდა ემიგრანტული ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“. საკუთარი იახტით საქორწინო მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო! — წყვილისთვის მართლაც რომ თავბრუ-

დამხვევი დღეები იდგა. ულამაზესი ცოლ-ქმარი მდიდრულ და საზეიმო მიღებებს აწყობდა იაპონიაში, ინდოეთში, სადაც მაჰარაჯაც ჰყავდათ დაპატიჟებული. ამ ქორწინებამ დიდი უკმაყოფილება და გაბოროტება გამოიწვია ბარბრას დამარცხებულ ხელის მადიებელთა შორის, ალექსის კი საშუალება მისცა, უფრო ფართოდ გაეშალა საქველმოქმედო საქმიანო-



**ზარკარია მდივანი**




**რუსუდან მდივანი**



**ულამაზესი ცოლ-ქმარი მდიდრულ და საზეიმო მიღებებს აწყობდა იაპონიაში, ინდოეთში**

ბა: ეხმარებოდა ქართულ კოლონიას, ტუბერკულოზით დაავადებულ და უმუშევარ ქართველთა მხარდამჭერ კომიტეტებს, მამამისის — ზაქარია მდივანის მიერ დაარსებულ, ქართველ მხედართა ორგანიზაციას (ეს ორგანიზაცია ზაქარიამ პარიზში ჩამოაყალიბა), დაანესა 15 სტიპენდია საფრანგეთისა და ბელგიის სასწავლებლებში მყოფი, ხელმოკლე ქართველი სტუდენტებისათვის. ქართველ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი 1933 წელს გრიგოლ დიასამიძეს სწერდა, რომ მას მონაწილეობა მიუღია ალექსი მდივანის დაარსებულ კომიტეტში, რომელსაც 15 კანდიდატისათვის

ბარბარას მიერ ქმრისთვის საჩუქრად მიძღვნილი „როლს-როის ფანგომი“, რომლითაც ალექსი მდივანმა საბედისწერო ავარია მოახდინა




დაუნიშნავს სტიპენდია. იმავე პერიოდში ალექსი ჩავიდა შანხაიში და იაპონელთა მიერ ოკუპირებულ ხარბინში ლტოლვილი ქართველებისთვის ექვსსართულიანი სახლი იყიდა; იქ მცხოვრებ ქართველთა შვილებისთვისაც გაიღო თანხა და დააწესა სტიპენდიები... თავდაპირველად ახალდაქორწინებულნი ამერიკაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ალექსი იქ აღარ გაჩერდა, რადგან ლეგაციაში ბევრი საქმე ჰქონდა და ცოლთან ერთად, პარიზში დაბრუნდა. 1933 წლის გაზაფხულზე საფრანგეთმა ცნო საბჭოთა კავშირი. ამის გამო პარიზში გაუქმდა საქართველოს ემიგრანტული მთავრობის ლეგაცია და მის ნაცვლად, გაიხსნა „ლტოლვილთა ოფისი“, ლეგაციის ყოფილი პირველი მდივნის სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანის ხელმძღვანელობით, რომლის მოადგილედ ალექსი მდივანი დაინიშნა. შემდეგ ბარბრა ველარ გაჩერდა საფრანგეთში, ქმარი მიატოვა და ამერიკაში დაბრუნდა. ამასთან, ისევე, როგორც პირველმა ცოლმა, ვერც ბარბრამ გაუგო ქმარს. ფუფუნებაში გაზრდილი ქალის თვალში, ემიგრანტის ხელგაშლილი ქველმოქმედება ფუქსავატობის ტოლფასი იყო. ცოლ-ქმარს შორის გაჩენილი ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა ბულვარულმა პრესამ, რომელიც ალექსს ავანტიურისტსა და აფერისტს უწოდებდა. ამერიკაში დაბრუნებული ბარბრა მალე დაუახლოვდა თავად დე რევენტლოუს. 1935 წლის მაისში ამ ურთიერთობის შესახებ ფრანგულ პრესაშიც გაჩნდა ცნობა. გაზეთები უკვე წერდნენ ალექსისა და ბარბრას შესაძლო განქორწინების შესახებ. ამასთანავე, მოჰყავდათ ბარბრას პარადოქსული სიტყვები — იგი ეყრება „ყველაზე ღირსეულ მამაკაცს

მსოფლიოში“ და საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას ალექსის წინააღმდეგ მიმართულ მთელ ამ უღირს კამპანიაზე...

— ალექსი აღარ დაოჯახებულა?

— განქორწინების შემდეგ, ზაფხულში ძმებს ჩააკითხა პალამოში — ესპანეთში, სადაც მის დას, რუსუდანს ქმარმა სასახლე აუშენა. იქ ალექსი დაუახლოვდა გერმანელ მსახიობ ქალს, ცნობილი ფირმა „სიმენის“ პრეზიდენტის ცოლს, რომელმაც ბერლინში გაყოლა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ქალი მართო გაემგზავრა მატარებლით. ალექსი მას ავტომანქანით გამოედევნა, მაგრამ მანქანა რკინიგზის გადასასვლელზე გაჩერდა და მას მატარებელი დაეჯახა. ასე აღვივინა ალექსი მდივნის ტრაგიკული სიკვდილი შიო ბერეიანიძე, თუმცა მამინდელი პრესა მომხდარს, გაყრის გამო გადატანილი სტრესით ხსნიდა. ავტოკატასტროფაში ალექსი მდივანთან ერთად, ბარონი ტისენიც დაიღუპა. ეს ამბავი თავის მოგონებებში აღწერილი აქვს მხატვარ სალვადორ დალის, რომელიც ალექსის დასთან და სიძესთან მეგობრობდა და იმ ზაფხულს ისიც სტუმრად იყო ჩასული პალამოში... „2 აგვისტოს ღამით ტრაგიკულმა, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 28 წლის ჭაბუკი, ჩვენი თანამემამულე ალექსი მდივანი“, — წერდა „დამოუკიდებელი საქართველო“ 1935 წლის სექტემბრის ნომერში. იმავე გაზეთებმა, რომლებიც მასზე, ქორწინებამდე და განქორწინებისას ათასგვარ საძაგლობას წერდნენ, გულისტკივილით გააშუქეს „მშვენიერი პრინცის“ ტრაგიკული აღსასრული. ბარბრა ჰატენმაც გულწრფელად დაიტირა ქმარყოფილი და როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, ოთხი ქორწინების მიუხედავად, სულ თავის „მშვენიერ პრინცს“ მისტიროდა... აქვე ვიტყვი, რომ ალექსის ტრაგიკული დაღუპვა მდივნების ოჯახის ტრაგედიის დასაწყისად იქცა: ერთი წლის შემდეგ, ფილმის გადაღებისას, ფლორიდაში ცხენიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა უფროსი ძმა სერგი; ალექსის დაღუპვის გამო დეპრესიაში ჩავარდნილი რუსუდანისათვის, რომელსაც კოკო შანელი გაჰყვა შვეიცარიაში სამკურნალოდ (შანელთან, რუსუდ-

ნის მეუღლეს აკავშირებდა მეგობრობა), ეს დარტყმა სასიკვდილო აღმოჩნდა: დარდისგან ტუბერკულოზით დაავადებული, 1938 წლის ბოლოს გარდაიცვალა, 32 წლის ასაკში... დიდი ქველმოქმედის გიორგი მაჩაბლის გარდაცვალების შემდეგ (1935 წლის მარტში), აგვისტოში ალექსი მდივნის დაღუპვა დიდი დანაკლისი იყო ხელმოკლე და გაჭირვებული ქართული ემიგრაციისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცი ასეთი სიტყვებით დაიტირა ეროვნულ-დემოკრატიულ ჟურნალმა „სამშობლომ“: „სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობებთან ერთად, ალექსი მდივანს ჰქონდა მრავალი ისეთი თვისება, ნიჭი და შესაძლებლობა, რომ მას დიდი სამსახურის განევა შეეძლო თავის ერისთვის, რომ დასცლოდა“. „დამოუკიდებელი საქართველო“ აღნიშნავდა: „იგი მტკივნეულად განიცდიდა თავისი სამშობლოს უბედურებას და მისგან თავის ბედის განუყოფლობას ხშირად აღნიშნავდა ხოლმე. მართალია, თავისი დაჩაგრული ქვეყნის დასაცავად პოლიტიკური განცხადებებით არ გამოსულა, მაგრამ არასოდეს უარუყვია თავისი ქართველობა, არ დაუკარგავს თავისი ოჯახის და გვარის ტრადიციები და არ უღა-



„ნიუიორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა საქორწინო მოგზაურობის წინ გადაღებული, ახალგაზრდა წყვილის ფოტო

ლატია თავისი ადამიანური პრინციპებისათვის. გარშემო მყოფთა ჭეშმარიტ აღტაცებას ინვევდა მისი სულიერი სიდიადე, რომელსაც პრინცი მდივანი ყოველდღიურად ავლენდა... ჭეშმარიტად, ქართველობამ დაკარგა ერთი თვალსაჩინო მოამბე და მოყვარული შვილი“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# შოუბიზნესურ-ჟურნალისტური ფლირტი, როგორც ინტერვიუთი დასრულება

**„ჯარ არ გამოჩინილა ადამიანი, რომლის უამრავ სისულელას ჩამადინებაც“**



„5 ლაინს“  
ნამყვანო, ნიკა ხაჩიძე რადიოშიც ისევე შემთხვევით მოხვდა, როგორც საერთოდ, ჟურნალისტიკაში. სამყაროს აღქმის დანჯებიდანვე მსახიობობაზე ოცნებობდა, მაგრამ მისი დებოლუტი თეატრში კრახით დასრულდა... სამაგიეროდ, ილბლიანი აღმოჩნდა პირველი რადიოთეორი — FM სივრცეში გზა ხატია შამუგიამ დაულოცა და სასიამოვნო ხმის ტემბრის მქონე მუსიკალურმა ნამყვანმა მსმენელების არშია მალევე შეიძინა.

## თამუნა კებრიაშვილი

— ნიკა, როგორც ვიცო, რაღაც ახალ პროექტს ამზადებ...

— ჩემს ახალ პროექტს „რადიომანია“ ჰქვია, რომლის მიხედვით, ათ ილბლიანი ადამიანს, რომელიც რადიოში მუშაობაზე ოცნებობს, ეძლევა შანსი, გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი: გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ისინი პირდაპირ ეთერში იმუშავენ (ჩვენი დახმარებით) და ვინც მათ შორის ყველაზე რეიტინგული აღმოჩნდება, ჩვენთან დარჩება. მათი რეიტინგი მსმენელების გამოგზავნილი მესიჯების მიხედვით განისაზღვრება.

— პატარაობისას შენც რადიოში მუშაობაზე სომ არ ოცნებობდი?

— არა, მუსიკალურ ნამყვანობაზე არასდროს მიოცნებია. რატომღაც მეგონა, რომ რადიოს სფეროში თავს კომფორტულად ვერ ვიგრძნობდი... „არ დაიდარდოში“ შემთხვევით მოხვდი და სხვა თანამშრომლებისაგან განსხვავებით, აბსოლუტურად გამოუცდელი ვიყავი. პირველად ეთერში ხატია შამუგიასთან ერთად გავედი და როგორც კი მან მსმენელებს ჩემი თავი წარუდგინა, მაშინვე ისე გავილექსე, ვეღარ მაჩერებდნენ, ხატისა ერთი სიტყვაც კი არ ვათქმევინე... დანამდვილებით ვიცი, თუ ჟურნალისტიკაში გავაგრძელებ მოღვაწეობას, საბოლოოდ, ტელევიზიაში გადავალ... პრესიდან წასვლა არ გამოიჭირდება, რადგან ამ სფეროში მუშაობა უკვე მომეზრდა, რადიო კი იმდენად ჩემია, ვეჭვობ, შეველიო.

— გაიხსენე შენ პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში...

— ეს იყო ძალიან ადრე, ღრმა ბავშვობაში (ივინის). მეამაყება, რომ აქამდე სკანდალებითა და ინტრიგებით არ მოვსულვარ. ვამაყობ იმით, რომ მოვლენის გაშუქების დროს ყოველთვის ობიექტური ვიყავი.

— რადიო თაყვანისმცემლები შეგძინა?

— არც ისე ბევრი. ჩემი მსმენელები თითქოს, ძალიან თავისუფალი ადამიანები არიან, მაგრამ როცა მათ პირადად ვხვდები, ცოტა არ იყოს, კომპლექსდებიან. ზოგიერთი კი პაემანს მინიშნავს და პირველი კითხვა, რომელიც უჩნდება, ასეთია: „შეყვარებული გყავს?“ ვერ ვხვდები, მათთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს?... არ მომწონს, როცა ინიციატივას გოგონები იჩენენ. ამ შემთხვევაში, მათ მიმართ ინტერესი მიქრება. თუმცა, ალბათ, გოგონასაც გააჩნია (ივინის).

— შიარული ადამიანი ხარ და ფფიქრობ, კურიოზული შემთხვევაც ბლომად გექნება...

— მართალი ხარ. ერთხელ, სტუდიაში ჩემი მეგობარი შემოვიდა, რომელიც შეყვარებულზე ბრაზობდა. მას ისეთი სახე ჰქონდა, რომ ძალზე შეეფხოთი და მიკროფონის გათიშვა დამავინცდა. მოკლედ, იმ გოგონას ორივემ ერთად, ნახევარი თბილისის გასაგონად ვაგინეთ. ცოტა ხანში მობილურზე მეგობარმა დამირეკა და მითხრა: ეთერში უცენზურო სიტყვებით ლაპარაკი უხერხულია და იქნებ, მიკროფონი გათიშო. ძალიან შეერცხვა და ამ ამბის შემდეგ, სიმაღლეს გითხრა, ეთერში გასვლა გამოიჭირდა.

— ნიკა, შენ ბავშვობის ოცნება მსახიობობა იყო. თუ იმის მიხედვით



ბავშვობის ოცნება თაკო აბაშიძემ ამისრულა

ვიმჯელებო, რომ ვადგორგოლებში ხშირად გილბენ, შეიძლება ითქვას, ოცნება ნაწილობრივ მაინც აგისრულდა.

— მას შემდეგ, რაც სამყარო აღვიქვი, მსახიობობაზე ვოცნებობ, მაგრამ ჩემი დებოლუტი თეატრში კრახით დასრულდა. „გვერდში“ ვდგამდით სპექტაკლს — „მე ვხვდავ მზეს“, სადაც სოსოიას როლი უნდა მეთამაშა. პირველსავე რეპეტიციაზე, როგორც კი ხმა ამოვიღე, როლიდან მომხსნეს, რადგან ძალზე ბოხი, სოსოიასთვის შეუფერე-

ბელი ხმა აღმომაჩნდა... შემდეგ იყო რამდენიმე ვიდეორგოლი, რომლის გადაღების მომენტიც სასიამოვნოდ მახსენდება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვობის ოცნება თაკო აბაშიძემ ამისრულა.

— არსებობს ასეთი „ოქროს წესი“: ჟურნალისტიკა პოტენციურ რესპონდენტთან არ უნდა იმგობროს. ამ მოსაზრებას ეთანხმები?

— პოლიტიკურ მოვლენებს რომ ვაშუქებდე, ამ სფეროს წარმომადგენლებთან მეცნებოდა კარგი, მაგრამ დისტანციური დამოკიდებულება. რაც შეეხება შოუბიზნესს, აქ არ ხდება ისეთი სკანდალები, რომ შემდგომში, მათი ობიექტურად გაშუქება გამოიჭირდეს. სხვათა შორის, ჩემს მეგობარ რესპონდენტებს ყოველთვის აშინებთ ჩემი დიქტოფონი, რადგან იციან, რომ ამ შემთხვევაში უკომპრომისო ვარ. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა შოუბიზნესური წყვილების პირადი ცხოვრების დეტალები მცოდნია, მაგრამ ამაზე არაფერი დამინერია — სხვის პირად ცხოვრებაში ქექვა არ მიყვარს.

— საკმაოდ დატვირთული საშუალო რეჟიმი გაქვს. გართობისთვის თუ გრჩება დრო?

— მთელი ცხოვრება ვწუნუნებ, — საკმარისი დრო არ მაქვს იმისთვის, რომ კარგად გავერთო-მეთქი (ივინის). თუმცა, საერთოდ რომ ვერ ვერთობოდე, დეპრესია დამეწყებოდა.

— ამბობენ, ჟურნალისტიკის პირადი ცხოვრება არ აქვთო. შენს პირადულზე რას გვეტყვი?

— სიყვარულში „ოქროს ხანა“ წინ მელოდება (ივინის). ჯერჯერობით, ჩემს ცხოვრებაში არ გამოჩენილა ადამიანი, რომელიც უამრავ სისულელეს ჩამადენინებს. ისე კი ფლირტი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

— შოუბიზნესის რომელიმე წარმომადგენელთანაც ხომ არ ფლირტაობდი?

— კი, მაგრამ მსგავსი ურთიერთობა ინტერვიუს შემდეგ არ დამიწყია. ადამიანი, რომელთანაც ფლირტი გავაბი, მსოლოდ ამის შემდეგ გახდა ჩემი რესპონდენტი.

უდი ალენი ბრუსეთის ოქსპორტირების შესახებ მოლაშყრის გადაღმას აპირებს



რამდენიმე დღის წინ სენსაციური ცნობა გავრცელდა: ცნობილი რეჟისორი და მსოფლიო კინემატოგრაფის აღიარებული გენია უდი ალენი ექსპრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისა და თანამედროვე რუსეთის შესახებ ფილმის გადაღებას აპირებს. სცენარი ჯერ მხოლოდ იწერება, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ სურათში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს ისეთმა სუპერვარსკვლავებმა, როგორებიც არიან: ბრედ პიტი, რიჩარდ გირი და ბრიუს უილისი.

უდი ალენის სენსაციური პროექტის შესახებ ცნობა ერთ-ერთმა ფრანგულმა საიტმა გავრცელა. საიტი იუწყება, რომ გაერთიანებული ევროპაში მალე ახალი ტელეარხი გაიხსნება და სპეციალურად ამ არხისთვის უდი ალენი გადაიღებს მსერიიან ფსიქოლოგიურ ფილმს, რომლის გმირები თანამედროვე რუსეთი და პრეზიდენტი პუტინი იქნებიან. „ალანს მხოლოდ პრეზი-

დენტი პუტინი და მისი სამუშაო როდი აინტერესებს. მას ბოლო წლების რუსეთი, ქვეყნის განუჭვრეტელი პოლიტიკა და მისი ლიდერის თავბრუდამხვევი აღმასვლა ალექსებს, რომლის მმართველობის წლებში რუსეთში საშინელი კატასტროფები დატრიალდა — „ნორდ-ოსტი“, ბესლანი, წყალქვეშა ნავის — „კურსკის“ ჩაძირვა...“, — აღნიშნა პროდიუსერმა ჟან პრონიჩმა. ფილმში დიდი ყურადღება დაეთმობა პუტინის გარემოცვას. სურათის გამორჩეული თემა — მშვენიერი სქესი იქნება: საიდუმლოებით მოცული მშვენიერი ქალები — ვლადიმირ პუტინის ქალიშვილები და საბუდისწერო ქალი — სობჩაკის ცოლი... მთავარ გმირთა სახელები შეცვლილი იქნება, მაგრამ მყურებელი მათ პროტოტიპებს იოლად ამოიცნობს. ჟან პრონიჩი ირწმუნება, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავებთან მყარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. ვლადიმირ პუ-

ტინის როლს ბრედ პიტი ითამაშებს, რიჩარდ გირი — ანატოლი სობჩაკს განასახიერებს, პერის ჰილტონი მისი რუსი ორეულის — ქსენია სობჩაკის სახეს შექმნის, ბრიუს უილისი კი სუკის თავმჯდომარის როლს ითამაშებს. პრეზიდენტის ქალიშვილს რუსი მსახიობი ანია ბეგუნოვა განასახიერებს, რომელიც ამ როლს თავისი ბოიფრენდის — ალექსანდრ კარევისგან (რუსი კინოვარსკვლავის, ევგენია კრიუკოვას ყოფილი ქმარი) საჩუქრად მიიღებს. ცნობილია, რომ მოლაპარაკება ტომ კრუზთანაც მიმდინარეობს...

ჟან პრონიჩი დარწმუნებულია, რომ ფილმის დაფინანსების უამრავი მსურველი გამოჩნდება და ამ მოსაზრებას მყარი საფუძველი აქვს. თუ უდი ალენი რუსეთისა და მისი პრეზიდენტის დადებით სახეს შექმნის, პროექტს მრავალი რუსი მილიონერი სიხარულით დაასპონსორებს!

კარლასა და ნიკოლას სიყვარულის ამბავს უკანაზე გადაიყვან

საფრანგეთის პირველი ლედის, კარლა ბრუნის ნიგნი „კარლასა და ნიკოლას სიყვარულის მართალი ამბავი“ (რომლის შესახებაც „გზის“ წინა ნომერში მოგიხსნებოდა), უკვე მალაზიების დახლებზე და უმალ ნამდვილ ბესტსელერად იქცა, ასევე, ფრანგული ტელეკომპანიების ცხოველი ინტერესიც გამოიწვია. პირველი 4 დღის განმავლობაში 48 ათასი ეგზემპლარი ელვის სისწრაფით გაიყიდა. მაღამ სარკოზის ნიგნი წყვილის ცოლქმრული ცხოვრების დეტალები და მათი გაცნობის ამბავია აღწერილი. ავტორი ქორწინებამდელი და ქორწინების შემდგომი, რომანტიკული ურთიერთობის შესახებ მოგ-

ვითხრობს, წყვილის პირველი შეხვედრის საიდუმლოს ამხელს და ნიკოლას იმ თვისებებსაც ასახელებს, რომლითაც მან იტალიელი მოდე-

ლის გული მოინადირა. ნიგნიდან ირკვევა, რომ მეუღლის მრავალღირსებას შორის, კარლა განსაკუთრებით, მის ინტელექტს აფასებს!

ცნობილი წყვილის რომანტიკული ურთიერთობის ამბავი უდიდესი წარმატებით სარგებლობს. გამომცემლები იუწყებიან, რომ უახლოეს ხანში ნიგნი ხელმეორედ გამოიცემა და 12 ენაზე ითარგმნება, მათ შორის — იაპონურზე. ბესტსელერით ერთ-ერთი ფრანგული ტელეკომპანიაც დაინტერესდა, რომელიც ნაწარმოების სიუჟეტის მიხედვით, სერიალის გადაღებას აპირებს.



### ყვლაგე გაულნიანი ადამიანები

ჟურნალის — Forbes ყოველწლიურ რეიტინგში, რომელიც მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანებს ასახელებს, ამერიკელმა ოპრა



უინფრიმ ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა. გამოქვეყნებული სიის თანახმად, 54 წლის ტელეწამყვანმა გოლფის მოთამაშე ტაიგერ ვუდსს და კინოვარსკვლავ ანჯელინა ჯოლის გაუსწრო, რომლებმაც შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. 2007 წელს ვუდსი მეორე ადგილზე გავიდა, მესამე პოზიციაზე კი მადონა იყო, რომელმაც წელს 21-ე ადგილზე გადაინაცვლა.

გამოცემის მონაცემების თანახმად, წელს ოპრა უინფრის შემოსავალმა 275 მლნ დოლარი შეადგინა, მაგრამ „ჰარი პოტერის“ ავტორს, ჯონ როულინგს ამ მაჩვენებლით მაინც ჩამორჩა, რომლის შემოსავალმა 300 მლნ დოლარს მიაღწია და ყველაზე მდიდარი ცნობილი ადამიანის ტიტული მოიპოვა. საერთო რეიტინგის შედგენის დროს, ჟურნალი, შემოსავლების გარდა, საინფორმაციო საშუალებების მიერ პიროვნების სახელის ხსენების რაოდენობასა და ინტერნეტმომხმარებლების მხრიდან მათზე მოთხოვნასაც ითვალისწინებს. ამ მონაცემებით კი ჯონ როულინგი „მხოლოდ“ მეცხრე ადგილზე გავიდა. საგულისხმოა, რომ ანჯელინა ჯოლიმ მესამე ადგილი სწორედ ინტერნეტში მოთხოვნის წყალობით მოიპოვა. ყველაზე გავლენიან ცნობილ ადამიანთა ათეული კი ასე გამოიყურება: ოპრა უინფრი, ტაიგერ ვუდსი, ანჯელინა ჯოლი, პოპმომღერალი ბეიონს ნოულიზი, ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი, მსახიობი ჯონი დეპი, რეპერი Jay-Z, ჯგუფი The Police, მწერალი ჯონ როულინგი და მსახიობი ბრედ პიტი.

### მადონას ახალი პრექტი

ეს გახლავთ დოკუმენტური ფილმი, რომელიც არაბულ-ებრაული კონფლიქტის მოგვარების პრობლემას მიეძღვნება. როგორც თავად მადონამ განაცხადა, სურათის რეჟისორი ნათან რისმანი იქნება, რომელიც ოდესღაც მომღერალთან მეზაღედ და მისი შვილების ძიხად მუშაობდა. მადონამ და რისმანმა 2008 წლის მაისში კანის კინოფესტივალზე წარმოადგინეს დოკუმენტური ფილმი — I am Because We are, რომლის რეჟისურა ნათან რისმანს ეკუთვნის, ხოლო სცენარის ავტორი თავად მადონა გახლავთ. სურათი სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში მდებარე, მალავის რესპუბლიკის მილიონობით ბავშვის ბედს ეძღვნება, რომლებიც შიდასი გამო დაობლდნენ. 2006 წელს მადონამ მალაველი ბავშვი იშვილა. წლეულს ბერლინის კინოფესტივალზე კი მისი სადებიუტო სურათის — „ჭუჭყი და სიბრძნე“ — პრემიერა შედგა. ფილმი შოუბიზნესის შესახებ მადონას პირად შეხედულებებს ასახავს.



### ჯიმ კარმუის გამოსათხოვარი კონცერტი ლონდონში შედგება



მომღერალმა თავისი გამოსამშვიდობებელი კონცერტი დააანონსა. BBC News-ის ცნობით, კონცერტები სახელწოდებით — The Final Two — ლონდონის დარბაზში — Earl's Court 24 და 25 აგვისტოს გაიმართება და მუსიკოსის დიდტურს — 25 Live — დაასრულებს, რომელიც ჯერ კიდევ 2006 წელს ბარსელონაში დაიწყო. მომღერალს დასკვნით კონცერტამდე ჩრდილოეთ ამერიკაში გამოსვლა ელის. გამოსათხოვარი გამოსვლებისთვის სპეციალური პროგრამა და სასცენო ჩოუ მომზადდება. კონცერტები ვიდეოზე ჩაინერება და მოგვიანებით DVD-ზე გამოიცემა. ჯორჯ მარკლის მენეჯმენტი აღნიშნავს, რომ საგასტროლო მოღვაწეობის დასრულების მიუხედავად, მომღერალი მომავალში სხვადასხვა მოვლენისადმი მიძღვნილ კონცერტებს მაინც გამართავს.

### ჰიუ ჯექმანს პატრნიტად ჩინელი მკეთუნასავი მეუღლე

სტუდიის — Universal Pictures — ახალ კომედიაში — Lost for Words — მთავარ როლებს ჰიუ გრანტი და ჩუან ცზი შეასრულებენ. გრანტის გმირი — ბრიტანელი კინომსახიობია, რომელიც ჩინელი რეჟისორის (ჩუან ცზი) ფილმში მიიწვიეს. გადაღებების დროს გრანტის გმირი თარჯიმანთან რომანს გააჩაღებს, მაგრამ მალე მიხვდება, რომ სინამდვილეში, ფილმის რეჟისორი უყვარს. არადა, გოგონასთვის საუთარი გრძნობების გამხელა მხოლოდ თარჯიმნის მეშვეობით შეუძლია... ფილმს რეჟისორი სიუზან ბაიერი გადაიღებს, რომლის ბოლო ნამუშევარში — „ის, რაც დავკარგეთ“ — მთავარი როლები ბენისიო დელ ტორომ და პოლი ბერიმ შეასრულეს. ფილმის გადაღებები 2008 წლის სექტემბერში დაიწყება.



### სიენა მილერს ჰიფ ლუჯარის პიქამაში სბინავს

ბრიტანული ჟურნალისტის Telegraph მიცემულ ინტერვიუთი სიენა მილერმა დუმილი დაარღვია და აღიარა, რომ ჰიტ ლეჯერი მის გულში კვლავ ცოცხლობს და ამ გრძნობას



ის ცისფერი კუბოკრული პიჟამა ასახრდოებს, რომელიც ლეჯერმა 2005 წელს ფილმის — „კანანოვა“ გადაღებების დროს აჩუქა. „ჰიტმა, მე და დედამემა ვენეციაში ჯადოსნური ღამე გავატარეთ. კოსისპირულად წვიმდა. ჰიტმა წმ. მარკოზის მოედანზე გაიჭრა, მეც უკან მივყვე. მოედნის გარშემო გიჟებით დავრბოდით... ფეხი დამიცდა და წავიქეცი. მის ნომერში შევირბინეთ და ჰიტმა პიჟამა მომცა, რომ სახლამდე მიმეღწია“... „შარშან ნოემბერში ჰიტმა მესტუმრა. უძილობას უჩიოდა და მე პიჟამა დავუბრუნე, რათა დაძინებაში დახმარებოდა... მისი გარდაცვალების ამბავს საშინლად განვიცდიდი იმ ამბავს, რომ ეს პიჟამა აღარ მქონდა... ჰიტის მამამ საგანგებოდ ჩემთვის მოძებნა და დამიბრუნა იგი“, — იგონებს მსახიობი, რომელიც ახლა ღამ-ღამობით ამ პიჟამაში გამოწყობილი იძინებს და ძვირფასი სასოვარი პრალაში ახალი ფილმის — „ყოველგადაღებებზეც კი წაიღო. ჟურნალისტისთვის — ლღე მიცემულ ინტერვიუში სიენა მილერმა გულახდილად თქვა, რომ ჰიტის სიკვდილის შემდეგ, ცხოვრებას ახლებურად უყურებს. „ჰიტის სიკვდილმა საშინელი შოკი ჩამადგო. ის საოცარი ბიჭი იყო. მის დაკრძალვაზე ვიგრძენი, რომ სიცოცხლის ასეთი დასასრული — საშინელებაა. მივხვდი, რომ ცხოვრება მშვენიერია და ბედნიერება შევიგრძენი“.

### მიუზიკლი ტომის პაპის ლტყა-უქტსუკით

რომის კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში პირველად ხდება, რომ ვატიკანმა ბიბლიურ თემაზე შექნილი მიუზიკლი ოფიციალურად მოინონა! სპექტაკლის — Maria di Nazareth, una storia che continua („მარია ნაზარეველი: ისტორია გრძელდება“) პრემიერა 2008 წლის 17 ივნისს ვატიკანში შედგა. ღვთისმშობლის პარტია ახალგაზრდა საოპერო მომღერალმა ალმა მანერამ შეასრულა, რომელიც ადრე რომის ოპერაში მღეროდა. მიუზიკლის ლიბრეტო მარია პია ლიოტამ (მთავარი როლის შემსრულებლის დედა) და ადელ დოროტი ჩიამპამ შექმნეს. მუსიკა კომპოზიტორ სტელვიო ჩიპრინის ეკუთვნის, მიუზიკლის ქორეოგრაფიული ნაწილი კი სალვატორ სპანიოლომ განახორციელა. სპექტაკლი ღვთისმშობლის ბავშვობასა და ახალგაზრდობის წლებზე მოგვითხრობს. ვატიკანმა მიუზიკლის სიუჟეტი და დადგმა მოინონა. „ამ პროექტს სიამოვნებით დაფუჭირეთ მხარი, რადგან მარია ნაზარეველმა კაცობრიობამდე ღვთის სიტყვა მიიტანა“, — განაცხადა პაპის საზოგადოებასთან ურთიერთობის საბჭოს ხელმძღვანელმა, მთავარეპისკოპოსმა კლაუდიო მარია ჩელმ. მიუზიკლის შექმნაში ვატიკანს მატერიალური მონაწილეობა არ მიუღია. პრემიერის შემდგომ, ამ სპექტაკლს ევროპის, ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მასშტაბული იხილავს.



### ბრუნა ბოლბოლიანი მისილ გატმარეთან უტყარ უასშმდმის შანსი დაკატგა



მისილ გორბაჩოვთან ერთად ვატიკანში 250.000 დოლარი გადაიხადა. გულდაწყვეტილმა ორლანდო ბლუმმა კი განაცხადა: ბედნიერი ვარ იმით, რომ საქველმოქმედო ღონისძიებაში ვმონაწილეობ, გორბაჩოვთან ერთად სიამოვნებით ვივარსებებ, მაგრამ ფსონი მტისმეტად მაღალი აღმოჩნდა... „ჩემთვის დიდი პატივია, რომ მომიწვიეს და ამ ღონისძიების ნაწილი ვარ, რადგან მისილ გორბაჩოვის ნაღვანს დიდად ვაფასებ. მან სამყარო შეცვალა და ამით ისტორიაში ადგილი დაიკვიდრა“, — აღნიშნა მსახიობმა. საქველმოქმედო აუქციონზე შემოსული თანხით ბრიტანეთისა და რუსეთის კიბოს კვლევის ფონდები დაფინანსდება.

### მერაია ქერის გაშიშვლდა

მერაია ქერის ახალი სინგლის — Loving You Time პრომოვიდეოს გადაღებების დროს მომღერალი კამერის წინ გაშიშვლდა. ჰავაის კუნძულებზე, მდინარე ოაჰუს კლდოვან სანაპიროზე, პოპის დედოფლის სხეულს მხოლოდ ბიკინი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ფარავდა, მაგრამ სათანადო განწყობილების შესაქმნელად და ვარსკვლავური სხეულის გამოსამზებურებად, მას ორი ჭიქა ალკოჰოლური სასმელის მიღება დასჭირდა... ამიერიდან მერაიას სექსუალური სხეული მხოლოდ მისი ახალი მუხლის — ნიკ კენონის მზერას აღარ დაატკობს. ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ 39 წლის მერაია ქერისა და 27 წლის მსახიობისა და რეჟისორის ნიკ კენონის ორთვიანი მხურვალე რომანი 5 მაისს ბაჰამის კუნძულებზე მდიდრული ქორწილით დაგვირგვინდა.



# 11 წლის ნიკუშას და მის დას თქვენი დახმარება ესაჭიროებათ!!!

## „ასა მგონია, უფლის ანგალოზები მისძინან და მხამს, რომ არ გამოვირავთ“



**„გზის“ №52-ში (2007 წ.) დაიბეჭდა სტატია, სათაურით — „დედა, მშობი, ჩინი ინდა“, სადაც მოთხრობილი იყო პატარა ბიჭუნას, ნიკუშას შესახებ, რომელიც ცერებრალური დამბლითაა დაავადებული, მის მშობელს კი იმის საშუალება არა აქვს, რომ შვილი გამოკვებოს.**

### ლიკა ჯიქია

შეგახსენებთ, ნიკუშა 11 წლისაა. მას არ შეუძლია მეტყველება, კონტაქტში ვერ შემოდის, ვერ ჯდება, თავს ვერ იჭერს, საჭმელს ვერ ღვება. ამასთან, ხშირად ემართება კრუნჩხვები და ამ დროს, პატარას სჭირდება ისეთი პრეპარატი, რომელიც მდგომარეობიდან გამოიყვანს. თუმცა, ეს წამალი საკმაოდ ძვირი ღირს, ხოლო დედამისს — ნანა ლეჟავას (ნიკუშა მამამ 4 წლის ასაკში, მაშინ მიატოვა, როცა მიხვდა, რომ მისი შვილი ფეხზე ვერასდროს წამოდგებოდა) წამლის ფული კი არა, მისი გამოკვების საშუალებაც არ აქვს. პატარა ნიკუშას სჭირდებოდა ინჰალატორი, ცუდად როცა გახდებოდა, ექიმების გამოძახება რომ არ დასჭირვებოდათ (ესეც ხომ გარკვეულ თანხასთანაა დაკავშირებული). ჰოდა, კეთილშობილი ადამიანების დახმარებით, მის ოჯახს ეს პრობლემა აღარ აქვს.

ჩვენი სტატიის წაკითხვის შემდეგ, ლეჟავების ოჯახს ბევრი ადამიანი გამოეხმაურა. ისინი აღელვებულები მირეკავდნენ და პატარას დახმარების სურვილს გამოთქვამდნენ. ზოგიერთი მათგანი მიბოდიშებდა კიდევ: უკაცრავად, რომ დიდი თანხით ვერ ვეხმარები, მაგრამ ხელფასის ნახევარს მიცემო. მინდა გითხრა, რომ ბევრს არც პატარა ნიკუშა და არც — დედამისი ითხოვდა, ისინი მხოლოდ საკვებს გთხოვდნენ და მადლობა მინდა გადაგიხადოთ თქვენ, კეთილშობილება რომ გამოიჩინეთ და ამ ოჯახს დაეხმარეთ.

ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ, ქალბატონი ნანა მესიჯებს ხშირად მწერდა და მატყობინებდა, თუ ვინ და რითი

დაეხმარა. მინდა, მის მიერ გამოგზავნილი რამდენიმე წერილი გააცნოთ:

„ჩემო ანგელოზო, პატარა ქალბატონო, მუხლმოდრეკილი ვდგავარ და მადლობას ისე გიხდით შენ, უფრნალ „გზას“ და იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემი ნიკუშას გამო შენუხდნენ. რომ არა ეს სტატია და თქვენი უფრნალი, პატარა ნიკუშასთვის არც ახალი წელი იარსებებდა და დღესაც მას ვერაფრით დავაპურებდი. რაც თქვენ მიერ დაწერილი სტატია დაიბეჭდა, მას მერე ნიკუშა სულ მხიარულობს. რატომ? — იმიტომ, რომ მაძლარია! ჩვენ ძალიან ბევრი ადამიანი შემოგვეხმანა და მათ დახმარების სურვილი გამოთქვეს. სიმართლე გითხრა, ამ კეთილი ადამიანების დიდსულოვნებამ, კეთილშობილებამ შემძრა: ზოგმა ინჰალატორი მოუტანა, ზოგმა — წამლები, საკვები, ზოგიერთებმა კი თავიანთი მცირე დანაზოგიდან ფული ნიკასაც უწილადეს. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც არც თავად აქვთ იმდენი თანხა, რომ ფუფუნებით იცხოვრონ. ვინ იცის, იქნებ, თავიანთ შვილებს მოაკლეს რაღაც და ჩემს შვილს დაეხმარნენ?! მე თითოეულ თქვენგანს ხელზე ვეამბორები და ვლოცავ. შეიძლება, ნიკა ბრმაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის გულში ყველა იმ ადამიანს ლოცავს, ვინც მისი გასაჭირი გულთან მიიტანა. ეს კი მერწმუნეთ, იგივეა, რომ ანგელოზებმა დაგლოცონ და უფალი ამ სიკეთეს აუცილებლად დაგიფასებთ. დიდი სიყვარულით — დედა, რომლის პატარას ლაზაზი დღეუ-

ბი აჩუქეთ. ლიკა, იმით, რაც თქვენმა უფრნალმა გააკეთა, ვერც ერთი ტელევიზია თუ პრესა ვერ დაიკვებნის. ყველაფრისთვის დიდი მადლობა“.

„დედა ისე არ გავა, რომ თქვენს უფრნალზე არ ვილაპარაკოთ იმ დედებმა, რომლებსაც ინვალიდი შვილები გვყავს. გლოცავთ ყველა ის დედა, რომელთა შვილებსაც ნიკუშა თავის შემონირულობას უყოფდა. როგორც არ უნდა გამოეჭირდეს, დახმარებისთვის სხვა უფრნალს არასდროს მივმართავ, რადგან დარწმუნებული ვარ, ვერაფერს გაიზიარებს ამ პატარების ტკივილს ისე, როგორც ეს „გზამ“ და მისმა თანამშრომლებმა თუ მკითხველებმა, ანუ უფლის მოციქულებმა გაითავისეს. იმედია, არ გამობრახდებით, ასე ხშირად რომ განუხებთ. როცა საკუთარ ტკივილსა თუ სიხარულს (რაც მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ჩემი შვილი მაძლარია) გიზიარებთ, ასე მგონია, უფლის ანგელოზები მისძინენ და მწამს, რომ არ გამწირავთ. გეამბორებით, ნანა ლეჟავა და პატარა ნიკუშა“.

„ლიკა, სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გამოსახატავად. როცა გავიგე, რომ ჩემმა ქალიშვილმაც მოგწერათ მესიჯი, გავოგნდი, არ მეგონა, სულიერად ასე თუ უჭირდა. თუმცა, რა მიკვირს, მან ხომ საკუთარი თავი და მომავალი ძმას შესწირა... ჩემი მესამე შვილი ციხეში ზის. მან ვერ გაუძლო ამდენ გასაჭირს, ნიკას შიმშილი ვერ აიტანა და ფული მოიპარა, რათა ძმისთვის წამალი და საჭმელი ეყიდა. ჰოდა, იხდის ახლა სასჯელს. იმედია, ამის გამო მკაცრად არ განიკითხავთ. მერწმუნეთ, მას მხოლოდ ძმის დახმარება უნდოდა... ხუთშაბათს დილით უფალს შეეჩიოდი, რა გზას დავადგე, ამ გაჭირვებას როგორ გავუძლო-მეთქი? ცოტა ხანში „გზა“ ჩამივარდა ხელში, სადაც ნიკუშას ფოტო, წარწერით — „მშობი“, განმეორებით იყო დაბეჭდილი. საღამოს ტელეფონზე ქალბატონმა თინათინ ხოფერიამ დამირეკა, რომელიც კლინიკა „ჯოელში“ ინვა, გულის დიდი პრობლემით. მან, თქვენი უფრნალის წყალობით, ჩვენი პრობლემის შესახებ შეიტყო და დახმარების სურვილი გამოთქვა. ისმინა უფალმა ჩემი ვედრება და გზა მიჩვენა! ვიგრძენი, რომ ქართულ ხალხში დიდსულოვნება არ ჩამკვდარა... ხალხნო, მუხლებზე დამხობილი გიკოცნით ხელებს და ფეხებს, თქვენ თუ მიშველით და გადაგვარჩენთ, თორემ წასულია ჩვენი საქმე... ლიკა, ნინოს, ჩემს შვილს ძალიან უნდა შენი ნახვა და გთხოვ,



ნიკუშას და, ნინო

უარს ნუ ეტყვი. ის თავისი დაავადების გამო და იმიტომაც, რომ ძმას ვერ ეხმარება, ისეა დათრგუნვილი, რომ აღარ ვიცი, რით უშველო. იმედია, ხელს არც ამჯერად გვეკრავთ. თუ განუხებთ, მაპატიეთ, მაპატიეთ, მაპატიეთ. დიდი სიყვარულით და მონივნებით, ნანა ლეჟავა“.

ახლა კი მინდა, ის წერილი შემოგთავაზოთ, რომელიც ნიკუშას დამ, ნინო ურიადმყოფელმა მოგვწერა:

„ლიკა, დიდხანს ვფიქრობდი, შენთვის მესიჯი მომეწერა თუ არა. მე იმ ახალგაზრდების კატეგორიას მივუკუთვნები, რომლებსაც უფლის გარდა, აღარავისი და აღარაფრის სწამთ. მაგრამ თქვენმა ჟურნალმა ბევრად შემცვალა აზრი, როცა ჩემი ძმის ბედით დაინტერესდით. წლების მანძილზე ვზრუნავდი ნიკუშაზე და არანაირ სამსახურს არ ვთავაზობდი, ოღონდ კი მისთვის სიცოცხლე გამეხანგრძლივებინა. ახალგაზრდა გოგომ საკუთარ ბედნიერებაზე უარი ვთქვი, ოღონდ ძმა არ დამჩაგვროდა. ახლა ძალიან ცუდად ვარ, ორივე ფილტვის ტუბერკულოზი დამიდგინეს. ალბათ, ამ მესიჯს უკიდურესობა მანერალებს — მეშინია, უძლურებისგან თავი არ მოვიკლა. სახლიდანაც კი წავედი იმის გამო, რომ შემეშინდა, ნიკუშას რამე არ გადაედო-მეთქი. ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ჟურნალისტისთვის მესიჯის მიწერის სურვილი გამიჩნდებოდა, მაგრამ მეშინია, ჩემი უძლურებით ძმა არ დავკარგო. ახლა საკუთარ ოჯახში სტუმრად მოვედი და ნიკუშას მდგომარეობას თვალი რომ შევაგულე, მომიინდა, ჩემი უბედურება ვინმესთვის გამეზიარებინა. დარწმუნებული ვარ, ჩემს ადგილას ყველა და გადალახავდა თავმოყვარეობას და ასე მოიქცეოდა... მე ალბათ, არასდროს მეყოლებოდა შევილი (ჩემი ავადმყოფობის გამო) და მზად ვარ, ჩემი პატარა ძმის გამო სიცოცხლეზეც კი ვთქვა უარი, თუკი მას ამით რაიმე ეშველება. ლიკა, შენ ჩემი თაობის ახალგაზრდა ხარ და იმედია, გამიგებ. გაფიცებ გულით საყვარელს, ჩემი და ნიკუშას მდგომარეობა რედაქციამდე და მკითხველებამდე მიიტანე, ჟურნალ „გზის“ ფურცლებზე გამოაქვეყნე. ისევ თქვენ თუ მომცემთ ცხოვრების სტიმულს და გადამაფიქრებინებთ თვითმკვლელობას... ამბობენ, რედაქტორი გყავთ ღვთისწიერი ადამიანი და იქნებ, მან კიდევ ერთხელ გაიზიაროს ჩვენი მდგომარეობა. თუ ჩემს ძმას საკვებით ვეღარ დაეხმარებით, იქნებ, სამსახურის პოვნაში მაინც დაეხმაროთ. ნიკუშა ჩემი ტკივილია. ჟურნალში გამოქვეყნებული მისი სურათი და წარწერა — „მშოი“ რომ წავიკითხე, უსუსურობისგან ავტირდი. მე მზად ვარ, ნებისმიერი საქმე შევასრულო! მაღლობა მათ, ვინც ასეთ პატარებს ცხოვრებას უღამაზებს. თქვენ მეც დამიბრუნეთ რწმენა. პატივისცემით, ნინო ურიადმყოფელი“.

**მორენა მერკვილაძე**

**„ღვთისმშობლის საფარველი“**

X საუკუნის დასაწყისში საბერძნეთის სარაციონები შეესივნენ. ბერძენთა დამარცხება თითქმის გარდაუვალი იყო. ღვთისმოსავმა ბერძენებმა ზეცისკენ მიაპყრეს მზერა, სწამდათ, რომ ღვთის შეწვევით, გამარჯვებას მოიპოვებდნენ. გააძლიერეს ლოცვა-ვედრება. უფალმა მათი ვედრება შეისმინა. კონსტანტინოპოლის ვლადიმერის ტაძარში ღვთისმშობლის ლოცვა აღესრულებოდა. მოულოდნელად ჰერში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოჩნდა, ანგელოზთა თანხლებით. მას წმინდა იოანე ღვთისმეტყველი და იოანე ნათლისმცემელი მოაბრძანებდნენ. ღვთისმშობელმა მუსლი მოიდრიკა და დიდხანს ლოცულობდა უფლის წინაშე — საქრისტიანოს ავედრებდა. შემდეგ, ტაძრის ტრაპეზთან მივიდა და იქ ილოცა. ბოლოს თავსაბურავი მოიხსნა და ტაძარში შეკრებილ მლოცველებს გადააფარა. ეს სასწაული ტაძარში მყოფმა ანდრია სალოსმა იხილა და თავის მოწაფეს, ეპიფანეს მიმართა: „ხედავ, ძმაო, მთელი საქართველოს მლოცველდედოფალსა და უფალს?“ „ვხედავ, წმინდაო მამაო და ვძრწვი“, — მიუგო ეპიფანემ. ამ საკვირველი მოვლენის შესახებ სწორედ მათგან შეიტყო საბერძნეთის მოსახლეობამ. ხალხი სიხარულმა და იმედმა მოიცვა. მართლაც, აუსრულდათ იმედი: სარაციონები დამარცხდნენ. ეს მოხდა 911 წელს.

ამ საკვირველი მოვლენის აღსანიშნავად დაინერა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი — „ღვთისმშობლის საფარველი“.

**ღვთისმშობლის ვალოპედის ხატი – ნუგუმი ანუ ნუგუპისმცემელი**

395 წელს, თეოდოსი დიდის ძე, უფლისწული არკადიოსი ძლიერი ქარიშხლის დროს გემიდან გადმოვარდა. უფლისწული ტალღებმა გაიტაცა. გემზე მყოფნი მსუხარებამ მოიცვა, რადგან ეგონათ, რომ არკადიოსი დაიღუპა. გემმა სვლა განაგრძო და გაჭირვებით მიაღწია ათონის მთას, იმ ადგილას შეჩერდა, სადაც



ღვთისმშობლის საფარველი

ამჟამად ვალოპედის მონასტერი მდებარეობს. ყველანი უფლისწულის ძებნას შეუდგნენ. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ზღვის სანაპიროზე მდგარ ბუჩქს მიადგნენ, რომლის ძირშიც მძინარე არკადიოსი იხილეს. როდესაც არკადიოსმა გამოიღვიძა, მსლებლებს მოუთხრო, რომ სიკვდილის პირას მისული უკანასკნელ წამს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა იხსნა. აქედან წარმოდგა, მონასტერში დაბრძანებული, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელწოდება — „ვალოპედი“, რაც „ყმანვილის ბუჩქს“ ნიშნავს.

იმპერატორმა თეოდოსმა უფლისწული გადარჩენის აღსანიშნავად, ათონის მთაზე მდებარე მონასტრის გაფართოება გადაწყვიტა. მან მონასტერს დიდძალი საბოძვარი შესწირა. ააგო მონასტრის მთავარი ტაძარიც, რომლის საკურთხეველიც სწორედ იმ ადგილას დადგეს, სადაც მძინარე არკადიოსი იპოვეს. ტაძარი ხარების სახელზე აკურთხა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა არკადიოსმა. კურთხევის დროს ათონის მთაზე უფლისწული არკადიოსიც ავიდა. ღვთისმშობლის ხატი ტაძრის მარჯვენა კლიროსთან მდებარე კედლის ნიშში დააბრძანეს...

807 წელს ათონის წმინდა მთას ავაზაკთა ჯგუფი მიადგა. მათ ვალოპედის მონასტრის გაძარცვა ჰქონდათ განზრახული. გათენებას უცდიდნენ, რათა მონასტრის კარი გაეღოთ და შიგ შეევიწყლოყვნენ. ცისკრის ლოცვის შემდეგ საფანის ბერები მოსასვენებლად, თავთავიანთ სუნაკებში დაბრუნდნენ. მონასტრის წინამძღვარი კი ტაძარში დარჩა, თავისი

მორჩილების აღსასრულებლად. მოულოდნელად ღვთისმშობლის ხატიდან ხმა მოესმა: დღეს სავანის კარი არ გააღოთ, მონასტრის გალავანზე ადით და ავაზაკები გააძევეთო. შემინებულმა ილუმენმა ღვთისმშობლის ხატს მიაპყრო მზერა. მან საოცარი რამ იხილა: ხატზე გამოსახული, ღვთისმშობლისა და ყრმის სახე გაცოცხლდა; ყრმამ ხელი თავის ღვთაებრივი დედის სახეს ააფარა, სახე მისკენ მიაბრუნა და მიმართა: „არა დედაო, ნუ ეუბნები მათ ამას: დაე, დაისაჯონ“. ღვთისმშობელმა თავი მარჯვნივ შეაბრუნა და კვლავ ორგზის წარმოთქვა: „დღეს სავანის კარს ნუ გააღებთ, მონასტრის გალავანზე ადით და ავაზაკები გააძევეთ“.

შეშფოთებულმა ილუმენმა მონასტრის ძმობა შეკრიბა და ხილვის შესახებ აუწყა. როდესაც ხატი იხილეს, ნახეს, რომ ყოველადღწინდა ღვთისმშობლისა და ყრმის სახე და საერთოდ, მთელი დანერვილობა ხატისა შეცვლილიყო. ბერებმა განადიდეს ყოველადღწინდა ღვთისმშობელი. მართლაც, აიცილეს თავიდან ავაზაკთა თავდასხმა.

ამის შემდეგ ვალოპედის ღვთისმშობლის ხატს „მანუგეშებელიც“ ეწოდა.

### ყაზანის ღვთისმშობლის ხატი

1579 წელს ყაზანში ხანძარი გაჩნდა. მომლაგრებულმა ცეცხლმა თითქმის ნახევარი ქალაქი ფერფლად აქცია. ქალაქის მოსახლეობა ფიქრობდა, რომ ეს მასზე მივლენილი ღვთის რისხვა იყო, რადგან, როგორც მემატინე გადმოგვცემს, — „ქრისტეს რწმენა წყევლისა და შეურაცხყოფის საგანი გახდა“. ქრისტიანები სინანულმა მოიცვა.

იმ ადგილას, სადაც ხანძარი გაჩნდა, მესისის სახლი იდგა, რომელიც ხანძრის დროს დაიწვა. მესისრემ ახალი სახლის აგება გადაწყვიტა, მაგრამ მისი ათი წლის ქალიშვილს — მატრონას სიზმრად ყოვლადწინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა — ქალაქის არქიეპისკოპოსსა და ხელისუფლებას ამცნე, რომ ჩემი ხატი მიწიდან ამოიღონ; ხატი იმ ადგილას იმყოფება, სადაც თქვენი სახლი იდგაო. თავიდან გოგონამ ხილვის შესახებ დედას უთხრა, მაგრამ მან არ დაუჯერა. როდესაც ორგზის კიდევ გამოეცხადა ღვთისმშობელი, აცრემლებულმა გოგონამ უთხრა დედას: „სიზმარში ღვთისმშობლის ხატი ვიხილე, მისი სახიდან პირდაპირ ჩემკენ მოდიოდა ცეცხლი, თითქოს ჩემი დანვა სურდა; თან ხმა მომესმა: თუ ჩემს სიტყვას არ გადასცემ, სხვა ადგილას გამოვჩნდები, შენ კი დაილუპებო...“ შემფოთებულმა ქალმა შვილს დაუჯერა, მთავარეპისკოპოსთან მივიდა და ყოველივე აუწყა. ბავშვს არავინ დაუჯერა. დედამ თვითონ დაიწყო მინიშნებული ადგილის გათხრა. მას

სხვა ადამიანებიც შეუერთდნენ. ხალხმა ვერაფერს მიაკვლია. მაშინ, მატრონამ თვითონ აიღო იარაღი და მართლაც, იბოვა ღვთისმშობლის ხატი იმ ადგილას, სადაც წინათ სახლის ღუმელი იყო. ხატი ალუბლისფერი მატყლის ქსოვილის სამოსში იყო გახვეული და, როგორც ახალდანიერილი, ისე გამოიყურებოდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ღვთისმშობლის ხატი წმინდა ლუკა მახარებლის მიერ დანიერილი, ღვთისმშობლის გამოსახულების ასლი გახლდათ. ხალხმა ხატის გამოჩენის ამბავი მთავარეპისკოპოსსა და ქალაქის ხელმძღვანელობას შეატყობინა. მღვდელმთავარმა დიდი პატივით გადააბრძანა ღვთისმშობლის ხატის შორიანხლოს მდებარე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, სადაც პარაკლისი აღასრულეს, შემდეგ კი სახიმიოდ გადააბრძანეს ხარების სახელობის ტაძარში. ღვთისმშობლის ხატმა პირველი სასწაული გზაშივე მოახდინა — თვალისჩინი დაუბრუნდა იოსებს, რომელიც 3 წლის დაბრმავებული გახლდათ. ხარების ტაძარში კი მეორე უსინათლო ადამიანი — ნიკიტაც განკურნა. ხატმა ამის შემდეგაც კიდევ არაერთ ადამიანს დაუბრუნა თვალისჩინი.

1579 წელს ყაზანის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ეს სახელწოდება ყაზანში პოვნის გამო მიანიჭეს, მთავარეპისკოპოსმა და ქალაქის ხელმძღვანელობამ მეფე იოანე ვასილის ძე IV-ს (მრისხანე) გაუგზავნეს. მეფემ ხატის გამოჩენის ადგილას ტაძარი ააგებინა და დედათა მონასტერი დააარსა. იქვე დააბრძანეს ყაზანის ღვთისმ-

სასწაული აღესრულებოდა.

200 წლის შემდეგ იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ გადაწყვიტა, ყაზანის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ადგილას ახალი ტაძარი აეგო, რომელსაც 1798 წელს ჩაეყარა საფუძველი. ტაძრის მშენებლობა 1808 წელს დასრულდა.

### „შეუსმელი ბარძიმი“

ღვთისმშობლის „შეუსმელ ბარძიმად“ წოდებულ ხატს ლოთობისა და ნარკომანიის სენისგან განკურნებას შესთხოვენ. სასწაულმოქმედ ხატს ამის ძალა შესწევს.

1878 წელს ტულის გუბერნიამი მცხოვრები, გადამდგარი ჯარისკაცი მემთვრალეობის ვნებამ შეიპყრო. მან მთელი თავისი ქონება გაანიავა. ჯანმრთელობაც შეერყა, მაგრამ მამს მაინც განაგრძობდა. ერთ საღამოს, სიზმარში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, რომ ქალაქ სურხუბოვში არსებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში წასულიყო და იქ დაბრძანებული „შეუსმელ ბარძიმად“ წოდებული ხატის წინაშე სავდრებელი პარაკლისი გადაეხადა.

ყოფილი ჯარისკაცი მონასტრისკენ გაემართა. მან იქ მოღვაწე ბერებს ხილვის შესახებ მოუთხრო და სთხოვა, პარაკლისი აღეყლინათ. ბერებმა არაფერი უწყოდენ ღვთისმშობლის „შეუსმელ ბარძიმად“ წოდებული ხატის შესახებ. დაფიქრდნენ. ბოლოს ერთერთმა თქვა — სადიაკვნეს შესასვლელში რომ ხატი კიდეა, ის ხომ არ არისო? მართლაც, ჩამოსხნეს და მეორე მხრიდან ეწერა — „ბარძიმი შეუსმელი“. ბერებმა პარაკლისი აღავლინეს. ჯარისკაცი განიკურნა მემთვრალეობის ვნებისგან და შინ სრულიად გამოჯანმრთელებული დაბრუნდა.

სასწაულმოქმედი ხატის შესახებ მთელმა რუსეთმა შეიტყო. „შეუსმელი ბარძიმის“ წინაშე სავდრებლად, მემთვრალეობის სენით შეპყრობილი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოემართებოდნენ, რათა კურნება მიეღოთ. განკურნებულნი კი სამადლობლის შესანიშნავად მიდიოდნენ.

„შეუსმელ ბარძიმად“ წოდებულ ხატზე ღვთიური ყრმა ბარძიმი ფეხზე მდგომია გამოსახული — ესაა ბარძიმი ზიარებისა. ბარძიმი ესე მართლაც, შეუსმელი და დაუღვევლია, რადგან ტარიგი მისი („ტარიგად“ მაცხოვარი იწოდება ანუ შეწირული უფალი) „მარადის ისმების და არა დაილვის“. ჩვენ ხომ ყოველ წორვაზე ვეზიარებით უფლის სისხლსა და ხორცს; ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს კი ხელები ზემოთ აქვს აპყრობილი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ზეციური დეოფალი ყველა ცოდვილისთვის ლოცულობს. გვამცნობს, რომ შეუსმელი ბარძიმი გამზადებულია ყველასთვის, ვისაც მისი მიღება სურს.



წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ტაძრის ფრესკა

შობლის სასწაულმოქმედი ხატიც. სინმინდის პოვნის შემდეგ ქრისტიანულ რჯულზე მოქცეული მატრონაც ამ მონასტერში დაემკვიდრდა, მონაზვნად აღიკვეცა და შემდგომში სავანის ილუმენიაც გახდა. მონასტრის მთავარი ტაძარი ყაზანის ყოველადღწინდა ღვთისმშობლის ხატის სახელზე იკურთხა.

რამდენიმე წლის შემდეგ სასწაულმოქმედი ხატი ოქროს პერანგითა და ძვირფასი თვლებით შემოსეს. მის მიერ მრავალი

# მსაღმრთოთაშარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ჰვადიშირ სუხოდაევი



დასაწყისი იხ. „გზა“ №44-24

სტალინის მთელი ომის განმავლობაში დაძაბული მუშაობა უწევდა საგარეო პოლიტიკის სფეროში. მას ევროპაში მეორე ფრონტის გასახსნელად, ხანგრძლივი და შეუშოვარი ბრძოლა მოუხდა.

მოკავშირეების უარმა, გაესხნათ მეორე ფრონტი 1942 წელს, სტალინის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 1942 წლის ოქტომბერში, როდესაც ბელადი ინტერვიუს აძლევდა ამერიკელ კორესპონდენტს, კესიდის, მან აღნიშნა, რომ მოკავშირეთა დახმარება ნაკლებფექტიანი იყო, იმ დახმარებასთან შედარებით, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევდა ინგლისელებსა და ამერიკელებს — მას ხომ გერმანიის ჯარების მთავარი ძალების წინააღმდეგ ბრძოლა უხდებოდა!..

სტალინს აცნობეს, რომ იმავე 1942 წელს ჩერჩილმა, რომელიც არწმუნებდა მას მოკავშირეთა მხარდაჭერაში, მოამზადა საიდუმლო მემორანდუმი „გაერთიანებული ევროპის შესახებ“, სადაც შეტანილი იყო მიმართვა ევროპის ქვეყნებისადმი (მათ შორის, გერმანიისადმი), „გაერთიანებული იყვნენ ბოლშევიკურ ბარბაროსობასთან საბრძოლველად“ ინგლისისა და აშშ-ის ირგვლივ.

მეორე ფრონტის გახსნის ნაცვლად, ინგლისელები და ამერიკელები სთავაზობდნენ სტალინს, შეეყვანათ თავიანთი ჯარები

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ფაშისტური თავდასხმისაგან „თავდასაცავად“. 1942 წლის ივლისში ჩერჩილმა სტალინს მიმართა წინადადებით, შეეყვანათ ინგლისურ-კანადური ჯარები შუა აზიის ზოგიერთ რაიონში. ჩერჩილი ურჩევდა სტალინს, გამოეყვანა საბჭოთა ჯარები კავკასიიდან და იქ ინგლისის ჯარები განელებინა — ნავთობრეზერვუარის „დასაცავად“. ასეთივე წინადადება გამოთქვა მან მურმანსკთან დაკავშირებით. რუზველტი კი სთავაზობდა სტალინს, განელებინა შორეულ აღმოსავლეთში ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზები — იაპონიის აგრესიის „მოსაგერიებლად“. სტალინის პასუხი ყველა ამ „მოკავშირულ“ წინადადებაზე ერთი და იგივე იყო: დიახ, ჩვენ გვიჭირს, ჰოდა, მოდი, ეს ჯარები ფრონტზე გაგზავნეთ, ჩვენ კი თავად დავიცავთ ჩვენს ქვეყანას.

კურსკის ბრძოლის შემდეგ აშკარა გახდა, რომ საბჭოთა კავშირსა და მის წითელ არმიას მარტოდმარტო, მოკავშირეთა დაუხმარებლად შეეძლოთ, გაენადგურებინათ ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების არმიების სამხედრო მანქანა. აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი, მისი ვაჟიშვილის თქმით, თერანის კონფერენციის წინააღმდეგ ეუბნებოდა: „თუ რუსეთში მოვლენები შემდგომშიც ისე განვითარდება, როგორც ახლა, მაშინ შესაძლოა, მომავალ გაზაფხულზე მეორე ფრონტი საჭირო აღარც იყოს“.

ცნობილია, რომ უკვე 1941 წლის შემოდგომაზე, ასევე — 1942 და 1943 წლებში საბჭოთა კავშირის ზურგს უკან, ლისაბონსა და შვეიცარიაში ინგლისისა და გერმანიის წარმომადგენლებს შორის, შემდეგ კი აშშ-სა და გერმანიის შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, გერმანიასთან მშვიდობის დამყარების საკითხთან დაკავშირებით. ყოველივე ამის გამო, სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დაზვერვას. მაგალითად, 1941 წლის ბოლოს, როდესაც უშიშროების ახალ რეზიდენტ ზარუბინს აშშ-ში მის გამგზავრებამდე ინსტრუქტაჟს აძლევდა, სტალინმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ამერიკაში მოქმედი, სადაზვერვო სამსახურის მოცუანები: „თავადასუფრთხილად იმას, რომ ჩერჩილმა და ამერიკელებმა არ დადონ სუბარატული სამშვიდობო ხელშეკრულება ჰიტლერთან და ყველა ერთად არ შემობრუნდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; უნდა მოიპოვოთ ინფორმაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერის სამხედრო გეგმებს ეხება; გაარკვიოთ მოკავშირეთა საიდუმლო მიზნები და გეგმები ამ ომში; დაადგინოთ — სინამდვილეში როდის აპირებენ მოკავშირეები ევროპაში მეორე ფრონტის

გახსნას; უნდა მოიპოვოთ ინფორმაცია უახლეს საიდუმლო ტექნიკაზე, რომელიც აშშ-ში, ინგლისსა და კანადაში შეიქმნა“.

მდგომარეობის სირთულე და საფრთხე, რომელიც საბჭოთა კავშირსა და სტალინის სდევდა თან, ომის ბოლო დღეებამდე არ შენელებულა.

წინააღმდეგობათა და ინტრიგათა სახეფათო კვანძი ბერლინის ირგვლივაც იკრებოდა. საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინის აღება რომ გაჭიანურებულიყო, ამას შეიძლებოდა უმძიმესი შედეგები მოჰყოლოდა. რთული და ჩახლართული მდგომარეობის პირობებში აუცილებელი იყო, ზღვარი დაედოთ ინგლისულ-ამერიკელთა და გერმანელთა დიპლომატიური მანევრების სწრაფად განადგურებისა და გერმანიის დედაქალაქის დაუფლების გზით.

ინგლისისა და აშშ-ის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები ბერლინის აღებისკენ მიილტვოდნენ. 1945 წლის 1-ელ აპრილს ჩერჩილი სწერდა რუზველტს: „მე მიმაჩნია, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვენ წინ უნდა წავიწიოთ გერმანიაში, რაც შეიძლება ღრმად შევალწიოთ მის აღმოსავლეთ ნაწილში და იმ შემთხვევაში, თუ ბერლინი ჩვენთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდება, უფველად ავიღოთ იგი“.

მაგრამ აი, რას სწერდა ეიზენჰაუერი 1945 წლის 7 აპრილს, შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარეს: „კარგად მესმის, რომ ომი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მიმდინარეობს და თუ შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტი გადაწყვეტს, რომ ბერლინის აღების მისწრაფება სამხედრო მიზნებით არ შემოიფარგლება, მე სისარულთით გადავსინჯავ ჩემს გეგმებს და მთლიანად ამ ოპერაციის განხორციელებაზე გადავერთვები“.

საბჭოთა არმიის მიერ ბერლინის აღებამ, რაისტაგზე წითელი დროშის აღმართვამ, მანამდე უწყვეტ ინტრიგათა ქსელი განწყვიტა. ეს იყო არა მარტო საბჭოთა იარაღის დიდი გამარჯვება, არამედ საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებაც — ბრძოლაში, რომელიც ანტიჰიტლერული კოალიციის ერთიანობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად.

1945 წლის პოტსდამის (ბერლინის) კონფერენციაზე, ისევე, როგორც ორ წინა კონფერენციაზე, ცენტრალურ ფიგურას სტალინი წარმოადგენდა. მას თავდაჯერებულად, მაგრამ უბრალოდ ეჭირა თავი. მუდამ გულმოდგინეთ და საფუძვლიანად ემზადებოდა მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურებთან შესახვედრად და ნშირად კუთხეში იმწყვედებდა დასავლელ პოლიტიკურ მოღვაწეებს. როცა ჩერჩილი თავშეკავების უნარს კარგავდა და ჭარბად იმეველებდა აქსტივულაციას, სტალინი გარეგნულად, სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, წყნარად ლაპარაკობდა, ზოგჯერ კი დაუფარავ სარკაზმსაც ავლენდა.

ერთხელ, როცა აღეფლებული ჩერჩილი იმ ომის შემდგომ სიძნელებებზე ლაპარაკობდა, რომელსაც დიდი ბრიტანეთი გან-



იცდიდა, სტალინმა შენიშნა:

„— არ მჩვევია წუწუნი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ჩვენი მდგომარეობა გაცილებით მძიმეა. ჩვენ რამდენიმე მილიონი ადამიანი დავეკარგეთ ამ ომში და ახლა ხალხი არ გვყოფნის. მე რომ ჩივილი დაგმენყო, ვშიშობ, ატირდებოდით, იმდენად მძიმე მდგომარეობაა რუსეთში. მაგრამ არ მინდა, ამით შეგანუხოთ.

ამერიკის დელეგაციის წევრმა, ჰარი-მანმა ქედმაღლურად ჩაუერთო:

— თქვენთვის ხომ ძალზე სასიამოვნოა, რომ მას შემდეგ, რისი გადატანაც თქვენს ქვეყანას მოუხდა, ახლა აქ, ბერლინში ხართ?

ბელადის პასუხი ასეთი გახლდათ:

— მეფე ალექსანდრემ პარიზამდე მი-აღწია...

24 ივლისს გამართული პლენარული სხდომის შემდეგ, აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა, ჰარი ტრუმენმა, მოკავშირეთა თანდასწრებით, სტალინს აცნობა, რომ ამერიკელებს ახალი იარაღი აქვთ, რომელიც გამანადგურებელი ძალით გამოირჩევა. ჩერჩილი პირდაპირ სახეში მიაშტერდა სტალინს, მაგრამ ბელადმა სრული სიმშვიდე შეინარჩუნა.

ტრუმენმა და ჩერჩილმა დაასვენეს, რომ სტალინმა ვერ გაიგო, თუ რაზე იყო ლაპარაკი და მოვლენას, რომლის შესახებაც ის-ის იყო, ინფორმაცია მიანოდეს, სათანადო ყურადღება არ მიაქცია...

კონფერენციის შემდეგ, სტალინმა მოლოტოვსა და ჟუკოვს აცნობა, რომ ტრუმენმა საგანგებოდ შეაჩერა, რათა მისთვის ახალი ამერიკული იარაღის შესახებ ეცნობებინა. მოლოტოვმა შენიშნა:

— თამასას სწევენ!..

სტალინმა მიუგო:

— ღმერთმა ხელი მოუმართოს... დღესვე უნდა დაველაპარაკოთ კურჩატოვს, რომ საქმე დააჩქაროს...“

სამი წლის შემდეგ კი სტალინმა თვალნათლივ იხილა საბჭოთა მრეწველობისა და მეცნიერების მრისხანე პირმშო — სამამულო ატომური იარაღი, მშვიდობის დაცვის იარაღი. სტალინი დარწმუნებული იყო, რომ ამერიკა ვეღარ შეძლებდა, ისევე მოჰქცეოდა საბჭოთა კავშირს, როგორც მოექცა იაპონიას, რომელსაც 1945 წლის აგვისტოში ატომური ბომბები დააყარა თავზე.

1942 წლის 8 სექტემბერს, თემთა პალატაში გამოსვლისას, ჩერჩილი ამბობდა: „ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სტალინთან შეხვედრას... ჩემი ვიზიტის (მოსკოვში. — ავტ.) მთავარი მიზანი ის იყო, რომ ისეთივე გულახდილი ურთიერთობები დამემყარებინა სტალინთან, როგორც უკვე დამყარებული მქონდა პრეზიდენტ რუზველტთან. ვფიქრობ, ენობრივი ბარიერის მიუხედავად, რომელიც ბევრ დაბრკოლებას გვიქმნიდა, მე მნიშვნელოვანი ილადა, ეს შევძელი... რუსებისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ მათი მსუხარების უამს ქვეყნის სათავეში ეს დიდი პიროვნება და მხედართმთავარი დგას. სტალინი დიადი და ძლიერი პიროვნებაა, იმ ბობო-

ქარი დროის შესაფერისი, რომელშიც ცხოვრება უნევს. უდიდესი ნებისყოფის, ამასთანავე, უბრალო ადამიანია, უშუალო, თუმცა ზოგჯერ ხისტიც საუბრისას, რაც მე, როგორც თემთა პალატაში გაზრდილ ადამიანს, არ შემიძლია, არ დაფავსო, რადგან ეს თვისება გარკვეულწილად, მეც მასხათებს... უპირველეს ყოვლისა, სტალინი ის ადამიანია, რომელსაც ახსიათებს საუცხოო იუმორის გრძობა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისთვის და ყველა ერისთვის, განსაკუთრებით კი — დიდი ადამიანებისა და დიდი ბელადებისთვის. სტალინმა ჩემზე აგრეთვე მოახდინა ისეთი ადამიანის შთაბეჭდილება, რომელიც გამოირჩევა დიდი სიბრძნით, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ილუზიას... მე მჯერა, მოვახერხებ მისთვის მგრძობიანებას, რომ ჩვენ კარგი და ერთგული ამხანაგები ვართ ამ ომში, მაგრამ ამას საქმეები დაამტკიცებს და არა — სი-

ტყვეები. ერთი კი სახვებით ნათელია — რუსეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ბოლომდე, მის სრულ განადგურებამდე ებრძოლოს ჰიტლერიზმს. სტალინმა მითხრა, რომ რუსი ერი ჩვეულებრივ პირობებში ბუნებით მშვიდობისმოყვარე ხალხია, მაგრამ ამ ხალხის მიმართ ჩადენილმა სიმხეცემ მასში ისეთი მრისხანება და აღშფოთება გამოიწვია, რომ ხასიათი შეეცვალა...“

მეორე სიტყვაში, რომელიც ასევე თემთა პალატაში წარმოთქვა, მაგრამ — 1959 წელს, როცა სტალინი უკვე ცოცხალი აღარ იყო და მისი სახელი უმოწყალოდ ილახებოდა, უინსტონ ჩერჩილი გამოტყდა, რომ როცა ის სტალინს კონფერენციებზე ხვდებოდა, „უნებურად, „სმენის“ პოზაში იჭიმებოდა“ და „რაც უნდა ილაპარაკონ სტალინზე, ასეთებს ისტორია და ხალხი არ ივინყებს“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 16

დომანზე, ჩვენების მისაცემად გამოცხადდა. სამართალდამცველებმა სოფრომაძე შემთხვევიდან მესამე დღეს, ბიძაშვილის ოჯახში დააკავეს. მაშინ მან ჩადენილი დანაშაული აღიარა, თუმცა გამოძიებისთვის დეტალური ჩვენება არ მიუცია. სასამართლო პროცესზე კი განაცხადა, რომ მამის მდგომარეობაზე ექიმებთან საუბრის მომენტიდან მოყოლებული, აღარაფერი ახსოვს და მკვლელობასთან დაკავშირებული დეტალების მოტანა არ შეუძლია. მამა — ტარიელ სოფრომაძე მძიმე მდგომარეობიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ გამოვიდა. სამართალდამცველებმაც მისი დაკითხვა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს. დაკითხვისას მან მურთაზ ავალიშვილის სიტყვები, — თითქოს სოფრომაძე მას გამეტებით სცემდა, — უარყო. მისი თქმით, მან მხოლოდ პირველად გაარტყა ხელი, შემდეგ კი წინააღმდეგობის განევას ვეღარც ახერხებდა...

განსასჯელის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, სასამართლოს, ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებაც მოსთხოვა: ადვოკატის მტკიცებით, დანაშაული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში იყო ჩადენილი და სასამართლოსაც მოუწოდა, ეს გარემოება მხედველობაში მიეღო. სახელმწიფო ბრალმძებელმა კი მიუთითა, რომ აშკარაა, შურისძიების მოტივით, განზრახ ჩადენილი მკვლელობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოზიცია მოსამართლემაც გაიზიარა და 23 წლის განსასჯელს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ადვოკატი ზემდგომ ინსტანციებში განაჩენის გასაჩივრებას აპირებს. „საქმის ვითარება, ჩვენებები და თვით საბრალდებო დასკვნაში აღწერილი ფაქტებიც კი მეტყველებს იმაზე, რომ გაგა სოფრომაძე დანაშაულის ჩადენის მომენტში აფექტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა მაშინ, როცა ექიმებმა მამის კომაში ჩავარდნის

შესახებ უთხრეს. ეს იგივე იყო, მისთვის რომ ეთქვათ, მამა ცოცხალი აღარ გყავს, მოგკლეს. ეს 23 წლის ბიჭისთვის, რომლისთვისაც განსაკუთრებით იმ პერიოდში, მამა ყველაფერს ნიშნავდა, უდიდესი დარტყმა და წარმოუდგენელი სულიერი ტრავმა იყო. ამის გაცნობიერება და გადატანა ძალიან რთულია და ნებისმიერ თავმოყვარე და მშობლისმოყვარე შვილს გამოიყვანს წონასწორობიდან“, — ასე ხსნის ადვოკატი მის დაცვის ქვეშ მყოფის ქმედებას. ბრალდების მხარე კი იმ ექსპერტიზის დასკვნაზე მიუთითებს, სადაც ექსპერტ-ფსიქოლოგები და ფსიქიატრები აფექტის მდგომარეობას უარყოფენ. სპეციალისტების თქმით, საქმის მასალებში დაფიქსირებული ფაქტების მიხედვით, განსასჯელის ქმედებები თანამიმდევრული და გაცნობიერებულია. აქედან გამომდინარე, მას შეეძლო საკუთარი ქმედების გაკონტროლება და მოსალოდნელი უმძიმესი შედეგის გათვალისწინებაც...

# არატრადიციული მშობიარეობა და მუცალადი მშობლები

იტალიის პროვინციულ ქალაქ კაზერტაში მომხდარი დანაშაული მთელ მსოფლიოში გახმაურდა. სანტა-მარია-კაპუა-ზეტერეს რაიონში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახში, საკუთარი მშობლების მიერ დატუსაღებული ქალბატონი აღმოაჩინეს. გაირკვა, რომ ქალი თავისსავე სახლში 18 წლის მანძილზე იყო გამომწყვდეული. იტალიელმა სამართალდამცველებმა საექსპერტო ოჯახს ანონიმური ზარის საფუძველზე მიაგნეს, იქაურობა დაათვალიერეს და ტყვეც მალე იპოვეს. პოლიციელების თქმით, ამჟამად უკვე 34 წლის ქალი საშინელ პირობებში ცხოვრობდა. სრულმა ანტისანიტარიამ და ცუდმა ვენტილაციამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად შეარყია. ის ჯერ კიდევ 16 წლის გოგონა იყო, როცა მშობლებმა ასეთი დაუნდობელი განაჩენი გამოუტანეს. მიზეზი, ქალიშვილის სასიყვარულო ურთიერთობა და ქორწინებადელი ფეხმძიმობა იყო. გოგონამ ოჯახში მოულოდნელად გამოაცხადა, რომ პარტნიორისგან დაორსულდა. ამან ტრადიციული მშობლების რისხვა გამოიწვია და იმ დღიდან ქალიშვილი შინიდან აღარ გაუშვიათ. ოჯახი კარნაქტილად ცხოვრობდა და ამის გამო, როგორც ჩანს, მეზობლები გაუჩინარებული გოგონას ბედით დიდად არ დაინტერესებულან. წლების შემდეგ, მშობლების სისასტიკეს წერტილი ერთ-ერთმა ახლობელმა დაუსვა. მისი ვინაობა არ

მჟღავნდება, თუმცა სამართალდამცველების თქმით, დანაშაულის თაობაზე მან პოლიციას დეტალური ინფორმაცია მიანოდა. პოლიციელებმა დატყვევებული გაათავისუფლეს, მისი 80 წლის დედა, და და ძმა კი დააკავეს. მათ ოფიციალურად ბრალიც წაუყენეს და ოჯახის წევრის მიმართ სისასტიკესა და მისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში დაადანაშაულეს. დაკავებულებმა განაცხადეს, რომ დაზარალებული ფსიქიკურადაა დაავადებული და სახლიდან მის გაშვებას ამიტომაც ერიდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ერთ კვირაში ეს მშობლების მიერ ძალადობის გამოვლენის ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. მსგავსი ფაქტი ამერიკის შვერტებულ შტატებში, კერძოდ ნიუ-იორკშიც დაფიქსირდა. 19 წლის გოგონა დედ-მამამ თოკით გაკოჭა და ძალით მანქანაში ჩასვა. რამდენიმე საათის შემდეგ, გოგონამ თავი დაიხსნა, მანქანიდან გადახტა და გაიქცა. პირდაპირ პოლიციის განყოფილებას მიაკითხა და სამართალდამცველებს დანაშაულის შესახებ შეატყობინა. განაცხადა, რომ ის მშობლებმა გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს... „გაირკვა, რომ გოგონა შეყვარებული ისგან დაფეხმძიმდა, მშობლებმა ეს ამბავი შეიტყვეს თუ არა, შვილი სასტიკად სცემეს, შემდეგ ხელ-ფეხი თოკით შეუკრეს და ნიუ-იორკისკენ წაიყვანეს, რათა იქ, ერთ-



ერთ კლინიკაში მისთვის აბორტი გაეკეთებინათ. მანქანა ერთ-ერთ მარკეტთან რომ შეაჩერეს, მშობლები გადავიდნენ და გოგონა მარტო დატოვეს. მანაც ისარგებლა მომენტით და გაიქცა“, — ჰყვება პოლიციის ოფიცერი. დაზარალებულის მიერ მინოდებული ცნობების საფუძველზე, რამდენიმე საათში, პოლიცია საკუთარი ქალიშვილის გატაცებაში ექვმიტანილი მშობლების კვალს დაადგა. დაკავებულმა ცოლ-ქმარმა — 54 წლის ნიკოლას კამპფმა და მისმა მეუღლემ ლოლამ ქალიშვილის ნაამბობი დაადასტურეს და წარდგინილი ბრალდებაც მოისმინეს. მალე ისინი სასამართლოს წინაშეც წარდგებიან.

# მანიაკი 12 წლის გოგონას სციმდა და აუტატიურება



სისტემატურად ანამებდა, სციმდა და შემდეგ აუტატიურება.

გასულ შაბათს ეჭვმიტანილიც დააკავეს. ის 22 წლის ჯონ პოლ ფრანც გონზალესი აღმოჩნდა. დაზარალებული ამბობს, რომ გონზალესმა ჯერ კიდევ 12 წლისას დაუწყო დევნა, ერთ დღესაც ხელი სტაცა, თავის სახლში მიიყვანა და სარდაფში გამოკეტა. „სახლში მისი მშობლებიც ცხოვრობდნენ. მათ არაფერი იცოდნენ ჩემ შესახებ. სარდაფში მხოლოდ ჯონი ჩამოდიოდა, ჩემთვის საჭმელი მოჰქონდა და შემდეგ, საკვების ნარჩენებიც გაჰქონდა. სხვა იქ არავინ ჩამოსულა“, — აღნიშნავს გოგონა.

გონზალესის მშობლები ვერასდროს წარმოიდგენდნენ, თუ საკუთარ სარდაფში ასეთი საშინელება ხდებოდა. შვილზე კარგი აზრის იყვნენ და როგორც ამბობენ, მისთვის საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ. „ყოველთვის წყნარი, მშვიდი იყო, ხმას არ იღებდა. ვნუწუნებდით ხოლმე, რა ცოტას ლაპარაკობს,

16 წლის გოგონა, რომელსაც 4 წლის მანძილზე დაკარგულად მიიჩნევდნენ, მოულოდნელად გამოჩნდა და შოკის მომგვრელ ამბავს მოჰყვა: თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში, ის მანიაკს ჰყავდა შეპყრობილი. „ახალგაზრდა იყო და ძალიან სასტიკი“, — ამბობს გოგონა. მისი თქმით, მოძალადე მას

ხალხთან კონტაქტი არ უყვარს-თქო. აგრესია მისთვის არასდროს შეგვიმჩნევია. ეს რატომ მოხდა, არ ვიცი. ამის დაჯერება ძალიან მიჭირს“, — ამბობს გონზალესის მამა. დედა მძიმე მდგომარეობაშია და ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უარს ამბობს. ის ჯერ არც სამართალდამცველებს გასაუბრებია.

თავად გონზალესმა დანაშაული ნაწილობრივ აღიარა. დაკითხვისას თქვა, რომ გოგონა ერთი ნახვით შეუყვარდა, უთვალთვალებდა, უკან დაჰყვებოდა... მისთვის ურთიერთობა არ შეუთავაზებია, რადგან იფიქრა, რომ ბავშვი შეშინდებოდა და გაექცეოდა. ამიტომაც, მისი მოტაცება გადაწყვიტა. გონზალესმა გოგონაზე ძალადობა კატეგორიულად უარყო. თქვა, რომ მართალია, ის სარდაფში გამოკეტა, მაგრამ იქ ხშირად აკითხავდა და მასზე ზრუნავდა. აცხადებს, რომ არასდროს უცემია და არც სექსობრივი კავშირი დაუმიყარებია მასთან. ნაყენებულ ბრალდებებს გონზალესის ადვოკატიც აპროტესტებს. „მტკიცებულებები არც ერთ მათგანს არ ადასტურებს, რაც შეეხება დაზარალებულ გოგონას, ჯონი მასთან უბრალოდ მეგობრობდა“, — აცხადებს ადვოკატი.


# შპიონური სკანდალი გერმანიაში

გერმანელ ინჟინერს — 44 წლის ფრანც ვერნერს რუსეთში ჯაშუშობისთვის ასამართლებენ. ის ცნობილი კომპანიის — „ეუროკოპტერის“ თანამშრომელი გახლდათ და როგორც სამართალდამცველები ამბობენ, რუსეთის სპეცსამსახურებს სწორედ კომპანიის საიდუმლო მასალებს სისტემატურად აწვდიდა, გასამრჯელოდ კი სოლიდურ თანხას იღებდა. მყიდველი — „როსკოსმოსის“ თანამდებობის პირი — ვლადიმირ ვოჟოვი იყო. მას შემდეგ, რაც ეს ფაქტი გახმაურდა, ის „როსკოსმოსიდან“ დაითხოვეს.

საქმე მიუხეხნის პროკურატურამ აღძრა. თავად ვერნერმა ბრალი ნაწილობრივ აღიარა და თქვა, რომ მართალია, თავის რუს მეგობარს ფაილებსა და კომპაქტდისკებს აწვდიდა, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, თუ ეს ინფორმაცია საიდუმლო იქნებოდა. „გაკვირვებული ვარ წარდგენილი ბრალდებების გამო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ მიერ წარმოებული ვერტმფრენების უმეტესობა, რომლითაც რუსები ინტერესდებოდნენ, მათ ქვეყანაში ექსპორტისთვის იყო გათვალისწინებული. ამიტომ, ეს საქმე ჯაშუშობად

სულაც არ მიმიჩნევია“. პროკურორებმა საქმის ვითარება სულ სხვაგვარად აღწერეს. ბრალდების თანახმად, 2004-დან 2006 წლამდე ფრანც ვერნერი სისტემატურად ხვდებოდა ვოჟოვს მოსკოვში, ზალცბურგსა და ობერბაიერნში. ელექტრონული ფოსტით ანონიმურ წერილებს უგზავნიდა და ყოველ წერილს სიტყვებით — „ჩემო მეგობარო“ იწყებდა. ანაზღაურებას ნაწილ-ნაწილ იღებდა, ზოგჯერ — ნაღდი ფულითაც. სხვათა შორის, საქმეში ვერნერის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებიც ფიქსირდება. ერთ-ერთი დაკითხვისას, მან დანაშაული აღიარა და თქვა, რომ ჯაშუშობისკენ ნაბიჯი პირადი მატერიალური პრობლემების გამო გადადგა. „საკუთარი ფირმა დაეაარსე, მაგრამ ბიზნესი ჩამივარდა და საქმე რომ ამომექაჩა, სახსრები მჭირდებოდა. დაზვერვის სამსახურიდან მხოლოდ 13 ათასი ევრო მივიღე, ვალეები კი 150 ათას ევროს აღემატებოდა“, — წერს ვერნერი ჩვენებაში.

გამოძიების ინფორმაციით, ვერნერი კომპანიაში მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობდა და სამხედრო და საზოგადოებრივი ავიაციის წარმოებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, ბევრ მნიშვნელოვან ტექნიკურ ინფორმაციას ფლობდა, რომლის გამჟღავნებაც კომპანიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.



# ესპანელები „ტამბოკოვალ მაფიოზას“ დაერივნენ



როგორც ესპანური და სხვა უცხოური საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, ესპანეთის პოლიციის მიერ რუსული მაფიის — „ტამბოკოვის დაჯგუფების“ წინააღმდეგ მიმდინარე ოპერაცია — „სამიანის“ ფარგლებში, უკვე 25 ადამიანი დაკავებული. მათ შორის — დაჯგუფების ერთ-ერთი მეთაური ვიტალი იზგილოვიც, რომელიც ესპანეთის პოლიციამ პირველად 2005 წელს, რუსული მაფიის წინააღმდეგ წარმოებული ოპერაცია „კრანზანას“ ფარგლებში დააკავა, თუმცა მოგვიანებით, გირაოს გადახდის შემდეგ, თავდებით გაათავისუფლა.

ამჟამინდელ ოპერაციას, რომელშიც ესპანეთის პოლიციის 400-ზე მეტი თანამშრომელი მონაწილეობს, ცნობილი მოსამართლე, ბალთაზარ გარსონი და ესპანეთის პროკურატურა კურირებენ. ოპერაცია ქვეყნის რამდენიმე რაიონში ერთდროულად ტარდება. ადამიანების უმეტესობა ქალაქებში — მადრიდში, ბარსელონაში, მალაგაში, ბალეარის კუნძულებზე, ვალენსიასა და ალიკანტეზე დაკავებული.

ესპანეთის ტერიტორიაზე 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოქმედი „ტამბოკოვის დაჯგუფების“ წევრები იარაღით ვაჭრობაში აღებული ფულის გათეთრებაში, შეკვეთილ მკვლელობებსა და სხვა ქვეყნებში განხორციელებულ ცრუგაკოტრებებში არიან ეჭვმიტანილნი. გამოძიების მსვლელობისას აღმოჩენილი და დაბლოკილია 500-ზე მეტი საბანკო ანგარიში, რომელთა მეშვეობითაც ყოველწლიურად, საფარულდოდ, ათეულობით მილიონი ევრო თეთრდებოდა.

ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალფრედო პერეს რუბალკაბამ, შუალედური

შედეგების შეჯამების შემდეგ, ოპერაცია „სამიანს“ „ბრწყინვალე“ უწოდა. მინისტრმა ისიც საზგასმით აღნიშნა, რომ „ესპანეთში პირველად მოხერხდა კარგად ორგანიზებული, მწყობრი იერარქიის მქონე „რუსული მაფიის“ არსებობის დადასტურებული საკმარისი მტკიცებულებების შეგროვება“.

ესპანეთის პროკურატურამ, რომელმაც განადგურებულ დაჯგუფებას „ტამბოკოვრ-მალიშვეური ბანდა“ უწოდა, განაცხადა, რომ მისი მეთაურები ესპანეთში ლეგალურად ცხოვრობდნენ და სხვადასხვა დანაშაულებრივ ბიზნესს, მათ შორის, იარაღით ვაჭრობას, ნარკოტიკების მიწოდებას, კობალტისა და თამბაქოს კონტრაბანდას იქიდან ხელმძღვანელობდნენ. დაჯგუფების მეთაურები არც თანხის გამოძლევას, თანამდებობის პირთა მოსყიდვასა და არასასურველ პირთა წინააღმდეგ შეკვეთილი ანგარიშსწორებების ორგანიზებას ერიდებოდნენ. გამოძიების მონაცემებით, ბანდის დანაშაულთა დიდი ნაწილი, რუსეთისა და რიგი ევროპული ქვეყნების ტერიტორიაზე ხდებოდა, ესპანეთს კი ძირითადად, მიღებული შემოსავლების გასათეთრებლად იყენებდნენ. დაჯგუფების წევრები ესპანეთში მდიდრულ სახლებს, ათეულობით ძვირფასი მარკის ავტომობილს, იახტებსა და სხვა უძრავ-მოძრავ ქონებას ფლობდნენ.

ესპანეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, დაჯგუფების დანაშაულებრივი საქმიანობის გამოძიება, 2006 წელს, ამერიკული გამოძიების ფედერალური ბიუროს, გერმანიისა და შვეიცარიის პოლიციების მონაწილეობითა და, აგრეთვე, რუსეთის ხელისუფლების ხელშეწყობით დაიწყო.

## ანდრეას დრეჟენი: „სიცოცხლე 60 ანდა 70 წლის ასაკში არ მთავრდება“

ორ ხანდაზმულ ადამიანს შორის აფეთქებულ ვნებაზე შექმნილი გერმანელი რეჟისორის, ანდრეას დრეჟენის ფილმი — „ღრუბელი 9“ კანის ფესტივალზე შეკრებილმა მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო.

კანში ამ ფილმის საპრემიერო ჩვენება შედგა. მისმა ავტორმა კი ამ ბოლო ნამუშევარში კავშირი განყვიტა კინემატოგრაფიულ კლიშესთან, რომელიც ქადაგებს, რომ „ეკრანზე გაშიშვლებული სხეულები



წუნდაუდებლად ლამაზი და ახალგაზრდა უნდა იყოს“. „ღრუბელი 9“-ც შეიცავს რამდენიმე ასეთ სცენას, ოღონდ მათში 65 წლის ინგე და 76 წლის კარლი — ფილმის მთავარი გმირები — მონაწილეობენ.

„ეს შეიძლება, ნებისმიერ ჩვენგანს და სიცოცხლის ნებისმიერ ეტაპზეც დაემართოს, — ამბობს ანდრეას დრეჟენი, — სიყვარული მოულოდნელად მოდის და ყველაფერს თავდაყირა აყენებს. სწორედ ამის ჩვენება მინდოდა ჩემს ფილმში, რომლის მთავარ გმირებდა ხანდაზმული ადამიანები მეტი სიმძაფრისთვის ავირჩიე. შესანიშნავი იქნება, თუ ამ ფილმს ახალგაზრდები ნახავენ. შეიძლება, მაშინ სულ სხვა თვალთ შეხედონ თავიანთ ბებია-ბაბუებს და იმასაც მიხვდნენ, რომ ცხოვრება საერთოდ და კონკრეტულად სექსუალურიც, 60-70 წლის ასაკში ნამდვილად არ მთავრდება“.

კანის ფესტივალზე შეკრებილმა მაყურებელმა რეჟისორის გაბედული ნაბიჯი დააფასა და ამიტომაც, სენსის დასრულების



შემდეგ, ანდრეას დრეჟენსაც დიდხანს მოუწია მაყურებლის წინაშე თავის დაკვრამ.

„კანი ის უზარმაზარი საბაზრო მოედანია, საიდანაც მოულოდნელად ხვდები კინოჩვენებაზე, რომელზეც სულ სხვა ატმოსფეროა და საიდანაც ასევე მოულოდნელად კინოს სამყაროშიც იძირები, — გაენდო რეჟისორი მშობლიურ Deutsche Welle-ს, — თანაც მე ამ სამყაროში სმოკინგში გადაადგილებასაც არ ვარ მიჩვეული... ჩემთვის ეს ყველაფერი ძალიან უცნაურია... თუმცა ისიც მესმის, რომ კანის შოუ, დიდი კინოს შოუა. მადლობელი ვარ, რომ მასში მონაწილეობის მისაღებად მეც მიმიწვიეს“.

# კლინტონის საქსკანდალუბი მონაწილე ქალბა ვაზსაიბი გზსნა



ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს — ბილ კლინტონს, ბოლო დროს არ უმართლებს. ჯერ იყო და, საკუთარი მუდღის საარჩევნო კამპანიის დროს, რასიზმი დაადასტურა, ცოტა ხნის წინ კი გამოცემა Vanity Fair-ის ჟურნალისტის გალანძღვის (კლინტონის თქმით, ამ „საზიზღარმა, უპატიოსნო და უბედურმა არაზადამ“ ის თავის პუბლიკაციაში უღამაზოდ წარმოაჩინა) შემდეგ, ისედაც „მრავალჭირნას“ პრეზიდენტყოფილს „უსაგნოდ მრისხანე და თავშეუკავებელი“ ადამიანის იარლიყიც სასწრაფოდ მიაკრეს. თუმცა საქმე განსაკუთრებით მაინც მას შემდეგ გართულდა, რაც კლინტონთან დაკავშირებულ სექსკანდალებში აქტიურად მონაწილე და შემდეგ მასზე წლობით შურისმაძიებელმა ორმა ქალმა — ჯენიფერ ფლაუერსმა და პაოლა ჯონსმა „ბრძოლის ველზე“ ხელახლა გამოსვლა გადამწყვიტეს. აღნიშნული სექსკანდალების საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შესასწავლად, მათ ინტერნეტში საეჭვო სახელწოდების (Two Chicks Chatting — ორი ქათმის ლაქლაქი), მაგრამ საკმაოდ მაღალი ხარისხის ვიდეოკლიპების მთელი სერია განათავსეს.

ჯენიფერ ფლაუერსი კლიპში „უსაზღვროდ წუხს“, რომ მისმა (მომღერლისა და მსახიობის) კარიერამ კრახი 1992 წელს,

კლინტონის პირველი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიისას მასთან ინტიმურ ურთიერთობაში გამოტყდომის შემდეგ მოპოვებული „სამარცხვინო დიდების“ გამო განიცადა. „ასეთი დიდება ღირსებას ნამდვილად არ გმატებს“, — ირწმუნება „გულდათუთქული“ ქალი. სინამდვილეში, ფლაუერსმა კლინტონთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგაც, წინ საკმაოდ მტკიცედ წაინია: წიგნი დანერა და რამდენიმე ფილმსა და ჟურნალ Penthouse-ს ფურცლებზეც გამოჩნდა. მიმდინარე წელს კი ისიც საჯაროდ განაცხადა, კლინტონისა და ჩემი საიდუმლოდ ჩანერილი მამინდელი საუბრების აუქციონზე გატანას ვაპირებო.

ჯენიფერ ფლაუერსი და პაოლა ჯონსი თავიანთი ვიდეოკლიპების ნახვაში, სადაც ისინი ისეთ ფრიად „საჭირობოტო“ პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობენ, როგორც პრეზიდენტის პენსიის ფორმა და ზომაა, 13,9 დოლარს იღებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ თავზე ხელაღებელი ქალების „მსჯელობებში“ სენსაციური არაფერია, კლიპებში განხილულ მოვლენებში მონაწილე ყველა პირის შეცბუნება-შერცხვენაში ისინი ტოლს ნამდვილად არავის უდებენ. კერძოდ, ჯონსი, ვინ იცის, უკვე მერამდენედ „აყალიბებს“ აზრს იმის თაობაზე, თუ 1991 წლის მაისში არკანზასში, სასტუმრო Excelsior-ის ნომერში როგორ გამოიძახეს და კლინტონი, რომელიც მაშინ გუბერნატორი იყო, მას როგორ მიუახლოვდა. „მე გუბერნატორთან შეხვედრა ნამდვილად მაინტერესებდა, — მორცხვად აღიარებს იგი, — მაგრამ წარმოდგენაც კი არ მქონდა იმაზე, თუ რას მიპირებდა“.

სხვათა შორის, კლინტონის იმპიჩმენტის

საკითხის დაყენებაც ჯენიფერ ფლაუერსს უკავშირდება. კერძოდ, ეს საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც კლინტონმა სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით ჯონსის მიერ წამოწყებულ საქმეზე ჩვენება მისცა და მონიკა ლევისკისთან კავშირი უარყო. თუმცა, თავის მხრივ, თავად ეს ქალები კლინტონის წინააღმდეგ შეთქმულებაში დაადანაშაულეს. „ჩვენ მემარჯვენეების შეთქმულებაში მონაწილეობაში დაგვედს ბრალი. შენ მასში მონაწილეობდი?“ — ეკითხება ფლაუერსი



ჯონსს, რაზეც ეს უკანასკნელი მშვიდად პასუხობს: „არა, არ ვმონაწილეობდი. მე უფრო კონსერვატიულ შეხედულებებს ვმხრობი. თუმცა, საერთოდ, პოლიტიკასთან ბევრი არაფერი მესაქმება. ისე კი ვისთანაც გინდა, იმასთან გამოვხაზავ საერთო ენას“. ამ საკითხის გარკვევის შემდეგ, ქალები ერთმანეთს ეხვევიან და ჯონსი ფლაუერსს ეუბნება: „შენ ნამდვილი საოცრება ხარ“. ასეთი გასლავთ ამ უღამაზო ისტორიის „ლაბაში“ ფინალი. ■

მომზადდა რუსულან ლეპანიძემ

# იყიდება იპნისის ნომერი!

**№6**

საბავშვო ლექსები

- ქალბა ვაზსაიბი-120
- პრობა
- ქალბა ვაზსაიბი
- მანა მანა
- ზაქა ქალბა
- ზინა მანა
- ქალბა ვაზსაიბი

საბავშვო ლექსები

- მანა მანა

მონაწილე

- ლეპანიძე ქალბა
- მანა მანა

საბავშვო ლექსები

- მანა მანა
- ქალბა ვაზსაიბი
- ზინა მანა

თქვენ სოც გაგოვნებიანი  
გკითხვავლი გრკანდავით...

# საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენსია უკვე შესაძლებელია...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საშვილოსნოს ყელის კიბო წარმოადგენს ქალებში კიბოსთან ასოცირებული სიკვდილიანობის მეორე მნიშვნელოვან მიზეზს მკერდის კიბოს შემდეგ. მისი გამომწვევი გახლავთ ადამიანის პაპილომაავირუსი – HPV.

დღეისთვის ადამიანის პაპილომაავირუსის 100-ზე მეტი ტიპია ცნობილი. აქედან დაახლოებით 40-მდე ტიპი აზიანებს ლორწოვან ზედაპირებს.

ადამიანის გენიტალური პაპილომაავირუსული ინფექცია წარმოადგენს სქესობრივი გზით გადამდებ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ინფექციას.

ვირუსის მაღალი ონკოგენობის ტიპები (მე-16 და მე-18 ტიპი) ასოცირებულია საშვილოსნოს ყელის, საშოს, ანუსის და ასოს (მამაკაცებში) ინვაზიურ სიმსივნეებთან.

დაბალი ონკოგენობის მქონე ტიპები (მე-6 და მე-11 ტიპი) იწვევს გენიტალურ მეჭეჭებსა და კონდილომებს, ასევე ხორხის პაპილომატოზს.

მსოფლიო სტატისტიკით, დღეისთვის 50 წლის ასაკის ქალთა დაახლოებით 80% ინფიცირებულია ამ ვირუსით და თუ დაინფიცირება გამომწვეულია მაღალი რისკის ონკოგენური ტიპებით (16, 18), მაშინ ლორწოვან გარსში ვითარდება საშვილოსნოს ყელის კიბოს წინამორბედი ცვლილებები, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში პროგრესირებს კიბომდე.

პაპილომაავირუსის სანინალმდეგო მკურნალობა დღეისთვის არ არსებობს, იგი მიმართულია თვითონ ვირუსით გამომწვეული დამაზიანებელი შედეგების წინააღმდეგ.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში კვდება 240000 ქალი საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით და დაახლოებით 500000 ახალი შემთხვევა ფიქსირდება. დღეისთვის 630 მილიონი ადამიანია დაავადებული პაპილომაავირუსული ინფექციით.

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემები შემაშფოთებელია, დღეს არსებობს უალტერნატივო საშუალება – ვაქცინაცია ადამიანის პაპილომაავირუსული ინფექციის სანინალმდეგოდ: ვაქცინა **გარდასილი** (Gardasil), რომლის მწარ-

მოებელია ამერიკული ფარმაცევტული კომპანია — Merck & Co. ვაქცინა შეიქმნა 1990 წლის დასაწყისში. ვაქცინა კვადრივალენტურია (ოთხკომპონენტანია) და შეიცავს ვირუსის ოთხ ძირითად ტიპს: 6, 11, 16 და 18.

როგორც აშშ-ის FDA-ს (food and drug administration) ოფიციალური განცხადებით გახდა ცნობილი, ვაქცინას გააჩნია თითქმის 100%-იანი პროფილაქტიკური ეფექტი და მისი მოქმედება მიმართულია მხოლოდ პაპილომაავირუსით დაინფიცირების წინააღმდეგ და არა მკურნალობისთვის.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მასობრივი ვაქცინაციის ჩატარება მიზანშეწონილია 11-12 წლის გოგონებში და პირველ სქესობრივ კონტაქტამდე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სქესობრივი კონტაქტის მქონე ქალები არ უნდა იცნებოდნენ პაპილომაავირუსული ინფექციის სანინალმდეგოდ. გარდასილი მოწოდებულია 9-დან 26 წლამდე ასაკის გოგონებისა და ქალებისათვის.

გარდა აშშ-ისა, გარდასილი დარეგისტრირებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთში; ასევე მექსიკაში, ავსტრალიაში, ბრაზილიაში, ახალ ზელანდიასა და აფრიკის ქვეყნებში.

2007 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს მიერ Gardasil დარეგისტრირდა საქართველოში.

ვაქცინის შემქმნელები, სათანადო კლინიკური კვლევების საფუძველზე, გვანვდიან საკმაოდ ოპტიმისტურ პროგნოზს, რომ თუ ამ ვაქცინით იმუნოზაციას დავუქვემდებარებთ 11-12 წლის გოგონების 80%-ს მაინც, საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით სიკვდილიანობა 61%-ით შემცირდება.

**ექიმი-ინფექციონისტი:**

**მ. აბრამიძე**

ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონზე: 0-007 (კონსულტაცია უფასოა)

# Camaro-ს თავლია პერსონა

Chevrolet-ის ვიცე-პრეზიდენტმა ედ პეპერმა სპორტული კუპეს — Camaro — თავლია ვერსიის წინასერიული ეგზემპლარის პირველი ოფიციალური ფოტოები გაავრცელა. წარმოდგენილი სურათების მიხედვით, სიახლე გარეგნულად Camaro Convertible-ს პროტოტიპს ძალიან ჰგავს და ფაქტობრივად, მასობრივი წარმოებისთვის გამზადებულ ავტომობილად მიიჩნევა. ამასთან, პეპერმა განაცხადა, რომ ამ მოდელის დიზაინი წინასერიული ეგზემპლარისგან ოდნავ განსხვავებული იქნება. ამჟამად ღია Cama-



ro კვლავ ტესტირებას გადის. როგორც ვარაუდობენ, კაბრიოლეტს პუბლიკას გაისად, დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონზე წარუდგენენ. სიახლეს რბილი დასაკეცი სახურავი ექნება და ის ექვსლიტრიანი, 400 ცხ.ძ. სიმძლავრის, რვაცილინდრიანი ან 3,6-ლიტრიანი, ექვსცილინდრიანი, 270 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავით აღიჭურვება. მოტორები ექვსსაფეხურიანი „მექანიკით“ ან ნახევრად ავტომატური გადაცემათა კოლოფით იმუშავებს. Chevrolet Camaro-ს ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ედ პეპერმა ისიც დაადასტურა, რომ ამ მოდელის წარმოება 2009 წელს დაიწყება.



## იაპონელებმა წყალზე მომუშავე ძრავა შექმნეს

იაპონურმა კომპანიამ — Generax — ოსაკაში ახალი ელექტრომობილი წარმოადგინა, რომელიც სანავის ნაცვლად, წყალს იყენებს. მხოლოდ ერთი ლიტრი საკმარისია, რომ მან საათში 80 კმ/სთ სიჩქარით იმოძრაოს. როგორც შემქმნელი მიიჩნევს, მანქანას ნებისმიერი წყლის გამოყენება შეუძლია — წვიმის, მდინარის და ზღვისაც კი. მის ძრავას Water Energy ეწოდა. ისიც იმავე პრინციპზეა აგებული, როგორზეც სხვა აგრეგატები, რომლებიც წყალბადზე მუშაობს. გამოცემა Nikkei წერს, რომ Generax-ის სისტემის მთავარი თავისებურება — სპეციალური მასალისგან დამზადებული მემბრანის ელექტროდების გამოყენებაა, რომელსაც ქიმიური რეაქციით წყლის წყალბადად და ჟანგბადად დაშლა შეუძლია. შემქმნელთა აზრით, ეს პროცესი მეტალოზიდრისა და წყლის რეაქციის შედეგად წყალბადის მიღების მექანიზმის ანალოგიურია. თუმცა ახალი აგრეგატის მთავარ განსხვავებას, წყლისგან წყალბადის დიდი ხნის განმავლობაში მიღება წარმოადგენს. მაგნიტური გამონაბოლქვების სრული არარსებობის

გარდა, შემქმნელთა აზრით, Generax-ის აგრეგატი უფრო გამძლეა, რადგან კატალიზატორი დამანაგვიანებელი ნივთიერებებით არ ფუჭდება. „ავტომობილი მანამდე ივლის, ვიდრე წყლით სავსე ბოთლი გექნებათ ხელთ, — განაცხადა Generax-ის გენერალურმა დირექტორმა კიესი ხირასავამ, — ისევე, როგორც თანამედროვე ელექტრომობილების უმრავლესობისთვის, ბატარეების ენერჯით სრულად დასატენად, სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა არ არის საჭირო — დატენის სადგური მაქვს მხედველობაში“, — დასძინა მან. ოსაკაში წარმოდგენილი ავტომობილი ერთადერთი ნიმუშია და იგი პატენტის მისაღებად იქნება გამოყენებული. ამჟამად აგრეგატის თვითღირებულება, რომელიც სანავად წყალს მოიხმარს, ორი მილიონი იენია (დაახლოებით 18.522 დოლარი), მაგრამ როგორც კომპანიის სპეციალისტები გვარწმუნებენ, მასობრივი წარმოების დანებების შემთხვევაში, ფასის ნახევარ მილიონ იენამდე (დაახლოებით 4.630 დოლარი) დანევა იქნება შესაძლებელი.

## ურვეულ საჯარიმო ქვითარი ბრაზილიელი ინჟინრისთვის

ბრაზილიელმა ინჟინერმა, რაფაელ დე ანდრადემ პოლიციის ადგილობრივი განყოფილებიდან მიიღო ქვითარი, რომლის თანახმადაც, სიჩქარის გადაჭარბებისთვის საჯარიმო თანხა უნდა გადაეხადა. მასში ნათქვამი იყო, რომ ანდრადემ რიო-დე-ჟანეიროს

ერთ-ერთ ქუჩაში სიჩქარის დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარს 15-ჯერ გადააჭარბა და თავისი ავტომობილით 880 კმ/სთ განავითარა. როგორც ბრაზილიური გამოცემა G1 იუწყება, სულ რაღაც ერთლიტრიანი მოცულობის მქონე ძრავით აღჭურვილი ავტომობილის — Volkswagen Golf — მფლობელი უმაღლეს ქალაქის სატრანსპორტო განყოფილებას ეწვია, რათა მისთვის აბსურდული საჯარიმო დოკუმენტი გაეუქმებინათ, მაგრამ ამ მოთხოვნაზე უარი მიიღო. ადგილობრივი კანონის თანახმად, ანდრადეს მეორედაც შეუძლია მისთვის დანიშნული ჯარიმის გაპროტესტება. მაგრამ ამისთვის მან მთელი თანხა უნდა გადაიხადოს, ხოლო თუ გადაწყვეტილებას გააუქმებენ, მძღოლს ფულს დაუბრუნებენ. კიდევ უფრო უჩვეულო საჯარიმო ქვითარი 2001 წელს ბრაზილიელ ადვოკატ ჯუსელეი ტავარეს მენეზესს მიუღია. მასში ნათქვამი იყო, რომ მამაკაცს, რომელიც 1,6-ლიტრიანი ძრავს მქონე „ფოლკსვაგენ გოლფს“ მართავდა, ჩვეულებრივ გზაზე 4800 კმ/სთ სიჩქარე განუვითარებია, რაც თითქმის ოთხჯერ აღემატება ბერის სიჩქარეს!.. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ავტომობილით მოძრაობის ოფიციალურად დაფიქსირებული მაქსიმალური სიჩქარე 411 კმ/სთ-ს შეადგენს.

**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
**ინტერნეტ მაღაზია**  
**www.elva.ge**  
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაზი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

პრების გაწვევების სააგენტო  
 ქ. თბილისი  
 თბილისის ქ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქსი: 38-26-74.  
 E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები



					1 ლუკას კრანასის ცნობილი ტილი	2 ავტორი პოემისა „აჩრდილი“	3 მოდელიერი ... სენ ლორანი			4 ბოლოკის ან კარხლის ღერო		
					5 ცეცხლსარო- ლი იარაღის ტიპი							
					6 მხვლევატი ტკივილები გვერდში					7 ავტობოლა		
9 მკეხარა					10 ინდონეზიის ღვთაქალაქი			11 რისამე დადგენილი წილი	12 მაგარი ქვა	13 ამორტიზა- ტორი	14 იტალიის ფეხბურთის გუნდი	15 არგენტინელი ფეხბურთელი
16 ქიმიური ელემენტი												17 გაღვარ- ბებული თავ- მოყვარობა
18 წყალქვეშა კლდე							19 იტალიელი ფეხბურთელი					20 ნაკურთხი წყალი
21 მუსლიმანთა სასულიერო სასწავლებელი							22 მდი- ნარის ღრმა კალაპოტი	23 სილვესტრ სტალინის მეტსახელი				
							24 ერთგვარი მსუბუქი ნამცხვარი	25 ბუდისტი მღვდელი				
26 კოლის მამა	27 ფულის გათამაშება ბილიეთებით	28 საინფორმაციო სამუღებანი	29 ქალის ფართო პლტო			30 მუსლიმანური ღვთაწაული						
							31 ღიდი ბრიტანეთის ნაწილი					32 აზერბაიჯანის პრეზიდენტი
33 რუსეთის ექს- პრეზიდენტი												
34 სუბ- ტროპიკული კულტურა		35 მთელიობის და რასკნათა თანამდევრობა										
			36 ფულის ერთეული იაპონიაში	37 ვეულკანური მასა								
38 ფეფარაც ქეწარმებელი												
					39 პარტია ჩოგბურთის თამაშში							
40 ინგლისური არაყი			41 ქვეყანა აფრიკაში									



**წინა ნომრის სქანსორის პასუხები**  
 1. ფიროსმანი; 2. რაში; 3. მორისონი; 4. სიქა; 5. მათარა; 6. ჯიპი; 7. ბუმიქთაში; 8. დაირა; 9. ვენა; 10. აისბერგი; 11. სიტი; 12. რემა; 13. პითე-  
 კანტროპი; 14. პუბლიკაცია; 15. აბასი; 16. ნიანგი; 17. ნევადა; 18. სკანდალი; 19. ანხელი; 20. ფეხი; 21. სპა; 22. საინი; 23. კარატე; 24.  
 იერი; 25. ფრე; 26. ყავა; 27. რიყე; 28. ნინია; 29. კოლტი; 30. უსი; 31. ქარაფი; 32. პასატი; 33. სინდისი; 34. ნამქერი; 35. აგონია; 36.  
 ოსვალდი; 37. პოდაგრა; 38. პასტორი; 39. იურისტი; 40. ფისკო; 41. პო.

სურათებზე: ფაბიო კანავარო; ტიერი ანრი.



# 306 306 პრის

სამზარეულომ შესაძლოა, სრულყოფილი წარმოდგენა შეგვიქმნას მისი პატრონების, განსაკუთრებით, დიასახლისის შესახებ. ხოლო თუკი დიასახლისზე ისიც გვეცოდინება, რა უყვარს მას, როგორ უმასპინძლდება სტუმრებს და რომელ რესტორანში დადის, მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი პრაქტიკულად, სახეზე გვექნება.

### 1. დღეში რამდენჯერ იკვებებით?

ა) სამგზის საფუძვლიანად გეხსლება და ერთხელ ვსვამ ჩაის;  
ბ) თუკი მოვასწარი, ვსაუზმობ, დღის განმავლობაში სიტუაციისდა მიხედვით ვიკვებები. სამაგიეროდ, საღამოობით გეხსლებით მსუყე ვახშამს;

გ) დილაობით აუცილებლად ვსაუზმობ; დღის დანარჩენ მონაკვეთში, როგორც მოვახერხებ: ზოგჯერ საერთოდ არაფერს მივირთმევ, ზოგჯერ კი მთელი დღის განმავლობაში ვიცუმცნები.

### 2. რომელი ქვეყნის სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას?

ა) ქართულს და ფრანგულს — არ მიყვარს ექსპერიმენტები;  
ბ) საზღვარგარეთ ყოფნისას, ადგილობრივ სამზარეულოს, შინ — გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ: ჩინურს, ინდურს, მაროკოულს და ა.შ.;

ბ) ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებისა და იაპონურ სამზარეულოს. საერთოდ, ზღვის პროდუქტებისა და ბოსტნეულის კერძები მიყვარს.

### 3) რა ნიშნით ირჩევთ კაფეს?

ა) მეგობრებისგან ვიღებ ინფორმაციას, თუმცა, მაინც ჩემთვის ნაცნობ კაფეში მივდივარ;

ბ) მოდურ დაწესებულებას ვსტუმრობ, რომელზეც საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობენ;

გ) რომლის გარე გაფორმება და ინტერიერიც მომწონს.

### 4. რესტორანში შესული, მხოლოდ ერთი თავი საქმლით დაკმაყოფილებას აპირებთ. რა კერძს შეუკვებით ოფიციატს?

ა) წვნიანს ან რაიმე ცხელ კერძს;

ბ) სალათას ან სხვა საუზმეულს — შესაძლოა, წვნიანი შევუკვებო;

გ) სალათას ან დესერტს.

### 5. რომელია თქვენი საყვარელი სასმელი?

ა) სტაფილოს წვენი, მწვანე ჩაი, უგაზო მინერალური წყალი;  
ბ) უკანასკნელ ხანს — მატე;

გ) ცხელი შოკოლადი და ჩაცხივებული შამპანური.

### 6. თქვენთვის საუკეთესო დესერტია...

ა) ხილის სალათა;

ბ) ნაყინი;

გ) მარწყვი ნალებით, კრემ-კარამელი ან ჩაის ნამცხვარი.

### 7. თქვენ მიდინართ მალაზიაში...

ა) კვირაში ერთხელ და თან მთელი კვირის სამყოფი პროდუქტების სია მიგაქვთ;

ბ) როცა რაიმე გჭირდებათ და ამის ხასიათზე ხართ;

გ) ამას სხვები აკეთებენ. თავად ბაზარში სიარული მიყვარს, რადგან იქ ფერთა სიუხვე მსიბლავს.

### 8. გირეკავენ მეგობრები და გეუბნებიან, რომ ცოტა ხანში გესტუმრებიან.

ა) ჩვეულებრივ, სტუმრებს წინასწარ ვებატიშები; მაგრამ კრიტიკულ სიტუაციაში, პროდუქტების მარაგიდან რაიმის მომზადებას შევძლებ;

ბ) თუკი ხასიათზე ვარ, რაიმე ექსტრავაგანტურს მოვაზამდებ, თუ არა — ღვინით, ტუბილულითა და ხილით გავუმასპინძლდები;

გ) ტელეფონით პიცას ან სუშის შევუკვებ. ალბათ სტუმრებიც მოიტანენ რამეს და მომზადებაშიც დამეხმარებიან.

### 9. როგორ შლით სუფრას?

ა) ეტიკეტის დაცვით — სუფრასა და ხელსახოცებს სერვიზის ფერს შევუსამებ; დავანყობ ვერცხლის დანა-ჩანგალს;

ბ) ეფექტურად: ეგზოტიკური კერძებით, უჩვეულო ფორმისა და შეფერილობის ჭურჭლით; მაგიდაზე დავდგამ იკებანას.

გ) უპირატესობას ა-ლა-ფურშეტს ვანიჭებ — რა საჭიროა ზედმეტი ფორმალობა? მთავარი ურთიერთობაა და არა — საჭმელი.

### 10. თქვენს ოჯახში ვინ რეცხავს ჭურჭელს?

ა) რიგრიგობით ოჯახის ყველა წევრი;

ბ) ჭურჭლის სარეცხი მანქანა;

გ) ერთჯერად ჭურჭელს იყენებთ, ასე რომ, გარეცხვა არ გინებთ.

### 11. თქვენთვის იდეალური დიეტა...

ა) კვების საკუთარი რეჟიმი, კალორიების დათვლა — ერთი სიტყვით, რაიმე რთულ სქემას ვადგენ;

ბ) ცოტა ჭამა და ბევრი სირბილი. შევებულებაში გასვლამდე, ყოველთვის ვიკეთებ მასაჟს, ვინცებ სპორტდარბაზში სიარულს და აღარ ვჭამ ექვსი საათის შემდეგ — ამას მშვენიერი შედეგი მოაქვს.

გ) როცა შევეყარებული ხართ.

## ტესტის შედეგები

ფრადოსანი (როცა „ა“ ვარიანტის პასუხები ქარბობს): წესრიგის დაცვას ყველაფერში მიჩვეული ხართ. შესანიშნავი დიასახლისი, ყურადღებიანი დედა და იდეალური ცოლი ბრძანდებით. იმეღია, თქვენი ცხოვრება ამით არ შემოიფარგლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საკმაოდ მოსაწყენ იქნებოდა. თუკი თქვენ მუშაობთ, მონქსრავებულ ი ყოფა, დინჯად და მშვიდად მუშაობაში გინყობთ ხელს. ხელქვეითებია და ხელმძღვანელებიც კმაყოფილი გყავთ. ერთადერთი, რაც ნაკლად შეიძლება ჩაგეთვალოთ, შემოქმედებითი ინიციატივის ნაკლებობაა. თუმცა, სხვების გენალურ იდეებსაც ხომ ვიღაცამ უნდა შეასხას ხორცი! დაბოლოს, გირჩევთ, ზოგჯერ მაინც მისცეთ საკუთარ თავს მოდუნების საშუალება. წესები ხომ იმიტომ არსებობს, რომ ისინი დავარღვიოთ.

დემონსტრაციული პიროვნება (როცა „ბ“ ვარიანტი ქარბობს): თქვენთვის უმთავრესი შთაბეჭდილების მოხდენა და ამას სწორად ასრულებთ კიდევ მოდური და ელევანტური ჩაცმულობით ყოველთვის ბრწყინავთ ხალხმრავალ თავყრილობებზე. ყველა ჭიროსა თუ ახალი ამბის კურსში ხართ. შინ, სხვადასხვანაირად იქცევით — ხან სევდა შემოგანებათ, ხან დღესასწაულს უწყობთ ახლობლებს. აი, მეგობრები კი, თქვენი ყოველთვის აღფრთოვ

ანებულები არიან. რუტინული სამუშაო, რომელიც გამუდმებით ყურადღების მობილიზებას საჭიროებს, სათქვენო არ არის. სამაგიეროდ, სწრაფად აზროვნების შემთხვევაში, შეუდარებელი ბრძანდებით. ოღონდ, გათივალისწინეთ, გამუდმებით დაძაბულ სიტუაციაში ყოფნას ვერაფერ იტანს — დროა, ყველაფრისგან დაისვენოთ. ახლობლებსაც სჭირდებათ თქვენგან დასვენება — ვარსკვლავის გარემოცვის როლში ყოფნით ისინიც დაილაღნენ.

შემოქმედებითი ნატურა (როცა „გ“ ვარიანტი ქარბობს): საკმაოდ დაუდევარი ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ეს სულაც არ განუხებთ. მით უმეტეს, რომ გვერდით თითქმის ყოველთვის გყავთ ვიღაც ვინც თქვენს საზრუნავს საკუთარ თავზე იღებს. დიდად არც მუშაობა გცნობავთ, მაგრამ როცა ამის აუცილებლობა არსებობს, ყველაზე მოსაწყენ საქმიანობაშიც კი რაღაც მიმზიდველ მხარეს პოულობთ. რთული საკითხების მოკლე დროში გადაჭრაც გეხერხებათ. სწრაფ გადაწყვეტილებას კი ყოველთვის სასურველი შედეგი როდი მოჰყვება — ამის გამო, ზოგჯერ სირთულეები გექმნებათ. მრავალფეროვნებისთვის, რამდენიმე დღის განმავლობაში, ჩვეულებრივი ადამიანის როლში ყოფნას გირჩევთ; გათივალისწინეთ, ამაზე თქვენი ახლობლები უკვე დიდი ხანა ოცნებობენ.



# ჰოროსკოპი

(19 - 25 ივნისი)

**ვეფხვი:**

იღბლის მიერ ბოძებული შანსი ხელიდან არ გაუშვით და ახალ საქმიან შემოთავაზებებზე უარი არ თქვათ. ნუ აპყვებით ავანტიურებსა და პროვოკაციებს. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

**კურღი:**

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებსა და საყვარელ ადამიანს. კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად. საქმიანი შემოთავაზებაც გელით, თამამად იმოქმედეთ და წარმატებას მიიღწევთ.

**ტყუპები:**

კარგი პერიოდია პროფესიის ან სამსახურის შესაცვლელად, რაც თქვენს მატერიალურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს. სასიყვარულო კავშირი კი საოცრად ხანმოკლე აღმოჩნდება.

**კირჩხიბი:**

ამ კვირაში თქვენი მატერიალური მდგომარეობა სახარბიელო არ იქნება. ოჯახურ, სასიყვარულო და პარტნიორულ ურთიერთობებში მეტი მოთმინება გმართებთ, ყველაფერზე ნუ გაიბუტებით.

**ღორი:**

მეგობრული კავშირები შესაძლოა, ოჯახსა და ნათესაებზე მნიშვნელოვანი გახდეს, რაც მეუღლისა და მშობლების უკმაყოფილებას გამოიწვევს. ახალ პარტნიორებს სიტყვაზე ნუ ენდობით.

**შაგხუდი:**

მაქსიმალურად დაიცავით სამართლიანობა და ბინძურ თამაშში ნუ ჩაებმებით. საყვარელი ადამიანი თქვენს ერთგულებასა და შრომას დააფასებს და შესაძლოა, სიურპრიზიც კი მოგიმზადოთ.

**სასწორი:**

შესაძლოა, საზღვარგარეთ გამგზავრებასა და ცხოვრების თავიდან დაწყებაზე დაფიქრდეთ, რადგან რომანტიკა და იდეალური პარტნიორული ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდებათ. მიენდეთ ინტუიციას.

**მორიფი:**

საქმიანი მოლაპარაკებები შესაძლოა, ბოლო წუთას ჩაიშალოს. საყვარელი ადამიანის მიმართ ძალზე მომთხოვნი ნუ იქნებით. უქმე დღეები მასთან და მეგობრებთან ერთად, ბუნების ნიაღში გაატარეთ.

**მზვიდღოსაზი:**

ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან თავი შეიკავეთ და ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმეთ. მატერიალურ საკითხებთან დაკავშირებით ნუ გარისკავთ და რჩევისთვის მეუღლეს მიმართეთ.

**თხრი ჩუბი:**

ამ კვირაში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი საგრძნობლად დაეცემა, რაც შესაძლოა, ავადმყოფობის მიზეზი გახდეს. ბუნებასთან დაახლოება და სუფთა ჰაერი განწყობილებას გაგიუმჯობესებთ.

**მეჩხუდი:**

ამა თუ იმ საბუთის ხელმოწერისას განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ. ყურადღებით შეარჩიეთ როგორც სასიყვარულო, ისე საქმიანი პარტნიორები. ერიდეთ მძიმე ფიზიკურ სამუშაოს.

**თევზები:**

ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, რადგან ის ცუდად იმოქმედებს როგორც თქვენს პირად საქმიანობაზე, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც. ახალი წინადადებების განხილვას მეტი დრო დაუთმეთ.

**იაკონური სენსაცია**

**სუდოკუ**

**წინა ნომრის სუდოკუს პასუხები**

1	6	2	5	8	9	7	4	3
8	3	5	7	4	2	6	9	1
9	4	7	6	1	3	5	8	2
7	8	1	2	9	4	3	5	6
3	5	9	1	6	7	4	2	8
4	2	6	8	3	5	9	1	7
5	9	8	3	2	6	1	7	4
6	1	4	9	7	8	2	3	5
2	7	3	4	5	1	8	6	9

1	8	7	9	6	2	3	4	5
5	4	6	3	7	1	9	2	8
9	2	3	4	8	5	7	1	6
4	9	2	1	5	8	6	3	7
3	6	8	2	9	7	1	5	4
7	5	1	6	3	4	2	8	9
2	7	4	5	1	6	8	9	3
8	3	5	7	2	9	4	6	1
6	1	9	8	4	3	5	7	2

1	7	5	8	2	6	4	3	9
6	4	9	3	5	7	1	2	8
2	3	8	9	4	1	6	7	5
4	2	7	6	9	5	8	1	3
3	5	1	2	8	4	7	9	6
9	8	6	1	7	3	2	5	4
5	1	4	7	3	8	9	6	2
7	9	3	4	6	2	5	8	1
8	6	2	5	1	9	3	4	7

**\***

**მარტივი**

6	7		9		1	8	
2		3	7		5		
		5	8			9	
	2		1		7	6	
	6	4				3	
	5	4	6	3	9		
4			5	6			
		9	3	6		2	
3	8		4			5	7

**\*\***

**საშუალო**

		2	7			5
	9			3		6
				5	7	
		6		9		7
	5			1		3
	7			8	2	9
		4	8			
	1			5		8
3				9	6	

**\*\*\***

**რთული**

		9	2			4
	8			4	6	
				1		2
	6		7	3		4
	4			8		5
2			4			9
5			6			
	3	8				6
1				7	3	

# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები  
და გათქაშები იტალიიდან



 **OIKOS**

# საბა SABA

პირველი ელიტური სახლი ბუჩაქში



ღმთაბა

ბუჩაქში



ბინა შეიქმნა  
PASCAL-ის (გერმანია)  
სამშენებლო ტექნოლოგიის  
სრული გამოყენებით



ბინები 65 მ<sup>2</sup> - დან  
თანამედროვე ლიფტი  
სუპერმარკეტი  
საბავშვო ბაღი  
აუთიაჟი  
სამედიცინო ცენტრი  
მინისქვეშა ავტოსადგომი  
დასვა  
კაფე - ბარი  
იზოლირებული,  
კეთილმოწყობილი  
ფართობი 5000 მ<sup>2</sup>  
მოპირკეთებული ქუჩა და  
მიმდებარე ტერიტორია  
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

**☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00**  
**877-77-70-77 899-35-90-00**

გარამიშვილის 78 (მატრო "გარამიშვილთან")

სიასლა!!! ხელშეკრულება გაბარდება სახელმწიფო რეესტრში